

ნიღამურის ტყეს მოჩვენება

ფანტასტიკური დეტექტივი
დოკუმენტური პროზის ელემენტებით
გახორციელებული სალიასგან

თბილისი

2011

© ვახო სალია

ტიტანურის ტყის მოჩვენება

პროექტის რედაქტორი: ქეთი კობიაშვილი

მაცოფებელ გნებას აყოლილები დღემდე ცდილობენ
ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მონაწილედ დასახელე-
ბულ “იმერელის” ვინაობის დადგენას. მთხოვობელმა
სცადა ოხრანკის თანამშრომლის თვალით შეეხდა
1907 წლის 30 აგვისტოს წიწამურში დატრიალებული
ტრაგედიისთვის და უცნაური შედეგიც მიიღო . . .

ISBN 978 -9941-9203-2-5

ტფილის ვაგზლის მოჩვენება, ღოლგანდიანი ურჩეული და ნამდვილი ბარ- თლომას დამე გარშალამებითან



რუსეთის იმპერიის პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის პარიზის ბიუროს უფროსის თანაშემწე გახლავართ. ბევრი რამ მინახავს და გადამხდომია, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ასეთი დამთრუნველი იქნებოდა საკუთარ აჩრდილთან მოულოდნელი შეხვედრა. რატომდაც მგონია, რომ ეს ყველაფერი ალკოჰოლური მოწამვლის ფონზე განვითარებული იღუზია იყო, მაგრამ 1909 წლის 25 აგვისტოს დილით ელიზავეტპოლიდან ტფილისის ვაგზალზე ჩამომდგარი მატარებლის კუპის ფანჯრის ფარდა მაინც შემცბარმა გადავწიე და მზერა დარბაზში შესასვლელი ცენტრალური კარისკენ გამექცა. დღეს იქ ნამდვილად არ იდგა: მეტრი და ოთხმოცი სანტიმეტრი სიმაღლის, სქელწარბა, ყავისფეროვალება, ოდნავდიდცხვირა, ულვაშა, თხისწვერა, დიადამუქნაცრისფერკუბოკურულშარვლიანი, თეთრპერანგიანი, რუსებილეტიანი, შავფეხსაცმელებიანი, შუბლზე

ჩალისქუდჩამოფხატული – ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი, ჩემი ალი-კვალი ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვა: ორეული. ოუმცა ამან შეება ვერ მომგვარა. პირიქით, იმ გარემოს ხელმეორედ ნახვამ, სადაც მოჩვენება გამომეცხადა, ახალი მოგონებები აღმიძრა და გამიმძაფრდა იმის შეგრძნება, რომ გუშინ დილით, როდესაც ტფილისის ვაგზალს, პირველად ბათუმიდან, მოვადექი, იმავე შესასვლელში კარის ჩარჩოს მართლა იყო მიყუდებული და ეშმაბურად მიღიმოდა ჩემივე თავი.

არადა, მოგზაურობა თავიდან კარგად დაიწყო. პარიზიდან, ბუქარესტის გავლით, კონსტანტინოპოლიდან მშვიდად ვიმგზავრე. აი იქ, ოტომანთა იმპერიის იმ საოცარ ქალაქში კი, ყველაფერი აირ-დაირია. საზღვაო პორტში ბათუმისკენ მიმავალი გემის ბილეთს დავხედე თუ არა, ადგილობრივი ველური შეუსაბამობა მომხვდა თვალში. ჯერ ეწერა 1327, ხოლო ფრჩხილებში ჩაესვათ 1909 წელი.

— უკაცრავად, ხომ ვერ ამიხსნით, ეს გაუგებარი, უცხაური ციფრი 1327, რას ნიშნავს? – დამცინა-გად მივმართე ევროპულ კოსტიუმში გამოწევილ და ოსმალური დოლბანდით თავდახურულ სანაოსნოს მოხელეს, რომელსაც წვერ-ულვაში სახე მოლიანად უფარავდა.

— ისლამური პიჯრას კალენდრის მიხედვით, დროის ათვლა 622 წლის 2 სექტემბრიდან, მუჰამედის და მისი მიმდევრების მექადან მედინაში გადასახლებით, იწყება.

- თუ თქვენ მართლა ასე გგონიათ, მაინც გაუგებარია, რა შეაშია აქ 1327? 1909 გამოვაკლოთ 622, მივიღებთ – 1287. ანუ, თქვენი განმარტების მიხედვით, ოსმალეთში ახლა 1327 კი არა, არამედ 1287 წელი უნდა იყოს, – დარწმუნებული ვიყავი, რომ თურქი დავაბინიე, მაგრამ იგი მაგრად დამხვდა, აზიელებისთვის დამახასიათებელი ფლიდობით ჯერ თვალებში შემომცინა და შემდგებ მკვახედ მომახალა:
- რუსები ზედმეტად თავდაჯერებული ხალხი ხართ, ქედმაღლები, ამპარტავნები, კუდაბზიკები და ამ თვისებებით ცდილობთ, თქვენი უმეცრება მიჩქმალოთ. ცოტა ტვინი გაანძრიე და ადვილად მიხედები, რომ ახლა სწორედ 1327 წელია და არა 1287!
- ტვინი შენ თვითონ გაანძრიე, თუ, რა თქმა უნდა, აქ თავმოყრილი ზღვების ქარებმა მთლად არ გამოგიშრო და არ გაგიხმო, – უზრდელობაზე უზრდელობითვე ვუპასუხე.
- რუსის ხელნებაზე მივხვდი, რომ ამ თურქს კარგად მოქცევის წესები ჩემი პასპორტის ორთავიანმა არწივმა დაავიწყა. გამახსენდა, ერთხელ ვენაში კომივოიაჟორის როლში შევხვდი ოსმალეთის საიდუმლო პოლიციის აგენტს, რომელიც ნეგოციანები ვაჭრად ასაღებდა თავს. მაშინაც ბევრი შნაპსი დავლიე. სიტყვამ მოიტანა და, ამერიკის შეერთებულ შტატებზე ჩამოვარდა საუბარი.
- იქ მცხოვრები ადამიანები ბედნიერები და თავისუფლები არიან, ძალიან მაგარი ადგილია, უკუთესს ვერ ინატრებ, თანაც ისეთი ტემპით ვითარ-

დება, რომ სულ მალე შეიძლება მსოფლიოს ახალი ცენტრი გახდეს, – მიმტკიცებდა თურქი.

– ეს, ჩემო ძვირფასო, – გუპასუხე კოლეგას, – რუსებს გვაქვს ძალიან საინტერესო გამოთქმა: ყველაფერი კარგადაა იქ, სადაც ჩვენ არა ვართ!

ისმაილ-აღა წამით დაფიქრდა, მერე თვალებში სევდა ჩაუდგა. მივხვდი, ნათქვამი ვერ გაიგო, მაგრამ საბოლოოდ იხტიბარი არ გაიტეხა და უცნაურად მიპასუხა:

– უნდა დაგეთანხმოთ, ნამდვილად შესანიშნავი გამოთქმაა. აბსოლუტური ჭეშმარიტებაა, სადაც რუსები არა ხართ, იქ ყველაფერი კარგადაა.

მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, არ უყვართ ოსმალოებს ჩვენი ძმა. არ უყვართ და ნუ უყვართ! ერთი კი ფაქტია, თავისი იმპერიის მშენებლობაში რატომდაც ევროპელების გამოცდილებას არ ენდობიან და გაფართოებას რუსული მოდელით ცდილობენ. თუმცა ჩვენი გზა რომ უფრო სწორი გამოდგა, ამის მიხვედრას დიდი ჭკუა მაინცადა-მაინც არ ჭირდება. პორტუგალიამ, ესპანეთმა, ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, პოლანდიამ, გერმანიამ, იტალიამ, დანიამ იმპერიებად ქცევა შორეული ტერიტორიების დაპყრობით სცადეს. ამ გზამ მხოლოდ დროებით გაამართლა. კოლონიები თანდათან ცივილიზებულნი გახდნენ და ერთიმეორის მიყოლებით დაიწყეს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა. განა რა სამხედრო ძალის გამოყვანა შეეძლო ციცქა პორტუგალიას, მასზე ბევრად დიდი ტერიტორიების შესანარჩუნებლად? სად პირინეის ნახევარკუნძული და სად სამხრეთ ამერი-

კა ან აფრიკა? საბოლოოდ, პორტუგალიას იმპერიობანას თამაშილა გამოუვიდა. მისივე ბედი ეწევათ სხვებსაც. რუსები კი თანმიმდევრულად, აუზებლად ვფართოვდებით უახლოესი მეზობლების ხარჯზე. ამ მხრივ თურქებმა ჩვენ მოგვბაძეს, მაგრამ მიმბაძველი მაინც მიმბაძველია; მხოლოდ ზედაპირულ, გარეგნულ თვისებებს ხედავს და იმ-ეორებს. ოტომანთა იმპერია რუსული “დერჯავას” დედააზრს ვერ ჩასწვდა და დაპყრობილი ხალხების უსწრაფესი ასიმილაციის გზას დაადგა, რითაც მათი რისხვა გამოიწვია. რისხვას კი ის მოჰყვება, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისინი თურქებს მტრებად და მოდალატეებად მოევლინებიან. რუსულმა სიბრძნემ და გონიერებამ კი დაპყრობილი ხალხები სხვების დასაპყრობად გამოიყენა. ამის გაკეთება კი ძალიან მარტივად, ადამიანის ბუნების კარგად ცოდნით, შესძლო. კაცთა დორმუცელობა, სიხარბე და ვერცხლისმოყვარეობა არის სინამდვილეში რუსული იმპერიალიზმის ფილოსოფიური ქანა, სიცოცხლის ელექტირი. მექქსუმეშვიდე საუკუნეების მოდვაწე ღირსი მამა იოანე კლემაქი თავის “კიბეში” ბრძანებდა: “სასწაული იქნებოდა, რომ ვინმე, კუბოში ჩაწოლამდე, გათავისუფლდეს ამ (დორმუცელობის) ვნებისაგან.” რუსეთი ძალით ან მოტყუებით შემოერთებულ სივრცეში მცხოვრებლებს გაახსენებს, რომ მათ ტერიტორიული დავა ჰქონდათ მეზობლებთან და თავისი არმიის სამსახურს სთავაზობს ამ საკამათო მიწების დასაბრუნებლად. მეზობელთან გასაყოფი თუნდაც მცირე ნაწილის მიტაცების სურვილი კი დაუძლეველი სიხარბის გრძნობაა, რომელიც გაბრმავებს და იმას ვერ ხედავ, რომ შენ თვითონ ხარ დაპყრობილი. მთავარია, ერთი წა-

მოაგო ამგვარ ანკესზე და მერე ყველაფერი სი-სინ-სისინით მიდის. განსაკუთრებით კარგად ეს პროცესი საქართველოში განხორციელდა. ჯერ იყო, გეორგიევსკში დადებული სამეგობრო ხელ-შეკრულების საბაბით, ქართლ-კახეთის სამეფო შემოვიერთეთ, მერე, ქართველებისგე ხელით, დაქ-საქსული ქართველური სამთავროები შემოვიმტკი-ცეთ, შემდეგ კი, თუკი ოდესმე ქართველ მეფებს სადმე ულაშქრიათ და, თუნდაც რამდენიმე დღით, რამე ტერიტორიები დაუპყრიათ, იმათ დაბრუნება-ში დავეხმარეთ; მომავალ შიც დავეხმარებით. რაც ყველაზე საინტერესოა, თვითონ არიან ჭყვიტინა გოჭებივით ქმაყოფილები, მაგრამ თუ ამპარტავნე-ბა შეეყრებათ და იმპერიიდან გაპარვის სურვილი სძლევთ, მაშინ ძალიან მარტივად მივუჩენთ თავის ადგილს – ქართველების მეშვეობით შემოერთე-ბულ მიწაზე მცხოვრებ რომელიმე ციცქანა ხალხს გავახსენებთ, თუ როგორ მიიტაცეს ამ არამზა-დებმა მათი წინაპრების “მირძველი” მიწები და “ისტორიული სამართლიანობის ადგგენაში” დახ-მარებას აღვუთქვამთ. რაო, ვითომ, რით არიან ეს ხალხები ქართველებზე ჭკვიანები, რომ ამ ხრიკზე გერ წამოვიკიდოთ?! მერე დააყრიან ერთმანეთს და, თუ საჭიროდ ჩავთვლით, გასაშველებლად ისევ ჩვენ მოვალეობით. ვიწვალებთ ასე, ვიდრე ეს ტერიტორიები, მათ იქით მდებარე მიწების შე-მოერთების შედეგად, იმპერიის განაპირადან, სიღრმეში არსებულად არ აღმოჩნდებიან და გა-საქცევიც არსად ექნებათ.

– ნუთუ ასე ძნელია, იმ ქვეყნის კულტურისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს გაეცნო, სადაც მომსახურების მაღალ სტანდარტებს მოითხოვ?! – გამომაფხიზლა სანაოსნოს ურჩხულის ხმამ, –

პიჯრას თვეები მთვარის ციკლის მიხედვითაა და
ისინი 28-29 დღიანებია. ინტერ, ამ ფურცელზე
ისლამური კალენდრის გამოყვანის ფორმულაა.
ნახეთ, აქ წერია: ისლამური წელი უდრის (გრი-
გორიანულ წელს მინუს 622) + (გრიგორიანულ
წელს მინუს ექვსასოცდაორის თცდამეორმეტე-
დი), – კვლავ მშვიდი და მომღიმარი გახდა თურ-
ქი. როგორც ჩანს, გაახსენდა, თუ რა ფასი უჯდე-
ბათ რუსებთან დაპირისპირება. ჩვენი ზარბაზნე-
ბისა და ჯარისკაცების სიძლიერე ბევრ მამა-
ძალს მიუჩენს თავის კუთვნილ ადგილს და იმ-
პერის ქვეშევრდომებს სიამაყით გვავსებს. ფორ-
მულის მიხედვით, სანაოსნოს მოხელე, რა თქმა
უნდა, მართალი იყო: ისლამური კალენდრის წელი
უდრის (1909 – 622) + 40 ანუ 1327. მაგრამ უკან
არ დავიხიე და ახლა გემის გასვლის დროზე შე-
ვეკამათ:

– ამ თქვენი წელთაღრიცხვისა და კალენდრის
გამოყენების გამო ციკლიზებულ სამყაროს კარგა
გვარიანად ანუ სრულად 582 წლით ჩამორჩებით.
როდემდე უნდა იყოთ მაჩანჩალა ერი? ნაწილ-
ნაწილ რომ გვაბარებოთ თქვენს ტერიტორიებს, ბა-
რემ ერთიანად დაგვეხდით და სწრაფად გაზია-
რებოთ განათლებასა და კულტურას. თუმცა ახლა
თქვენთვის არ გვცალია. ამას წინათ შორეულ აღ-
მოსავლეთში ვჭამეთ სირცევილი და მომაგრება
გვჭირდება. ფეხზე მყარად დავდგებით თუ არა, აქ
არა ხართ? – აუცილებლად მოგხედავთ. ბილეთში
2 შააბანი და 9 საათი წერია. ეს შააბანი ალბათ
თვეა?

— დიახ, ბატონო! წელს შააბანი ჩვენებურად, ისევე როგორც თქვენთან, მერვე თვეა, — ეშმაკურად მოჭუბა თვალები.

მივხვდი, რაღაცას მაიმუნობდა და დასაზუსტებელად ვყითხე:

— დღეს რომელი შააბანია?

— დღეს ნამდვილად პირველი შააბანია, ოთხშაბათი. გემი ხუთშაბათს, ზუსტად 9 საათზე, გავაზღვაში და გთხოვთ, ნუ დაიგვიანებთ. რაიმე რომარ შეგვეშალოს, მოდი, ჩვენი საათები შევაჯეროთ, — ღიმილი არ მოშორებია სახეზე ჩემს მასპინძელს.

ჟილეტის ჯიბიდან ვერცხლის საათი ამოიღო, გახსნა და გამომიწოდა. მე ჩემი ოქროს საათი ამოვიღე. ორივე ზუსტად ერთსადაიმავე დროს — 3 საათსა და 43 წუთს აჩვენებდა.

ნავსადგურის შენობიდან კმაყოფილი გამოვედი. წინ, როგორც მაშინ მეგონა, კონსტანტინოპოლიტი ნახევარი დღე და მთელი ღამე მქონდა. მეეტლეს მოვუხმე და სასტუმროსკენ გავემგზავრე.

მეორე ღილით 8 საათზე ბარგი-ბარხანით ნავმისადგომზე ვიყავი, სადაც ბათუმისკენ მიმავალი გემის ხენებაც კი არ იყო. . .

პორტის ზრდილობიანმა უფროსმა დამიყვავა, შოტლანდიური ვისკი დამალევინა, კორექტულად ამიხსნა, რომ ისლამურ ქვეყნებში მეორე დღე-ღამე მზის ჩასგლის შემდეგ დგება, ამიტომაც ბილეთში სწორად იყო მითითებული 2 შააბანი,

ხოლო გუშინდედი ოსმალოს მიერ დღის 3 საათსა და 43 წუთზე ნათქვამიც: დღეს პირველი შაბაბანიაო, სრული სიმართლე გახლდათ. უბრალოდ რამდენიმე საათის შემდეგ, მზის ჩასვლასთან ერთად, აქ ახალი დღე დაიწყო და ბათუმისკენ მიმავალი გემიც, ჩვენებურად საღამოს ცხრა საათზე, ხოლო ამათებურად ახალი დღის დადგომისთანავე, გავიდა ზღვაში. ეს იადლიში პინსკში, ებრაელების უბან კაროლინში, დაბადებულ და გაზრდილ კაცს არ უნდა მომსვლოდა. იუდეველებთანაც ასეა: ხვალინდედი დღე დღეს საღამოს იწყება.

შემდეგი ხომალდი, რომელმაც სამშობლოსკენ წამიყვანა ცამეტი დღის შემდეგ, გრიგორიანულად 1909 წლის 1 სექტემბერს, პიჯრას კალენდრის მიხედვით კი 1327 წლის შაბანის თხუთმეტში, გამოვიდა და ბათუმში გრიგორიანულად 1909 წლის 5 სექტემბერს, ხოლო ჩვენებურად, იულიუსის კალენდრის მიხედვით, 1909 წლის 23 აგვისტოს, კვირას, საღამოს ჩამოვიდა.

ქართველები ცხოვრებაგანვლილ, ბებერ, უკვე სიკვდილის სარეცელზე მიჯაჭვულ, ზარმაც, არაფრისმაქნის ხალხად მყავდა წარმოდგენილი და თუკი რაიმე სასიკეთო თვისება უნდა პქონდათ, ერთ-ერთი – ასაკით უფროსებისადმი განსაკუთრებული მოწიწების გრძნობა მეგონა. თურმე სადა ხარ? ორი წლის წინ ეს მითი დამემსხვრა. მაშინ, 1907 წლის ზაფხულის ბოლოს, ახალგაზრდებმა ტფილისიდან რამდენიმე ვერსში, შარაგზაზე, ტყის პირას, სალოცავ ნიშთან ახლოს, დღისით-მზისით, გულში დამიზნებული ერთი ტფვით და შუბლში კონდახის ჩარტყმით მოჰკლეს

სამოცდათი წლის ავადმყოფი მოხუცი კაცი და მის მეუღლეს ცემის შედეგად გონება დააკარგვინეს. თან წაიღეს: ოქროს საათი – ღირებულება სამასი რუბლი, ოქროს პენსნე – ღირებულება ოცი რუბლი, თეთრეული, დანა-ჩანგალი, წინა დღეს მორთმეული დაუდგენელი რაოდენობის თანხა, წვრილმანი სხვა ნივთები. ამ ამბების შემსწრე მეტლეს ვერაფრით აეხსნა, როგორ აღმოჩნდა ფაეტონის მარჯვენა მხარეს გონდაკარგული ქალბატონი მარცხენა ბორბალოან, გარდაცვლილი მეუღლის გვერდით. მან ხომ არ იცოდა, რომ სიყვარული ფიზიკურ კანონებს არ ემორჩილება. როგორც მერე გაირკვა, მხოლოდ ეს არ ყოფილა ამ მკლელობასთან დაკავშირებული ბუნდოვანი მოვლენა.

იმ ამბებს თავიდან გამომძიებული ილიაშენკო იძიებდა, რომელიც რაღაც მიზეზის გამო გაუთავისუფლებიათ. ბედის ირონით ეს ილიაშენკო პარიზის რუსულ რესტორანში გვარიანად დამთვრალა და ჩვენი აგენტის თანდასწრებით ნიშნისმოგებით უტრაბახია, ილია ჭავჭავაძის საქმეს თითქმის ორი წელი ვიძიებდი, დანამდვილებით ვიცი, მკლელობაში სულ ხუთი კაცი მონაწილეობდა. არადა, გზადაგზა ბევრი ადამიანი დავიჭირეთ და გავუშვით. ამჟამად კი ჩემს მემკვიდრეს ექვსი ბრალდებული ჰყავს. მათგან ერთი ძებნილია, ოთხი ციხეშია, ერთიც ჯერ დავიჭირეთ, მერე ციხიდან გაგვექცა და პოლიციასთან შეტაკებაში დაიღუპა. მაინტერესებს, მათგან იმ ერთ უდანაშაულოს უჩემოდ როგორ დაადგენენ ან რას უზამენო.

მთვრალი გამომძიებლის ბაქი-ბუქს, სადღაც პროგინციაში მომხდარ მკვლელობას და კაცმეტობით დადგენილი დამნაშავეების რაოდენობას არც რუსეთის იმპერიის პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის უფროსი მიაქცევდა ყურადღებას, რომ არა შემდეგი გარემოებები: а) მოკლული აღმოჩნდა იმპერიაში ძალიან მაღალი რანგის კაცი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავადი ილია ჭავჭავაძე; б) საქმის ძიებას თვალს ადევნებდა იმპერატორი ნიკოლოზ მეორე. ანუ თავის გამოჩენით შესაძლებელი ხდებოდა მისი უდიდებულესობის ყურადღების დამსახურება. ეს კი პატივმოყვარე ჩინოვნიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანი რამ გახდავთ. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, თუკი გამოძიების მასალების გაცნობის შედეგად ზედმეტ “მკვლელსაც” დავადგენდით, ამგვარად შორეული საფრანგეთიდან მოვხოცავდით ცხვირს ადგილობრივი სასამართლოს წვინტლიან გამომძიებლებს და, რაც მთავარია, ამის შესახებ მაშინათვე შეიტყობდა იმპერატორი. თანაც, საფრანგეთის დედაქალაქში განლაგებულ რუსეთის იმპერიის პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურას საქმის ძიების პროცესში ჩართვის საბაბიც ჰქონდა. გაირკვა, რომ მოკლულთან მეგობრობდა და ტრაგედიამდე რამდენიმე დღის წინ სტუმრობდა გერმანიის ქვეშევრდომი ვინმე არტურ ლაისტი, რომელიც 1892 წლიდან ტფილისში დამკვიდრებულა და, სავარაუდოდ, იქიდან ეწეოდა ჯაშუშურ საქმიანობას.



ვიცოდით იმის შესახებაც, რომ ილია ჭავჭავაძე ზოგჯერ ჩადიოდა გერმანიაში, აესტრიასა და საფრანგეთში. თანაც ქართველებში ჭორი გავრცელებულა, სახელმწიფო საბჭოს წევრი ოსრანკამ მოჰკლაო და მუნდირის დირსების საკითხი იყო ამ ხმების წარმოშობის დადგენა.

თავიდან მეგონა, განაჩენის ადსრულებამდე მოვახერხებდი იმ ზედმეტი “დამნაშავის” ვინაობის დადგენას და ეშაფოტიდან ზარზეიმით ჩამოვიყვანდი. ახლა კი გული მიგრძნობდა, მამაძალლი ოსმალოს ხრისტის გამო, დამაგვიანდა და ეს ეფექტური ჩანაფიქრი განუხორციელებელ ოცნებად იქცა. თუმცა იმედს მაინც არ ვარგავდი.

ერთი ადამიანური სისუსტე მახასიათებს. კოლექციონერის ავადმყოფური ვნებით შეპყრობილი გაგროვებ ადამიანების მიერ სიკვდილის წინ წარმოთქმულ უკანასკნელ ფრაზებს. შეიძლება ცინიკურად ჟღერს, მაგრამ მაინტერესებდა, რა იყო ილია ჭავჭავაძის ბოლო სიტყვები. ამ ჩემი ახირების გამო არაერთხელ ჩავვარდნილვარ უხერხულ

მდგომარეობაში, მაგრამ ზნე ვერა და ვერ შევიცვალე.

ბათუმი-ტფილისი-ელიზავეტპოლი-ბაქოს მატარებელს სულზე მივუსწარი; კუპეში დამხვდა კაპიტანის სამხრებიანი, საკინძეშესნილი სამხედრო პერანგისა და მუხლებამდე ფოხანის ამარა წითური მამაკაცი. მან მასპინძლის უფლებით ისარგბებლა და თავი ოფიციალური ორთოგრაფიის დაცვით წარმომიდგინა:

— ელიზავეტპოლოს გარნიზონის მომარაგების უფროსი, კაპიტანი ზალატარევსკი კონდრატ ვარფალამევ!

თავიდან ამრეზით შემათვალიერა, ეტყობა, ჩემი ევროპული იერი და ჩატმულობა არ მოუვიდა თვალში, მაგრამ როგორც კი რეგალიები ჩამოგუთვალე და, რაც მთავარია, მოწმობა ვუჩვენე, თვალები გაუბრწყინდა, წამოხტა, საწოლის ქვეშიდან უზარმაზარი მურა-ყავისფერი საკვიაჟი ამოათრია; იქიდან მაგიდაზე ამოალაგა: შავი პური, მოხარული დედალი და კვერცხები, კიტრის მწნილი, მწვანე ხახვი, პომიდორი, ბევრი ნიორი, მოხარული ქამბალა და ბუთხუზა შტოფი. დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში ბეჭედდასმულ ქაღალდის ნაგლეჯს; იგი ძალაუფლების სიმბოლოა და მისი მფლობელი პატივისცემას, მოწიწებას, თაყვანისცემას იმსახურებს.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, როტმისტრო, ვგიუდები უცხოეთში მოღვაწე აგენტებზე. თქვენ ხართ იმპერიის უხილავი ფრონტის წინა ხაზის მებრძოლები. ეს ჩვენი გაცხობისა იყოს! — კონ-

დრატ ვარფალამებიჩ ზალატარევსკიმ შტოფს საცობი ხმაურით ამოაძოო, გერცხლისფერი საჭი-ქებიდან ჩაისოვის განკუთვნილი დიდი სიფრიფა-ნა ჭიქები ამოიღო, გაავსო, ერთი მომაწოდა, მეორე მომიჭახუნა, მიიყუდა და სულმოუთქმელად დაცალა. — ნამდვილი გურული ჭაჭა, ჩვენს არაფზე ორჯერ უფრო ძლიერია, თანაც კაკლის უდლებზეა დაყენებული, სამკურნალოა! — წარბიც არ შეუკრთა კაპიტანს.



— დიდება რუსეთს! — ომახიანად შევძახე და პოლიციის დეპარტამენტის ერთ-ერთი ძირითადი სამსახურის — ოხრანკის — ოფიცრის სახელი რომ არ შემერცხვინა, ვცადე, ერთ ამოსუნთქვაზე დამეცალა ჭიქა. მართალია, მე როტმისტრის და ზალატარევსკის კი კაპიტნის ანუ პრაქტიკულად ერთიდაიგივე წოდება გვქონდა, მაგრამ, დაუწერელი კანონის მიხედვით, უანდარმერიის (ხალხში ინერციით ასე გვეძახდნენ) როტმისტრი არმიის სამეურნეო ნაწილის კაპიტანზე რანგით უფრო მაღლა იდგა. ჭაჭის სიმხურვალემ გულ-დვიდლი ჩამწვა, სუნთქვა შემეკრა, სისხლი მთელი ძალით

სახეზე მომაწვა, თუმცა ხმა არ ამომიღია. სამსახურის ლირსება უპირველეს ყოვლისა! თითქოს რამდენიმე წამით გონებაც დაგკარგე. ჭვავის პურის ნატეხს მივწვდი და, რაც ძალი და ღონე მქონდა, მისი არომატი შევისუნთქე. მიშველა; თანაც პინსკში მდებარე ჩემი ბავშვობის სახლის საკუჭნაოს სურნელი გამახსენდა. დედა იქ ინახავდა მთელი ოქმისთვის გამომცხვარ პურს. ზალატარევსკის შევხედე, მადიანად მიირთმევდა ქათმის ბარკალს და ჩემთვის არც კი შემოუხედავს. ძალიან კარგი. ესე იგი ვერ დაინახა, რა ტანჯვით დავლიერავი.

შემდეგი ჭიქა, რომლითაც ძლევამოსილი რუსული არმია ვადლეგრძელეთ, უკვე თავისუფლად წავიდა; მეორეს მესამე მოჰყვა და გახურდა ჩვენებური, მამა-პაპური რუსული ქეთი. ზოგიერთი იტყვის: ისე დავთვერი, არაფერი მახსოვსო. ასე არა ვარ. რამდენიც არ უნდა დავლიო, ყოველთვის ყველაფერი მახსოვს. არა, მთლად ყველაფერი – არა, მაგრამ ძირითადად ყველაფერი – კი. ყველაფერს ფხიზელი კაციც ვერ იმახსოვრებს. ეს გურული ჭაჭაც ბოლოსკენ ისეთი ხავერდოვანი და სასიამოვნო გახდა, რომ როდესაც ვარფალამეიჩმა მეორე შტოფი დააძრო, უარის თქმა არც მიფიქრია. ეტყობა, მაგრად დავთვერი, მახსოვს, როგორი გულისყურით ვუსმენდი კონდრატის მიერ მოყოლილ მამამისის სახელის წარმოშობის ისტორიას:

– ხოდა, ჩემო ბენია, – ბენიამინის წარმოოქმა დაეზარა და უკვე ასე შინაურულად, კნინობითი სახელით, მომმართავდა. არადა, რა კარგად დაიწყო: თქვენო მაღალკეთილშობილებავ! – ერთ

დამეს ბაბუაჩემი თავის რაზმთან ერთად, ყირიმის სოფელში, რომელსაც ვარფალომეევკა ერქვა, თავ-მოყრილ თათრების ასეულს დაესხა თავს და ერ-თიანად ამოჟუჟა. ამ ამბის მერე გავრცელდა თურმე ხალხში გამოთქმა “Варфаломеевская ночь”. იმ დამიდან რამდენიმე თვეში დაბადებულა მამა-ჩემი. ბაბუას უთქვამს, ხალხში ჩემი გმირობის შე-სახებ გამოთქმა გაჩნდა და, მოდი, ჩემს შვილსაც ვარფალამეის დავარქმევო. ხედავ, როგორი დევგ-მირები იყვნენ ჩვენი წინაპრები და რა ვაჟაცური სახელები ჰქვიათ ჩვენს მამებს?!

— აბა რა?! თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჩემო ძვირფასო, კონდრატ, — ვუქნევდი თავს. როგორი უნებისყოფო ხდება მთვრალი კაცი, თორემ ფხი-ზელი ხომ ავუხსნიდი, სინამდვილეში საიდან გაჩნდა გამოთქმა **Le massacre de la Saint-Barthélemy** (ბართლომეს დამე), მაგრამ მაინც მაგარი ვარ. რაც მთავარია, ხომ უველავერი მახსოვეს?! ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო?! **ჯერ ერთი:** ევროპული გრიგორიანული, ისლამური პიჯრას და მართლმადიდებლური იულიუსის კალენდრების დომხალმა; **მეორე:** თურქი თადლითის ონბა; **მე-სამე:** კონსტანტინოპოლში უაზროდ გატარებულმა დღეებმა; **მეოთხე:** ზღვის ავადმყოფობამ; **მეხუთე:** უზომო რაოდენობით ჩანთქმულმა კაკლის უღ-ლებზე დაყენებულმა გურულმა ჭაჭამ; **მეექსე:** მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად ტფილისში დაგვიანებით ჩასვლით გამოწვეულმა ნერვიულობამ; **მეშვიდე:** კონდრატ ვარფალამეიჩის სულელური ისტორიების მოსმენამ; **მერვე:** უძილო-ბამ — თავისი შედეგი გამოიდო და როდესაც, გუშინ დილით, ელიზავეტპოლის გარნიზონის მო-

მარაგების უფროსი და მატარებლის გამცილებელი გულმოღინედ ცდილობდნენ ვაგონიდან ჩემს ჩამოსმას, სრულიად აშკარად და ოვალნათლად დავინახე, რომ ტფილისის ვაგზლის მოსაცდელ დარბაზში შესასვლელი დიდი კარების ჩარჩოზე არხეინად იყო მიყუდებული ჩემი ორეული და მრავალმნიშვნელოვნად მიღიმოდა. სასწრაფოდ გამოვფხიზლდი, მივხვდი, მოჩვენებაზე ხმა რომ ამომედო, ჩემი გამცილებლები სიცილით დაიხოცებოდნენ, ამიტომაც სრული სერიოზულობით გამოვუცხადე:

— აბა ქმარა, ბატონებო! გავერთეთ? კარგია! ახლა საქმე! უფლებამოსილი ვარ განვაცხადო, თამაში დამთავრდა. თქვენ, — მივუბრუნდი გამცილებელს,

— გევალებათ ჩემი ბარგი ჩააბაროთ ვაგზლის შემნახველ საკანში და ქვითარი მომართვათ! თქვენ კი, ძვირფასო კონდრატ ვარფალამეიჩ ზალატარევსკი, გთხოვთ კუპერდე მიმაცილოთ, სანამ მატარებელი ელიზავეტპოლში ჩავა, დაიცვათ ჩემი უსაფრთხოება და ძილი, რათა შევუდგე მოულოდნელად დაკისრებული ერთი მნიშვნელოვანი დავალების შესრულებას, რომლის შესახებაც ეს წუთია მანიშნა ჩვენი განყოფილების საიდუმლო აგენტმა, — ფუნქციები გავუნაწილე და დასაძინებლად გავიწიე.

არაფერი ისე დამაჯერებლად არ მოქმედებს რუს ადამიანზე, როგორც რიხით წარმოთქმული ბრძანება. სამი წუთიც არ გასულა და გამცილებელმა ბარგის ქვითარი მომიტანა, კონდრატ ვარფალამეიჩმა კი მარცხენა მხარზე თხელი ზეწარი გამისწორა, ფანჯარას ფარდა ბოლომდე ჩამოაფარა; მატარებელი რომ დაიძრა, ერთი ჩუმად შე-

მომაპარა: ორმოცდაათ-ორმოცდაათი ხომ არ
გიშველისო, მაგრამ ცივი უარი მიიღო თუ არა,
ელიზავეტპოლამდე პირი არ გაუდია.

ვიწვალე, მაგრამ, როგორც იქნა, ჩამებინა. . .

განჯის ხანი, გენერალი ციციანივი და თრი რში



სამხრეთ კავკასიაში მდებარე პატარა საგუბერნიო ქალაქ ელიზავეტპოლის ვაგზალზე კონდორატ ვარფალამეიზ ზალატარევსკის ნამდვილად სამეფო დახვედრა მოუწყეს. ჩვენს ფაეტონს ცხენზე აძხედოებული ექვსი კაზაკი მიაცილებდა და ასეთი მხიარული კომპანიით მივადექით თურქულ აბანოს. ორი საათის შემდეგ ამ საოცარი დაწესებულებიდან სრულიად საღ-სალამათი გამოვედი. ორთქლმა, ძალიან დიდი რაოდენობით დალეულმა აქაური უცნაური რეცეპტით დაყენებულმა ჩაიმ,

აღმოსავლურმა მასაჟმა წუხანდელი დამის შხამები პირწმინდად გამოიყვანა ორგანიზმიდან. ახლა ქალაქის ღირშესანიშნაობების დათვალიერება მოვითხოვე და შაჟ აბასის სახელზე აგებულ ჯუმა მეჩეთთან მიმიყვანეს.

- აი, აქ არიან დასაფლავებული განჯის (ასე ერქვა მანამადე ელიზავეტპოლს) უკანასკნელი ხანი ჯავადი და მისი შეილი ჰუსეინოდლუ. ჩვენ, რუსები, მეომარი ხალხი ვართ და ღირსეულ ჯარისკაცებს, თუნდაც მტრებს, პატივს მივაგებთ, — კონდრატ ვარფალამეიჩ ზალატარევსკიმ ქუდი მოიხადა მუსლიმანურ საფლავთან.
- ჭეშმარიტი მეომრის საქციელია, ოქვენო მაღალკეთილშობილებავ, კაპიტანო ზალატარევსკი! გთხოვთ მიამბოთ, ჯავად ხანის რა საქციელმა განაპირობა მისდამი ამგვარი პატივისცემა.
- 1803 წლის ბოლოს განჯას ალყა შემოარტყა გენერალმა ციციანოვმა და ჯავად ხანს ქალაქის ჩაბარებისკენ მოუწოდა. შეუთვალა, დიდი თამარ მეფის დროს განჯა საქართველოს ეპუთვნოდა. ახლა ჩემი ქვეყანა რუსეთის მეგობარია და ამიტომაც ეს ქალაქი, დანარჩენ საქართველოსთან ერთად, რუსეთის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ უნდა მოექცეს. ჯავად ხანმა წერილი მოსწერა: განჯა რომ საქართველოსი იყო ზღაპარია, რომლის შესახებ აქ არავინ იცის, ხოლო მთელი გურჯისტანი ჩემი დიდი წინაპრის აბას მოგიტხანის სამფლობელოში ნამდვილად შემოდიოდა. ქალაქს არ ჩაგაბარებ და აქ შემოსვლას მხოლოდ ჩემს გვამზე გადაბიჯების შემდეგ შესძლებო.



- ღირსეული პასუხი შემოუთვლია!

- 1804 წლის 3 იანვარს, გაგანია რამადანის დროს, პავლე ციციანოვმა ბრძანება გასცა, ჭურვები და ეშინათ განჯისთვის. რამდენიმე საათში ჩეგნმა მეომრებმა ჯავად ხანი აკუშეს და ქალაქიც აიღეს. გენერალი ციციანოვი ვაჟკაცურად მოიქცა და განჯის უკანასკნელი ხანი პატივით დაასაფლავებინა გადარჩენილ თანამოქალაქეებს.
- ჯავად ხანის უკანასკნელი სიტყვები ხომ არ შემოუნახავს გადმოცემებს? – სხვათა შორის შეგაპარე საუბარში.
- ვარფალამეიჩმა უცნაურად შემომხედა და ხმა არ ამოუღია. ჩალის შლაპა მოვიხადე და ჩავიმუხელე ჩემი ქვეყნის ღირსეული მტრის საფლავთან. ერთი წამით სურვილი გამიჩნდა, ბაქოში ჩავსულიყავი და იქ თათრების მიერ ვერაგულდად მოკლული პავლე ციციანოვის ხსოვნისთვისაც მომეგო პატივი. მივხვდი, მტრისადმი სწორედ ამგვარ ვაჟკაცურ დამოკიდებულებაშია რუსეთის იმპერიის უძლეველობა.

მტრედის სპინტლი, კუშპინი და პერპურგელი თაღლითის ნათესავები



პარიზი-ბუქარესტი-კონსტანცინოპოლი-ბათუმი-ტფილისი-ელიზავეტპოლი და კვლავ ტფილისი - უცნაური კაუჭიანი მარშრუტის გავლით, როგორც იქნა, მოვალწიე ამ ქალაქამდე და ვაგონში მაფერხებდა იმ სარკისებრ მოხვენებასთან შეხვედრის ქვეცნობიერი შიში, რომელიც გუშინდელი დილიდან თან მდევს. გონიერებას მოვუხმე, ძალა მოვიკრიბე და მატარებლის საფეხურიდან ბაქანზე ჩაგხეტი. არაფერი მოხდა. პაერი დრმად ჩავისუნთქე, მივიხედ-მოვიხედე და უცებ რადაც ძალიან შორეულმა, მაგრამ ტკივილამდე ნაცნობმა გრძნობამ შემიპყრო: მომინდა ხელები გამეშალა და გავქცეულიყავი ვიღაც ან რაღაც ნაცნობთან ჩასახუტებლად. ეს ის სურვილია, რომელიც მხოლოდ პატარა ბავშვს მიემალება, მოურევა და დედის კალთაში თავის ჩასარგველად გააქცევს. გა-

მასესენდა შორეულ წარსულში, პინსკის მაზრის მიურუებულ სოფელ ლემიაშევიჩში, სუსხიანი ზამთრის საღამოს, ბებიაჩემის მიერ მოყოლილი ამბები, საღდაც ძალიან ბევრი ჭაობის, ტრამალის, ტყის და ტბაზე უფრო დიდი ტბის იქით, კავკასიის მთებში არსებული ქალაქის შესახებ. იქ მთელი წლის განმავლობაში მზიანი ამინდებია. ხოლო თუ ოდესმე თოვლი მოვა და აცივდება, ადამიანები ქუჩებში გამოეფინებიან და დღესასწაულობენ. ვინც იმ ქალაქში ჩადის, ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს შორეული მოგზაურობის შემდეგ შინ დაბრუნდაო. “ქალაქს ტფილისი ჰქვია და იქ დასაბამიდან ბედნიერად ცხოვრობს ჩვენი მოდგმის ბევრი წარმომადგენელი”, — ჩაიჩურჩულებდა ბებო და ამოსუნთქვას ხვნეშას ამოაყოლებდა.

ვაგზლის საათზე შვიდს აკლდა თოთხმეტი წუთი. უანდარმერიის სამმართველოში სამუშაო დღე ცხრაზე იწყებოდა. ესე იგი, დრო მაქვე. რაღაც თრეულიც არსად ჩანდა, გული მომეცა და ვაგზლის დასათვალიერებლად მოვიცალე. ბაქნის მცირე ნაწილი იყო ლია ცის ქვეშ, დანარჩენს კი ეკროპული არქიტექტურისთვის დამახასიათებელი გალერეა ფარავდა. შენობიდან წამოსული სახურავი თუჯის კაპიტელებიან კოლონებს ეყრდნობოდა. ამ კოხტა ბოძებზე მშვენიერი ფარნები იყო მიმაგრებული. წარმოვიდგინე, მოსაღამოვებისთანავე, ბინდში, როგორ ლამაზად აჩახახდება აქაურობა. არა, აშკარად ევროპულ ქალაქში ჩამოვედი.

ბაქანზე უამრავი ადამიანი ირეოდა. აქტიურობდნენ ჟეტონიანი მტვირთავები, რომლებსაც,

რატომდაც უკლებლივ ყველას, თავზე კარტუზი ეხურა და სახეს უმშვენებდა ულგაშიანი ბაკენ-ბარდები “ა ლა ფრანც იოსების” სტილში. მეეტ-ლეები მათრასს ფართხუნა შარვლის ტოტებზე იტყლაშუნებდნენ და მგზავრებს მოუხმობდნენ უცნობი შეძახილებით: აბა სოლოლაკი, აბა ავლა-ბარი; ორიოდე დასახელება კი ჩემი უურისოფისაც გასაგები იყო: აბა ნახალოვგა, აბა ვერა.

მშვენიერი სანახავი იყო აქ შეკრებილი პუბლი-კის თავსაბურავების კოლექცია. თითო-ოროლას ოსმალური ჩალმა დაეხვია, ზოგს, როგორც ჩანს, ადგილობრივი უცნაური ჩაჩი დაემხო, იყვნენ ფა-ფახიანები, ყაბალახიანები, მაგრამ უმრავლესობას ევროპული: ცილინდრი, ფეტრის ქუდი, ჩალის შავკანწიანი შლაპა, ქვაბ-ქუდა, თხემზე ღილით შეკრული ფართოფარფლებიანი ბერეტი – უმშვე-ნებდა თავს. ერთი სამკუთხაშლაპიანიც შევნიშნე-რაც მთავარია, ამ სიცხეში უქუდო კაცი ვაგზლის ბაქანზე ვერ დავინახე. შესაძლოა, თავსაბურავის აუცილებელი ტარება რაიმე ადგილობრივი ადა-თია. მსგავსი ახირებები ჩვენც ხომ გვახასიათებ-და. როდესაც რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მთლად ცივილიზებული ქვეყანა, წვერის ტარება ყვე-ლასთვის სავალდებულო ყოფილა; მასსოვს, მინს-კის გიმაზიაში სწავლისას, სიტყვიერების მას-წავლებელმა ვიაჩესლავ რაგოშამ გვიამბო, რომ 1551 წელს საეკლესიო საბჭოს სხდომაზე რუსე-თის სასულიერო მამებს განუცხადებიათ: წვერის გარეშე შეუძლებელია ცათა სასუფეველში მოხ-ვედრაო. რატომ არის გამორიცხული, ქართველებს ეგონოთ, რომ სასუფეველში შედწევას მხოლოდ ქუდიანები შესძლებენ?! ისე უცნაური კაცი კი იყო ვიაჩესლავ რაგოშა, რომელიც, მართალია, რუსე-

თის იმპერიაში მიღებული რანგების მიხედვით ბოლო ანუ მეთოთხმეტე კლასის ჩინოვნიკის – კოლეჟსკი რეგისტრატორის წოდებას ვერ გასცდა, მაგრამ უაღრესად განათლებული და სამშობლოზე უანგაროდ შეყვარებული ადამიანი იყო. გიმნაზისტებს ისეთ ამბებს გვიყვებოდა, რასაც ვერც ერთ სახელმძღვანელოში წაიკითხავდით. მასსოვს, პირველი საგანმანათლებლო შოკი მისგან მივიღე. “იგორის ლაშქრობის” შესახებ გაპერილზე ჯერ გვითხრა, რომ ეს გენიალური ნაწარმოები მეთორმეტე საუკუნის ძეგლია, მაგრამ იმწამსვე ბოდიში მოგვიხადა და დაიწყო, მაგრამ რა დაიწყო?! იმ გაპვეთილზე მოსმენილი ახლაც ჩამესმის ყურში: “შე არ ვიცი, მეთვრამეტეჯგუცხრამეტე საუკუნის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ლიტერატურის შემქმნელ ერს, რაში დასჭირდა თავისი სამწერლობო ისტორიის გაყალბება და ამიტომაც ახლა ხრული სიმართლე უნდა გითხრათ. არავთარი მეთორმეტე საუკუნის “იგორის ლაშქრობა” არ არსებობს, არც არსებულა. იგი მეთვრამეტე საუკუნის მიწურულის ფალსიფიკაციად და აი რატომ – **პირველი:** ამ სიძლე-რაში აღწერილი მთელი პასუხი ხრულად იძეორებს ან ემთხვევა მეთხუთმეტე საუკუნის ორიგინალურ ძეგლს “ზაფორშინას” და განსხვავებულია მხოლოდ პერსონაჟთა სახელები; **მეორე:** თითქოს ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოების მეთხუთმეტე საუკუნის ხელნაწერის დედანი 1812 წელს გაჩენილ ხანძარს საფეხურზე შევწირა. ხანძრის გაჩენამდე მუსინ-პუშკინმა შესძლო თავის ქალიშვილთან, უსაფრთხო აღგიღზე, გადაეტანა ვერცხლებობა და ნახატების კოლექცია და რაღა ყველაზე ძირფასი ნივთი დარჩა გადაურჩენა

ლი? მესამე: თავად ძეგლის “აღმომჩენი” აღექსევი მუხინ-პუშკინი არაკეთილსინდისიერებით გამოირჩეოდა და საქმე პქონდა მუქამად პუტერბურგ ში მოღვაწე სიძველეების ცნობილ გამყალბებლებთან ანტონ ბარდინთან და ქართული წარმოშობის აღექსანდრე სალუკაძეებთან. ამ ორი თაღლითის მიერ არაერთი ცნობილი ადამიანი დარჩა მოტყუებული. 1815 წელს მუხინ-პუშკინმა კიდევ ერთხელ სცადა საზოგადოებისთვის ბარდინის მიერ დამზადებული “იგორის ლაშქრობის” მორიგი ხელნაწერის შეხეხება, მაგრამ მაშინ სიყალბე გაირკვა ბარდინის სიხარბის გამო. თურმე ამ თაღლითს მანამდე ასეთივე ხელნაწერი აღექსევი მაღინოვსკისთვის მიუყიდია. ამ უკანასკნელმა კი, გაიგო თუ არა მუხინ-პუშკინის ხელთ არსებული ნაწარმოების შესახებ, უბრალოდ შეადარა იგი თავისას.

მეოთხე: ნაწარმოებში მოთხოვობილია ამბები რუსეთის ისტორიიდან, რომლებიც მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეებში თავად ნიკოლოზ კარამზინის მიერ უბადრუკ მისტიფიკატორად წოდებულ ვასილი ტატიშვილის ისტორიაშია დაუსაბუთებლად აღწერილი და, ჯერჯერობით, დღემდე მათი უტყუარობის შესახებ დოკუმენტური მასალა არ არსებობს. **მეხუთე:** მეთორმეტე საუკუნის ნაწარმოებში გატარებულია პანსლავიზმის – ერთიანი სლავური სახელმწიფოს შექმნის იდეა, რომელიც მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გაჩნდა. **მეექვთე:** “იგორის ლაშქრობაში” საკმაოდ შეხვდებით: ა)ბოპეტიზმებს ანუ ჩეხევრი წარმოშობის ლექსიკას და წეობას; ბ) გალიციზმებს ანუ ფრანგული წარმოშობის სიტყვებსა და სინტაქსურ ფორმებს; გ) გერმანიზმებს – რაც მეთორმეტე საუკუნის რუსული ენისათვის არ იყო დამახასია-

თებელი.” დიდხანს მეგონა, რომ სიტყვიერების მასწავლებელმა ამგვარი უცნაური მეთოდით სცადა კმარვილებისთვის გაედვივებინა ამ ნაწარმოებისადმი ინტერესი. სხვათა შორის, იმ გაკვეთილზევე გავიგე პირველად, რომ თურმე იმპერიაში არიან ხალხები, ვისაც ჩვენზე ძველი დამწერლობა, ლიტერატურა და კულტურა აქვთ: ებრაელები, სომხები და ქართველები. ვერ ვიტყვი, რომ მყარად, მაგრამ ეს უკანასკნელი ჩემს გონებში ერთდროულად უძველეს კულტურასთან და, სალუკარევის გამო, თაღლითობასთან ასოცირდებოდნენ. აი ასეთი უცნაური კაპრიზებით ხასიათდება ადამიანის გონება!

ტფილისის ვაგზალზე კი ცხოვრება დუღილს განაგრძობდა და ნაირფეროვნებით ლაღობდა. აქ მყოფ ქალებს სხვადასხვა ფორმის ევროპული ჩაჲბი, ბაფთიანი და ვუალიანი ფერის თუ ჩალის შლაპები და უცნაური, მუქ რკალზე გამჭვირვალე აბრეშუმის საბურველჩამოშვებული ქუდების კოლექცია გამოეტანათ ერთმანეთისა და მამაკაცებისათვის საჩვენებლად. დაინახავდით თავსაფრიან ქალებსაც, მაგრამ ისინი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლები არ უნდა ყოფილიყვნენ.

სასიამოვნოდ გამაოცა აქ მყოფი პუბლიკის ტან-საცმელმა. აქაც ევროპული შტრიხები და ფერები ჭარბობდა. ზოგიერთ მამაკაცს ეცვა ფართხუნა შარვალი და ასევე ფართხუნა პერანგი, რომელზეც ვერცხლის ქამარი შემოერტყა და თანაც უცნაური წოწოლა ქუდი ეხურა, მაგრამ უმრავლესობა ევროპულ კოსტიუმში, ზოგი ფრაკსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სმოკინგშიც იყო გამოწევილი. ქალებს ძირითადად ბლუზი და ქვედაბოლო,

ევროპაში მოდური პოლონეზი, რამდენიმე ლამაზ-
მანს კი ძველებური ხაბარდიანი კაბა ეცვა.

უველაზე უფრო ჩალისშლაპადახურული, სხვა-
დასხვა ფერის კუბოკრულ შარვალში, დია პე-
რანგსა და უილეტში ჩაცმული ახალგაზრდა მამა-
კაცების სიხშირემ გამაოცა. პარიზში, რომელიც
ევროპული მოდის ფუძემდებელ ლონდონთან ახ-
ლოს მდებარეობს, ასეთი სიხშირით ვერ ნახავ-
დით იმდენ დენდს, რამდენიც რუსეთის იმპერიის
ამ საგუბერნიო ქალაქის ვაგზლის ბაქანზე ირეო-
და. და უცებ გულზე მომეშვა, თითქოს მხრებიდან
უმძიმესი ტყირთი ჩამომხსნეს. რა არაყი, რის
არაყი; რა ჭაჭა, რის ჭაჭა? რა თქმა უნდა, ჩემნაი-
რად ჩაცმული ადამიანები! აი, რა იყო მოჩვენების
მთავარი მიზეზი. ჩემს წარმოდგენაში ტფილისი
აზიური ქალაქი იყო, აზიურ ყაიდაზე ჩაცმული
მოსახლეობით; აქ ნამდვილად არ ველოდი ლონ-
დონურად გამოწევილ დენდებს და რა გასაკვი-
რია, ნაბახუსევზე, საკმაოდ შორს მდგარი, ზუს-
ტად ჩემნაირად ჩაცმული კაცი თუ ორეულად მო-
მეჩვენა?! აი, ამ საიდუმლოსაც აეხადა ფარდა!

ახლა შეიძლება პირველი ტფილისური შთაბეჭ-
დილებების შეფასება: ამ ქალაქს აქვს ძალიან სა-
სიამოვნო, მიმზიდველი აურა; **მეორჯ** ვაგზლის
მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტფილისი უფრო
ეგროპულია, ვიდრე რუსეთის იმპერიის სხვა და-
სახლებული პუნქტები, მით უმეტეს, ვიდრე –
ელიზავეტპოლი; **მესამჯ** აქაური პაერი აშკარად
მათრობელაა და ადამიანის წარმოსახვის უნარს
აძლიერებს; **მეოთხჯ** . . .

– ძია, ძია! ნახეთ, მტრედმა დაგასკინტლათ!

დავიხედე და რას ვხედავ? ჩემი მარჯვენა ფეხ-საცმელი ერთიანად მშვიდობის ჩიტის ნაედონით იყო მოსვრილი. პატარას შევხედე; შვიდი წლისაც არ იქნებოდა, სახე ნახშირით ჰქონდა მოსვრილი და ტუხებსა და ლოფაზე შემხმარი ჟღვინგრის კვა-ლი ნაცრისფრად ემჩნეოდა. ტანსაცმელიც ზურ-ტლიანი ეცვა და, რითაც განსაკუთრებით გამოირ-ჩეოდა, ჯერჯერობით, ერთადერთი მამაკაცი იყო, ვისაც ამ ქალაქში ქუდი არ ეხურა.

— ძია! ფეხსაცმლისმწმენდავი აი იქ არის! — და თითო გალერეას ბოლოსკენ გაიშვირა.

მარჯვივ გავიხედე; ოციოდე მეტრში მართლაც ჩანდა მეწაღის სავარძელი, რომლის წინ ვაჩაჩიანი სარაზი იდგა და ხელებით მეპატიუებოდა. სამ-ხერთი, პრაქტიკულად, მაინც აღმოსავლეთია და აქ იციან მუშტრის ფასი. აბა ჩვენებური ვანკა, სანამ ცხვირთან არ მიუტან ჩექმას, ვერ მიხვდება, რომ უნდა გააპრიალოს. პუშკინის ერთი ლექსი გამასსენდა, სადაც მეწუდე ფერწერული ნახატის თვალიერებისას ჯერ ფეხსაცმელში არასწორ შტრიხებს დაინახავს, მერე კი მკერდის სიშიშ-ვლეზე ალაპარაკდება. ასეა ჩვენში: სარაზს თავი მხატვარი პგონია, მეეტლეს – პოეტი, მზარეულს – გენერალი, გლეხს კი ხელმწიფობა მოუნდომებია და გასვლია კიდეც.

«Картинку раз высматривал сапожник
И в обуви ошибку указал;
Взяв тотчас кисть, исправился художник,
Вот, подбочась, сапожник продолжал:
«Мне кажется, лицо немногого криво . . .
А эта грудь не слишком ли нага» . . .

მომენტისა საიდანლაც ბავშვის ხმით, ოდნავ შესამჩნევი კაგასიური აქცენტით.

ახლომახლო ამ ასაკის, ჩემი პატარა მეგობრის გარდა, არავინ იყო. “ამას ეს ლექსი, აბა, საიდან?” – გავიფიქრე თუ არა, შემოტრიალდა, გამიღიმა, მარცხენა თვალი ჩამიკრა და გამაოცა:

«Тут Апеллес прервал нетерпеливо:
«Суди, дружок, не свыше сапога!»

– თამშებ, თამშებ, – დაუმახა ვაგზლის ციცქნა მაწანწალას მასზე ოდნავ უფროსმა ასეთივე დაღლარამ.

სავარძელში მოვკალათდი, ფეხები ყუთზე სპეციალურად ამობურცულ საფეხურებზე დავდგი. ხარაზმა მუყაოს დამცავი ფილები ფეხსაცმელებში ჩამიცურა, სველი ტილოთი სკორე მოწმინდა, უზარმაზარი ჯაგრისები ხელში აათამაშა და ოსტატურად დაიწყო გაპრიალება. სავარძელი საქმაოდ მაღალი იყო და აქედან ბაქანზე გაჩაღებული ცხოვრების დანახვა ადგილად შეიძლებოდა. მატარებლით ჩამოსულთაგან ორიოდე ადამიანი შევიდა მოსაცდელ დარბაზში, დანარჩენებს კი სწორედ ჩემს წინ უნდა ჩაევლოთ, ვაგზლის შენობის მარჯვენა კუთხესთან ჩაეხვიათ და ამგვარად გასულიყვნენ ქალაქში. აი სწორედ იქ დუღდა ცხოვრება.

შევე კარგა ხანია, სათითურების ოსტატები იმპერიის ვაგზლების, ბაზრების და სხვა თავშეერის ადგილების აუცილებელ ანტურაჟად იქცნენ. ეს

მუხუდოს მარცვლის რაინდები ევროპის ქალაქებშიც მინახავს და, რასაკვირველია, მათი ყველა თინი ჩემთვის ნაცნობია. სხვა რა საქმე მქონდა?! შევათვალიერე თაღლითების თავშეერის ადგილი და გცადე, გამომეცნო ამ ერთგვარი სპექტაკლის მონაწილე თითოეული პერსონაჟი – თეორ ჩოხაში გამოწყობილი თავზე ცილინდრჩამოცმული კაცი, რომელსაც ხელში ფული ეჭირა და, თითებზე შიგადაშიგ დაფურთხებით, ითვლიდა თავის მონაგარს, რა თქმა უნდა, ბედნიერი გამარჯვებულის როლს თამაშობდა. მის წინ მდგომ ჩია ტანის კაცს ლივრეას სრული ატრიბუტიკა: აქსელბანდიანი კომზოლი, მოკლე შარვალი, წინდები, კეპი – ემოსა, მსახურის ფუნქციებით კმაყოფილდებოდა და შიგადაშიგ თხოვნით მიმართავდა ბატონს:

- თქვენო ბრწყინვალებავ, დღეს საკმარისად მოვიგეთ და ძალიან გთხოვთ, წავიდეთ ახლა სახლში!

რაზეც ბატონი დაუზარელად, რიხით, რაც შეიძლება ხმამაღლა პასუხობდა ერთსადაიგივეს:

- ეს რა ფულია, მაცალე, დავითვლი და ერთბაშად უნდა ჩავიდე ფსონს. ეს თანხა უნდა გავაორმაგო!

ყველაფერი კარგად ჰქონდათ გათვლილი. რაღაც “თქვენო ბრწყინვალებით” მიმართავდნენ, ესე იგი გამარჯვებული თავადი იყო, ხოლო საზოგადოების ასეთი მაღალი რანგის კაცი თუ არ თაკილობდა სათითურებით გართობას, ჩვეულებრივ მოკედავებისთვის ამ თამაშში მონაწილეობის მიღება დიდი პატივი უნდა ყოფილიყო. ერთი უც-

ნაური და დაუჯერებელი სტატისტიკური მონაცემი გამახსენდა პოლიციის დეპარტამენტის ცირკულარული წერილიდან: რუსეთის მრავალმილიონიანი იმპერიის თავადური გვარების 56 პროცენტი სულ რამდენიმე ასეულათასიან ხალხს – ქართველებს ეპუთვნოდათ.

იქვე ევროპულად ჩატმული კუნთმაგარი ბიჭებიც დაბორიალობდნენ; მათ მოვალეობაში შედიოდა მორიგეობით გამარჯვებულის როლის თამაში; თუკი ვინმე გარეშე შესძლებდა თანხის მოგებას და ამ ფულით წასვლას ეცდებოდა, ეს რაზმი პირდაპირ ყაჩაღურად წაართმევდა მას მონაგარსაც და დარჩენილ საკუთარ თანხასაც, იმ მოტივით, რომ თითქოს თამაშის წესები არ დაიცვა და მოგებისთანავე გაქცევა სცადა. “ეს ჯარიმით ისჯება, მმაორ!“ – ეტყოდნენ.

რაც ფეხსაცმლისმწმენდავის სავარძელში ვიჯექი, ოთხმა კაცმა ითამაშა და ოთხივემ მოიგო, თანაც გამარჯვებულთაგან ორმა უპრობლემოდ დატოვა ბაქანი, ხოლო დანარჩენები იქვე ახლომახლო წრიალებდნენ და, როგორც ეტყობოდათ, ყოფ-მანობდნენ – ვერ გადაეწყვიტათ, ისევ ეცადათ ბედი თუ არა. ჯერ ეს ყველაფერი უცნაურად მომეჩვენა, მაგრამ თამაშის მთავარ ფიგურაზე ყურადღებით დაკვირვების შემდეგ მივხვდი, რომ შედეგები კანონზომიერი იყო. ეს ადამიანი აშკარად ახალბედა, თავის საქმეში სრულიად გამოუცდელი ჩანდა. ლობიოს მარცვალს ცუდად ახურავდა სათითურებს და ისე ნელა ამოძრავებდა, რომ დიდი ჩუბინობა არ იყო საჭირო სათანადო სათითურის გამოსაცნობად. გავოცდი, ამ თაღლითმა ისიც კი არ იცოდა, რომ ლობიოს

მარცვალი თითით გარედან უნდა მიემაგრებინა სათითურისთვის. ეს ამ თამაშის მთავარი ონინა. თაღლითობის ეშხი ხომ სწორედ ის გახლავთ, რომ მარცვალი ბოლო წამს სამთაგან არც ერთი სათითურის ქვეშ არ უნდა იყოს და როდესაც გაცუცურაქებული ადამიანი ვერ გამოიცნობს მარცვლის მდებარეობას, ასევე უჩუმრად უნდა შეაცურო დარჩენილი ორიდან ერთ-ერთის ქვეშ. რაც არ უნდა ილაპარაკო, პროვინცია მაინც პროვინციაა. დასვი ახლა აქ ჩვენებული – ოდესელი ან თუნდაც როსტოველი – ბიჭები!

ამასობაში ხარაზი თავის საქმეს მორჩა და გასამრჯელო უცნაური გაფასებით მოითხოვა:

– ერთი კაპიკი, თქვენო კეთილშობილებავ!

ამ კაცმა ჩემი ჩინი არ იცოდა და არც გამკვირვებია, რომ რანგით უფრო დაბალი მოხელისადმი მიმართვა გამოიყენა და თავსართი “მაღალ” დამაკლო, მაგრამ მისი მომსახურება თუ ასეთი იაფი იქნებოდა, ვერ წარმოვიდგენდი. ჟილეტიო კარგად დაცული პერანგის გულის ჯიბიდან ტყავის საფულე ამოვიდე, ხურდა ფულის განყოფილებიდან კაპიკიანი ამოვარჩიე და ხელოსანს გავუწოდე.

– ერთი კაპიკი – ერთი წუთი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! ექვსი წუთი ვიმუშავე, ორი ფეხსაცმელი გავწმინდე, ექვსჯერ ორი არის თორმეტი. ერთი წუთის საფასური თქვენსკენ იყოს. სულ ათი კაპიკი!

“მაღალკეთილშობილებავ” მესიამოვნა; პროვინციაში მომსახურების პარიზული ფასი კი მეტის-მეტი იყო; ჩვენი უწყების მონაცემებით, მთელს იძ-

პერიაში მუშის საათობრივი ანაზღაურება ცხრა კაპიკს არ აღემატებოდა, ამ ვაჟბატონმა კი ამ თანხაზე მეტი ექვს წუთში გამოიმუშავა. თანაც ორი კაპიკი თითქოს მაჩუქა კიდეც, მაგრამ სინამდვილეში ნამუსის ვალად დამადო. დავუშვათ, მისი მომსახურება წუთში კაპიკი დირს, ორი ფეხსაცმლის გამო თანხის გაორმაგება, რა შეაშია ან რა ლოგიკური ფორმულით აიხსნება, ჩემთვის ადგილობრივ სიბრძნედ და გამოუცნობ ამოცანად დარჩა.

ფეხსაცმლისმწმენდავს ანგარიში გავუსწორე და ვერ აგიხსნიო, რა ძალამ მიმიყვანა სათითურების ბანდასთან. შესაძლოა, ეს იყო პორტმონეში დაგროვილი ბევრი ხურდა ფულისგან გათავისუფლების სურვილი ან, რა თქმა უნდა, ამის დაჯერება არ მინდა, – თაღლითის ადვილად დამარცხების ხარბი ვნება. ერთი კი ნამდვილად ვიცი, თავიდან მხოლოდ თაღლითებში გარევა, მათი საუბრის მოსმენა და უცნობი ქალაქის ამგვარი პუბლიკის ახლოდან გაცნობა მსურდა.

მივუახლოვდი თუ არა, მოთამაშემ თვალებში შემომციცინა და გარსშემოხვეულ საზოგადოებას მიუბრუნდა:

– აკა შენ, მოგებული სამი კაპიკი, თქვენ კი გაიწიეთ, ადგილი დაუთმეთ მის ბრწყინვალებას, – მერე კიდევ ერთხელ გამიღიმა, – სტუმარი ლვთოსაა, გთხოვთ, პატივი გვეციო!



ნახევარკაპიკიანი ფსონით ვაპირებდი თამაშის დაწყებას, მაგრამ, “ბრწყინვალებაო”, მომმართეს. ესე იგი თავადად მაღიარეს, ამიტომაც ორკაპიკიანი ჩამოვედი; მერე სამ და ხუთკაპიკიანზე გადავედით. ბოლოს ვერცხლის ათი, თხუთმეტი, ოცი და ოცდახუთკაპიკიანები ჩაერთო თამაშში. ძალიან უსუსური მოწინააღმდეგე შემხვდა. ორი თუ სამი წარუმატებლობის გარდა, ყველა გათამაშება მოვიგე. ბოლოს დამსწრე საზოგადოება ჩემს წარმატებებს ტაშით და შეძახილებით ხვდებოდა. შარვლის ჯიბე სპილენძის და ვერცხლის მონეტებით დამიმდიმდა. სინდისმა შემაწუხა და ძალით წაგება ვცადე — სათითურების მოძრაობას შეგნებულად არ ვადევნებდი თვალს, მაგრამ ალალბედზეც მიმართლებდა. უკვე თუნდაც ერთხელ ვერ გამოცნობის სურვილი მკლავდა, რომ ვაგზლის სათითურების რაინდმა ხმამაღლა შესძახა:

— მთელი ფული წავაგე. დღეს ისედაც არ მიმართლებდა, ეს კაცი კი ნამეტანი ყისმათიანი გამოდგა, მორჩა თამაში! ბანკროტი ვარ!

მიგხვდი, ახლა დაიწყებოდა მთავარი წარმოდგენა ადამიანის ძვლისმკვნეტელი ბანდიტების მონაწილეობით და მზად ვიყავი, მთელი მოგებული თანხა პირველივე მოთხოვნისთანავე დამებრუნებინა. ჯერ ბაქნის ბოლომდე მივედი, მერე შენობის ქუთხეში მარცხნივ ჩავუხვიე და ვაგზლის წინ მდებარე სკვერსაც რომ გავცდი, მდევრების მო-

ლოდინში უკან მოვიხედვ. არავინ ჩანდა. გამიკ-ვირდა. უცებ გონება გამინათდა; ხელი მივირტყი მარცხენა ძუძუსთან, სადაც საფულე მეგულებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ეველაფერი წესრიგში იყო. “ჩემი ოქროს საათი”, – გავიფიქრე და ჟილუ-ტის მარჯვენა ჯიბიდან ამოვიღე ბაჯაღლო ოქროს შვეიცარიული ნაკეთობა, რომელიც ტფი-ლისური დილის კაშაშა მზის სხივების ფონზე კიდევ უფრო ბრჭყვიალა ჩანდა. თავი დავინამუსე – არ შეიძლება ადამიანებისგან მუდამ ცუდ საქ-ციელს ელოდე. ღმერთმა აქაურობას ბუნების სი-კეთები ხომ ერთბაშად დააყარა და, ეტყობა, აქაური ადამიანებიც პატიოსნებით აღავსო.

ვაგზლის მოედნიდან გაშლილი არქიტექტურული ხედით ტფილისი კვლავ ევროპული ქალაქი იყო. რადგან საფრთხე აღარ მემუქრებოდა, გადავწყ-ვიტე შენობაში დავბრუნებულიყავი, შემნახველი ოთახიდან, გუშინ მატარებლის გამცილებლის მიერ ჩაბარებული, ჩემი ბარგი გამომეხსნა, ფაე-ტონი ამეყვანა და ისე მოვქცეულიყავი, როგორც ევროპის დედაქალაქებში დამჩემდა ანუ მეეტლის რეკომენდაციით ქალაქის საუკეთესო სასტუმროში დავბინავებულიყავი. დროის გასაგებად საათი ამოვიღე, თავსახური ავხადე და . . . ერიპაა! ცი-ცერბლატი მეუცხოვა! კარგად დავაკვირდი და მივხვდი, რომ ხელში იაფფასიანი, ოღონდ კარგად გაპრიალებული სპილენძის საათი მეჭირა. გულმა რეჩხი მიყო. ახლა პერანგის გულის ჯიბიდან სა-ფულე ამოვიღე. აბსოლუტური ჭეშმარიტებაა რუ-სული ანდაზა: უბედურება მარტო არასდროს მოდისო! ჩემი, ნიანგის ტყავისგან შეკერილი, პორტმონეს ნაცვლად შემრჩა კარგა გვარიანად

გაცვეთილი უხარისხო საფულე, რომელიც გაზე-
თის ფურცლის ნაფლეთებით იყო გამოტენილი.

გონება დამებინდა და გაცოფებული ვაგზლისკენ
გავიქეცი. ბაქანზე შევუხვივ თუ არა, როგორც
მოსალოდნელი იყო, დავინახე, რომ იქ ჩემი
მძარცველების ხეებიაც არ იყო. ახლა მოსაც-
დელი დარბაზისკენ გავწივ, ვიფიქრე, ოკოლოტონ-
ისთვის მომეთხოვა პასუხი, რადგან მის გარეშე
ამ ტერიტორიაზე, ალბათ, ბუზი არ ჭაჭანებდა,
არაფერი ხდებოდა და მას აქ ყველა საქმიანობი-
დან, რა თქმა უნდა, პქონდა წილი; მაგრამ გამახ-
სენდა, რომ, საფულესთან ერთად, მთელი ჩემი
საბუთებიც წაიღეს ყაჩაღებმა. დოკუმენტების გა-
რეშე კი ოკოლოტონისთან საუბარს აზრი არ
ჰქონდა; ვინ იცის, რა შარს მომდებდა? პოლიციის
დეპარტამენტის ეს თითქმის ყველაზე დაბალი
რანგის თანამშრომლები ხომ განსაკუთრებული
ვერცხლისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ და ქრთა-
მად აღებული ფულის შესანარჩუნებლად ეშმაკ-
საც მოემსახურებოდნენ. მოსაცდელ დარბაზში
შესასვლელთან, სწორედ იქ, სადაც გუშინ ჩემი
ორეული მომენტები, გავჩერდი და ძალიან ნაცნობი
ადამიანის ასევე ნაცნობი სიტყვები მომესმა:

— ძია, ძია! მტრედმა დაგასკინტლათ! . . ძია, ფეხ-
საცმლისმწმენდავი, აგერ, იქაა!

გავიხედე და რას ვხედავ? ჩემი პატარა მეგობარი,
სახელად თამშუკი, ამ ჯერზე მატარებლიდან
დაგვიანებით ჩამოსულ მგზავრს მეწადის სავარ-
დლისკენ მიუთითებდა. ეს კაცი ერთობ საინტერე-
სო სანახავი გახლდათ; ქვაბ-ქუდა მობრეცილად
ეხურა; სახე წუხელ დალეული ბევრი არყისგან

ბარაქიანად გაწითლებული და შეშუპებული პქონდა; პერანგზე ლილები არასწორად შეეკრა, რის გამოც მარჯვენა საყელო მარცხენაზე გაცილებით მაღლა ამოჩახოდა; ერთი სიტყვით, ზედ ეწერა, რომ, შემადგენლობის ვაგზლიდან გასვლამდე, გამცილებელმა კუპეში შემთხვევით იპოვა, გამოაღვიძა, პირადად დაეხმარა ჩაცმაში, ვაგონიდან ძალით ჩამოსვა და ახლაც ძილ-ბურანში იყო. უცნობს ფეხსაცმელებზე დაგხედვა: არა, გამორიცხულია!!! მტრედი ერთ ჯერზე ამდენს არსკინტლავს!

პატარა თამშუკი ზურგს უკან, მარცხენა ხელში ჩამუჭულ, პაწუკა ოყნას მალავდა. მივხვდი, ასი წლის შემდეგ, როდესაც დრმად მოხუცი ტფილისელი დაღლარა უფლის წინაშე წარსდგება, მისთვის სასუფევლის კარების არგახსნის უამრავ მიზეზთაგან ორი ამთავითვე ცნობილი იყო. პირველი: ბავშვობაში უქუდოდ სიარული; მეორე: ტფილისის ვაგზალზე, სპეციალური რეცეპტით დამზადებული მტრედის სკორეს ხსნარით, ხარზისგან გასამრჯელოს მიღების მიზნით, წამსვლელ-ჩამომსვლელ-დამხვდურთა ფეხსაცმელების დათხუპნა.

ალბათ, არც ცნობილი პეტერბურგელი ქართველი თადლითი ალექსანდრე სალუკაძევი წამომიტივდა ცნობიერებაში უმიზეზოდ.

სოლომონ ბრძენის გარდაცვალება და ბე- ბრს ხათრით პატივება



განსაცდელის უამს ადამიანი ან აქტიურ ბრძოლას იწყებს, ან ადგილზე ქვავდება, ან გარბის. ბრძოლის რა მოგახსენოთ?! ჩვენებური ანდაზისა არ იყოს – ჩხუბის შემდეგ ხელების ქნევადა გამომივიდა.

ვაგზლის სკვერში დავბრუნდი, სკამზე ჩამოვჯექი. ამგვარ სტრესულ მდგრამარეობაში კავკასიაში მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილების შენობაში გამოცხადება არ მინდოდა. თვალები დავხუჭე და ვცადე, ფიქრებით ბავშვობაში გავქცეულიყავი. იქ ჩემი გამზრდელი და მხსნელი ბებია მეგულებოდა. 1890 წელს უკვე მინსკის გიმნაზიაში ვსწავლობდი და 2 ივნისიდან 14 აგვისტომდე არდადეგბზე მასთან ლემიაშევიჩი დასასვენებლად ჩავედი. ეს იყო ჩვენი ერთად

ყოფნის ბოლო დღეები და სულ მგონია, რომ, თუ რაიმე მიადვილებს ცხოვრებას, მაშინ ვისწავლე მოხუცისგან. ცამეტი წლის ვიყავი; მთელი ზაფხული იქაურ ონავრებთან ერთად ან ტყეში სოკოს ვაგროვებდით, ან ახლომახლო ტბებში ვთევზაობდით, ან მეზობლების ალუბალს ვიპარავდით . . . ერთი სიტყვით, ჩემი ასაკის შესაბამისად ვიქცეოდი. მინსკში გამგზავრების წინა სადამოს კი ბებომ ადრე მაბანავა, საწოლში ჩამაწვინა და, ზუსტად ვიცი, თავისი სიბრძნე მასწავლა.

— ჩემო ბენონი (მხოლოდ ბებო და დედაჩემი მომართავდნენ ამ სახელით), ახლა იმ ასაკში ხარ, როდესაც ადამიანს ახალი ძალა ეძლევა და იგი უკვე იწყებს აქტიურ რეაგირებას მასზე მოქმედ გარემოებებსა და ადამიანებზე. უფროსები რომ გაგიბრაზდებიან, თავს კი არ ჩაქინდრავ, არამედ ეცდები, დასაცავად იმოქმედო. აწი ხშირად გაბრაზდები. გაბრაზებას კი რისხვა მოჰყვება, რაც გონების დაბნელებით გამოწვეული გრძნობაა. ადამიანი იმიტომაცაა ადამიანი, რომ არ განრისხდეს. ახლა მოგიყვები ლეგენდას სოლომონ ბრძენის ბეჭდის შესახებ. მევე სოლომონი ებრაელთა ხელმწიფე იყო და მასაც ახასიათებდა სიბრაზე.

- სულ ურიებზე რატომ მიყვები ზღაპრებს?
- ურიებზე კი არა, ებრაელებზე, შვილო! ებრაელები დვთის რჩეული ერია!
- ვითომ რით არიან სხვებზე უკეთესები?
- უკეთესები არ მითქამს. რჩეულები კი იმით არიან, რომ დმერთმა სწორედ ისინი შეარჩია თა-

ვისი ცნებების გადასაცემად. ებრაელთა რჩეულობა მათ უკეთესობას არ ნიშნავს. ახლა ესეც კარგად დაიმახსოვრე და, სადაც არ უნდა იყო, ნურავის გაუმხელ, დაგჩაგრავენ: მეც იუდეველი ვარ!

— ნუ გიყვარს, ბებო, ასეთი ხუმრობები. ხომ შეიძლება, ვინმემ გაიგონოს და მართალი ეგონოს?

— კარგად მომისმინე. ჰოდა, სიბრაზეს რომ ვერ მოერია, სოლომონმა ჭკვიან ვეზირს დაავალა, ამ სენისგან მოერჩინა. იმანაც ოქროს ძვირფასი ბეჭედი მოართვა, რომელზედაც ამოკაწრული იყო სიტყვა: “მიუტევე” — და ურჩია, გაბრაზდები თუ არა, დახედე ბეჭედს, შენი ნერვების მომშლელს აპატიე და გულზე მოგეშვებაო.

— დღეს დილით ტყეში უზარმაზარი სოკო მე დავინახე პირველმა და მიკოლკას ვაჩვენე. ის კი გაიქცა, სოკო მოწყვიტა და თავის კალათში ჩააგდო. სოკოზე კი არ დამწყდა გული. მეწყინა, რომ არაფრად ჩამაგდო, შეურაცხყოფა მომაყენა. აბა, როგორ არ გავირაზებულიყავი? მივედი, ვუბიძგე და წავაქციე. მერე კარგად ვიჩეუბეთ. ამ ძიძგილაობაში ის სოკო ძირს დავარდნილა და ფეხით გაგვითელავს.

— აი, ხომ ხედავ? ეს შენ გგონია, რომ მიკოლკას შენთვის შეურაცხყოფის მოყენება უნდოდა. სინამდვილეში კი ის სოკოს დახარბდა. ანუ მიზეზი, რის გამოც გაბრაზდი, სულაც არ არსებულა. ესე იგი, ტყუილად იჩეუბეთ. შედეგად კი რა მიიღეთ? ერთმანეთს ატკინეთ და სოკოც დაკარგეთ! რომ გგპატიებია, იმ სოკოს ხომ ერთად შეჭამდით?!

გალიაში გამომწყვდეულ მგელს თუ თითს ახლოს მიუტან, წაგაჭამს. იმიტომ კი არა, რომ შენი წყენინება უნდა ან შენთვის მოყენებული ტკივილი სიამოვნებს? არა, მას უბრალოდ შია და შენი თითი მისთვის მხოლოდ საკვებია. არ უნდა გაბრაზდე მგლის საქციელზე ისევე, როგორც არ უნდა გაბრაზდე უზრდელი ადამიანის ქმედებებზე.

— მერე რაო, სოლომონმა, დაუჯერა?

— მეფე დაჲყვა ჭავიანი ვეზირის რჩევას და რამდენჯერაც გაბრაზდებოდა, დახედავდა ბეჭედს, აპატიებდა მწყენინებულს და დამშვიდდებოდა. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, სოლომონი ძალიან გაბრაზდა, ვერც წარწერამ დამშვიდა, წაიძრო სამკაული თითიდან და უნდა მოესროლა, რომ ბეჭედის შიდა მხარეს რაღაც ასოები შენიშნა. დააკვირდა. იქ კი ეწერა: “ესეც მიუტევე.” მოეწონა სოლომონს ვეზირის მოხერხებულობა და სიბრაზემ ამ ჯერზეც გაუარა. ასე დასძლია სოლომონ ბრძენმა ერთ-ერთი მომაკვდინებული ვნება. ოდონდ ეს ისტორია აქ არ დასრულებულა. საერთოდ, დამიჯერე, მოვლენები სინამდვილეში იქ კი არ მთავრდება, სადაც ჩვენი გონება წვდება, არამედ უსასრულოდ ვითარდება. ძალიან გთხოვ, ეს კარგად დაიმახსოვრო და ცხოვრებაში თანატოლებზე მუდამ ერთი ნაბიჯით წინ იქნები. ახლა ნახე, როგორ გაგრძელდა სოლომონის ბეჭედის ამბავი: მეფემ ხანგრძლივი, ძნელი, მძიმე ცხოვრება გალია და მოვიდა მისი აღსასრულის დღე. სასიკვდილო სარეცელზე სოლომონმა ბეჭედი მოიძრო, დახედა — უამთა სვლას ორივე წარწერა წაუშლია. მეფემ ბეჭედი იქვე მდგარ პატარა მაგიდაზე დადო; მოულოდნელად წიბოზე ამოტვიფრული ასოები

შეამჩნია. სუსტი მზერა დაძაბა და წაიკითხა: “შენც მიგმტევა”! მიხვდა სოლომონ ბრძენი, რომ უკვე ზესთა სოფელში იყო და ამ სიტყვებით ღმერთი ელაპარაკებოდა!

გაბრაზებას, შვილო, ქრისტიანობაც კრძალავს, სახარებაში წერია: “ვინც უმიზეზოდ განურისხდება თავის ძმას, სასჯელის თანამდები იქნება.”

კეთილი, ჩემო საყვარელო ბებო! ვაპატიქ ტფილისელ თაღლითებს. მათ ხომ ჩემი, როგორც რუსი ოფიცრის, შეურაცხყოფა კი არ უნდოდათ, არამედ უბრალოდ თავის საქმეს აკეთებდნენ და, უნდა ითქვას, ძალიან მაღალ დონეზე. არაფერი პირადული, მხოლოდ საქმე, – იტყოდნენ ეგროპაში.

ჭრანცისკანელები, იმზუიტები, პისპელი პაციფამია და ბატიზმური



ბებიას მამაჩემი არ უყვარდა და ამას არც მალავდა. ჩემს მშობლებს ერთმანეთი ფსკოვში გაუცნიათ. დედა დაორსულებულა და პინსკში მშობლების სახლში დაბრუნებულა. მამა მეორე დღესვე გამოეცხადა და ჩაესიძა. რამდენიმე თვეში, 1877 წლის 8 თებერვალს, მეც დავბადებულვარ. ბავშვობის პირველი წლები პინსკის განაპირას მდებარე უბანში, რომელსაც კაროლინს ეძახდნენ, და ბებიაჩემის მშობლიურ ლემიაშევიჩში ვიზრდებოდი. არაერთხელ გამიგონია, როგორ საყვედურობდა ბებო დედას: ამ რუსის უსაქმურს სად გადაეყარე? ჩვენები თუ არ გინდოდა, ადგილობრივ “ტუტეიშებში” მაინც შეგერჩია კაციო.

როგორც ვიცი, არც მამას ეხატებოდა ბებო გულზე. ერთხელ ნასვამი დაბრუნდა და კარგ ხასიათზე იყო. იმ საღამოს პირველად დამელაპარაკა როგორც კაცი კაცს. მაშინ შვიდი წლის ვიყავი. მაგიდასთან დამსვა, კარადიდან არაყი გამოიღო, დაისხა და მეუბნება:

— შვილო, ბენიამინ! როგორც იქნა, დადგა ნანა-ტრი დრო. დღეიდან უფრო მაგრად ვიქებით მე და შენ. აյ მდინარე პინას სანაპიროზე გემების ასაგები ქარხნის მშენებლობა იწყება და სამუშაოდ ბევრი ჩვენებური მუშა ჩამოვა. მეც დავ-საქმდები. ამოვიდა ყელში ამათი დაყვედრებული ლუკმაპური.

ვერაფრით გავიგე, ვინ ამადლიდა მამაჩემს საკვებს. დედა წელებზე ფეხს იდგამდა, დღე და ღამეს ასწორებდა, სულ რაღაცას აცხობდა, თავის ნაწარმს არიგებდა და მერე სახლში უამრავი პროდუქტი მოჰქონდა.

მართლაც, ძალიან მალე პინსკში უცნობი ადამიანები გამოჩნდნენ და ქალაქი ახმაურდა. მამამ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მაგრამ თუ სხვები დილით ადრე, საყვირის ხმაზე, გადიოდნენ სახლიდან და გვიან ბრუნდებოდნენ, იგი, კარგად დაბინდებოდა თუ არა, რაღაც უცნაური სასტვენის ნიშანზე, მიდიოდა და საყვირის ხმამდე მოდიოდა. იშვიათად ვნახულობდი.

ვიზრდებოდი; უკვე ჩემი სამყარო სახლს და ეზოს გასცდა, ქუჩასა და უბანში გავიდა, მერე ქალაქი მოიცვა. სახლიდან გავიპარებოდი და დიდხანს ვტკბებოდი ფრანცისკანელების ტაძრით, პოლონური კათოლიკური კასტილიით, გრანდიოზზელი იეზუიტთა კოლეგიუმით; შოთამბეჭდავი იყო კოხება სინაგოგა და ხის მორებით ნაგები პატარა მართლმადიდებლური ეკლესია. ჩემთვის იმუამად ეს ორი სიტყვა: ფრანცისკანელები და იეზუიტები — გაუგებარი იყო და მასწავლებელს ვთხოვე აეხსნა მათი მნიშვნელობა. იმანაც დღეს

მაგისთვის არ მცალია და ხვალ გეტყვი პასუხესო. მეორე დღეს კი ძალიან დიდხანს და გულმოლგინედ გველაპარაკა მთელ კლასს ამ ორდენების შესახებ. მასწავლებლის განმარტებიდან მხოლოდ ორი რამ გავიგე – **პირველი:** ორდენი ადამიანთა გაერთიანებაც ყოფილა, აი ისეთი, ოოგორიც ჩვენი კლასია ან მთელი რეალური სასწავლებელი და მხოლოდ ბროშს არ აღნიშნავს თურმე; **მეორე:** ფრანცისკანელები უფრო ადრე ყოფილან და დიდი გავლენა ჰქონიათ მეფეებსა და მთავრებზე. მერე კი იეზუიტები გაძლიერებულან, ფრანცისკანელები ჯერ შეუვიწროებიათ და ბოლოს სულ განუდევნიათ, ანუ ფრანცისკანელები და იეზუიტები მტრები ყოფილან და ორთაბრძოლაში იეზუიტებს გაუმარჯვიათ. მათ მიერ აგებული შენობებითაც თუ ვიმსჯელებთ, იეზუიტთა კოლეგიუმი ბევრად უფრო დიდი ნაგებობაა, ვიდრე ფრანცისკანელების ტაძარი და მოერეოდნენ, აბა რას იზამდნენ? – ასე ვფიქრობდი მაშინ.

ქალაქი რომ კარგად შევისწავლე, მერე უკვე პინსკის გარშემო მდებარე ტყეებსა და ჭაობებში მიმდინარე ამბებით დავინტერესდი. განსაკუთრებით აქამდე უცნობი ლეგენდები მიტაცებდა, რომელთაგან ზოგი შიშისმომგვრელი იყო. უცნაურია, მაგრამ ამბავი, რაც უფრო საშიში იყო, მით უფრო მომწონდა, მამას სოვერდებოდა და ოცნების საშუალებას მაძლევდა. ჭაობების თავზე მოფარვატე დამხრჩვალთა ნისლისფერი სულები, გაუფალ ტევრებში ქათმის ფეხებზე მდგარი მოძრავი ბაბა-იაგას ხუხულა, სასაფლაოების დამის სტუმარი ძაღლების ხროვა, შავი ხელი, ავი სულები, ვამპირები მყარად და დიდი ხნით გახდნენ ჩემი ცხოვრების ბოროტი თანამგზავრები და, მათი გა-

დამკიდე, სიბნელის შიში გამიჩნდა. ზოგჯერ ძილის წინ საწოლის ქვეშ და ტანსაცმლის კარადაში გულდაგულ ვეძებდი მოჩვენებებს.

პინსკში აშენებულ გემთმშენებელ ქარხანას მექანიკურიც დაემატა და ქუჩებში ხალხმაც იმატა. ჩამოსახლებულები ბარაკებს აგებდნენ და ქალაქს ახალი საცხოვრებელი უბანიც შეემატა, იქაური უცნაური წესებით. მუშები ლამდამობით თვრებოდნენ, დაბორიალობდნენ, მერე ჩხუბობდნენ, იგინებოდნენ. ერთხელაც მთელი პინსკი შესძრა აქამდე არგაგონილმა ამბავმა: მუშათა უბანში სიმთვრალეში ცოლს ქმარი მოუკლავს, ნაჯახით დაუჩეხავს და რამდენიმე დღის განმავლობაში მის ხორცს მიირთმევდა თურმე. ამ მკვლელობის შესახებ შესაძლოა, ვერავის გაეგო, რომ არა იმათი ერთი მეზობელი, რომელსაც შეშურდა გვერდით ბინაში ყოველდღე მოთუხოუხე ხორცის სურნელი და ბოქაულთან იჩივლა: აქამდე თვეში ერთხელაც არ ჰქონდათ ხორცი, ახლა კი ყოველდღე მიირთმევნ, ესე იგი სადღაც ხბო ან ძროხა მოიპარესო. მისულა ბოქაული და მწნილის კასრში დამარილებული ადამიანის სხეულის ნაწილები უნახავს. ის ქალი გაასამართლეს და ქალაქგარეთ, ტყის პირას საგანგებოდ აგებულ ეშაფოტზე, ჩამოახრჩვეს. თავზე ტომარაჩამოჩმულ დამნაშავეს სიკვდილის წინ ხმამაღლა დაუყვირია: “ადამიანის ხორცი გემრიელია!” თითქმის ორი თვე მთელი პინსკი ამ ამბავს განიხილავდა. მერე ისტორია თანდათან მივიწყებას მიეცა, მაგრამ მალევე მისი ექო უცნაურად დაუბრუნდა ქალაქს. ხალხში ხმა დაირხა, ტყეში, სადაც განაჩენი ადესრულა, მოჩვენება გაჩნდაო. თვითმხილველები ამბობდნენ, აჩრდილს, ჩამომხრჩვალივით, თავზე ნაცრისფერი

ტომარა აქვს ჩამოცმული და დამდამობით ასევე ნაცრისფერზეწარგადაფარებულ ცხენზე ამხედრებული უჩუმრად დაპქრის ტყისპირა ჭაობების თავზე. სხვები აზუსტებდნენ: ჩამოცმული ტომარა თეთრია, კონუსის ფორმისაა და ზედ დიდი შავი ჯვარია გამოსახული; ცხენის გადასაფარებელზე კი დავითის ექვსქიმიანი ვარსკვლავებია ამოქარგულიო. ისიც თქვეს, ის ქალი, ეროვნებით რუსი კი არა, ებრაელი ყოფილაო, მაგრამ ეს აშკარა ტყუილი იყო. ებრაელი და შავი მუშა სად გაგონილა?! ვისაც მოჩვენებების არ სჯეროდა, მოვლენას ცივი გონებით აფასებდა და ყველაფერს გაზაფხულის პირზე ხშირი ნისლებით გამოწვეულ ილუზიად მიიჩნევდა. მოარული ხმები კი გორავდა, გორავდა და აჩრდილმა ქალაქშიც შემოაღწია. ერთი მარტოხელა მოხუცი ქალბატონი ყვებოდა, რომ დამით ფანჯარაზე ვიდაცამ მიუკაცუნა, გაიხედა და თეთრ ცხენზე ამხედრებული მგზავრი დაინახა, რომელსაც თავისი დაღლილი ცხოველისთვის წყალი უთხოვია:

— ხოდა, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, გავუტანე ერთი ვედრო წყალი. რას ვხედავ? უცნობს თავზე ჩამოუცვია ტომარა, რომელზეც თვალების და პირის ადგილები ამოჭრილი პქონდა. გამომართვა სავსე ჭურჭელი და, იმის ნაცვლად, რომ ცხენისთვის მიეწოდებინა, თვითონ სულმოუთქმელად ბოლომდე დაცალა და რას მეუბნება? — მაგრად მწყუროდა, ორასი წლის წინ იეზუიტების კოლეგიუმის მშენებლობა რომ დავამთავრე, იმის მერე წვეთი არ დამილევიაო. ამ სიცივეში ყინულივით ცივ ერთ ვედრო წყალს ადამიანი ვერ დალევს, ნამდვილად მოჩვენება იყო.

ხალხს ამ ამბავზე ჯერ ეცინებოდა, მაგრამ ზე-დიზედ რამდენიმე ადამიანმა მსგავსი თავგადასა-ვალი რომ გაანდო მეზობლებს, მოსახლეობა დაი-ძაბა. ამას კი ერთ მშვენიერ დღეს უცნაური მოვ-ლენაც დაემატა: რამდენიმე ებრაულმა ოჯახმა და რატომდაც დედაქემმაც მიიღო მუქარის წერილი, ერთიდამავე ტექსტით: “ურანცისკანელების ცოდ-ვა არ გაგახარებთ, თუ, რაც ძვირფასეულობა გა-ბადიათ, იმის მეათედ წილს ტყეში იმ აღგილზე არ მიიტანო, სადაც ეშაფოტია აღმართული.” ეს წერილი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ბატიფეხ-ური ასოები ყოველი ოჯახის ერთ-ერთ შვილის დაწერილს ჰგავდა. დედამ ერთი ალიყური მეც მი-წილადა, ასე ხუმრობა არ შეიძლებაო, თუმცა სი-მართლე მალე გაირკვა. ყველა ბავშვის კალიგრა-ფია გაყალბებული აღმოჩნდა. აქ რაღაც სხვა ამ-ბავიაო და შეშინებულმა მშობლებმა საშველად რაბინს მიმართეს. დედამ სინაგოგაში მეც წამიყ-ვანა და პირველად მაშინ ვნახე ის უცნაური კაცი, რომელმაც შემდგომში გადამწყვეტი როლი ითა-მაშა ჩემს ცხოვრებაში. რაბინის სრული სახელი მერე გავიგე. იგი დავით ბენ შმუელ ფრიდმანია.

იმ დღემდე ყველაზე განათლებული ჩვენი მას-წავლებელი მეგონა, მაგრამ რაბინმა გამაოცა თა-ვისი მჭერმეტყველებით, ფაქტების ცოდნით და უკიდეგანო აზროვნების უნარით. დავით ბენ შმუელმა მოისმინა რეალური სასწავლებლის ყველაზე წარმატებული მოსწავლის ხაიმ აზრიელ ვეიცმანის დედის რახელ-ლეას (თემმა მას დაავა-ლა გასაჭირი მიეტანა მოძღვართან) მონათხობი. წამით დაფიქრდა და, როგორც ჩვენში იტყვიან, ყველაფერს კუთვნილ თაროზე მიუჩინა აღგილი:

– თქვენი მონათხრობი ძალიან პგავს ამერიკის კონტინენტზე 60-იან წლებში დატრიალებულ ამბებს. იქ სამხრეთის არმიის ყოფილი გენერლის ნათან ფორესტის ხელმძღვანელობით ჩაისახა მოძრაობა, რომელიც თავიდან “საკვირაჟისტების” ანუ წვრილი საქმოსნების, შემდეგ ზანგების, ებრაელების და სხვათა წინააღმდეგ იყო მიმართული. მათ კუ-კლუქს-კლანელებს ეძახდნენ და დაახლოებით ისევე მოქმედებდნენ, როგორ თქვენი მოჩვენებები. მოდიოთ თითებზე ჩამოვთვალოთ ყველა მსგავსება. **ისინი:** თეთრზეწარჩამოფარებულები უხმოდ დააქროლებდნენ დამის ქალაქის ქუჩებში ცხენებს და ხალხს აფრთხობდნენ. ხმებს ავრცელებდნენ, ეს აჩრდილები დაღუპულ კონფედერაციითა სულები არიანო. **ჩვენები:** ნაციისფერ-ტომარაჩამოფარებული მხედარი მოსახლეობის დასახახად დააჭენებს ცხენს ნისლიან ჭაობებში და ხმები ვრცელდება, ეს ეგრეთ წოდებული “ბარაკების კაციჭამიას” სულიაო. არის თუ არა მსგავსება? რა თქმა უნდა, არის! **ერთი თითო მოგაკვროთ!** **ისინი:** დამით კონუსისებრ თეთრ მოსახსამში გამოწყობილი მათი წარმომადგენელი მიადგებოდა მძინარე ზანგს, გააღვიძებდა და ვედრო წყალს მოსთხოვდა, რასაც სულმოუთქმელად ვითომ სვამდა, სინამდვილეში კი მოსახამის ქვეშ დამალულ სპეციალურ რეზინის ჭურჭელში ასხამდა და ამბობდა: რაც კოლუმბოან ერთად ამერიკის მიწაზე დავდგი ფეხი, წვეთი არ დამილევიაო. **ჩვენები:** შუაღამეზე მიადგებიან მოსუცებს და ცხენისთვის ვედრო წყალს ითხოვენ, რომელსაც ვითომ სულმოუთქმელად სვამენ. არის თუ არა ეს ქცევა ერთნაირი? რა თქმა უნდა, არის! **მეორე თითო მოგაკვროთ!** **ისინი:** დამით ცეცხლწა-

კიდებული ჯვრებით დადიოდნენ. **ჩვენები:** ნაცრისფერ ტომარაზე შავი ჯვარი აქვთ გამოსახული. არის თუ არა ეს ერთიდაიგივე სიმბოლოს გამოყენება? რა თქმა უნდა, არის! **მესამე თითო მოვაკვოთ!** **ისინი:** ბატიფეხურით დაწერილ მუქარის წერილებს უგზავნიდნენ მსხვერპლს. **ჩვენები:** ჩვენივე შვილების კალიგრაფიას მიმსგავსებული ბატიფეხურით გვძალავენ ქონებას. არის თუ არა ეს პრინციპულად ერთიდაიგივე მოქმედება? რა თქმა უნდა, არის! **მეოთხე თითო მოვაკვოთ!** ამერიკელების არსენალში ადამიანების დასაშინებლად იყო კიდევ რამდენიმე საშუალება, რომლებიც ჩვენებს ჯერჯერობით არ გამოუყენებიათ, მაგრამ არ ჩამოვთვლი მხოლოდ იმიტომ, რომ, შესაძლოა, არ იციან მათ შესახებ და არ მინდა ჩემგან გაიგონ. ახლა დავასკვნათ: ისინი აჩრდილები კი არა, რეალური ადამიანები არიან და არამგონია, მათი მთავარი მიზანი მხოლოდ თქვენი დაფრთხობა იყოს. ისინი შიშის დათესვის შემდეგ აუცილებლად დაიწყებენ რეალურ მოქმედებებს და სიფრთხილისკენ მოგიწოდებოთ. მით უმეტეს, პასექი და ქრისტიანული აღდგომის დღესასწაულები გვიახლოვდება, როდესაც იმპერიის განსახლების ფარგლებში განსაკუთრებით აქტიურდებიან ათასი რჯულის წამქენებლები. ფრთხილად იყავით და გახსოვდეთ, რა ურჩია იერემიამ ბაბილონში გადასახლებულ იუდეველებს.

თემის წარმომადგენლები ჩაფიქრებულები, მაგრამ მაინც კმაყოფილები, დაიშალნენ. სახლისკენ რომ მივდიოდით, დედას კალთაზე დავქაჩ:

— დე, რა უთხრა იერემიამ ბაბილონში გადასახლებულ იუდეველებს?

— უკვე დიდი ბიჭი ხარ და, მოდი, ვიდრე შინ მი-
ვალთ, ზეპირად ვისწავლოთ იერემიას ნათქვამი,
მხოლოდ ერთი პირობით, რომ მას არასოდეს
წარმოსოქვამ სხვების გასაგონად. აი ეს ჯადოს-
ნური სიტყვები:

“აგერ გამოჩნდა სხივი მსტოვრისა, რომელიც
გვავსებს ქდემამოსილებით, ბედნიერებით,
მსხმიარობით. მიღით, შეუერთდით, ერთი წუთით
ასცდით გაშლილ ალმებს. გისურვებთ ლმერთის
სიყვარულს. მუდამ იზრუნეთ იმ ქალაქის კეთილ-
დღეობისთვის, რომელშიც გადაგახახელეთ და
ილოცეთ მისთვის ლვთის წინაშე: რამეთუ მისი
კეთილდღეობის შემთხვევაში, ოქენეც მოიპოვებო
მშვიდობას.”

თურმე ეს იყო ბოლო საზეპირო, რომელიც და-
დამ მასწავლა.

სულ მალე რაბინის წინასწარმეტყველება ახდა.

1889 წლის აღდგომის დღესასწაული გამორჩეუ-
ლი აღმოჩნდა ზოგადად და პირადად ჩემთვისაც.
იმ წყეულ წელს პასექი 3 აპრილს, მართლმადი-
დებელთა ვნების კვირის პირველ დღეს, საღამო-
დან შედიოდა ძალაში და პალესტინის გარეთ
მცხოვრებ ებრაელთათვის ჩვეულებრივად რვა
დღე გრძელდებოდა, რომელთაგან მეშვიდე ანუ
უქმე, ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულზე, 9
აპრილს, საღამოს დგებოდა. სწორედ ამ დამთხვე-
ვამ განსაზღვრა მეტწილად ჩემი უბედურება.

პასექის დადგომამდე ექვსი დღის წინ ჩვენი თა-
ნაკლასელი ვოვა, რომელიც მამასთან ერთად
პინსკში სულ რაღაც ორიოდე თვის გადმოსახლე-

ბული იყო, საღამოს რეალური სასწავლებლიდან შინ არ დაბრუნებულა. ცამ ჩაჰყლაპა თუ მიწამ, კერ გაიგეს. მეორე დღეს პოლიციიდან მოვიდნენ და მოწაფეები ცალ-ცალკე დირექტორის კაბინეტში დაგვითხეს. არავინ არაფერი იცოდა. ბავშვის კვალს კერც მომდევნო დღეს მიაკვლიეს და უკვე ხმები დაირხა, რომ იგი ებრაელებმა შეიპყრეს, რათა მისთვის პასექის დღესასწაულისთვის გამოსაცხობ მაცაში აუცილებლად გასარევი ქრისტიანი ბავშვის სისხლი გამოეწოვათ. ჯერ მშობლები დაფრთხენ, მერე დიდებს ბავშვები აჰყვნენ და ხუთშაბათს გაკვეთილზე სულ ექვსი მოწაფე გამოვცხადდით. ქალაქში ცუდმა მოლოდინმა დაისადგურა. მუშათა უბანი დუღილს იწყებდა, მაგრამ ჯერ კიდევ თოკავდა ემოციებს. დიდმარხვის მადლს აღვირით მაგრად ეჭირა მოარულ ხმებს აყოლილი ადამიანების აგრესია და ზღვრის გადალახვის საშუალებას არ აძლევდა. დაძაბული იყო ჩვენი სამეზობლო, სადაც ძირითადად ებრაელთა თემი ცხოვრობდა. მათ განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეს, ქრისტიანები ზედმეტად რომ არ გაედიზიანებინათ, მთელი ეს დღეები მაცას ცხობა შეაჩერეს. პარასკევს კი ყველაფერი გაირკვა. ვოვასთვის, ქმართან გაყრილ, თავის დედას ჩამოუკითხავს და მამისგან დაუკითხავად წაუყვანია.

პატარა ძებნილი, დედასთან ერთად, სმოლენსკის ვაგზალზე შეუპყრიათ.

ქალაქის ორივე ნაწილმა შეებით ამოისუნთქა.

მაცაში გასარევი ქრისტიანის სისხლი თუ ხამეცი



პასექის წინა დღეს, 2 აპრილს, კვირას ჩვენს სახლში დიდი ფუსფუსი იყო. თემის კაცები დილიდან მოვიდნენ და ფანჩატურში, თეთრი კირით შედებილ ღუმელში, მაცას ცხობას შეუდგნენ. ეს იყო განსაკუთრებული დღე, როდესაც დედამ თავის სამფლობელოში უცხო ადამიანები შეუშვა. იგი ისე განიცდიდა ამ ამბავს, რომ სახლში ვერ გაჩერდა და სადღაც წავიდა.

მცხობლებს და სხვა მეზობლებსაც ნაჭერშემოხეული შტოფები, ბოთლები, მოწნული ბოცები

მოპქონდათ და საკუჭნაოში ალაგებდნენ. მამა მათ კაპიკიანებს აძლევდა, ისინი კი: საბოლოო ფასზე დღესასწაულების შემდეგ მოვრიგდებითო, – ეუბნებოდნენ. ამგვარ ქცევაში იყო რაღაც რიტუალური, უცნაური და საიდუმლო.

საღამოს მიმოსვლა შეწყდა; მამა ქარხანაში წავიდა. დედა, როგორც იქნა, დამიბრუნდა.

– დე! რაღაც უნდა გკითხო და ნუ გამიბრაზდები.

– გისმენ, შვილო.

– დე, დღეს რამდენიმე მეზობელმა სხვადასხვა ზომის რაღაც სითხით საგსე ჭურჭელი შემოიტანა ჩვენს საკუჭნაოში. ქუჩიდან ეზოში რომ შემოდიოდნენ, სულ აქეთ-იქით იყურებოდნენ, თითქოს ვიღაცას ემალებოდნენ. მერე მამამ ერთი ბოთლი აიღო, მაცის გამოსაცხობად მოსულ კაცებს მიუტანა და: გამოგადგებათო, – უთხრა.

– მერე რა?

– დე! მე მგონი იმ ჭურჭელში ქრისტიანი ბავშვების სისხლია მაცაში გასარევად.

გაშლილი მტევანი ხელუკულმა ძალიან მწარედ მომხვდა.

– წამოეთრიე, შენი დასამიწებელი თვალებით უნდა განახო ის სისხლი, – ხელი ჩამავლო და საკუჭნაოსკენ წამაჩაქჩაქ.

ბნელ ოთახში სხვადასხვა ფერის ნაჭრებში გახეულ ჭურჭელს ჭრაქის შუქზე ძლივს მივაგენით. მამას მეზობლების მიერ მოტანილი შტოფ-ბოთლ-

ბოცები მარჯვენა კუთხის ქვედა თაროს სიღრმეში შეელაგებინა და წინა მხრიდან კარტოფილის ტომრები მიეფარებინა. დედამ ჭრაქი შემომაჩეჩა, ტომრები გამოალაგა და პირველივე ხელში მოყოლილი შტოფი აიღო; ჭრაქი მარცხენა ხელით გამომართვა და მარჯვენაში მაღლა აწეულ შუშის ჭურჭელს მიანათა, რომელშიც წყალწყალა რძის-ფერი სითხე ესხა – თვითნახადი არაყი.

– ხედავ, თურმე რა ხდება?

– ვხედავ.

– მეც რა სულელი ვარ. რა უნამუსო კაცია?! ხამეცი სახლში როგორ შემოიტანა?! წამო, შვილო, შენ რადას გერჩოდი?

დედამ მიამბო ებრაელთა ერთი მეტად უცნაური და ჭკუის სასწავლებელი ტრადიციის შესახებ. იუდეველთა კანონების მიხედვით, ამ თემის წევრებს ევალებათ პასექის დღესასწაულის დადგომამდე სახლში იპოვონ და გადაყარონ ან დაწვან ხამეცი ანუ მოხაშული (დამჟავებული) მარცვლეულისგან დამზადებული პროდუქტები, თუნდაც ჩვეულებრივი პური. თუმცა ყოფილა გამონაკლისიც. ებრაელებს აქვთ უფლება, ღირებული ხამეცი მიჰყიდონ არაებრაელს. ამგვარ ღირებულ პროდუქტად ითვლება ხორბლის და სხვა მარცვლეულის არაყი. ებრაელი უკავშირდება არაებრაელს და ვითომ მიჰყიდის მას არაყს ფასად, რომლის განსაზღვრაც მოხდება დღესასწაულის შემდეგ. მხოლოდ ეგრეთ წოდებულ მყიდველს სოხოვენ წინასწარ გადაიხადოს სიმბოლური თანხა. პასექის შემდეგ კი ხდება ხამეცის გა-

მოსყიდვა. ანუ ეს ერთგვარი გარიგებაა, რომლის მიზანია ებრაელმა თან არ დაარღვიოს იუდეველების კანონი, თან შეინარჩუნოს თავისი ქონება, ამ შემთხვევაში არაყი.

შარშან ჩვენს მეზობელ ებრაელებს თავისი ძვირფასი ხამეცი ამგვარი ხერხით გადაუციათ ერთ-ერთი ახალმოსახლე მუშისთვის, რომელსაც თავიდან სარფიანი პირობები შემოუთავაზებია, მაგრამ მიბარებულ-ნაყიდი არაყი თვითონაც ბლომად დაულევია და დანარჩენიც იაფად მიუყიდია თავისი თანამეინახეებისთვის. შარშანდელი შეცდომით ჭკუანასწავლ მეზობლებს წელს თავისი არაყი მამაჩემისთვის მოუბარებიათ. მივხვდი, დედა მამაზე იყო გაბრაზებული, დაუკითხავად არაყი რატომ შემოიტანა საკუჭნაოშიო და, სილის გაწნით, ჯავრი ჩემზე იყარა. ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ გადიზიანების ნამდვილ მიზეზს ვერ ვაცნობიერებთ და რისხვას სულ სხვა ადამიანს დავატეხო თავს. თუმცა რა შუაშია რისხვა და დედის ხელი? ამას წინათ პარიზში, ლუქსემბურგის სასახლეში სენატის სხდომაზე ერთი ამბავი ამტკდარა მშობლების მიერ საკუთარი შვილების ცემის ფაქტების გახშირების გამო. იქაურ პრესასაც მეტი რა უნდოდა და გამოაცხვეს სტატიები ბავშვთა უფლებების დასაცავად. აქაოდა, ბავშვის ცემა ძალადობაა და მოძალადებმა ანუ დედ-მამამ კანონის წინაშე სრულად უნდა აგონ პასუხიო. საით მიექანება ევროპული დემოკრატია?! არადა, რა სიბრძნეა ჩვენებურ გამოთქმაში: გცემს? – ესე იგი უყვარხარ! ვჲ! ევროპელების არ ვიცი, მაგათ რას გაუგებ? მე კი, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მენატრება დედაჩემის გაშლილი ხელის მტევნის გემო და რას არ მივცემდი, ლოფაზე ნაცნობი,

ოდნავ მწველი, მაგრამ საამო სიმურვალის კიდევ ერთხელ განსაცდელად?!

პასექის პირველი დღე პინსკის იუდეველთა ოემმა მოკრძალებულად, ჯერ სინაგოგაში გრაგნილის კითხვით და შემდეგ ოჯახურ წრეში მშვიდად, აღნიშნა. დანარჩენმა დღეებმაც, ალბათ იმიტომ რომ მართლმადიდებლები ვნების კვირაში ზედმეტად არ გაედიზიანებინათ, უივილ-ხივილის გარეშე ჩაიარა და მოვიდა აღდგომის დღესასწაული ქრისტიანებისთვის, ხოლო პასექის მეშვიდე ანუ უქმე დღე – ებრაელებისთვის, როდესაც ზეიმმა თავის კულმინაციას მიაღწია.

დილით ჩვეულებრივზე ადრე გამედვიძა. ოთახში უკვე ცხელოდა, მშობლებს ღუმელი დაენთოთ, სუფრა გაეშალათ და ჩურჩულით საუბრობდნენ.

- ქრისტე აღსდგა! – დავასწარი ყველას.
- ჰეშმარიტად აღსდგა! – მამამ ჯამიდან ორი წითელი სააღდგომო კვერცხი აიღო, საწოლს მოუახლოვდა, ერთი მე გამომიწოდა, – აბა დაარტყი!

ჩემი კვერცხი გატყდა.

დედა მოვიდა, შუბლზე მაკოცა.

- გილოცავ, ჩემო ბენონი! ათი თვეც და მომავალი წლის 8 თებერვალს ცამეტი წლის, ზრდასრული ადამიანი გახდები. საბოლოოდ მაშინ გადაწყდება ყველაფერი, – მიუხედავად დღესასწაულისა, დედა ძალიან სერიოზული ჩანდა. – დღეს დილიდან მამაშენის განკარგულებაში ხარ, საღამოს მოგაკითხავ და ჩემთან წაგიყვან.

აღლომა, პასექის მეშვიდე დღე და შავი ქაღლუბის ხროვა

მართლმადიდებლურ ეკლესიასთან ზღვა ხალხი ირეოდა. ტაძარში შესვლაზე არც უნდა გეოცნება; იქ ჯერ კიდევ ლიტანიობიდან დარჩენილი ადამიანები გამაგრებულიყვნენ. წირვა დასრულდა და გახსნილდა.

დაიწყო!!!

სვამდნენ ყველგან, ყველასთან და ყველანი. მამამ ეკლესის ეზოში თავისი ნაცნობები იპოვა და ბარაკების უბნისკენ წავედით. იქ მოედანზე დიდი მაგიდა გაშალეს, მიუსხდნენ და ქიფიც გაჩადდა. მოხარული კვერცხის და სააღდგომო ნაცნევრით გული რომ ვიჯერე, მერე იქაურ თანატოლებს შევუერთდი. მოედანზე შეკრებილი ხალხი მდეროდა, ცეკვავდა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა დათვის საკმაოდ მოზრდილი ბელი, რომელიც პატრონს კუდში დასდევდა და შიგადაშიგ ბოთლიდან ლუდს მიირთმევდა. მახსოვს დათუნიას ეს გატაცება იქ შეკრებილი პუბლიკის ტაშს იმსახურებდა.

პირველი უსიამოვნებები სადამოსკენ დაიწყო. როგორც მერე გავიგე, აი რა მომხდარა: ბარაკების უბანში სასმელის მარაგი იმ დროისთვის ამოიწურა. მოელ პინსკში დუქნებს, სასურსათო მაღაზიებს და დახლებს ებრაელები ფლობდნენ. პასექის დღესასწაულის ბოლო მეშვიდე-მერვე უქმე დღეები კი ქრისტიანულ აღდგომის დაბინდე-

ბიდან დგებოდა, რის გამოც იუდეველებს მუშაობის უფლება არ ჰქონდათ და ხალხს უკვე მხოლოდ ამ დაწესებულებებში დაქირავებული არაებრაელები ემსახურებოდნენ. ამათაც, არახამეცი სასმელი სრულად რომ გაყიდეს, გაღდაწყვიტეს, პატრონებისგან დროებითი გამოსყიდვის წესით შეძენილ მარცვლეულის არაყზე ისეთი ფასი დაედოთ, რომ რეალურ მესაკუთრებსაც მოგება ენახათ და ოვითონაც კმაყოფილი დარჩენილიყვნენ. იხუვლა ხალხმა: არიქა, ურიებმა არაყი ხელოვნურად გაგვიძვირესო. მთვრალმა ბრძომ ჯერ მუშათა დასახლებაში არსებული დახლები და დუქანი დაარბია და ქალაქის სხვა უბნებისკენაც დაიძრა. პოლიცია იძულებული გახდა, დასახმარებლად უანდარმერიის გარნიზონი გამოეძახებინა. აღმოჩნდა, რომ საადდგომოდ ჯარისკაცთა და ოფიცერთა დიდი ნაწილი შვებულებაში იყო, მაგრამ, საბეჭინიეროდ, არსებული ძალებითაც მოხერხდა სერიოზული არეულობების თავიდან აცილება. ბინდის ჩამოწოლამდე ქალაქში წესრიგი სრულად აღდგა. დაკავებული მუშები მალევე გაათავისუფლეს და უანდარმოთა რაზმებიც ყაზარ-მებში დაბრუნდნენ.

არეულობა დაიწყო თუ არა, მამამ თავისი ნაცნობი მუშის ბინაში მიმიყვანა და დიასახლისს ჩამაბარა. ჩემთვის დღესაც უცნობია, როგორ, რა მანქანებით მიპოვა დედამ, მაგრამ ასეთი აღელვებული, თმაგაწერილი მე იგი არასოდეს მინახავს. სიტუაცია ჩაწენარდა თუ არა, დედამ მასპინძლებს მადლობა გადაუხადა, ხელი მაგრად ჩამჭიდა და ასე ვიარეთ სინაგოგამდე, სადაც შეკრებილ ადამიანებს შეშფოთება კი ეტყობოდა, მაგრამ, ბარაკების უბნის მცხოვრებლებთან შედარებით, მშვი-

დად იყვნენ. ეს მაინც ქალაქის შორეული გარეუ-
ბანი იყო და მდელვარებას აქამდე არ მოუღწევია.

სისხამ დილით ადგომამ, სასიამოვნო და უარყო-
ფითმა ემოციებმა, მთელი დღე აქეთ-იქით წან-
წალმა, სადამოს მკვეთრად გაძლიერებულმა ყინ-
გამ დამდალა და ზეზეულად მეძინებოდა. დედის
თვალს, აბა რა გამორჩებოდა?! აქაური თავყრი-
ლობა კიდევ დიდხანს გაგრძელდება, შენ ვერ
გაუძლებ და წამო, სახლში წაგიყვანო.

— დე, უპვე ბავშვი აღარ ვარ, მარტო წავალ,
არაფერი მიჰირს.

— არა, ასე არ გამოვა. ხომ ხედავ, რა არეული
დღე იყო. სახლამდე მიგაცილებ და გულიც მშვი-
დად მექნება, — ჯუბაჩის საყელოზე შემოკრული
ყელსაბამი გამისწორა, ხელი მაგრად ჩამკიდა და
სახლისკენ წავედით.

ქუჩაში ჩვენი მეზობელი იოშაფათის გარდა არა-
ვინ შეგვხვედრია. ამ კაცმა ერთ მშვენიერ დღეს
ხმები დაყარა, სიზმარში ანაფორიანი მოჩვენება
გამომეცხადა და შინაგანი ორგანოების სამკურ-
ნალო წამლის რეცეპტი მიკარნახაო. მერე მთელი
თვით ჭაობებში დაიკარგა, იქიდან ზურგზე ტომა-
რამოკიდებული დაბრუნდა და რაღაც ბალახების-
გან ნახარშის დამზადება დაიწყო. სულ მალე მის
სახლთან უცხო ქალების და კაცების რიგი დად-
გა. მათ შორის ყოველთვის იყვნენ ერთი ხეიბარი
კაცი და მოხუცი ქალბატონი, რომლებიც დაუზა-
რელად ყვებოდნენ დაუჯერებელ ისტორიებს
უკურნებელი სენის დამარცხების შესახებ. მერე
და მერე, მომსვლელთა რაოდენობა გაიზარდა,

იოშაფატმა თანაშემწები აიყვანა და ცხოვრებაც მოიწყო. დედაჩემი კი სულ ამბობდა, ამის მოხალული მზესუმზირა არ იჭმევა და ეს ხალხი მის დამზადებულ წამალს ავადმყოფებს როგორ ას- ქევსო!?

ჩვენს ეზომდე ორმოცდაათიოდე ნაბიჯი რჩებო- და, ქარმა ღრუბლები რამდენიმე წამით გაფანტა და მილევადი მთვარის პატარა ნაჭერი გამოჩნდა. გული მომეცა, გავჩერდი, დედას ხელი გამოვტაცა:

- ახლა მაინც გამიშვი. ხომ ხედავ, წინ არავინაა? მე კი სიბნელის არ მეშინია.
- რადგან არ იშლი, აჲა, მიდი!

ოციოდე ნაბიჯი გადავდგი, მოვიხედე და დედა ვერ დავინახე. არ ვიცი, ეს ნისლი საიდანდა გაჩნდა. ალბათ ჩვენ მოგვდევდა. კარგად დავაკ- ვირდი და თეთრ ბურუსში ადამიანის ფორმის ლურჯი გამოსახულება შევამჩნიე, რომელიც თითქოს ხელს მიქნევდა და მემშვიდობებოდა. ნისლი ისე სწრაფად მოძრაობდა, რამდენიმე წამ- ში ეს აჩრდილიც შთანთქა. უცემ ბურუსი შუაზე გაიპო, გზა განათდა. დედა იდგა და იღიმოდა. სა- სიამოვნო გრძნობა დამეუფლა, ჰაერში შევხტი და გახარებული სახლისკენ გავიქმეცი. ზურგს უკან ქოშინის ხმა მომესმა; თავის მარჯვნივ ოდნავ მო- ბრუნება მოვასწარი; შავი ძალლების ხროვამ სწრაფად ჩამიქროლა და, უიდრე ჭიშკრამდე მი- ვირბენდი, ჩემს წინ მოსახვევში თვალს მიეფარა.

კულიანების ღამე, დაპირი ბენ უმუელ ვრიღვანი ღა პობა ჯუღაშვილი

ეზოში ჩვენი ბებერი კატა არ მომგებებია. იგი სახლის კარებთან იწვა, თავი მაღლა აეწია, ცაზე რაღაც წერტილს მიჩერებოდა. გულმა რეჩხი მიყო. ვიცოდი, ცხოველები თუ უცნაურად იქცევიან, ცუდ ამბებს უნდა ველოდოთ.

ჩვენი ღუმელი დიდხანს ინარჩუნებდა სიობოს, ამიტომ ოთახში არ ციოდა. მაგიდაზე ოდნავ მბჟუტავი ლამპა, ეტყობა, დედას დარჩა. ალბათ, დაუწია, სული შეუბერა და ეგონა, რომ ჩააქრო. გავიხადე, დამის პერანგი ჩავიცვი და, ვიდრე დავწვებოდი, საწოლის ქვეშ შევიხედე, ისე ყოველი შემთხვევისთვის. დარწმუნებული ვიყავი, ასე უფრო მშვიდად და მაღე ჩამეძინებოდა. სანამ სიზმრების სამყაროში გადავინაცვლებდი, ერთი აზრი ამეცვიატა: დღეს დედას ლამპა რატომ უნდა აენთო? მუშათა ბარაკში რომ მომაკითხა, ჯერ კიდევ დღის შუქი იყო. მაშინ რას ვიფიქრებდი, რომ ამ კითხვაზე პასუხის მიღებას წლები დასჭირდებოდა?!

საწოლში პირადმა ვიწექი. თავი ოდნავ მარჯვნივ გადამეხარა. მიუხედავად იმისა, რომ ოთახში ბნელოდა, ყველაფერს, რაც თვალთახედვის არეში ხვდებოდა, მკაფიოდ ვხედავდი. ავეჯი და ნივთები თავის ადგილზე იყო. ლურჯი მაღალთეორსაყელოიანი კაბა ეცვა; ფანჯრის მხრიდან მიახლოვდებოდა გაშლილი ხელებით; იქუხა და შემდეგი იელვა; მის ზურგს უკან უზარმაზარი შავი

ჩრდილი გამოჩნდა; სადღაც ყვავმა დაიხსავდა. ლურჯკაბიანი საწოლთან დაიხსარა. უკვე ნათლად გხედავდი დედას. იცოდა ხოლმე მძინარესთან მოპარვა და ჩუმად შუბლზე კოცნა. ვცადე, საბნიდან ხელები გამომეტო და ჩაგხუტებოდი, მაგრამ ვერ გავინდერი. მოულოდნელად სახე დამწვრობის ბუშტუკებით დაეფარა, თვალების ადგილზე ღრმა შავი ორმოები გაუჩნდა; შემეშინდა, მერე მივხდი, ეს ყველაფერი სიზმარში ხდებოდა. აბა, ჯერ ქუხილი და შემდეგ ელვა სად გაგონილა? სინათლე ბევრად უფრო სწრაფად მოძრაობს, ვიდრე ბგერა. რაღგანაც დაგრწმუნდი, სიზმარს ვხედავდი, გულზე მომეშვა, მაგრამ ამასობაში ლურჯი მოჩვენება ყველში მწვდა და მახრჩობდა; კვლავ ვცადე ხელების გამოთავისუფლება, არც ამჯერად გამომივიდა რამე. აჲა, ესეც სიზმრის გაგრძელებაა, გამინათდა გონება, თუმცა უკვე სუნთქვა შემეკრა, თვალთ მიბნელდებოდა, მეტის მოთმენა ადარ შემეძლო, მთელი სხეული გამიშეშდა, ვიგუდებოდი და, ღვთის წყალობით, მხესნელი იდეა გამიჩნდა. ახლა ვცადე, მარცხენა ხელი როგორმე გამომეთავისუფლებინა, კედელზე ბრაგუნი ამეტესა, რომ ნამდვილ დედას გაეგო და ვეხსენი კოშმარული სიზმრის ტყვეობიდან. გონება მუშაობდა, სხეულის კუნთები – არა. უკვე ყველა იმედი გადამეწურა, რომ საწოლში მარჯვენა გვერდზე გადმოგმბრუნდი და თვალები გავახილე. ახლა უკვე ცხადად მეღვიძა. დედას დამფრთხალი სახე პქონდა:

– შვილო, კარზე უცხო კაცი აკაპუნებს. თქვენმა ქმარმა გამომგზავნა, სასწრაფო საქმე მაქვსო, – იძახის. ფანჯრიდან გავიხედე და ეზოში კიდევ ორი აჩრდილი დაგლანდე. გული მიგრძნობს, რაღაც ცუდი ამბავია ჩვენ თავს. ადექი, სამალაგში

შეძვერი და, რაც არ უნდა მოხდეს, შენი ხმა არ გავიგო.

— დე, ცუდი ამბები მეზმანა, ეტყობა ეს ლამე მოჩ-ვენებებისაა.

— დადლილზე იცის ცუდი სიზმრები. ნუ ზოზინობ, ეს გადასაფარებელი მოისხი და სწრაფად სამალავში, — დედამ კარადის კარი გამოაღო და ფსკერის ქვეშ მოწყობილ საიდუმლო სივრცეზე დაფარებული შენიდბული ხუფი ამოსწია. იქ ერთი ადამიანი თავისუფლად თავსდებოდა.

— თუ მართლა საფრთხე გვემუქრება, მარტო არ დაგტოვებ!

— ბენონი, შვილო, ეს ის შემთხვევაა, როდესაც არჩევანი ცუდსა და უფრო ცუდს შორის უნდა გავაკეთოთ. უფრო ცუდია თუ საფრთხე ორივეს დაგვემუქრება. ახლა შენი კარგად ყოფნა მეტად მნიშვნელოვანია. თანაც თუ ყაჩადები არიან, მძევლად გამოგიყენებენ, წამებას დაგიწყებენ და ამგვარად მაიძულებენ მათი ბრძანებები შევა-სრულო. ჩქარა, თორემ მოვიდა გაშლილი ხელი, — ეს უკანასკნელი ყველაზე ძლიერი არგუმენტი იყო. სამალავში ისე მოვეწყვე, რომ ჭუჭრუტანიდან, რომელიც საპაეროს ფუნქციასაც ასრულებდა, თოახში მიმდინარე პროცესები კარგად დამენახა.

დედამ საღამურზე ლურჯი ხალათი გადაიცვა; ქამარი წელზე შემოიჭირა, სარკეში ჩაიხედა, თმები ხელით გაისწორა, კარისკენ წავიდა და შემოაღო. მაგიდის გადასაფარებელი მეფარებოდა და ლამის სტუმარი ჯერჯერობით არ ჩანდა, სამაგიეროდ ყველაფერი მესმოდა:

- ქალბატონო, შემომიშვით, დღეს აღდგომაა, ურჯულო ხომ არა ვარ, ნუ გეშინიათ. როდემდე უნდა ვიდგე კარის ზღურბლზე?
- ჯერ გამაგებინეთ, ჩემი ქმარი ცოცხალია თუ მკვდარი? სიმართლე მითხარით, არ მოგერიდოთ.
- ცოცხალია და ჯან-ღონით სავსე. სანაძლეო წაგაბე და დამევალა არაყი მივუტანო.
- ასე გეთქვა, კეთილო კაცო, გული რომ გამიხეთქე. არაყი! აბა ამ შუაღამეს მეტი რაღა უნდა თქვენს ძმას?! აქ დამელოდეთ. ოთახში არ გეპატიუებით, სახლში მარტო ვარ. ვინმე რომ მოვიდეს და უცხო კაცი დაინახოს, სირცხვილია.

დედა კედელთან მიდგმულ ჩექმებს მიუახლოვდა, ერთ-ერთში ხელი ჩაჰურ და გადამალული კვარტი თვითნახადი ამოაძრო. ამასობაში დაუპატიუებელი სტუმარი ზურგიდან მიადგა. შავი ტყაპუჭი ეცვა და ბეწვის ყურებიანი ქუდი ეხურა. ვიცანი. ეს მსუქანი კაცი მამას კომპანიას საღამოს შემოუერთდა და სულ გაიძახოდა: მე თქვენ ყველას პატივს გცემთო. ჯერჯერობით საშიში არაფერი იყო.

- ცოტაა, ქალბატონო, ძალიან ცოტაა! — გამოართვა დედას კვარტიანი და შეანჯლია.
- რაღა ცოტაა, ლიტრზე მეტია.
- ეს გზაშიც არ მეყოფა.
- დაგილევია? მოინელე. აიდე, რასაც გაძლევენ და წადი, საიდანაც მოსულხარ.

— ქალბატონო, უხეშობა რა საჭიროა? უბრალოდ მითხარით, სად ინახავთ ურიების თვითნახადს? წავიდებ და წავალ ჩემს გზაზე. მე — ჩემთვის, თქვენ — თქვენთვის! არ გიცნობ, არ მიცნობ. მე მე არა ვარ; ეს ცხენიც სხვისია; ჩემი ქოხი კიდისაა, ცოდნით კი არაფერი ვიცია!

— შენცა ხარ რა?! რა ლექსების კითხვა აგიტყდა. ხომ ხედავ, ეს ძუკნაც ურიაა. ამათ თუ თავში არ ჩასცხე, ვერაფერს გააგდებინებ, — იღრიალა უცნობმა.

სტუმრები უკვე ორნი იყვნენ. ესე იგი, ერთი გარეთ დარჩა.

ლამპით განათებულ ოთახში ყველაფერი კარგად ჩანდა, თორემ ცუდ ხილვადობას დავაბრალებდი ახალი დაუპატიუებელი სტუმრის ამგვარ შესახედაობას. უცნაურად ეცვა. კონუსისებრ ნაცრისფერ მოსასხამზე დიდი შავი ჯვარი იყო ამოქარგული, ხოლო სახის ადგილზე ქათქათა თეთრი ცხენის თავის ქალა ჰქონდა. პირველი სტუმარი დედას მიუახლოვდა და ხელი სახეში გაარტყა. მუცლის არეში ტკივილი ვიგრძენი.

— ნელა, ბიჭო, ქალი არ დაამახინჯო. ვერ ხედავ რა ლამაზი ურიაა?! მოდი, ჯერ ვიხმარ და მერე რაც გინდა უქენი, — ამ სიტყვებით ცხენისთავის ქალიანმა მეგობარი გვერდზე გასწია და დედას წელზე მოხვია ხელი.

— ეგ არ გააკეთო, ხომ იცი, ვისი ცოლია?! — იყვირა ტყაპუჭიანმა მსუქანამ.

— შენ ვინ გეგითხება, ძაღლის შვილო, როცა არ გტყნავენ — ნიფხავს ნუ იხდი! იმას ასეთი, მე რომ ვიცი ისე, კიდევ, სულ ცოტა, სამი ჰყავს. მისგან რა მიდის?! არაფერი დააკლდება.

გულმა ბაგაბუგი დაიწყო, სუნთქვა გამიხშირდა, მუხლები ამიკანკალდა და თითქოს გადაგწყვიტე დედის დასახმარებლად სამალავიდან გამოვსულიყავი, რომ:

— მოდი, საყვარელო, თუ ამ სიკეთეს მიპირებ, უარს შენნაირ ნამდვილ მამაკაცს როგორ გეტყვი. გავითანგე თქვენი ჭირიანი მმაკაცის ხელში. მოდი, მაგრძნობინე ქალობა.

თვალებს არ ვუჯერებდი. ის ურჩხული თავისკენ მიიზიდა და ასე ერთმანეთს ჩაკონებულები მაგიდასთან აღმოჩნდნენ. დედა ზურგზე გადაწვა და ხელები გაშალა; ურჩხულმა მოსასხამი მკერდამდე აიწია, ქამარი შეისხნა, საზიზდარი მუცელი გაუშიშვლდა, დედას ფეხები ააწევინა და ზემოდან დააცხრა.

ტკივილი ახლა გულში ვიგრძენი და ოფლმა დამასხა. ვგრძნობდი, ცოტაც და გონებას დავგარგავდი, რომ კაცის საშინელი ბლავილი გაისმა:

— მომკლა! მომკლა ამ შობელძაღლმა! — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

თვალი ვკიდე, როგორ გადმოუცვივდა გაფატრული მუცლიდან ნაწლავები; წელებს დიდი ფაშვიც მოჰყვა; წამიც, მოსასხამი ჩამოიშალა და ეს საშინელი სანახაობა დაფარა. კაცი ჯერ ჩაიკეცა, შემდეგ კი მოწყვეტილი უკან გადავარდა.

— ახლა შენ მოდი, მსუქანა. შენც ხომ ნამდვილი მამაკაცი ხარ? . . მშვიდად იყავი, საყვარელო! — დედას ხელში პურის საჭრელი დანა ეჭირა, რომლისგანაც სისხლის და ქაქის თხელი, ერთმანეთში აზელილი მასა იატაკზე წვეთავდა. მისი თურმე უკანასკნელი ფრაზა: “მშვიდად იყავი, საყვარელო!”— მე მეხებოდა.

ყველაფერი გამეყინა და გავშეშდი. არც ერთი კუნთი არ მემორჩილებოდა. სული სხეულს დაშორდა და სამალავიდან გამოვიდა. მოვიხედე და დავინახე საზიზდარი, მოკრუნჩეული თორმეტი წლის ცხვირმოუხოცავი ლაწირაკის ცივ ოფლსა და საკუთარ თბილ ფსელში მცურავი სხეული. მივხვდი, რომ ეს მე ვიყავი. ახლა გასაჭირები ჩავარდნილი ამ გვამის მიტოვება არაფრით შეიძლებოდა და ამიტომაც დავუბრუნდი, თუმცა მასზე კონტროლი გერაფრით აღვადგინე. ყველაფერს ვხედავდი და ყველაფერი მესმოდა, მაგრამ ისე, თითქოს ეს ამბები სხვის თავს ხდებოდა.

ნაჯახმა დედას შუბლი შუაზე გაუპო. იქიდან ტვინის პატარა ნაცრისფერი მასა გამოიბურცა, რომელიც იმავე წამს გადმოღვრილმა სისხლმა გააწითლა. მისი სხეული იატაკზე დაეხარცხა. დედა აღარ მყავდა. რატომდაც ადრეც მიფიქრია, მისი სიკვდილის შემთხვევაში რა მოხდებოდა? მაშინ მეგონა, რომ თუ ეს უბედურება შემემთხვეოდა, რაღაც აქამდე უცნობი, გადაულახვი, ტკივილისმომგვრელი გრძნობა დამეუფლებოდა. ახლა კი წყენა ვიგრძენი. დედის გარდაცვალება უბრალოდ მეწყინა და თანაც გულის სიდრეში მასვე გავუბრაზდი, რომ ეს ტრაგედია ვერ ამარიდა.

ყურებში მიბზუოდა, მერე თითქოს ვიღაცამ სასტკენში ჩაბერა და ლამის სასმენი აპკი გამისკდა. ინათა, იქუხა და მსუქანაც დაეცა. იარალის ჩხაკუნის ხმები გაისმა. იქითკენ გავიხედე მამას ორივე ხელში გადაჭრილი თოფები ეჭირა. სახეზე აღელვება არ ეტყობოდა. მშვიდად მიუახლოვდა გაშხლართულ მსუქანას, შუბლზე დაადო ლულა და კიდევ ერთხელ იგრიალა. იგივე რიტუალი შეასრულა მოსასხამიანის შუბლზეც. ესეც მესამე, — გავიფიქრე და გამახსენდა დედაჩემის ნათქვამი: “ფანჯრიდან გავიხედე და ეზოში კიდევ ორი აჩრდილი დაგლანდე.”

მამა შუა ოთახში იდგა. ერთი თოფი მოისროლა, მეორე კიდევ ერთხელ გადატენა და საფეოქელთან მიიღო. მივხდი, თუ ახლა სასხლეტს თითს დააჭერდა მხედველობის და სმენის უნარსაც დაგვარგავდი. არ გაუსვრია. თოფი დაუშვა და კარადისკენ წამოვიდა. აქ ვეგულებოდი. ახლოს რომ მოვიდა, მის უკან განათდა, თითქოს ნათელი დაადგა. კარადასთან მუხლებზე დაეშვა. მივხვდი, ბოდიშს მოხდას აპირებდა, თვალი თვალში გამიყარა, “მაპატიეო”, მითხრა და პირიდან სისხლი გადმოარწყია. ქუხილის ხმამ მხოლოდ ახლა მოაღწია ჩემამდე. მამა გვერდზე გადაწვა და აღარ განძრეულა. თავზე თოფიანი ცხენისთავისქალიანი ურჩეული ადგა. მან ჯერ თავის ქალა მოიშორა, მერე კონუსისებრი თავსაბურავი და ვიცანი. ეს ადამიანი მუშათა დასახლებაში ჩემი დღევანდელი მასპინძელი ქალბატონის ქმარი იყო. გამიხარდა მისი ნახვა. დედა, როგორც ყოველთვის, მართალი აღმოჩნდა: კართან მდგარ კაცს თან ორი აჩრდილი ახლდა, რომლებიც ეზოში იმალებოდნენ. ჩემთვის ყველაზე მთავარი კი ის იყო, რომ მათგან

ერთ-ერთი მოჩვენება მამა არ ყოფილა. უცნაურია, მაგრამ შვება ნამდვილად ვიგრძენი. მაშინათვე, ალბათ რომ არ დამვიწყებოდა, გონებაში გავი-მეორე დედის უკანასკნელი ფრაზა: “მშვიდად იყა-ვი, საყვარელო!” და მამის ბოლო სიტყვა: “მაპა-ტიქ!” ასე დავიწყე ჩემი უცნაური კოლექციის შე-გროვება.

უცნობმა ნაცნობმა ოთახში მიმოიხედა, მსუქანას გვამთან მივიდა, დაიხარა, არყის კვარტიანი ძლივს წაართვა მიცვალებულს, კბილებით საცობი ამოგლიჯა, გადმოაფურთხა, ბოთლი მიიყუდა და კარგა ხანს ყლურწავდა. მერე ერთი გულიანად ამოიხვენეშა და გინებაც ამოაყოლა:

— თქვენი დედაც! დირდა ეს ყველაფერი ურიების არყის ფასად?! მართალი ყოფილა დედაჩემი, ყვე-ლა უბედურების სათავე თვითნახადიაო რომ ამ-ბობდა. სვით ახლა წვიმის ტალახიანი ნაჟური და მიატანეთ შავი მიწა, — ლამპა აიღო, დაახეთქა. ცეცხლი იატაქს მოედო, მისწვდა მაგიდის გადა-საფარებელს, კარგად აგუზგუზდა და თანდათან მიახლოვდებოდა. დამის სტუმარი არსად ჩანდა. გარედან შეშფოთებული ადამიანების ხმები მეს-მოდა:

— არიქა, ხანძარია! წყალი, წყალი. . .

კვლავ გაშეშებული ვიწექი სამალავში: კუნთიც არ მიკროოდა. იატაკი ჩემს წინ აალდა, კვამლი ჭუჭრუტანიდან შემოვიდა, უკვე ვერაფერს ვხე-დავდი, რომ დამახველა, რისთვისაც საჭირო ქვე-და ყბა და მუცლის კუნთები ამოძრავდა; მათ სხეულის სხვა ნაწილებიც აჲყვა, მარცხენა მხარი

ხუფს აგარტყი; წამოვდექი, კარადის კარი გავაღე, წინ გველაფერი იწვოდა; ცეცხლში გავაძიჯე, უკანა ეზოში გამავალ ფანჯარასთან მივირბინე და გადავხტი. წამოვდექი, უკან მოვიხედე: ფანჯრიდან ცეცხლის ენები უკვე სახურავისკენ მიიწევდა. ღობეს გადავევლე, მეზობლის სახლზე მიდგმულ კიბეზე ელვის უსწრაფესად ავცოცდი, სამერცხულიდან სხვენში გადავძევრი, იქ მოვკალათდი და ახლა აქედან ვადევნებდი თვალს ქვემოთ მიმდინარე მოვლენებს.

ადამიანები წყლით სავსე ქვაბებით, ვედროებით, გობებით დარბოდნენ, ყვიროდნენ, ვიღაცას ეძახდნენ. ერთი-ორჯერ ჩემს სახელსაც მოვკარი ყური, მაგრამ მე ეს ყველაფერი უკვე აღარ მაინტერესებდა . . .

დილით გვიან გამედვიძა. თვალი გავახილე, სამერცხულიდან გავიხედე. ჩვენი სახლის ადგილზე მხოლოდ გამურული ღუმელი იდგა ამაყად. ირგვლივ კი ყველაფერი ჯერ კიდევ ბოლავდა. უცნაურია, მაგრამ არც მციოდა, არც მწყუროდა, არც მშიოდა და საერთოდ არაფერი მაინტერესებდა. ისევ გავითიშე . . .

მივხვდი, რატომაც გავიღვიძე. ბებო, ჩემი განუმეორებელი ბებო გახლდათ ამის მიზეზი. მისი ხმა ძალიან ახლოდან ჩამესმა. ვიფიქრე, სხვენში მომაგნო, ახლა თავზე მადგას-მეთქი და სასწრაფოდ გავახილე თვალები. არა, ბებო აქ არ იყო, სამაგიეროდ, მისი საუბარი მკაფიოდ და ხმამაღლა მესმოდა. სამერცხულში შესანიშნავად ისმის ხმები. ბებო ღმერთს ელაპარაკებოდა:

— . . . შვილიშვილიც წაიყვანე, კი ბატონო, მაგრამ მისი გვამი მაინც მაპოვნინე, რომ მიწას მივაბარო, — მერე, როგორც ჩანს, ვიღაც ამქვეყნიურს მიუბრუნდა, — აი, ეს ადგილი გაწმინდეთ მორების და ფიცრების ნამწვავებისგან. აქ იდგა კარადა. შეიძლება იქ დამალეს ჩემი ბენონი. აი ეს მორი გადასწიეთ. . . აჲა, ეს უპვე კარადის ნაწილებია. . . ფრთხილად, მანდ უნდა იყოს. . . ხელი არ ახლოთ, მე თვითონ.

- არა, ქალბატონო, არაა ეს კარადის ნაწილები, ფანჯრის ჩარჩოს უფრო ჰგავს.
- აბა, ოდნავ მარჯვნივ ნახეთ . . .
- სულ გაგიუდა ეს საცოდავი, — გაისმა ჩურჩულით უცნობი ხმა.
- შვილიშვილს კი არა, მე მგონი ეგ საოჯახო ოქროულობას ეძებს, — ჩურჩულითვე უპასუხა მეორემ. — აი ეს კი ნამდვილად კარადაა. ვიპოვეთ, ქალბატონო.
- ჩემი ბენონი იპოვეთ?
- კარადის ჩონჩხი ვიპოვეთ.
- მეტის მოთმენა ადარ შემეძლო, სამერცხულში თავი გავყავი და დავიძახე:
- ბებო! აქ ვარ, ბებო! მანდ ნუ მეძებთ, აგერ ვარ ზემოთ!
- ასე სწრაფად მორბენალი ადამიანები მას შემდეგ არასდროს მინახავს. ბებოს დამხმარე მუშები სახლის ნამწვავებიდან ამოხეტნენ, ლობეს გა-

დაევლნენ და გაუჩინარდნენ. ბებოს ზღაპრებში ხდებოდა ასე: ცამ ჩაყლაპა თუ მიწამო, — იტყოდა ხოლმე.

— გმადლობთ, უფალო, თუნდაც ამ სახით რომ მანახე ჩემი იმედი და თვალის ჩინი, — ზეცისკენ აღმართა ბებომ ხელები.

სამერცხლიდან გამოვძვერი და კიბით დაშვება დავიწყე. ხელებზე დავიხედე, მივხვდი, რატომაც გაიქცნენ მუშები. ალბათ სახეც ასეთი გამურული მაქვს და ადამიანებს მოჩვენება ვგონივარ. ბებო არ გამიგიუდეს-მეთქი და აქედანვე გავამხნევე:

— მე ვარ, ბებო, ცოცხალი ვარ, ბებო! — უკვე ხმა ამიკანკალდა და ცრემლებიც წამსკდა . . .

მეორე დღეს ბებომ რაბინ დავით ბენ შმუელ ფრიდმანთან მიმიყვანა და იქ გადაწყვდა ჩემი ბედი. ბრძენმა კაცმა გულისყურით მოისმინა ჩვენი გასაჭირი და ბრძანა: ბავშვის მამა რუსი იყო, შესაბამისად რუსული გვარი აქვს; ჯერ ბარ-მიცვა არ ჩამიტარებია. იგი უნდა მოინათლოს მართლმადიდებლური წესით, რაც ხელს შეუწყობს, დაუბრკოლებლად გასცდეს განსახლების ფარგლებს და რუსეთის დიდ ქალაქებში დაეწაფოს ცოდნას, რათა მომავალში უკეთ შესძლოს სამშობლოს და ხალხის სამსახური. კურო ვისიც გინდა იყოს, ხმო მაინც ჩვენი იქნება. მის სწავლას და პანსიონში ცხოვრებას მე დავაფინანსებ. 15 აგვისტოდან მინსკის ვაჟთა გიმნაზიაში მიიყვანეთ. ფორმალობები უკვე მოგვარებული იქნება. პინსკის რეალური სასწავლებლის ხელმძღვანელს დაველაპარაკები და აქაურ საქმეებსაც ეშველება. ბავშვი სო-

ფელში წაიყვანეთ და იქ დაასვენეთ. ახლა მას დიდი სიყვარული და მოფერება სჭირდება.

გვ, ბებო, ჩემო საყვარელო, ბებო! რა იცოდნენ ტფილისელმა თაღლითებმა მე რომ დიდი სიყვარული და მოფერება მჭირდება, თორემ ასე ცუდად ხომ არ მომექცეოდნენ?

- ნება მიბოძეთ, წარმოგიდგეთ! კობა ჯუდაშვილი!
- გაისძა საკმაოდ ხმამაღლა.



თვალები ტფილისის ვაგზლის სკვერში გავახილე. წემს წინ იდგა ზაფხულისთვის სრულიად შეუფერებელ მუქ შარვალ-კოსტიუმში და თეთრ პერანგში გამოპრანჭული, აპრეხილულგაშიანი, შავშლაპიანი ახალგაზრდა კაცი და მარჯვენა ხელში ყალიონს ათამაშებდა. გუშინ საღამოს ელიზავეტპოლში მაგირებლის ვაგონში რომ ავდიოდი, იგი ტამბურში გამცილებელს ცხარედ ეკამათებოდა. ზრდილობის წესები გამახსენდა, წამოვხეტი:

- პატივი მაქვს . . . , - უნდა ჩამომეთვალა ჩემი რეგალიები, მაგრამ უცებ გამოვფხიზლდი, გამახსენდა, სად ვიყავი და რა ხალხთან მქონდა საქმე,
- უკაცრავად, ბატონო ჩემო, მაგრამ დაგაგვიანდათ. თქვენამდე უპვე კარგად გავიცანი აქაური ტრადიციები, რის შედეგადაც ამ წუთას უკაპიკოდ გახლავართ და ვერაფერში გამოგადგებით. ქედს ვიხრი ქართველების თავაზიანობისა და განსაკუთრებული ფხიანობის წინაშე, - შლაპა მოვუხადე და ასე გავეცალე პირში ჩალაგამოვლებულ მორიგ კავკასიელ თაღლითს.

ტფილისური ბაზარია, პუნქტი დე ლა სიტე, ზარმაცხების ხაში და აბ- ტრისა მარბარიტა

ტფილისის 1907 წლის რუკა პარიზის ბიუროში გვქონდა და იქვე შევიქმენი ზოგადი წარმოდგენა ამ ათი პოლიციური უბნისგან შემდგარი როულრელიეფიანი ქალაქის შესახებ.

კავკასიაში მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების შენობა მტკვრის გაღმა მარჯვენა ნაპირზე, მთაწმინდის ფერდობზე მდებარეობდა. რკინიგზის სადგურის სკვერიდან იქამდე ორიენტირებიც მონიშნული მქონდა. ჩემს წინ, ვაგზლის ქუჩის მარჯვენა მხარეს, მყარი შენობა იდგა, სადაც თბილისის მაზრის სამხედრო მეთაურის სამართველო იყო განთავსებული; ქალაქში ჩამომსვლელს უნდა უგრძნო, ვინ არის აქაურობის ბატონ-პატრონი. რუსული არმიის უძლეველობის ნიშნად ტფილისის რკინიგზის კარიბჭესთან აღმართული სტუმრის შემგებებული ნაგებობის სიმტკიცემ თავდაჯერებულობა დამიბრუნა; შემახსენა, აქ ხომ სახელმწიფო სამსახურის დავალებით ვიმყოფები. ამაში კი ჯამაგირს და სამივლინებო თანხებს მიხდიან. თანაც შანსი მაქვს, თუკი,

რა თქმა უნდა, არ დავიგვიანე, სახელმწიფო საბჭოს წევრის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო სიკვდილმისჯილი, სულ ცოტა, ერთი უდანაშაულო ადამიანი ვისნა ჩამოხრმობისგან. “რა უბედურებაა, აქაოდა კარაქით ფაფას ვერ გააფუჭებოდა, იმაზე მეტი ადამიანი დასაჯო სიკვდილით, ვიდრე დანაშაულში მონაწილეთა რაოდენობა?” – გავიფირე თუ არა, იმწამსვე მივხვდი, რომ ახლა თვითონ ვცდილობდი საკუთარი შეცდომის სხვების განკითხვით შემსუბუქებას; სახეზე სიწითლე მომაწვა; შემრცხვა; ეშმაკმა მაცდუნა, ცოდვა მონანიებული ჯობია, ვარფალამეიჩთან იმდენი არაყი არ უნდა დამელია. ადამის მოდგმისთვის დამახასიათებელი ეს სისუსტე, შესაძლოა, ვიდაცის სიცოცხლის ფასი დაჯდა, ხოლო ჩემმა ქვეყანამ ფული იზარალა. სახელმწიფომ ტყუილად, არავერში, წყალში გადაყარა პოლიციის დეპარტამენტის როტმისტრის ერთი, გუშინდელი, დღის ხელფასი, მე კი ეს თანხა პრაქტიკულად მოვპარე მას, ჩემს სამშობლოს. ასეა, როცა სამსახურში ხარ და არ მუშაობ, დამქირავებელს ფულს პარავ ანუ უბრალოდ ქურდი ხარ. ვითომ დიდად განვსხვავდები ახლა ტფილისელი ბაცაცებისგან, ვის მსხვერპლადაც მივიჩნევ თავს?

ჯიბეში “მოგებული” ხურდა ბლომად მქონდა, შემეძლო ეტლი ამეცანა და დანიშნულების ადგილზე მივსულიყავი; ამასობაში, სავარაუდოდ, ცხრა სათოიც გახდებოდა. თუმცა ქუჩიდან უსაბუთოდ მისულ კაცს საგანგებო განყოფილებაში ვინ მიმიღებდა?! გამოსავალი, რა თქმა უნდა, არსებობდა. ჩემი დავალების და პიროვნების შესახებ ცნობებს, მოთხოვნის შემთხვევაში, პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის

ხელმძღვანელი ტელეგრაფით რამდენიმე წუთში დაადასტურებდა, მაგრამ – აი კიდევ ერთი მაგრამ – კვლავ დროში სხვაობა! ტფილისში თუ ცხრა საათი ხდებოდა, პარიზში ამ დროს დილის ექვსი საათი იყო. ასე რომ, ეს ასოთხმოცი წუთი როგორმე უნდა გამეტარებინა. ვაგ ზლის ქუჩას ფეხით გავუყვარ. უცხო ქალაქში გასეირნება თავისთავა-დაც სასიამოვნოა და დამასხვრებული რუკით ორიენტირებაშიც გავივარჯიშებდი; მარჯვენა მხარეს თამბაქოს ფაბრიკა უნდა გამოჩენილიყო.

ხეზე ზურგით მიყრდნობილ ახალგაზრდა მამაკაცს დრო ვკითხე. გაკვირვებულმა შემომხედა და თავის ენაზე რაღაც მიპასუხა. ამ შემთხვევაში ყველაზე გამოსადეგი მუნჯურია. თაღლითების “ნაჩუქარი” საათი ამოვილე, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითოთ ზედ დავაკაკუნე. კიდევ უფრო გაოცებული სახე მიიღო; ახლა თავის საათზე მივუთითე. როგორც იქნა, მიხვდა, რა მინდოდა, ცი-ფერბლატზე დამახედა: ცხრას ათი წუთი აკლდა. მადლობა გადავუხადე და უნებლიერ მოძრაობით ჩემი საათი გავხსენი; იგი, რაც არ უნდა უცნაური იყოს, ზუსტ დროს აჩვენებდა, ანუ კარგად მუშაობდა. იმის ნაცვლად, რომ ამის გამო მადლიერების გრძნობა გამჩენოდა, კიდევ ერთხელ გავ-ბრაზდი. მივხვდი, ვაგზალზე სათითურების სპექტაკლი, ფეხსაცმლისმწენდავის უვერტიურით, რუსულ ენაზე სპეციალურად ჩემთვის დაიდგა და შურისძიების მწველი სურვილი ვიგრძენი. ადრეც შემიმჩნევია, სამაგიეროს მიზღვაზე ოცნება სასიამოვნო და ტკბილია. წარმოვიდგინე, პარიზიდან მიღებული დეპეშით, როგორ აღვიდგენდი ჟანდარმერიის როტმისტრის სტატუსს და რა სიამოვნებით მივმართავდი მონიჭებულ უფლებებს იმ მამა-

ძაღლების დასაჭერად, იზოლატორში ჩასაყრელად. უკვე თვალნათლად ვხედავდი მათ პატივ-ბისმთხოვნელ ჩალურჯებულ-ჩასისხლიანებულ სახეებს, რომ გამახსენდა ბებოსთვის სულ რამდენიმე წუთის წინ მიცემული პირობა. მე ხომ უკვე ვაპატივ ტფილისელ თაღლითებს.

ადამიანის ბუნებაა ასეთი, ზოგჯერ ცდილობს აჰყვეს შურისგების ნებარ გრძნობას, თორემ რეალურ სასწავლებელსა და გიმნაზიაში გაზუთ-ხული საზეპიროები ამ ვნების დაძლევის შესახებ ხომ მუდამ თავში მაქვს და ახლაც გამახსენდა: “ვინც მოისურვებს შენს განკითხვას და შენი მოსასხამის წაღებას, სამოსელიც თან გაატანე მას.” სახარებიდან ციტატებს ადვილად ვიზეპირებდი. უფრო ძნელად ვიმახსოვრებდი ლირსი მამების ნაშრომებს: “გულდრძობა არის რისხვის აღსრულება, ცოდვათა დაუნჯება, სიმართლის სიძულვილი, სათნოების უარყოფა, სულის უანგი, გონების მატლი, ლოცვათა წაბილწვა, ვედრების აღკვეთა, სიყვარულის გაუცხოება, სულში ჩარჭობილი ლურსმანი, არასასიამოვნო გრძნობა, წყენისმოყვარეობით ტკბობა, ცოდვათა უკვდავება, დაუძინებელი კანონდარღვევა, მარადიული ბოროტება”, – ეს იოანე კლემაქის “კიბიდანაა”.

ამ ბოლო დროს განათლების მესვეურები გიმნაზიებში ციტატების გაზუთხვის წინააღმდეგ ილაშქრებენ. რა ვიცი, შესაძლოა, მართლებიც არიან?! ვინ მოსთვლის, რამდენი უმილო დამე გამოიხებია ბიბლიიდან და სახარებიდან ბარაქიანი ნაწყვეტების დაზეპირებაში. ჩემმა რამდენიმე ამხანაგმა მათეს სახარება იცოდა ზეპირად. მაშინ პინსკის რეალურ სასწავლებელში ვსწავლობდი

და იმათი მშერდა. ეს ცუდი გრძნობა ბებოს გა-
ვუმხილე. შვილო, ბენონი, საღვთო წიგნები, არა
მარტო იმ ადამიანებისთვისაა, ვისაც მათი შეს-
წავლა ან თუნდაც გაზეპირება შეუძლია, არამედ
მათვისაც, ვისაც მხოლოდ ერთი წინადაღების
მოსმენა ედირსება და იმასაც ვერ გაიმეორებს.
მაშინ მიამბო არაჩვეულებრივი ამბავი, რომელმაც
დიდი შვება მომგვარა. ძველ დროში, ქრისტემდე
ყოფილა ბაბილონელი ჰილელი, რომელთანაც
ერთი წარმართი მოსულა და პირობა წაუკენებია,
შენს სარწმუნოებას მივიღებ, თუკი მთელ თორას,
ანუ ებრაელების სალოცავ წიგნებს, იმ დროში
მასწავლი, რამდენ ხანსაც ცალ ფეხზე დგომას
შევძლებო. ჰილელს უპასუხია: “აბა, მოემზადვ,
მოკეცე ერთი ფეხი და ყურადღებით მომისმინე: ნუ
გაუკეთებ სხვა ადამიანს ისეთ რამეს, რაც შენთ-
ვის საძულველია. აი ეს არის მთელი თორა, სხვა
ყველაფერი კი განმარტებებია.” თვალწინ დამიდგა
იმ წარმართის სახე, რომელიც, თორას ასე მოუ-
ლოდნელად შესწავლის შემდეგ, კიდევ დიდხანს
იდგა ცალ ფეხზე და ვინ იცის, რაზე ფიქრობდა
მისი უკვე იუდეველების სიბრძნეს ნაზიარები
ტვინი?!

თამბაქოს ფაბრიკას ჩავუარე. გამოჩნდა შემდეგი
ორიენტირი, მარცხნივ კუთხეში, ამიერკავკასიის
რკინიგზის სამმართველოს შენობა იყო, თუმცა ამ
ნაგებობას, ჩემთვის მოულოდნელად, სასახლე
უფრო ეთქმოდა. ეს იყო რუსეთის იმპერიის უზარ-
მაზარი სარკინიგზო უწყებისთვის შესაფერი,
თქვენი მოსაწონი, აპარტამენტი, რომელიც ამ პა-
ტარა ქალაქისთვის, ცოტა არ იყოს, გრანდიოზუ-
ლად გამოიყურებოდა. ასეა, განაპირა ტერიტო-

რიებს მეტ ყურადღებას ვაქცევთ, შეა რუსეთს კი გერივით ვაქცევთ.

მართალია, ამგვარი საფრთხე არ არსებობდა, მაგრამ პროფესიული ჩვევისთვის არ მიღალატია და გადავწყვიტე, შემემოწმებინა კუდი ხომ არ ამყვა. ამის გაკეთება უცხო ადამიანისთვის არის ძნელი, თორემ ფილერთა – გარე დაზვერვის აგენტების – სამოქმედო ინსტრუქციის მცოდნე კაცისთვის მსუბუქი სამუშაოა. რადგანაც ვაგზლის ქუჩაზე ქვეითთა დიდი მოძრაობა არ იყო, ამიტომაც ფილერი, თუკი მითვალთვალებდა, ინსტრუქციის თანახმად, ჩემგან შორ მანძილზე უნდა ყოფილიყო. ეს ჩემი პირველი უპირატესობა; ახლა ქუჩა უნდა გადამეკვეთა და სამმართველოს შენობასთან მარცხნივ, ელისაბედის ქუჩაზე ჩამეხვია. “თუ დაკვირვების ობიექტმა ქუჩის კუთხეში შეუხვია, ნაბიჯს უნდა აუჩქაროთ, რათა დაინახოთ, იგი სადმე ხომ არ შევიდა”, – ინსტრუქციის ამ პუნქტის მიხედვით ფილერი იძულებული ხდებოდა, უფრო სწრაფად ემოძრავა. ესეც ჩემი მეორე უპირატესობა. დინჯად მივსეირნობდი, გზაჯვარედინს იმ გათვლით მივუახლოვდი, რომ ვაგზლისკენ მიმავალი ეტლი გამეტარებინა, მკვეთრად მოვუხვიე მარცხნივ, სირბილით გადავკვეთე ქუჩა, თვალის კიდით ვცადე ფეხით მოსიარულეთა შორის ამომერჩია საგარაუდო ფილერი ანუ ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც გარეგნობით და ჩაცმულობით სხვებისგან მკვეთრად არ გამოირჩეოდა; რკინიგზის სამმართველოს შენობის კუთხეს ამოვეფარე, ჩავიმუხლე, ხელებს დავეყრდენი და ქვედა კუთხიდან ერთი წამით გავიხედვ. გადმორბენისას შერჩეული ორი კანდიდატიდან ერთ-ერთი, მუქ შარვალსა და ნაცრისფერ პერანგ-

ში ჩაცმული კაცი, რომელსაც თავზე აქაური ჩაჩი ეხურა, აქეთ მორბოდა; სწრაფად წამოვხტი და ელისაბედის ქუჩასაც დინჯად გავუყევი.

ცხოვრებას აზრი მიეცა.

რამდენიმე მეტრში ხელმარჯვნივ ბაქოს ქუჩაზე ჩავუხვიე, იქიდან კი მიხეილის პროსპექტზე აღმოვჩნდი. ყველაფერს ველოდი, მაგრამ ტფილისში თუ გერმანული ქალაქის კოპტია უბანში ამოვყოფდი თავს, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ლარივით სწორი გზის გასწვრივ ორივე მხარეს გამოჩნდა ბაღები და მათში ჩადგმული კოხტა, თაღიანი სახლები, რომელთაგან რამდენიმეს ძალიან უხდებოდა მეზონინი. მარცხენა მხარეს მდებარე პირველივე სახლის თაღის კუთხეებში ეტლის ბორბლებისგან დამცავი ბოძკინტები რუსეთის ქალაქებიდან მხოლოდ პეტერბურგში მინახავს. მაგრამ აქ მთავარი საოცრება, არქიტექტურა კი არა, ის რამდენიმე ადამიანი იყო, რომლებიც სრულად მიესადაგებოდნენ გარემოს. მარჯვენა მხარეს ტროტუარზე ფართე ქვედაბოლოსა და ჭრელ კოფთაზე დიდი თეთრი წინსაფრით, თავზე კოპტია ქათქათა ჩაჩით იდგა სამი ბავარიელი ქალბატონი; მარცხივ მდებარე სახლის აივანზე ქოთნის ყვავილებს რწყავდა ზუსტად ასევე ჩაცმული გერმანელი. წინ, შორს ევროპულსილუებიანი ადამიანები მოჩანდნენ. ბავარიელ ქალებს რომ ჩავუარე, მკაფიოდ გავიგონე, ისინი გერმანულად ლაპარაკობდნენ. ჩემი გეგმის მიხედვით, ამ შედარებით ხალვათად დასახლებული უბნიდან, საცხოვრებელი სახლებით და დაწესებულებებით დახუნძლული დიდი მთავრის ქუჩით უნდა გამეგრძელებინა გზა მიხეილის ხიდისკენ, მაგრამ

საოცრების შემყურებ გადავწყვიტე, ცოტა ხნით პროსპექტზე დავრჩენილიყავი, სადაც ორიენტაციად მარცხენა მხარეს პოლიციის განყოფილება მეგულებოდა. ასიოდე მეტრის გავლის შემდეგ, როგორც ქალაქის ხედებით აღტაცებული სტუმარი, დავტრიალდი, რომ ამ მშვენიერებისთვის კიდევ ერთხელ შემევლო თვალი და აივანზე გამოსული გერმანელი ქალბატონის ქვეშ, კედელთან ახლოს, ხემი მდევარი დავინახე.

პოლიციის შენობას ჩავუარე და ახლა მიხეილის პროსპექტზე კიროჩის გადადმა მარცხენა მხარეს ლუთერანული კირხე უნდა გამოჩენილიყო. რაც უფრო ვუახლოვდებოდი გზაჯვარედინს, ქუჩაში ფეხითმოსიარულეთა რაოდენობაც მატულობდა. წესით, ხალხმრავალ ადგილებში ფილერი უნდა მომახლოვებოდა და ფარად ადამიანები გამოეყენებინა. გადავწყვიტე, ზედ გზაჯვარედინზე მოულოდნელად უკან მოვბრუნებულიყავი, მაძებრისთვის თვალებში ჩამეხედა და ამ ხერხით ჩამომეშორებინა. ინსტრუქციის მიხედვით, თუ დაკირვების ობიექტი გამოიცნობს და დაიმახსოვრებს ფილერს, ეს უკანასკნელი ვალდებულია შეწყვიტოს თვალთვალი და თავისი შეცდომის შესახებ აცნობოს უფროსობას; თუ, რა თქმა უნდა, ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, აქაური მაძებრები რაიმე ეგზოტიკური ქვესახელმძღვანელოთი არ სარგებლობენ. პარიზში მიღებული ცირკულარული წერილის მიხედვით, ტფილისის უანდარმერის საქმიანობის შარშანდელი შემოწმების შედეგად გამოვლინდა უამრავი დარღვევა. მასხოვს, იქ ისიც კი ეწერა, რომ თურმე საიდუმლო აგენტები და ფილერები ხალხმრავალ ადგილებში თავიანთ ხელმძღვანელებს და ერთმანეთს

მოწიწებით და დაუფარავად ესალმებიან, რაც კატეგორიულადაა აკრძალული. უფრო მეტიც, საიდუმლო აგენტებს ფილერები საერთოდ არ უნდა იცნობდნენ.


დაბალი გალავნით გარშემორტყმულმა კირხემ თავისი მშვენიერებით დამატებულა. უპავ გზაჯვარედინზე ვიდექი. შეტრიალებამდე თვალი მარცხნივ გამექცა: ელისაბედის ქუჩის და კიროხნის გადაკვეთაზე იდგა უცნობი კაცი და მიურებდა. გამიკვირდა; ახლა მარჯვნივ გავიხედე, დიდი მთავრის და კიროხნის კუთხეშიც შევნიშნე შესაძლო მაძებარი. გამოდის, რომ სამი ფილერი მომაცილებდა და მათ შორის ორი პარალელურ რეჟიმში. პარალელურ თვალთვალად მიიჩნევა, როდესაც ფილერი ობიექტს პარალელურ ქუჩაზე მიჰყვება მისივე სავარაუდო სიჩქარით და გზაჯვარედინებზედა ცდილობს უშუალო დაკვირვებას. ამგვარი ფრთხილი და გადაზღვეული სქემა მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ობიექტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.


გულის სიღრმეში სიამაყე ვიგრძენი; მარჯვნივ გადავუხვიე და დიდი მთავრის ქუჩისკენ გავემართე. უცებ ჩემს ზურგს უკან ეტლის მუხრუჭების ღრჭიალი, ცხენების ჭიხვინი და მშობლიური, მონატრებული, გულის სიღრმიდან წამოსული რუსული გინება გაისმა. მოვტიალდი. ვაგზალზე ნანახი ქართველი მეეტლეებივით ჩაცმულ რუსის ვანკას, რომელსაც ქართული ჩახი ეხურა, ეტლი ზედ მიხეილის და კიროხნის კუთხეში გაეჩერებინა, ლაგამი მარცხნა ხელში ეჭირა, ხოლო მარჯვენას კავკასიური ტემპერამენტით იქნევდა, თან ლაზათიან გინებას განაგრძობდა, ბოლო ფრაზა

ვერ გავიგე, მგონი, განჯელი მოგიტ-ხანი ახსენა. მისი ამგვარი განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი კი ღია სპორტული ორთვალას კოფოზე წამომართული, უახლესი თავისუფალი სტილის ამაზონკაში გამოპრანჭული, უმშვენიერესი ახალგაზრდა ქალბატონი, ნამდვილი ამორძალი გახლდათ, რომელმაც, როგორც ჩანს, გზა მოუჭრა მეეტლეს, ახლა კი არად დაგიდევდათ მის შეგონებებს და სწრაფად განაგრძობდა ჯირითს. ასეთი სცენები ამ ბოლო დროს პარიზისთვისაც გახდა დამახასიათებელი, ოდონდ მთავარ გმირებად იქაურ ინციდენტებში ავტოს საჭესთან მსხდომი ქალბატონები გვევლინებიან.

მარჯვენა მხარეს მდებარე ზუბალოვის სახალხო სახლთან მარცხნივ ჩავუხვიე და ხალხმრავალ დიდი მთავრის ქუჩას გავუყვი. ქალთა გიმნაზია, კონტროლის პალატა, მიხეილის სავადმყოფო უკან მოვიტოვე, კუბოებით მოვაჭრე ქუჩასაც გავცდი, მარცხენა მხარეს მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიას ჩავუარე და მიხეილის ხიდს მივუახლოვდი. აქ კი ვორონცოვის ძეგლი დამხვდა. პარადოქსების ქვეყანად რუსეთი: მონუმენტური სკულპტურა მიხეილ ვორონცოვისაა, ხიდს კი მიხეილის სახელი ჰქვია, ოდონდ მიხეილ რომანოვის – ნიკოლოზ პირველის ძმისწულის პატივსაცემად. თავად ხიდის ანსამბლი ორი ნაწილისგან შედგებოდა და მადათოვის კუნძულს მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებთან აკავშირებდა. მეორე ხიდის ბოლოში ერთმანეთის საპირისპიროდ, ზედ მტკვრის მარჯვენა ტოტის თავზე თრი სასტუმრო იდგა: მარჯვნივ – “ლონდონი”, მარცხნივ – “გრანდ ოტელი”. მოედანზე აღმართული ძეგლი, ხიდი, სასტუმროები და, რაც მთავარია, კუნძული უკვე

გასაგებს ხდიდა, თუ რატომ ამბობდნენ ტფილისზე, რომ იგი კავკასიის პარიზია. კუნძული საფრანგეთის დედაქალაქში მდებარე დე ლა სიტეს, ხოლო აქაური ხიდები “სენ მიშელის” და “გადამცვლელების” პატარა ანალოგები იყო.





მდინარის მარჯვენა სანაპიროზე გადავედი, ალექსანდრეს ბაღის შესასვლელთან წამით გავი-ვიქრე, აქ ხომ არ დამემთავრებინა ფილერებთან უაზრო კატა-თაგვობანას თამაში?! ვიწრო ხიდი და ქუჩა სამივეს ერთად შენიდბვის შანს არ უტოვებდა, მაგრამ მათი გაცუცურაკების სხვა ვერაგული გეგმა უფრო ეფექტურად მომენტენა და გზა გან-ვაგრძე. ბაღი საკმაოდ დიდი იყო, მარცხენა მხარეს მშენებარე უცნაური ტაძარი დავინახე. მო-

მეჩვენა, თითქოს ერთი ეკლესიის თავზე მეორეს
აშენებდნენ; ახლოს ჩაგუარე და გოლოვინის
პროსპექტის გადაღმა წმინდა ალექსანდრე ნევე-
ლის სახელობის რუსული მართლმადიდებლური
სობორი მზად იყო ზეცაში ასაჭრელად. აი ნამდ-
ვილად გრანდიოზული ტაძარი, რომელიც ამ პრო-
გინციული საგუბერნიო ქალაქისთვის არ დამენანა.
ახლა ორდონიან ქართულ ეკლესიას მოვუბრუნდი.
მიუხედავად დაუსრულებლობისა, მასაც პქონდა
თავისი პეტი და მომხიბვლელობა, მაგრამ სრუ-
ლიად სხვა სტილის ნაგებობა იყო. არქიტექტუ-
რულად გვერდი გვერდზე მდგარ ორ მართლმა-
დიდებლურ ტაძარს შორის ისეთივე განსხვავება
იყო, როგორიც თუნდაც ლუთერანულ კირხესა და
მათ შორის. ორი თითქოს ერთი აღმსარებლობის
საღვთო ნაგებობა ისე განსხვავდებოდა ერთმანე-
თისგან, როგორც წითელი და შავი. არჩევანი, რა
თქმა უნდა, წმინდა ალექსანდრე ნეველის სახ-
ელობის ეკლესიის სასარგებლოდ გავაკეთე, ქუდი
მოვიხადე, პირჯვარი გამოვისახე და სობორში შე-
ვედი. მშობლიურ ხატწერას თავისი ლაზათი და
მადლი აქვს. სანთლები დავანთე, ვილოცე და
გალმოხდილი დაგუბრუნდი გოლოვინის პროს-
პექტს. საათს დავხედე, დრო კიდევ მქონდა. ახლა
რა გული გამიძლებდა, რომ აქედან სულ ახლოს
მდებარე, მსოფლიო პრესის ფურცლებზე რეკლა-
მირებულ, დუქან “ტილიპუჭურში” არ მესაუზმა?!
ამ აზიური ბუფეტის შესახებ, თქვენ წარმოიდგი-
ნეთ, “ნიუ იორკ თაიმსიც” კი წერდა. დიახ! ეს
სწორედ 1907 წლის 13 ივნისს ტფილისის ბანკის
გაძარცვის საქმესთან დაკავშირებით გახმაურე-
ბული “ტილიპუჭურია”, რომელიც სასახლის და
სოლოლაკის ქუჩების პუთხეში, ზედ პასკევიჩ-

ერივანსკის მოედანზე, თამამშევის ქარვასლის ქვეშ მდგბარეობდა. სწორედ აქედან იმართებოდა თურმე იმ სახელგანთქმული ბანდიტური თავდასხმის ბოლო ეტაპი.

დუქნის მომსახურე პერსონალს სახეზე დაღლა ეტყობოდა. როგორც ჩანს, დილის სტუმრიანობის პიკს უკვე გადაევლო და ახლა მაგიდებს ალაგებდნენ. დარბაზში ნივრის, არყის, შავი წიწაკის სურნელი ტრიალებდა. თავისუფალ მაგიდას მიუჯექი. მომიახლოვდა მკლავზე თეთრპირსახოცგადაკიდებული მიმტანი მამაკაცი, რომელსაც შავი ფართხუნა შარვალი და ბლუზი ეცვა, თავზე კარტუზი ეხურა:

— რას მიირთმევთ, თქვენო კეთილშობილებავ? თქვენთვის გვაქვს ზარმაცების ხაში!

უცხო ქალაქში მეეტლის და ოფიციანტის გემოვნებას უნდა ენდო. პირველი საუკეთესო სასტუმროს და ბორდელის არჩევაში დაგეხმარებათ, მეორე — ნაციონალური სასადილოს რჩეული კერძის. ეს ხაში რა იყო, არ ვიცოდი, მაგრამ ზედსართავმა “ზარმაცების” მას მეტი ინტრიგა შეპმატა და ამიტომაც დაუფიქრებლად შევუკვეთესაუზმის მოლოდინში დუქნის კედლებზე ჩამოკიდებულმა ნახატებმა მიიპყრო ყურადღება. ჯერ აგდებულად ვათვალიერებდი, მაგრამ უცემივსხვდი, რომ ამ უცნაურმა ტილოებმა დამატებევა და გამიტაცა. სტილი ჰგავდა პარიზსა და მთელ ევროპაში ერთობ პოპულარული პრიმიტივისტი მხატვრის ანრი ჟულიენ ფელიქს რუსოს ხელწერას.

- ლამაზია, არა, თქვენო კეთილშობილებაგ? რუსებს და ევროპელებს მოსწონთ. აგერ, იმ კუთხეში წვერიანი და გადღაბნილტანსაცმლიანი კაცი რომ ხატავს, იმისია, — მაგიდაზე უცნაური ფორმის პური და უშველებელი თევზით წვნიანი დამილაბა. პატარა გრაფინით კი არაყი დამიდგა.
- არაყი — არა! არ ვსვამ! იმ კაცს რა ჰქვია, ვინ არის?
- აქაური მღებავია, ნიკოს ეძახიან! ამ ბოლო დროს ცოტა ვერ არის! დაიჩემა და ვიღაც ქალს ხატავს უკვე ორ კვირაზე მეტია. არადა, ადრე ერთ ნახატს ზოგჯერ ერთ დღეში ამთავრებდა; მიირთვით, თორემ გაცივდება. დუქნის პატრონმა თქვა, ამან თუ ასე ნელა ხატა, ზარალიდან ვერ ამოვალო.

გულმა ვერ მომითმინა, მივედი; მოთეთრო-მოლურჯო მოკლე კაბასა და ყვითელ ფეხსაცმელებში ჩაცმულ ქალის ფიგურას უკირკიტებდა.



- ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! ვინაა?
- აკტრისა მარგარიტა! — ზედაც არ შემოუხედავს.
- მივხვდი, სხვა სამყაროში იყო და ჩემთვის არ ეცალა.

ხაში და აქაური პური გემრიელი გამოდგა. შუა ჭამაში ვიყავი, როდესაც დუქანში სამი ახალგაზრდა შემოვიდა. კარებთან ახლოს მდგარ მაგიდასთან, ჩემგან ზურგით, დასხდნენ და ხაში მოითხოვეს. ყოჩალ ბიჭები! ახლა ამათ ჰერნიათ, რომ ინსტრუქციის დაცვით მოქმედებენ! ისე ოფიციანტი მართალი ყოფილა, ამ საუზმეს არაყი აუცილებლად სჭირდებოდა, მაგრამ თავი შევიკავეჭამა დავამთავრე და უცნობი მხატვრის ნამუშევრების თვალიერებით შევიქციე თავი. აბა, ფილერებს ხაშს ხომ არ მოვწყვეტდი?! რაც არ უნდა იყოს, კოლეგები იყვნენ . . .

**პორტუგალი-პრაკტიკული ფანეზ-იუნივერსიტეტი
და ჭრლილობის გაპვეტილები
პინქში იანგელევიჩ ლერნერისგან**



დუქან “ტილიპუჭურიდან” გამოვედი, სახაზინო ბანკს ჩავუარე და პეტრე დიდის ქუჩას ავუყვვი. ტფილისის ათი საპოლიციო უბნიდან ოთხში ფეხით გავისეირნე, ანუ ქალაქის მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე შემოვლილი მქონდა. ყველა ძირითადი ქუჩა რუსი მეფეების, სამეფო დინასტიის წარმომადგენლების თუ თავადების სახელებს ატარებდა: ელისაბედის, მიხეილის, დიდი მთავრის, გოლოვინის, პეტრე დიდის; მოედანი გრაფ პასკევიჩ-ერივანსკის, პარკი ალექსანდრე მეორეს, ხიდი მიხეილ რომანოვის, კუნძული კი ბერძნული წარმოშობის რუსი გენერლის მადათოვის სახელობისა იყო.

ყოჩად, კარგად უმუშავიათ აქაურობისთვის რუსული სულის ჩამბერავებს!

მშვენიერ ხასიათზე დავდექი. ახლა ფილერებისთვის უნდა მომექოცა ცხვირი. პეტრე დიდის ქუჩის პირველ გზაჯვარედინამდე არმისული, მარცხენა მხარეს მდებარე კავკასიაში მისი საიმპ-პერატორო უდიდებულესობის მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყოფილების შენობის სადარბაზოსთან კედელს მოვეფარე. ფილერებმაც არ დააყოვნეს; სამივე ერთად მომიახლოვდა. მაშინათვე გამოვედი სამალავიდან, შლაპა მოვიხადე, ესპანური რევერანსიც ოსტატურად გამომივიდა:

— “ადიოს”, არწივებო! — და განსაკუთრებულ განყოფილებაში შევედი.

სამი ფილერი, სპეციფიკურად გააზრებული ინსტრუქციის დაცვით, თითქმის მთელ ქალაქში თვალყურს ადევნებდა ობიექტს, რომელიც ბოლოს თავისი ფეხით მივიდა მათი უწყების ზედამხედველ დაწესებულებაში. თავს ალბათ მიტყეპილი ბავშვივით გრძნობდნენ.

მე კი მორიგეს წარგუდექი!

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, საბუთები, თუ შეიძლება! — საჭმიანი და კონკრეტული გამოდგა მისი რეაქცია.

— თუ არ შეწუხდებით, განყოფილების უფროსს მოახსენეთ ჩემს შესახებ.

— საბუთები!

- საგანგებო დავალებით ვარ პარიზიდან. ასე გადაეციო, – ჯერჯერობით მტკიცედ ვიდექი.
- ვიდრე საბუთებს არ ვნახავ, ვერაფრით დაგეხმარებით, საბუთები-მეთქი!

ვახტერი ყოველდღე ხედავს, რომ დაწესებულების თანამშრომლები, რომლებსაც იგი გულწრფელად ემსახურება, მასზე რანგით მაღლა დგანან და ზედაც არ უყურებენ. ამას კიდევ შეგუება კაცი, მაგრამ აი გარედან მოსულებიც რომ არაფრად აგდებენ, გინდა არ გინდა, პროტესტის გრძნობას უდგივებს და, შანსი მიეცემა თუ არა, ცდილობს იმათ მაინც უჩვენოს, რომ ისიც ადამიანია, მასაც აქვს რაღაც უფლებები და პატივისცემას იმსახურებს. ამპარტავნების ამგვარი გამოვლინება ხშირად შემიმჩნევია სწორედ კარისკაცებისთვის, დარაჯებისთვის, მეგარდერობებისთვის, კონდუქტორებისთვის, პორტუპეიპრაპორშჩიკებისთვის, ფანენ-იუნკერებისთვის და სხვა, რანგების შესახებ ტაბელს გარეთ დარჩენილი, უჩინოებისთვის. მორიგეს თვალებში ჩავხედე და ვიგრძენი, თუ ახლავე სხვა გამოსავალს ვერ ვიპოვიდი, იგი ხმაურიან სცენას მოაწყობდა, რითაც მეტყოდა, რომ აქვს უფლებები და ლირსების გრძნობა, ხოლო ოხრანკის თანამშრომლებს გააგებინებდა, ნახეთ, თურმე მეც მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ, რომელსაც მეტი პატივისცემით უნდა მოეპყროთ. იმავე წამს მივხვდი, რომ სკანდალი მეც მაწყობდა და, რადგანაც კონფლიქტი ორივესთვის მომგებიანი იყო, თავაზიანობის დავიწყებაც შეიძლებოდა:

— რიგითო, როგორ უბედავ ოფიცერს ამ ტონით საუბარს? ხმა ჩაიქმინდე და ახლავე ბოლიში მომიხადე!

გაბრაზება შენ ჩემი ნახეო, ჯიბიდან სასტვენი ამოილო და ისეთი წკრიალი ატეხა, თქვენი მოწონებული. მეორე სართულზე კიბის მოაჯირთან, სამხრები ვერ გავარჩიე, მაგრამ მარჯვენა მკერდზე აქსელბანდებით მივხვდი, ოფიცერი გამოჩნდა.

— რა ხდება, პატონებო, რა ხმაურია?

— პინქუს იანკელევიჩ, ეს ადამიანი უსაბუთოდ ცდილობს დაწესებულებაში შემოჭრას! — ვინ იცის, რამდენჯერ ნარეპეტიციები ფრაზა გაახმოვანა კარისკაცმა.

პინქუს იანკელევიჩ, ესე იგი გვარად ლერნერი, ანუ საგანგებო განყოფილების შეფის თანაშემწეო ამ შემთხვევის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა და, ვიდრე ოფიცერი ხმას ამოილებდა, სხაპასხუპით მივაყარე თუკი რაიმე ინფორმაცია მქონდა მის შესახებ:

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, რუსეთის “წმინდა სტანისლავისა” და სპარსეთის “ლომისა და მზის” ორდენების კავალერო, შტაბს-როგორისტო პინქუს იანკელევიჩ ლერნერ, ტფილისში პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის ხელმძღვანელის დავალებით ჩამოვედი პარიზიდან. თუ ნებას მომცემთ, დეტალების შესახებ კაბინეტში მოგახსენებთ!



სხარტი აზროვნების გარეშე ჟანდარმერიაში, ოხრანქასა და დაზვერვაში სამუშაოდ ვერ მოხვდებოდით. მაგრამ მოვლენათა შეფასება, სიტუაციის მართვა, დიალოგში სასურველი შედეგის მიღწევა შეუძლებელია, თუ ზუსტი და უტყუარი ინფორმაციაც არა გაქვს. ჩვენ ხშირად ვხდებით საკუთარი ცრუ ან დამახინჯებული წარმოდგენების, თუნდაც ბავშვობაში არასწორად შექმნილი სტერეოტიპების მსხვერპლი. მქონია შემთხვევები, როდესაც ამ მიზეზების გამო, თავი ცამდე მართალი მეგონა და გავოგნებულგარ მოწინააღმდეგის სიჯიუტის ხარისხით; მერე გამიგია, რომ ჩემს, ერთი შეხედვით, მტკიცე და ურყევ მტკიცებულებებს შორის ერთ-ერთი მცდარი იყო და არგუმენტების ჯაჭვიც ამის გამო გაწყვეტილა. ყოველივე იმის საფუძველი კი, რაც ჩემსა და შტაბსროგმისტრს შორის იმ წუთებში მოხდა, ორივე მხრიდან ძალიან ღრმა და საფუძვლიანი შეცდომების შედეგი გამოდგა: **პირველი:** ცრუ ინფორმაცია; **მეორე:** ცრუ წარმოდგენები; **მესამე:** ცრუ ვარაუდები; **მეოთხე:** ცრუ პატივმოყვარეობა; **მეხუთე:**

ცინიზმი. საოცარია, მაგრამ დიალოგის ბოლომდე ვერ მივხვდი, რომ მე ალთას ვიყავი, ის – ბალ-თას, რაც ჩემთვის თეთრი იყო, იმისთვის – შავი:

— კეთილი, მანდ რას დგახართ? ამობრძანდით, მზად ვარ, გულისყურით მოგისმინოთ! თქვენ უკვე იმდენი რამ გცოდნიათ ჩემს შესახებ?! მეც მომინ-და, ახლოს გაგიცნოთ! – ადამიანებთან ურთიერ-თობის მაღალი დონე მიწვენა ოფიცერმა.

თავის დროზე უანდარმერის და ოხრანკის ტფილისური სკოლის კადრების მაღალი პროფე-სიონალიზმი ცნობილი იყო მთელ იმპერიაში. რუ-სეთის იმპერიის სამხედრო კონტრდაზერვის ამ-ჟამინდელი შეფი ვლადიმერ ლავროვი, სწორედ ამ ქალაქში მოგაწეობდა. იგი ჯერ ტფილისის სა-გუბერნიო უანდარმთა სამმართველოს უფროსის მოადგილედ დაინიშნა. მაშინ ასე ხდებოდა: და-ფუძნდა სამძებრო განყოფილება და მის თანამ-შრომლებს, მინისტრ პლევრეს ბრძანებით, მიავ-ლენდნენ უანდარმთა საგუბერნიო სამმართვე-ლოებში, ოღონდ იმ პირობით, რომ რჩებოდნენ პოლიციის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში. ეს სამძებრო განყოფილებები შემდეგ გარდაიქმნა ოხრანკად. 1903 წლისთვის ლავროვმა მაღალ სა-ფეხურზე აიყვანა ტფილისის პოლიტიკური პო-ლიცია, მაგრამ თავის გუნდთან ერთად სამხედრო დაზევერვაში გადასვლის და პეტერბურგში გადა-ბარგების შემდეგ, რაღაც დროის განმავლობაში, ტფილისის ოხრანკა გახდა ცნობილი თაღლითუ-ბის, მექრთამების, ხაზინის ქურდების საასპარე-ზო. არსებობდა ეჭვი, რომ პოლიტიკური პოლი-ციის თანამშრომლები ადგილობრივ რევოლუციო-ნერებთან ჭუკჭუკებდნენ. მათი მამხილებელი ცირ-

კულარული წერილებიდან რამდენიმეს გვარი და-
მამახსოვრდა: როგორისტრი ფ. ს. როუპანვი, პო-
ვოკატორი მ.ი. გუროვიჩი და ლ. პ. რაკოვსკი. ჩემი
ტფილისში ჩამოსვლის დღისთვის კი აქ პოლიტი-
კური პოლიციის ფუნქციებს ასრულებდნენ: კავკა-
სის რაიონული ოხრანკის განყოფილება (შეფი:
პოლკოვნიკი ა. მ. ერიომინი), ტფილისის ოხრანკის
განყოფილება (შეფი: როგორისტრი ა. ვ. კარაულო-
ვი) და კავკასიაში მისი საიმპერატორო უდიდე-
ბულების მეფისნაცვლის კანცელარიის საგან-
გებო განყოფილება (შეფი: პოლკოვნიკი ვ. ა. ბა-
ბუშკინი). პირველი ორი ექვემდებარებოდა იმპე-
რიის პოლიციის დეპარტამენტს და ამავე დროს
კავკასიაში მისი საიმპერატორო უდიდებულების
მეფისნაცვლის კანცელარიის საგანგებო განყო-
ფილებას, ეს უკანასკნელი კი მეფისნაცვალ ილა-
რიონ ვორონცოვ-დაშკოვის მეშვეობით თავადაც
პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის ნილ ზუ-
ევის მორჩილებაში გახლდათ; ამ ტრადიციული,
ჩვენებური, რუსული “ბარდაკის” გარეშე აბა რო-
გორ იქნებოდა?

შავკოლენკოლგადაკრული ორმაგი კარი, მწვანე-
მაუდისზედაპირიანი სამუშაო მაგიდა, სამი სკამი
და ტახტი, კედელზე ტელეფონის აპარატი, იმპე-
რატორის უზარმაზარი პორტრეტი, წიგნების კა-
რადა, “ოტო გრილის და კ“-ს ფირმის დიდი სეი-
ფი – ეს გახლდათ კლასიკური კაბინეტი. პინხუს
იანკელევიჩ ლერნერმა ტახტზე მიმითოთა და
თვითონაც გვერდით მომიჯდა:

– გულისყურით გისმენო!

ჯერ წვრილად მოვუყევი ჩემი თავგადასავალი; რა თქმა უნდა, კონდრატ ვარფალამების ზალატარევსკი და ელიზავეტპოლი არ მიხსენებია. ბევრი იცინა; მერე საქმეზე გადავედი:

- ახლა იქ უკვე სამუშაო დროა. ძალიან გთხოვთ, ტელეგრაფის მეშვეობით დაუკავშირდეთ პარიზის ბიუროს და გამოითხოვოთ მონაცემები ჩემი პოროვნებისა და მისის შესახებ.
- ჩემო კეთილო მეგობარო, თქვენს მეტყველებაში, მანერებში, იუმორის გრძნობაში კარგად ჩანს წიგნიერი, გონიერი, კულტურული ადამიანი. არ დაგიმალავთ, დაგინახეთ ოუ არა, მომეწონეთ. მეგობრად მიგულეთ. მიბრძანეთ, რით გემსახუროთ და საქმეს დაუყოვნებლივ შევუდგეთ.
- უღრმესი მადლობა ნდობისთვის.
- რას ბრძანებთ, პირიქით – თქვენ გმადლობთ აქ ჩამობრძანებისთვის. კიდევ ერთხელ გიდასტურებთ ჩემს უდრმეს პატივისცემას! რა გავაკეთო და რით დავიწყოთ? – შტაბს-როტმისტრს თავის შეკითხვაზე გაეცინა, – მაპატიეთ, უნებლიერ წამომცდა ჩვენი, რუსული მარადიული კითხვები: რა ვაკე-თოთ და რით დავიწყოთ?

- ვინაიდან პარიზიდან დასტურის მოსვლამდე მენდობით, ვისარგებლებ თქვენი კეთილგანწყობით და გთხოვთ, შესასწავლად გადმომცეთ 1907 წლის 13 ივნისს სახაზინო ბანკის თანამშრომლებზე თავდასხმის და 250 ათასი რუბლის გატაცების საქმის თქვენ ხელთ არსებული მასალები. ჩემი შეფი მიიჩნევს, რომ ტფილისში არსებული სამსახური ყველაფერს აკეთებს რევოლუციურ მო-

ძრაობასთან ბრძოლაში და, ღმერთმა დაგვიფაროს, თქვენს კომპეტენციაში შემოჭრას არ ვაპირებთ. ეს საქმე მხოლოდ უცხოეთში რუსულ ემიგრაციაზე დაკვირვების თვალსაზრისით არის ჩვენთვის საინტერესო.

— რატომ მებოდი შებით. ეს ხომ ანბანური ჰეშმარიტებაა: რევოლუციურ მოძრაობას იმპერიის ტერიტორიაზე ვებრძვით ჩვენ — ადგილობრივი ოხრანკის თანამშრომლები და უცხოეთში რუსულ ემიგრაციაზე დაკვირვებას აწარმოებთ თქვენ — საზღვარგარეთის აგენტურის წარმომადგენლები. ბანკის ძარცვის ბილიკები ევროპისკენაც წავიდა და იქაურ თანამემამულებებთანაც მიცუნცულდა. რამდენიმე წუთის წინ სადარბაზოში თქვენი ინფორმირებულობა გამოამჟღავნეთ. განსაკუთრებით გამაოცეთ სპარსეთის “ლომისა და მზის” ორდენის ხესნებით, რომელსაც ვერ ვატარებ იმის გამო, რომ უწყების ხელმძღვანელობისგან ჯერ არ მიღია სპეციალური ნებართვა. ნება მიბოძეთ, ახლა მე ვცადო, თქვენი ინტერესის მეორე საქმის დასახელება.

— ყურადღებით გისმენთ! — ცოტა არ იყოს გამიკვირდა საკითხის ასე დასმა, რადგანაც სხვა საქმეზე, აბა, საიდან უნდა სცოდნოდა?

— თქვენის ნებართვით, სასამართლოს არქივიდან აგრეთვე გამოვითხოვთ სახელმწიფო საბჭოს წევრის, მისი ბრწყინვალების, თვალი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეს!

პინხუს იანგელევიჩ ლერნერი ლოგიკურად ვერ დაასკვნიდა, რომ ბანკის საქმის პარალელურად

თავად ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეს მოვითხოვდი. მეც კი ვერ წარმოგიდგენდი, რომ ამ ორ საქადალდეს შორის რაიმე კავშირის არსებობობაზე მომიწევდა დაფიქრება. ანუ მას ეს ინფორმაცია მხოლოდ ჩემს პორტმონეს საიდუმლო განყოფილებაში შენახული დაშიფრული წერილიდან უნდა მიეღო. მაშინ გავიფიქრე, რომ მთელი შეხვედრის მანძილზე თვალთმაქცობდა პინხუს ლერნერი. იცოდა, შესანიშნავად იცოდა, ვინ ვიყავი. ალბათ თაღლითებმა, მას შემდეგ რაც გაიგეს, თუ რა კაცი გააცუცურაჲეს, ნაძარცვი ნივთები თავის მფარველ ოკოლოტოჩნის შეაპარეს. იმან კი, ვითომ შემთხვევით ნაპოვნი საბუთები ჟანდარმებს გადასცა. ისინი ოხრანკას დაუკავშირდნენ, ოხრანკა – საგანგებო განყოფილებას; ვიდრე ქალაქში დავბორიალობდი, მორიგე შტაბს-როტმისტრმა მიიღო, დაათვალიერა პორტმონე, იპოვა საიდუმლო განყოფილება, იმ განყოფილებაში ნახა დაშიფრული წერილი, შიფრის გასაღები გამოიყენა, წაიკითხა, გაიგო რაშიც იყო საქმე. . . ყველაფერი ნათელი გახდა, მაგრამ არ შევიმჩნიე. თუ აქამდე პინხუს იანკელევიჩ ლერნერი კატა იყო და თაგვი – მე, ახლა შანსი მომეცა, ოდნავ უკეთეს პოზიციაში ჩავმდგარიყავი და საქმე ისე წარმომედგინა, რომ თავიდანვე ყველაფერი ვიცოდი. უბრალოდ წამით დავუიქრდი, თუ რა ფორმით უნდა გამოვსულიყავი სულელური მდგომარეობიდან.

— თამაში დამთავრდა, — ჩამესმა შტაბს-როტმისტრის სიტყვები და გული დამწყდა. ვერ დავასწარი.

- ერთი წამით დავიგვიანე. თქვენ ხომ თავიდანვე იცოდით, ვინ ვყევი.
- მიყვარს გონებასხარტი ადამიანები და რა ვქნა?! მხოლოდ ერთი წამით კი არ დაიგვიანეთ, არამედ ერთი დღით! — პინხუს იანკელევიჩი ზეიმობდა.
- ეგ საიდანდა გაიგეთ? — ესე იგი, ელიზავეტა-პოლში მოგზაურობასაც არ ჩაუვლია შეუმჩნევ-ლად.
- მარტივი არითმეტიკა. პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის ნამდვილი წარმომადგენელი სარეკომენდაციო წერილით ხელში, გუშინ დილით, პირადად მობრძანდა ჩვენთან, შეხვდა კავკასიაში მისი საიმპერატორო უდიდე-ბულესობის მეფისნაცვლის კანცელარიის საგან-გებო განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ ვასილი ალექსანდროვიჩ ბაბუშკინს, მოითხოვა ზემოთ და-სახელებული საქმეები, ოპერატიულად, ერთ დღეში, გაეცნო დოკუმენტაციას და გუშინვე გაემგზავრა ბათუმში. თქვენს მობრძანებამდე კი ჩვენმა აგენტმა ტელეგრაფით გვაცნობა, რომ იგი გემზე ავიდა და, შესაძლოა, ამ წუთებში კონსტანტინოპოლისკენ მიაპობს ტალღებს. ნამდვილად გამაოცეთ; ყველაფერი მიგიგავთ: მიმიკა, ჟესტიკულაცია, ტანსაცმელი. თუმცა ასაკით უფრო ახალგაზრდა ჩანხართ და თვალები, სწორედ თვალებმა დამაეჭვა. საინტერესოა, ძალიან საინტერესოა, მა-გრამ ეგ ხომ შეუძლებელია? არა! ამბობენ, მისთვის შეუძლებელი არაფერიაო! უნდა გადავამოწმო. მანამდე კი, კეთილო ჯადოქარო, გთხოვთ საკანში. სადილის შემდეგ კი კიდევ ერთხელ შევხვდებით ერთმანეთს და, იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობის

ტონი და ხასიათი არ გასცდება ციფილიზებულ
სამყაროში დამკვიდრებულ ნორმებს. ამისთვის კი
მხოლოდ ოქვენი კეთილი ნებაა საჭირო.

— ძალიან გთხოვთ, პარიზში აცნობეთ ყველაფერი!
ჩვენს თავს რაღაც დიდი უბედურებაა!

— აი ეგ კი არ გეპადრებათ! თქვენ დამარცხდით!
ლირსება წაგების შემთხვევაშიც უნდა შეინარჩუნ-
ნოთ. ერთმანეთს პატივი გცეთ!

თავის მართლებას აზრი არ ჰქონდა და ბედს მი-
გენდე. წესით, სიმართლე მაღლე გაირკვეოდა.

«БЕЙ ЖИДОВ! СПАСАЙ РОССИЮ!»

ბნელი საკანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა აქ მარტო ხარ, იდეალური ადგილია ფიქრის, განსჯის, მოვლენების შეფასებისთვის. სტუდენტობის პერიოდში პეტერბურგის პოლიციის სხვადასხვა განყოფილების საპატიმროებში არაერთი ღამე გამითებია. ასე რომ, გამოცდილი კაცი ვარ. არ ავლელვებულვარ, წამოვწექი ნარზე, თვალები დავხუჭე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა წარმოვიდგინე და ფიქრების უსასრულო ოკეანეში შევ-ცურუ.

პირველად საპყრობილეს საკანი ჭუჭრუტანიდან ვნახე. მაშინ დაბალი სკამი დამიდგეს და პინსკის ეანდარმერიის პაუპტვახტის კარის საჭვრეტიდან შემახედეს წინასწარ კარგად განათებულ სივრცეში, სადაც გამოკეტილი ჰყავდათ მამაჩემის სავარაუდო მკვლელი. ამოცნობის ამგვარ უცნაურ ხერხს ჩემი იმუამინდელი მძიმე სულიერი მდგომარეობის გამო მიმართეს. ბებომ აიკვიატა, გინდა თუ არა, ბავშვმა იგი სამალავის ნახვრეტიდან დაინახა და ამოსაცნობადაც იგივე სიტუაციაში ჩავაყენოთ. ახლა კი ვიცი, ცდილობდა, იმ ურჩხულს პირისპირ არ შევხვედროდი. კა, ბებო, ბებო! თურმე დამის სტუმარი ჩემი ცნობიერების მარადიული თანამგზავრი უნდა გამხდარიყო და თანაც ყველაზე საშინელი ფორმით. ცნობიერებამ იმ არ-

სების ბოლოს ნანახი სახე შემოინახა და დამის კოშმარებში ხშირად მეწვევა ხოლმე, სპეციალურად პინსკელი კაციჭამიასთვის აგებულ ეშაფოტზე მდგარი, ჩამოხრიბის წინა წამებში, თავზე ტომრის ჩამოცმის მომენტში, არაადამიანურად დაღრუჯილი წითელწვერა, თვალებგადმოკარგლული სახე, რომლის მიმიკა კაცობრიობისადმი უსაზღვრო სიძულვილს გამოხატავს. სხვათა შორის, სიკვდილის წინ ხმა არ ამოუღია. უცნაურია, მაგრამ არაფერი მასსენდება ბანდის მეთაურის, ჩემი ყოფილი მასწავლებლის ჩამოხრიბის სცენიდან.

ტრაგედიის ყველა მიზეზი გავიგე მხოლოდ წლების შემდეგ, როდესაც პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებულ განყოფილებაში ვმუშაობდი. იქ გამოძიებულ საქმეებს ვზედამხედველობდი, სამსახურებრივი მდგომარეობით ვისარგებლე და ჩვენს სახლში დატრიალებული ამბების მასალებს გავეცანი. ხუთივენი ძებნილი გადასახლებულები აღმოჩნდნენ. შორეული ციმბირიდან სულ ექსპი გამოქცეულან. მათ კვალს ვერაფრით მიაგნეს. მაშინათვე დაქსაქსულან და ცალ-ცალკე დაუდწევიათ თავი მდევრისთვის. მამა თავისი გარდაცვლილი მმის საბუთებით ფსკოვში დაბინავებულა და, როდესაც დედას პინსკში ჩამოჰვა, აქ სკოლის მასწავლებლად დახვდა ერთ-ერთი თანამეინახე, რომელმაც რადაც მანქანებით კიდევ სამ ძებნილს მიაკვლია, თავისი კავშირები გამოიყენა, დოკუმენტები შეუქმნა და პინსკში გემთმშენებელი ქარხნის მუშებად მოაწყო. ერთ დღეს კი ოთხივე ამხანაგს, მხილების მუქარით, თავის საიდუმლო ორგანიზაცია “БЖСР”-ში გაწევრიანება

მოსთხოვა. გაერთიანების ამოცანა ბანალური გახდებათ: ებრაელებისგან აქაურობის გაწმენდა; იგი აბრევიატურაშივე იყო ჩამოყალიბებული: “**Бей Жидов! Спасай Россию!**” მიზნის მიღწევის საშუალება კი – პინსკის შემოგარენში მცხოვრებ იუდეველთა, ძირითადად, დაშინება და, შიგადაშიგ, გაქურდვა იყო. ბანდის მეთაური მოქმედების ფრთხილ ტაქტიკას იმით ხსნიდა, რომ, რადგანაც ამ მხარეში ისრაელის დევნილი შვილები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, მათთან დია ბრძოლაში ჩაბმა ამ ეტაპზე წამგებიანი ჩანდა. ხალხის დასაფრთხობად ტერორისტების მიერ გამოყენებული მოქმედებები: შიშის მოესველი აჩრდილები, მოჩვენებები, ფოკუსები, სიმბოლოები – თავის დროზე ზუსტად გამოიცნო რაბინმა დავით ბენ შმუელ ფრიდმანმა. ბავშვების კალიგრაფიას მიმსგავსებული ბატიფეხური მუქარის წერილების საიდუმლოსაც მაშინვე აეხადა ფარადა; მასწავლებელს ხომ ხელთ ჰქონდა ჩვენი ხელნაწერები და მიმსგავსებაც არ გასჭირებია. საქმის მასალებში ჩაკრული იყო **БЖСР-ს** ბეჭდური მიმართვა რუსებისადმი, რომელიც პოლიციის დეპარტამენტის მესამე საქმისწარმოების თანამშრომლებს რატომდაც არ გაუნადგურებიათ: “**ქმებო რუსებო!** ჩვენი ქვეყნის ებრაელთა განსახლების ფარგლებში მცხოვრებ იუდეველთა რაოდენობამ ხუთ მოლიონს გადააჭარბა, რაც მოელო მხოლოდ მათი პოპულაციის ნახევარზე მეტია. თუ ასე გაგრძელდა, რუსეთი მხოლოდ სხვების დასანახად იარსებდეს. სინამდვილეში კვეყანა იქნება ებრაული, რომელშიც რუსებს დააწვებათ უკელაზე მძიმე ტვირთი; ისინი დაამუშავებენ მიწებს, ჩამოხმებიან ფაბრიკებში ჩარხებთან, დაიცავენ ებრაული ხახ-

ელმწიფოს საზღვრებს, მოხარებენ შინაგან მტრებს (რუსული ნაციონალური თვითშეგნების მიმდევრებს). ებრაელები იქნებიან ბატონები, მიწათმფლობელები, ფინანსური და მატერიალური კეთილდღეობების განმკარგავნი. ჩვენი ხელაა: მართლმადიდებლობა, თვითმკურობელობა, ხალხურობა! შემოვგიერთდით, ერთად გადავარჩინოთ რუსეთი!"

იმ ავადმოსაგონარ 1889 წლის აღდგომის დღეს პინსკში ებრაელთა დარბევის მცდელობის პროვოკატორი სწორედ რეალური სასწავლებლის მასწავლებლის ნიღაბს ამოფარებული ტერორისტი გახლდათ და უანდარმერიის მიერ დაკავებულთა შორისაც აღმოჩნდა. სადამოს, გათავისუფლების შემდეგ, პირველი წარმატებული მასშტაბური ღონისძიების აღსანიშნავად ხუთეულმა ლრეობის გამართვა გადაწყვიტა, მაგრამ სასმელი ვერ იშოვეს. მამას უთქვამს, რომ მასთან ინახება მობარებული ბევრი ხორბლის არაყი და შეძლებდა მხოლოდ ერთი შტოფის მინდის სახით მითვისებას. ცხენზე შემჯდარა და სახლიდან ძღვენი მიურთმევია ორგანიზაციისთვის. ესე იგი, სწორედ მამამ, და არა დედამ (როგორც თავიდან ვივარაუდე), აანთო ლამპა, რათა ბნელ საკუჭნაოში არყისთვის მიეგნო და სიჩქარეში არ ჩაუქრია. იმ შტოფისთვის წირვა რომ გამოუყვანიათ, მამა დამთვრალა და მაგიდაზე დაუძინია; ბანდიტები კი, ფრთხილი მასწავლებლის გარდა, სასმელის მოსაპოვებლად იქ მივიდნენ, სადაც არაყი უგულებოდათ; ცოტა ხანში მამასაც გაეღვიძა, ცარიელი შტოფის შეხედვარე მიხვდა, სად იქნებოდნენ თანამეინახენი და სახლისკენ გამოიქცა . . .

01 რემის დანაბარები და ლეიტ წვეტი აქცის ჩანგალს

რამ-

ექვსი წელი ვისწავლე მინსკის გიმნაზიაში, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მთელს იმპერიაში. მისი დამთავრების შემდეგ პინსკის გარეუბან კაროლინში ჩემს მფარველ და მეცენატ რაბინ დავით ბენ შმუელ ფრიდმანთან ჩავედი. ხელგაშლილი მომეგება, გულში ჩამიკრა:

— ყველაფერი ვიცი შენი წარმატებების შესახებ. დამახსოვრების და ანალიზის განსაკუთრებული ნიჭი გამოგიმედავნებია. ჩემი მეგობარი ვიაჩესლავ რაგოიშა მიიჩნევს, რომ შენი უნარების პატრონისთვის ზედგამოჰქონილია სამართლებრივი განათლება. გვარი და გიმნაზიაში მიღებული ცოდნა გზას ვისხნის იმპერიის დიდ ქალაქებში განათლების დასაუფლებლად. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კამერალურ განყოფილებაზე რას იტყვით, ყმაწვილ?

— გაწეული დახმარებისთვის მაღლობის სათქმელად მოვედი. უნივერსიტეტში სწავლა, უსახსრობის გამო, ჯერჯერობით, შორეულ ოცნებად მესახება. ვიმუშავებ, ფეხზე დავდგები და მერე ვნახოთ.

— ამ ქვეყანაში ობოლი, უქონელი, ახალგაზრდა კაცისთვის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ისეთი სამსახურის პოვნა, სადაც იმდენ სახსარს გამოიმუშავებს, რომ უნივერსიტეტში სწავლა განაგრძოს, სამწუხაროდ, შეუძლებელი თუ არა, ძალიან

ძნელია. ჩვენ არ შევწყვეტთ შენს სუბსიდირებას; ეს არ არის ფულის ჰაერში გაბნევა; უნივერსიტეტის შემდეგ ისე უნდა დაიმკვიდრო თავი, რომ თავად დააფინანსო სხვა ნიჭიერი ახალგაზრდის სწავლა-განათლება; ანუ ჩვენი დახმარება არის ვალი, რომლის გადახდის საშუალებაც მოგეცემა.

— პეტერბურგი დიდი ქალაქია თავისი სასტიკი ადათ-წესებით. გამიგია, იქ ადამიანები ძირეულად იცვლებიან. რა გარანტია გაქვთ იმისა, რომ წლების შემდეგ მოვინდომებ ვალის დაბრუნებას, თანაც იმ მეგალოპოლისიდან, სადაც თქვენი თემის ადამიანებს ცხოვრების უფლება არა აქვთ?

— ამგვარი გარანტია შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ სინდისი. ახლა რასაც გეტიკი, კარგად დაიმახსოვრე, ყმაწვილო! უკვე სამოცდარვა წლის გარ. თუ ღმერთმა ინება და კიდევ მაცოცხლა, ვალის გადახდას პირადად გთხოვ. ერთადერთი ადამიანი, ვინც შეიძლება ჩემს ნაცვლად დაგიკავშირდეს და დავალება გადმოგცეს, არის პინსკის რეალური სასწავლებლის კურსდამთავრებული საიმ აზრიელ ვეიცმანი. შენ მას იცნობ. თუ რამე შეიცვლება, ინფორმაციას ან ჩემგან მიიღებ, ან ხაიმ აზრიელისგან. ამ საუბრის შესახებ არავინ, არასდროს უნდა გაიგოს. ახლა კი, აი პაკეტი. აქ სარეკომენდაციო წერილებია. მათი მეშვეობით უზრუნველყოფილი იქნები საუნივერსიტეტო განათლებისთვის საჭირო ფინანსური თუ სხვა სახის დახმარებით და თავად დარწმუნდები, რომ სინდისი მყარი და გარანტირებული კატეგორიაა. მუდამ გახსოვდეს ჯადოსნური სიტყვები, რაც ურჩია იერემიამ ბაბილონში გადასახლებულ ებრაელებს! დღეიდან იგი შენც გეხება.

“აგერ გამოჩნდა სხივი მსტოვრისა, რომელიც გვავსებს ქდემამოსილებით, ბედნიერებით, მსხმოიარობით. მიღით, შეუერთდით, ერთი წუთით ასცდით გაშლილ ალმებს. გისურვებო ღმერთის სიყვარულს! მუდამ იზრუნეთ იმ ქალაქის კეთილდღეობისთვის, რომელშიც გადაგასახლეთ და ილოცეთ მისთვის ლგოთის წინაშე: რამეთუ მისი კეთილდღეობის შემთხვევაში, თქვენც მოიპოვებთ მშეიძლობას ”, – ჩამესმა დედის ბაგეთაგან წარმოოქმული და თავს პირობა მივეცი, რომ შორეული და უცნობი პეტერბურგის კეთილდღეობისთვის არაფერს დაგიშურებდი. არადა, ოდნავ მეტი ყურადღება რომ გამომეჩინა ტექსტის მიმართ, ვინ იცის, რა გზით წარიმართობოდა ჩემი ცხოვრება? ყოველივე ფარული გაცხადდება, ოდონდ ყველაფერს თავისი დრო აქვს.

სტუდენტობის წლებმა თავისი პრობლემებითა და ბედნიერებით სწრაფად ჩაიარა. დიპლომის ასაღებად რომ მივედი, ცალკე ოთახში მიმიხეს, სადაც უცხო ადამიანები ისხდნენ საონო და მოღიმარი სახეებით. მაქეს, მადიდეს, სწავლაში გამოჩენილი მუყაითობა მომიწონეს და პეტერბურგის ჯაჭვის ხიდთან, წმინდა პანტელეიმონის სახელობის ეკლესიის მოპირდაპირე მხარეს მდებარე სახლში მიმიწვიეს გასაუბრებაზე. ერთ-ერთმა სტუმარმა თავი ვერ შეიკავა და გამომშვიდობებისას მომადახა:

– ახალგაზრდავ, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ჩემი ფავორიტი ბრძანდებით, თქვენზე ფხონს ჩამოვდივარ და იმედი მაქვს კონკურსში გამარჯვებას შესძლებთ.

“არასოდეს გამოილევიან უცნაური ადამიანები ჩვენს ქვეყანაში”, – გავიფიქრე მაშინ. იგი კარგად დავიმახსოვრე და რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ევროპაში შევხვდი რუსეთის სახელმწიფოს მიერ საგანგებო რწმუნებებით უფლებამოსილ საიდუმლო სამხედრო დაზვერვის მამამთავარს ვლადიმერ ლავროვს, მასში ჩემი პეტერბურგელი კეთილისმსურველი და გულშემატკივარი ამოვიცანი.

მეორე დღეს გასაუბრება ძალზედ საინტერესოდ წარიმართა. თავიდან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, იმპერიის სახელმწიფო მოწყობაზე, ალექსანდრე მეორის მიერ ჩატარებულ სასამართლო რეფორმაზე და სხვა სერიოზულ თემებზე ვილაპარაკეთ, შემდეგ კი მეტად უცნაური კითხვები დამაყარეს:

- თამბაქოს ეწევით?
- იშვიათად.
- რამდენი დერია ასანთის კოლოფში?
- შვედურში – ორმოცი, რიბეცეში გამოშვებულში
- ოცდათი.
- ბანქოს თამაშობთ?
- ზოგჯერ სადამოობით მეგობრები ვიკრიბებით ხოლმე.
- რა არის გამოსახული ტუზ გულზე?
- გულის სიმბოლო.

- სადილობის დროს ჩანგალს თუ იყენებო? – რა თქმა უნდა.
- რამდენი წვეტი აქვს?
- ძირითადად ოთხი; ზოგს ორი, სამი, ერთხელ ხუთწერიანი მონადირის ჩანგალიც მინახავს.
- რამდენი ადამიანი გამოცხადდით დღეს გასაუბრებაზე?
- ორმოცდაერთი.
- რამდენსაფეხურიანი კიბე ამოიარეთ მეორე სართულზე ამოსასვლელად?
- ოცდაორმეტი, თუ არ ჩავთვლით შენობის წინა კარის ოთხ საფეხურს.
- ხუმრობთ თუ მართლა დაითვალეთ? – სკამიდან წამოხტა კომისიის ერთ-ერთი წევრი, პეტერბურგის სამხარეო სასამართლოს პროკურორის ამხანაგი, კოლეგისკი სოვეტნიკი მაქსიმილიან ტრუსევიჩი და ოთახიდან გაგიდა. ცოტა ხანში კარი შემოაღო და ხელის მტევნებს გაოგნებული ატრიალებდა.
- რაო, მაქსიმილიან ივანოვიჩ? – პკითხა მაღალი რანგის ადიუტანტმა.
- ეს ახალგაზრდა კაცი გიჟი!

ოთხთვიანი გადამზადების კურსების შემდეგ, მუშაობა დავიწყე პოლიციის დეპარტამენტის განსაკუთრებულ განყოფილებაში, რომელიც 1902 წლის

2 სექტემბერს მეშვიდე საქმისწარმოებად გარდაიქმნა. თავიდან ჩვეულებრივად ვაკონტროლებდი უკვე გამოძიებულ საქმეებს, ხოლო მას შემდეგ, რაც ნდობა დავიმსახურე, ჩემს ძირითად ფუნქციას შეადგენდა მოკვლევის და სასამართლო დოკუმენტებში პოლიციის დეპარტამენტის საიდუმლო თანამშრომლების მიერ შემთხვევით, უყურადღებობით დატოვებული კვალის პოვნა. უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვა, ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე ჩვენი კოლეგების სავარაუდო ნაკვალევის დაფიქსირება. შემდეგ ხდებოდა ან მხოლოდ ცალკეული საბუთების, ან მთლიანად საქმის განადგურება. სულ მალე საუკეთესო მწმენდავად ჩამოვყალიბდი, მაღალი ხელფასიც დამინიშნეს და უკვე ჩემი წვლილი შექმნდა უქონელ სტუდენტთა სუბსიდირებაში.

მისტიკური ლანდეზენი ანუ უსახო კაცი

დრო გადიოდა, სამსახურს ალდო ავუდე და პოლიციის დეპარტამენტში კეთილსინდისიერი და საქმის მცოდნე ადამიანის სახელი გამივარდა. სისტემის იდუმალი ჯაჭვის პატარა, მაგრამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, რგოლი ვიყავი. რამდენიმე სხვა უწყების მაღალჩინოსანმა სცადა ჩემი გადაბირება, უკეთეს პირობებს და ჯამაგირსაც მპირდებოდნენ, მაგრამ შეფი მყარად იდგა, ყველა შეტევა მოიგერია. ასე გაგრძელდა პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად ჩემი ძველი ნაცნობის, უკვე დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის, მაქსიმილიან ტრუსევიჩის (სწორედ იმ კაცის, ვინც გასაუბრებაზე გიჟი მიწოდა), დანიშვნამდე. ეს მოხდა 1906 წელს. იმჟამად განსაკუთრებით გააჭიურდა პარიზში არსებული საზღვარგარეთის სააგენტოს ხელმძღვანელი, იმპერიის პოლიციის დეპარტამენტის საქმისმწარმოებლის უფროსი თანაშემწე, კოლეჟსკი სოვეტნიკი არკადი მიხაილოვის გარტინგი. ამ ადამიანის მონდომება ყოველგვარ საზღვრებს გასცდა. მან მოახერხა და, როგორც ყური მოვკარი, თავად იმპერატორის მითითებით, დეპარტამენტის დირექტორს დროებით წაართვა ჩემი თავი. გამიგონია, ყველაფერი დროებითი მარადიულია. თითქოს ორიოდე თვე უნდა მემუშავა პარიზის ბიუროში, მაგრამ აი უკვე მესამე წელია იქ ვარ. არკადი მიხაილოვიჩმა ჩვენი ერთობლივი

საქმიანობის საფუძვლად ღვთის ნებაც კი დაასახელა.

— მე და შენ პინსკის ერთ შორეულ უბან კაროლინში დავბადებულვართ, — გამომიცხადა პირველსავე შეხვედრაზე და იმდენი საერთო ნაცნობი აღმოგვაჩნდა, წამით არ შემპარვია ეჭვი ახალი შეფის გულწრფელობაში. თუმცა პინსკში მცხოვრები მისი გვარის ერთი წარმომადგენელიც ვერ გავიხსენე. არადა, ნაპოლეონთან ომის მონაწილის, გენერალ-მაიორ მარტინ ნიკოლაევიჩ გარტინგის ნათესავების შესახებ ინფორმაცია ჩვენს ციცქა ქალაქში შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო. რას იზამ? ბავშვობაში ადამიანს სულ სხვა მიზნები, მისწრავებები, სურვილები ამოძრავებს და უკვე მოწიფეულ ასაკში გავარკვევთ, თურმე რამდენი საინტერესო რამ ყოფილა გარშემო და ვერ გამჩნევდით.

არკადი მიხაილოვიჩის უწყებას პარიზში უამრავი საქმე ჰქონდა. ამ ქალაქიდან ხორციელდებოდა საკუთრივ საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში, შვედეთში, ამ ბოლო დროს განსაკუთრებით ინგლისში, ასევე სხვა ქვეყნებში მოქმედი ლეგალური და საიდუმლო თანამშრომლების, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს შორის გადმობირებული ფასიანი აგენტების მართვა. კარგი ურთიერთობა გვქონდა ადგილობრივ სამართალდამცავებთან. მევალებოდა ჩატარებული სპეცოპერაციების ანალიზი; მოსყიდული გაზეობის რედაქტორების მიერ გამოქვეყნებულ, ჩვენს მიერ შეკვეთილი სტატიების ხარისხზე კონტროლი; გავლენის აგენტებთან ფარული მუშაობა და უამრავი

წვრილმანი. ჩვეულებრივი რუტინა 1909 წლის მაისამდე გაგრძელდა.



უცნაური ამბები კი ასე დაიწყო. შატლეს თეატრში სერგეი დიაგილევის გახმაურებული “რუსული სეზონების” სპექტაკლები გაიმართა. მთელი პარიზის მაღალი საზოგადოება ამ მოვლენაზე ლაპარაკობდა. საღამო არ ჩაგვიგდია; ერთ-ერთი წარმოდგენის ანტრაქტის დროს ფოეში მყოფი არკადი გარტინგი, რომელიც უკვე სტატსკი სოვეტნიკის ჩინს ატარებდა, უცებ შეშფოთდა, გარე დაზვერვის ხალხს რაღაც დავალება მისცა, მე მიმიხმო; სასწრაფოდ დაგტოვეთ თეატრის შენობა, მოედანი გავიარეთ და მხოლოდ მიშელის ხიდზე სენის გრილმა სიომ მოჰგვარა სიმშვიდე. მერე ცოტა ხანს სენ მიშელის ბულვარზეც ვისეირნეთ. მეორე დილით კი კაბინეტში დამიბარა და დავალება მომცა: ყველგან, საღაც ხელი მიმიწვდებოდა, უნდა შემეგროვებინა ინფორმაცია წარმოშობით გერმანელ ვინმე ლანდეზენზე, რომლის კვალიც 1890 წლიდან ქრებოდა; რუს რევოლუციონერებს შორის მოარული ხმების მიხედვით, ცხრამეტი წლის წინ იგი ევროპიდან სამხრეთ ამერიკაში გადასახლებულა და, იმასაც ამ-

ბობდნენ, სულ მალე იქ გარდაიცვალათ. შეფს მიაჩნდა, რომ ლანდეზენი ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და არ არის გამორიცხული, იგი ცოცხალი იყოსო. საუბრის ბოლოს გარტინგმა მხარზე ხელი დამადო, მარჯვენა თვალი ჩამიკრა:

— აბა, შენ იცი! არ დამაღალატო! ყველა ინფორმაციას მხოლოდ პირადად მომასხენებ! — ეს ლანდეზენი, რასაკვირველია, გუშინ თეატრში მომხდარ ინციდენტთან იყო ფარულად დაკავშირებული. მაშინ ისიც კი გავიფიქრე, რომ მას და გარტინგს, შესაძლოა, სამსახურებრივი მოვალეობის გარდა, რაღაც ძალიან პირადულიც აკავშირებდათ. ისე აგიხდეთ ყველაფერი.

ლანდეზენის შესახებ ფრანგულ ჟურნალგაზეთებში არსებული მონაცემები მოვიძიე. ევროპული ქვეყნების სახელმწიფო მოწყობა იმით არის საინტერესო, რომ აქ თავისუფალი პრესა არსებობს და ინფორმაცია შეუზღუდავად ვრცელდება. მართალია, სიტყვის თავისუფლების ევროპული გაგება რედაქტორებს საშუალებას აძლევს ესათუ ის მოვლენა იმგვარად გააშუქონ, როგორც თავად ხედავენ, ან როგორც რომელიმე ჯგუფის ინტერესები მოითხოვს, მაგრამ მკითხველს განსხვავებული პოზიციის დანახვა მეორე ან მესამე გამოცემის მიხედვით შეუძლია. ერთიდაიმავე საკითხსა თუ მოვლენაზე სხვადასხვა მიმართულების წერილების გაცნობით, ადამიანებს საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბების საშუალება ეძლევათ და, რაც მთავარია, პოლიტიკურ აზრთა ამგვარი სხვადასხვაობა საზოგადოებაში მკვეთრ დაპირისპირებას არ იწვევს. ხელისუფლება საზოგადოებრივი აზრის, ხალხის ნების მორჩილია,

მზად არის ძალაუფლება სხვა თანასწორუფლებიან ჯგუფს გადასცეს. ეს კი კონტროლის უფლებური მექანიზმია. როდესაც ხელისუფლებაში მყოფმა ძალამ იცის, რომ მას აუცილებლად მოუწევს ძალაუფლების მოწინააღმდეგისთვის გადაბარება, ეცდება, ცოტა დანაშაული ჩაიდინოს და ნაკლები შეცდომა დაუშვას. ჩვენი ხალხისთვის კი სახელმწიფოს ამგვარი მოდელი მიუდებელი და დამდუპველია. რუსი ადამიანი ბუნებით ზედმეტად ლადია და მუდმივად მორჩილებაში უნდა გყავდეს, თორებ თავისუფლების ძალა თუ იგრძნო, ქვას ქვაზე არ დატოვებს. რუსს ხელმწიფებ უნდა განუსაზღვროს რა ჭამოს, რა დალიოს, რა ჩაიცვას, რა წაიკითხოს, რომელი ქვეყანა დაიპყროს. ასე სახელმწიფოსთვისაც კარგია და ჩვეულებრივი ქვეშევრდომებისთვისაც. რა ჯობია, როდესაც შენზე სხვა ზრუნავს და თავ-პირი არ გაქვს სამტვრევი იმაზე ფიქრით, თუ რომელი პოლიტიკური ჯგუფი წარმართავს უკეთესად ქვეყნის საქმეებს.

მისტიკურ ლანდეზენზე, მის ნიჭისა და შესაძლებლებზე კი შეეიცარიულმა და ფრანგულმა პრესამ საკმაოდ სოლიდური წარმოდგენა შემიქმნა. შეფი მართალი აღმოჩნდა. ეს მოუხელოებელი ნიჭიერი კაცი, თუკი ცოცხალია და მოქმედებს, მართლაც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას.

თავბრუდამხვევი თავგადასავლებისგან შედგებოდა მისი ევროპული ცხოვრება. პრესაში გამოქვეყნებულ, აგენტურული ქსელით მოპოვებულ და ადგილობრივი პოლიციის მიერ მოწოდებულ ინფორ-

მაციებზე დაყრდნობით, აი, როგორი სურათი დაიხატა:

რუსეთის იმპერიის ფარგლებს გარეთ, საპას-პორტო მონაცემებით ლიფლანდიელი გერმანელი აბრამ ლანდეზენი, ევროპის ქვეყნებიდან პირველად შვეიცარიაში გამოჩნდა 1885 წლის თებერვალში და ციურიხის პოლიტექნიკუმის სტუდენტი გახდა. სულ მაღე რევოლუციურად განწყობილი ემიგრაციის რიგებში გაერია. აგენტურული ინფორმაციით, აქაური რუსული საზოგადოებისთვის თავი მეფისმკალელთა პარტიის ყოფილ წევრად წარუდგენია. ხმები დარხეულა, დერპტში სტამბის ჩავარდნის შემდეგ იძულებული გამხდარა, რუსეთის ტერიტორია დაეტოვებიათ.

ლანდეზენი შვეიცარიაში დიდხანს არ დარჩენილა. 1886 წელს იგი პარიზის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა სიაშია, თუმცა ხშირად სტუმრობს თანამებრძოლებს შვეიცარიაში, სადაც ფუნქციონირებს “ნაროდნაია კოლიას” სტამბა. ამ ქვეყანასთან საბოლოოდ წყვეტს კავშირს მხოლოდ 1887 წლის 22 თებერვლის შემდეგ, როდესაც ციურიხის მახლობლად ტყეში თავის მიერვე დამზადებულ ბომბზე აფეთქდა და მალევე საავადმყოფოში დაიღუპა ისააკ დემბო. სიკვდილამდე მან ადგილობრივი პოლიციისთვის მიცემულ ჩვენებაში აღიარა, რომ ლანდეზენის ხელმძღვანელობით მოქმედი რუსი ბომბისტების ჯგუფის წევრია და რამდენიმე დღეში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე უნდა მოეკლათ. შვეიცარიის ხელისუფლებამ სათანადო ღონისძიებები ჩაატარა და იქაური ტერორისტები იძულებული გახდნენ პარიზისთვის შეეფარებინათ თავი.

არანაკლებ შავბინელია აბრამ ლანდეზენის პარიზული ცხოვრების პერიოდი. იგი აქაც მეფის მოკლაზე ოცნებობს და თანამოაზრებს დაეძებს.

რუსეთის იმპერატორის მკვლელობის იდეით შეპყრობილმა რადიკალურად განწყობილმა ემიგრანტმა ახალგაზრდობამ პარიზში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნა ორი წრე, რომლებშიც სწავლობდნენ ქიმიას და ბომბების დამზადების უნარ-ჩვევებს.

პირველ ჯგუფში ლანდეზენთან, მეტსახელად მიშელთან, ერთად შედიოდნენ: ბ. რეინშტეინი, ვ. ბურცევი. ეს სწორედ ის ვლადიმერ ბურცევია, რომელმაც ამას წინათ ამხილა ტერორისტებში ჩანერგილი ოხრანკის აგენტი ევნო აზეფი და იმუქრებოდა კიდევ ბევრ საიდუმლოს ავხდი ფარდასო. ბომბისტების მეორე ჯგუფის ბირთვს შეადგენდნენ: ე. სტეპანოვი, ი. კაშინცევი, ქიმიკოსი ლავრენიუსი, თავადი მელიტონ ნაკაშიძე; მათი ერთ წრედ გაერთიანების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი გახდა ისევ და ისევ მოუსვენარი ა. ლანდეზენი. ამ მოვლენას წინ უსწრებდა 1889 წლის დასაწყისში მომხდარი მეორე ჯგუფის ლიდერის ა. ტეპლოვის მოულოდნელი აფეთქება პარიზის მახლობლად მდებარე **LE RAINCY**-ის ტყეში. ტეპლოვის ამხანაგი, რომელიც ერთდორულად ბომბისტების პირველ ჯგუფთანაც თანამშრომლობდა, შეშფოთებული მივარდნილა ამ უკანასკნელებთან და ქიმიური მასალების და დოკუმენტების გადამალვა ურჩევია. ერთი სიტყვით, ასეთ უცნაურ გარემოებაში გამომჟღავნებულა მეორე ჯგუფის არსებობა. ლანდეზენმა რამდენიმე დღეში დაქსაქსული, მაგრამ ერთი იდეისათვის მებრძო-

ლი, ადამიანები ერთ ორგანიზაციად შეკრა. ბოძისტები თანდათან გაძლიერდნენ და უკვე მზად იყვნენ რუსეთში აქტიური მოქმედებების დასაწყებად. 1889 წლის შემოდგომაზე სიტუაციის შესახვავლად და ადგილებზე დასაყრდენი ძალის საპოვნელად ჯერ პეტერბურგში, ხოლო შემდეგ: მოსკოვში, ნიჟნი ნოვგოროდში, ხარკოვში, კიევში – მივლინებით გააგზავნეს ა. ლანდეგზენი. მისი კვალი პარიზში კვლავ გამოჩნდა 1890 წლის იანვარში. ამ დროისთვის ჯგუფი ემზადებოდა იმპერატორ ალექსანდრე მესამეზე თავდასხმისთვის, რათა მისი სიკვდილით გზა გახსნოდა ფართომასშტაბიან რევოლუციურ ბრძოლას. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ვ. ბურცევი და ი. რაპოპორტი. ისინი აპრილში გაემგზავრნენ რუსეთში, მაგრამ რაპოპორტი საბაჟო პუნქტზე უნგენთან დააპატიმრეს, ხოლო ვ. ბურცევმა ლონდონში გაქცევით უშველა თავს. გულხელდაკრევილი არც საფრანგეთში დარჩენილი ჯგუფის წევრები იყვნენ. მათ მაისის ბოლოს პარიზის მიდამოებში დაგეგმეს ბომბების წინასწარი გამოცდა. ალექსანდრე მესამეზე მორიგი თავდასხმა ივნისის პირველ რიცხვებში გადაწყდა და პარიზიდან ჩასულ ამხანაგებს პეტერბურგში უკვე ელოდნენ ლანდეგზენის მიერ ორგანიზებული ადგილობრივი ბომბისტები. 1890 წლის 29 მაისს დილით საფრანგეთის პოლიციამ ჯგუფის წევრთა დიდი ნაწილი დააპატიმრა. ა. ლანდეგზენის ასაყვანად მისულ უანდარმებს იგი ბინაზე არ დახვდათ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორი დღის წინ მისამართი შეუცვლია. სასამართლო 6 ივნისს გაიმართა და სამ-სამი წელი ციხეში ყოფნა განესაზღვრა: ი. კაშინცევს, ბ. რეინშტეინს, ე. სტეპანოვს, ა. ტეპლოვს, ქართველ

თავად მელიტონ (იგივე ილია პეტრეს ძეს) ნაკაშიძეს და ქიმიკოს ლავრენიუსს, ხოლო ორგანიზაციის ხელმძღვანელს აბრამ ლანდეზენს დაუსწრებლად მიესაჯა ყველაზე მეტი – ხუთი წლით პატიმრობა.

მისტიკურ ლანდეზენზე მოპოვებული ცნობები შეფს გადავეცი და თან ჩემი მოსაზრებებიც მოვახსენ:

- არკადი მიხაილოვიჩ, ჩვენი გერმანელი აბრამ ლანდეზენი, მეტსახელად “მიშელი”, მეფისმკვლელთა ორგანიზაციის “ნაროდნაია ვოლიას” აქტიური წევრი ყოფილა; იგი საქმიანი, კარგი ორგანიზატორი, ფინანსურად უზრუნველყოფილი, გონებასხარტი და მოუხელთებელი პიროვნებაა; რაც მთავარია, გაირკვა ერთი ძალიან საინტერესო დეტალი. ჩემს მიერ მოპოვებულ ინფორმაციებში ვერსად წავაწყდი ლანდეზენის გარეგნული ნიშნების აღწერას. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ამ კაცს სახე არ აქვს; იგი უფრო ადამიანი-აჩრდილია, ვიდრე ხორციელი. ევროპაში არსებული მასალებით ლანდეზენის კვალის მიგნება შეუძლებელია. მიმაჩნია, რომ სრული წარმოდგენის შესაქმნელად აუცილებელია რუსეთში, კერძოდ დერპტში მისი საქმიანობის შესწავლა. დიდია ალბათობა, რომ ლანდეზენის უკან რომელიმე ქვეყნის ძლიერი საიდუმლო სამსახური დგას. ხელწერის და ლანდეზენის წარმოშობის გათვალისწინებით, შესაძლოა, საქმე გერმანიის დაზვერვასთან გვქონდეს. ისინი სერი-

ოზულად არიან შეშფოთებული რუსულ-ფრანგული ურთიერთობების დათბობით; ტანით გრძნობენ, რომ ეს კავშირი მათ წინააღმდეგად მიმართული.

— ყოჩად! კარგად გიმუშავია! — აშკარა კმაყოფილებას ვერ მალავდა სტატსკი სოვეტნიკი. — ახლა სასწრაფოდ, ხვალვე, პეტერბურგში გაემგზავრე. პოლიციის დეპარტამენტში გაიკითხ-გამოიკითხე, მიმდინარე წლის განმავლობაში, რომელიმე ცნობილ საქმეში, შემთხვევით, ხომ არ ამოტივტივულა ლანდეზენის სახელი ან მისი რაიმე კვალი. ამ ბოლო დროს პეტერბურგის და მოსკოვის ოხრანჯები ჩვენდა დაუკითხავად ერევიან საზღვარგარეთის საქმეებში და მათი აგენტები აქაურ ტერორისტებთან დაძვრებიან. ნახე, იქნებ რამეს მიაგნეს. ისე კი ჩვენში დარჩეს, თუ რომელიმე მათგანი ხელში ჩამივარდა, თავგედს ვაწყევლინებ ჩვენს სამოქმედო ტერიტორიაზე შემოჭრისთვის. რაც შეეხება დერპტში ლანდეზენის საქმიანობას?! ძველი საქმეების შესწავლით ნუ მოცდები. იქაური დეტალები ჩემთვის კარგადაა ცნობილი. სხვებს უნდა დავასწროთ და, თუ რაიმე ახალი აღმოჩნდა, პირველები ვწვდეთ: როგორ თქვი? — იმ გერმანელ უსახურ კაცს. — შეფშა გამიღიმა და ამჯერად მარცხენა თვალი ჩამიკრა.

შრანგული კონიაპი, პიტრის მწერლი, სახვი და როსალია ჯულია ფრეიზრაუ ვონ ბონარი



მეორე დღეს, 26 მაისს უპვე ბერლინის მატარებელში ვიჯექი და ექვსდღიანი მოგზაურობის შემდეგ სამშაბათს, 19 მაისს (გრიგორიანულად 1 ივნისს) პეტერბურგში აღმოვჩნდი. პოლიციის დეპარტამენტის ჩემს ძველ, მეშვიდე საქმისწარმოებაში დიდი უივილ-ხივილით დამხვდნენ. სიხარულს ვერ მალავდნენ ტომაჩქა და გლიკერია ანისიმოვნა; შეფის დანაბარები კი მასსოვდა, მსოლოდ წლევანდელი საქმეები ნახეო, მაგრამ დერპტის სტამბის ისტორიის გარეშე დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებლად მესახებოდა. პირველად დავარდვიყ უფროსის მითითება და ქალებს ვთხოვე, იმ საქმის მონაწილეებზე და ლანდეზენზე დოკუმენტების სრული პაკეტი მოეტანათ ჩემთვის. იმათაც, შენ როგორ დაგიმალავთო, არქივიდან საი-

დუმლო გრიფით შენახული რამდენიმე საქადალდე ამომიცუნცულეს. ასეთი რამ მხოლოდ რუსეთში შეიძლება მოხდეს, რამდენიმე მიზეზის გამო. **პირველი:** მხოლოდ აქ არიან ტექნიკური მუშაკები უაღრესად განათლებულები, ნაკითხები და არქივებში დაცული საქმეების ისეთი დეტალებში ერკევიან, რომ სერიოზულ მეცნიერებს ჩაისვამენ ჯიბეში. რაც არ იცის დეპარტამენტის მაღალხინოსანმა, იცის უბრალო არქივარიუსმა; **მეორე:** სახელმწიფო სამსახურში მყოფი ადამიანები პირად ურთიერთობებს მხოლოდ რუსეთში აყენებენ მოვალეობაზე მაღლა. შინაურისთვის შეზღუდვები არ არსებობს; ასეთი გულუხვი და ხელგაშლილია სლავური სული, რა თქმა უნდა, სახელმწიფოს სარჯზე!

საარქივო ყუთების შიგთავსის გასაცნობად სამიოდე საათი დამჭირდა და რაც გავიგე, ჩემი წარმოდგენების ზღვარს საკმაოდ შორს გასცდა. გამიჭირდა დაჯერება. არადა, ყველა ეპიზოდის სიზუსტე უტყუარად იყო დადასტურებული წინასწარი და სასამართლო გამოძიებით. არაფერს ვამბობ, მაღალი ჩინების მიერ ხელმოწერილ ცირკულარულ წერილებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში ასახული ფაქტების წყალგაუვალობასა და ქვისგამტექსაობაზე თუ არა, გარკვეული დოზით სიზუსტეზე. თანმიმდევრულად მივყვეთ:

1885 წლის 6 თებერვალს ლიფლანდიის გუბერნიის იმ პატარა საუნივერსიტეტო ქალაქში უცნაური ამბავი მომსდარა. დერპტში, ბოტანიკურ ქუჩაზე, კრეიიდენის სახლში მდებარე ბინაში, დილით, ნაღვინევის სამკურნალო გაზავებული სპირტის სათხოვნელიდ მისულ მექზოვეს მასპინ-

ძელი, უნივერსიტეტის სტუდენტი ვლადიმერ პერელიაევი, მკვდარი დახვდა. გარდაცვალების ფაქტის დასადასტურებლად გამოცხადებულმა პოლიციის თანამშრომლებმა ბალიშში სახეჩარგული ახალგაზრდა კაცის გვამი ნახეს, რომელსაც ძალადობის გარეგნული ნიშნები არ ეტყობოდა. მეზობლების გამოკითხვის შედეგად კი გაირკვა, რომ პერელიაევი ბნედით იყო ავად, გულყრა ხშირად ემართებოდა და, როგორც ჩანს, ავადმყოფობის მორიგი შეტევის დროს სახით ზედ ბალიშზე დაეცა, სუნთქვა ვერ შეძლო და გაიგუდა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი უბედური შემთხვევა მოხდა და ეს ამბავი არც გახმაურდებოდა, რომ არა პოლიციელთა მიერ ოთახის დათვალიერებისას აღმოჩენილი კარგად გამართული არალეგალური სტამბა. პერელიაევის ბინაში იპოვეს დიდი რაოდენობით “პეტიტის”, “კორპუსის” და “ციცეროს” შრიფტები, პოლიგრაფიული ლიფლივები, ასოთამწყობის მაგიდა, საღებავი, სპილენძის ფილა, რომელზედაც ამოტვიფრული იყო გაზეთის სათაური «Народная Воля» და სხვა საბეჭდი მასალები თუ ნივთები. აქვე აღმოჩნდა “ნაროდნაია ვოლიას” №10-ის რამდენიმე ეგზემპლარი და მთელი დასტა პროკლამაციისა სათაურით “ნაროდნაია ვოლიას ახალგაზრდა პარტიის განცხადება”. უბედური შემთხვევის წყალობით ნაპოვნი არალეგალური სტამბის გამო აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ხარკოვში დააპატიმრეს ადრე იმავე ბინაში მცხოვრები ვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტი ნოვიკოვი. აღმოჩნდა. რომ ნოვიკოვი იმავე წლის 13 იანვარს დერპტიდან ჯერ პეტერბურგში ჩასულა თავის მმასთან. იქ კიროჩნაიას 44-ში უცხოვრია ხუთი დღე; შემდეგ გამგ-

ზავრებულა მეორე ძმასთან ხარკოვში. ნოვიკოვმა პრაქტიკულად არავინ გასცა; განაცხადა, რომ ასოთამწყობებად და მბეჭდავებად სტამბაში მუშაობდნენ მხოლოდ ის და გარდაცვლილი პერელიაევი; ზოგჯერ ეხმარებოდათ ვინმე ივან ივანიჩ ივანოვი, რომლისგანაც სმენია, რომ გაზეთის ნომრის სტატიები იწერებოდა და რედაქტირდებოდა პეტერბურგში; ვინ წერდა წერილებს ან ვინ ხელმძღვანელობდა სტამბის საქმიანობას, მისთვის უცნობია; ივან ივანიჩ ივანოვის ასავალ-დასავალი არ იცის და ასე შემდეგ. ვინმე ივან ივანიჩ ივანოვის ანუ პრაქტიკულად ქიმერის, მოჩვენების თანამონაწილედ დასახელება რევოლუციონერების და დამნაშავთა სამყაროს წარმომადგენლების მიერ უკვე დამკვიდრებული ცინიკური ტრადიცია გახლდათ. რუსეთში, მგონი, ყოველი მეოთხე ივან ივანიჩ ივანოვია! მიდი და სდიგ.

აი, ასე ჟღერს დერპტის სტამბის საქმის ოფიციალური ვერსია.

ახლა ვნახოთ ამ საქმესთან დაკავშირებული საიდუმლო დოკუმენტები:

1. შინაგან საქმეთა მინისტრის და ჟანდარმთა შეფის, გრაფ დიმიტრი ანდრეების ტოლსტოის 1885 წლის 7 თებერვლის მოხსენება: “ყოვლადსაქმუშევრდომო მოვალეობად მივიჩნევ, თქვენს საიმპერატორო უდიდებულესობას გაცნობოთ, რომ გუშინ, 6 თებერვალს, დერპტში მოულოდნელად გარდაიცვალა უნივერსიტეტის სტუდენტი პერელიაევი, რომლის ბინაშიც, ჩხრევისას, ნაპოვნია სტამბისთვის საჭირო ყველა მოწყობილობა და მიშვნელოვანი რაოდენობის შრიფტი. პოლიციის

დეპარტამენტის მონაცემებით, ლოპატინის და იაკუბოვიჩის საქმის მოკვლევის შედეგად დაღგენილი მტკიცებულებებით, ამ სტამბაში იძებლებოდა “ნაროდნაია კოლიას” №10. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სტამბის თანამშრომლების დაპატიმრება დროებით არ იყო მიზანშეწონილი და ამიტომაც სტამბა ხელუხლებელი რჩებოდა.

ამჟამად მიღებულია ზომები ყველა იმ პირის დასაკავებლად, ვინც მონაწილეობა მიიღო დერპტ ში “ნაროდნაია კოლიას” №10-ის ბეჭდვაში და ვისთანაც ამ უურნალის ეგზემპლარები მივიღა.”

2. გარდაცვლილი სტუდენტ ვ, პერელიაევის მეწყვილის ა. მ. ნოვიკოვის ჩვენებიდან: “პირი, რომელმაც სტამბაში სამუშაოდ მიმიწვია, ჩვენს ბინაში არასოდეს გამოჩენილა; იგი მას შემდეგ არ შემხედრია და, საერთოდ, ბინაში არავინ ყოფილა, ვინც იცოდა საიდუმლო სტამბის არსებობა. რა თქმა უნდა, მოდიოდნენ საერთო ნაცნობები, დერპტის რუსული საზოგადოების სტუდენტები, მათ შორის სტუდენტი გეკელმანიც, რომელმაც ასევე არაფერი იცოდა სტამბის შესახებ. ამოსაცნობად წარმოდგენილი იმ პირების სურათებთან დაკავშირებით, ვისაც გერმან ლოპატინს და პეტრე იაკუბოვიჩს ეძახიან, განვმარტავ, რომ ეს პოროგნებები არასოდეს მინახავს, მათ არ ვიცნობდი, თუმცა გვარი ლოპატინი მსმენია მისი დაპატიმრების დროს ატენილი აუთოტაუის გამო.”

3. დერპტის უნივერსიტეტის მიერ გაცემული ცნობა: “დერპტის უანდარმერიის განყოფილებას. თქვენი მოთხოვნის პასუხად გაცნობებით, რომ გეკელმანის გვარით სამედიცინო ფაკულტეტზე სწავ-

ლობდა სტუდენტი აბრამ გეკელმანი, რომელიც საკუთარი განცხადების საფუძველზე 1885 წლის 30 იანვარს ამოირიცხა სიიდან. მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.”

4. შვეიცარიაში მეფისმკვლელების გარემოცვაში ჩანერგილი პეტერბურგის ოხრანკის აგენტ “მიტრიჩის” მოხსენებითი ბარათიდან: “ნაროდნაია ვოლიას” ლიდერების გერმან ლოპატინის და პეტრე იაკუბოვიჩის დაპატიმრების შემდეგ ორგანიზაციის ციურიხელი წევრებისთვის შლისელბურგის ციხიდან შემოუთვლიათ, რომ მათ რიგებში მოქმედებს გამცემი. ეჭვი აჭვთ, იგი დერპტში მცხოვრებ სამი სტუდენტიდან ერთ-ერთია. კერძოდ, ასახელებენ ვინმე გეკელმანს, პეტრელიაევს და ნოვიკოვს, რადგანაც თურმე მხოლოდ მათ სცოდნიათ სტამბის მისამართი, რომლის ჩავარდნის შემთხვევაში ამ სამიდან დაუპატიმრებელი აშკარად ჩამშვები იქნებაო. ” (1884 წლის 26 ნოემბრი. ციურიხი)

5. იგივე “მიტრიჩის” მოხსენებითი ბარათიდან: “სტუდენტებს შორის გამოჩნდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც გულუხვი და ხელგაშლილია. აქაურებს იგი ჯერ აგენტი ეგონათ და სასამართლოც მოუწყეს, რომელზედაც მან განაცხადა, რომ დერპტის სტამბა სრულიად შემთხვევით ჩავარდა მას შემდეგ, რაც ეპილეპსიის მორიგი შეტევის დროს მოულოდნელად გარდაიცვალა ბინის მეპატრონე პეტრელიაევი და სიკვდილის ფაქტის დასადასტურებლად მისულ პოლიციას იქ საბეჭდი დანადგარები დახვდა. მე რომ პოლიციის აგენტი ვყოფილიყავი, სტამბას “ნაროდნაია ვოლიას” №10-ის დაბეჭდვამდე ჩავუშვებდიო, – ამტკიცებდა იგი.

“ნაროდნაია ვოლიას” პარიზულმა ჯგუფმაც ახალჩამოსულს დაუჭირა მხარი. სტუდენტს თავიდან აბრამ გეკელმანად მოიხსენიებდნენ, მაგრამ მისი დაუინებული მოთხოვნის შედეგად, დღეს უკვე ლანდეზზენს ეძახიან. ამ გვარითაა იგი ცნობილი ადგილობრივი პოლიციისთვისაც. ამ ლანდეზზენმა თავის ამხანაგებს საჯაროდ განუცხადა, რომ პოლიტიკაში დღეიდან აღარ ჩაერევა.” (24 თებერვალი, 1885 წელი. ციურიხი.)

6. პოლიციის დეპარტამენტის მიერ ლანდეზზენთან დადებული ხელშეკრულება: “ამჟამად პარიზში ლანდეზზენის სახელით მცხოვრები სანკტ-პეტერბურგის საიდუმლო განყოფილების ყოფილი აგენტი, ამა წლის 1 მაისიდან მოწვეულია საზღვარგარეთ თავისი საქმიანობის გასაგრძელებლად. . . ლანდეზზენთან შეთანხმება შედგა შემდეგი პორტებით:

1. 1885 წლის 1 მაისიდან მას დაენიშნა ხელფასი თვეში 300 რუბლი ან 750 ფრანკი.
2. სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად პარიზის გარეთ მოზაურობისთვის ლანდეზზენს აუნაზღაურდება ბილეთის ღირებულება და დღიური 10 ფრანკი.
3. ლანდეზზენს სამსახური ეთვლება 1885 წლის 1 მარტიდან, მაგრამ მარტსა და აპრილში ხელფასი აუნაზღაურდება ძველი გაფასებით ანუ თვეში 200 რუბლი და დაუბრუნდება პარიზში ჩასასვლელი თანხა 100 რუბლი.
4. მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ლანდეზზენთან ურთიერთობის შეწყვეტის შემთხვევაში,

მას წინასწარ ეცნობება ამგვარი გადაწყვეტილების შესახებ და, დამსახურების მიხედვით, ხელფასი შეუნარჩუნდება რამდენიმე თვის განმავლობაში. იმავდროულად მიეცემა ერთჯერადი დახმარება. თანხის რაოდენობას განსაზღვრავს პოლიციის დეპარტამენტი.

დეპარტამენტის დირექტორი ლ. დურნოვო. 8 მაისი, 1885 წელი.”

ამ საბუთის ნახვის შემდეგ მივხვდი, რომ აშკარად დაუკრეფავში გადავედი. საიდუმლო აგენტების შესახებ ინფორმაციის მოპოვება კატეგორიულად მექრძალებოდა და ოუ ეს ამბავი გამეღავნდებოდა, ჩემს კეთილისმყოფელ ქალბატონებსაც არ დაადგებოდათ კარგი დღე. მიუხედავად ამისა, გულმა ვერ გამიძლო და ისე, სხვათა შორის, რა იცი, რა ხდებას იმედზე, ვიკითხე:

— გოგონებო, თქვენთან რევოლუციონერების კარტოგეაში შემთხვევით ვინმე გეკელმანის სიტყვიერი პორტრეტი ხომ არ მოიძებნება?

— ეგ ექნებათ სარეგისტრაციო განყოფილებაში, სადაც ალფაბეტური ცნობარია შედგენილი. ამ ტიპის ინფორმაცია ნამდვილად არ არის საიდუმლო. შენისთანა კარგ კაცს უარს როგორ ვეტყვი, გავალ და, გეკელმანებზე თუკი რამეა, ყველაფერს მოგართმევ, — მრავალმნიშვნელოვნად გამიღიმა გლიკერია ანისიმოვნაშ.

ხუთი წუთიც არ გასულა და ხელში მუყაოს ფურცელი მეჭირა, რომელზეც გარკვევით ეწერა: “არონ მორდუხოვის გეკელმანი, პეტერბურგში ჩამოვიდა ტვერის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ,

21 წლის, შემჩნეულია “ნაროდნაია ვოლიასთან” კავშირში. საშუალო სიმაღლის, გამხდარი, ულვაშა, უწვერო, ნაადრევი სიქაჩლის ნიშნებით, პატარა მოუსვენარი ყავისფერი თვალებით, სწორი ცცვირით, მუდამ პეწით ჩაცმული. . .” მე კი გერმანელ აბრამ გეკელმანს ვეძებდი!

- აბა, კარგებო და ლამაზებო, ეს საბუთები თავის ადგილზე დააბრუნეთ, სამუშაო დროც იწურება და როგორ გვინიათ, პარიზიდან თქვენთან ფრანგული კონიაკის გარეშე ჩამოვიდოდი? — საკვიაჟი გავხსენი. დვთაებრივი სითხის ერთი ბოთლი ამოვიდე, წამით დავფიქრდი, წუწურაქობის შემრცხვა და მეორეც ამოვაყოლე.
- პურ-მარილი ჩვენზეა, — აღტაცება ვერ დამალა გლიკერია ანისიმოვნამ.

რამდენიმე წუთში სუფრაც გაიშალა და ნურავინ იტყვის, რომ ფრანგულ კონიაკს კიტრის მწნილი, ხახვი და ჭვავის პური არ უხდება.

დიდხანს ვისხედით, ძველი ამბები გავიხსენეთ. პეტერბურგული თეთრი დამე ისე მოგვეპარა, ვერც კი გავიგეთ. შენობიდან რომ გამოვედით, ტომას კიბეებთან მეუღლე ელოდა. მე გლიკერია ანისიმოვნა მივაცილე სახლამდე. შინ მიმიწვია, იქ არყით გამიმასპინძლდა და მერე, ბუნდოვნად მახსოვეს, როგორ აღმოვჩნდით საწოლში, მაგრამ არ ვნანობ. მის ტემპერამენტს ბევრი ახალგაზრდა ვერ დაიკვეხნის. მართალი იყო ჩემი სტუდენტობის ამხანაგი ლიოხა სიპაილო, რომელიც ამტკიცებდა, ვინც ქალს ასაკის ან სიუშნოვის გამო იწუნებს, ამურის საქმეებში ჩაუხედავი ხეპრეაო.

ლიონსა საინტერესო ადამიანი იყო. ერთხელ პან-სიონში მის ოთახში შევედი და რას ვხედავ?! სი-პაილო სკამზე დამჯდარა, ფეხები საწოლზე შე-მოუწყვია და კედელზე გაკრულ, უურნალიდან ამოჭრილ, უმშვენიერესი ქალბატონის როსალია ჯულია ფრეიფრაუ ვონ ბონარის პორტრეტს მიშ-ტერებია.

— რას შვები, ბიჭო, ანძრევ? — დაგჭექე, რაც შე-მეძლო ხმამაღლა.

— არა, რას ამბობ! იცი, რას ვფიქრობ? ნახე, რა ქალია! ახლა ამას ვიდაც ხომ უქაჭუნებს?! — მერე რამდენიმე წამით გაჩუმდა და თითქოს გულიდან მოიწყვიტა. — ამისთვის დედაჩემის მიერ ყოველთ-ვიურად გამოგზავნილი ხუთი რუბლიდან ორს . . . არა სამს, არ დავინანებდი.

რა იცოდა როსალია ჯულია ფრეიფრაუ ვონ ბო-ნარმა, რომ, ლიონსა სიპაილოს კურსით, სამი რუბლი სხვების მილიონზე მეტი იყო?!

გლიკერიასთან ურთიერთობა საქმისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა. თურმე ქალბატონს შუ-რისძიების გრძნობაც ამოძრავებდა. გლიკერია ანისიმოვნას და არკადი მიხაილოვიჩ გარტინგს თავის დროზე რომანი ჰქონიათ, მაგრამ ჩემი შეფი ლაჩრულად მოქცეულა და გაუგია თუ არა, რომ გლიკერია ორსულადაა, მაშინათვე მიუტოვებია. კიდევ ბევრი საინტერესო ინტიმური დეტალი გაიხსენა საწოლში ანისიმოვნამ.

დილით ადრე გამომიშვა სახლიდან. ძალიან გთხოვ, ჩვენი ამდამინდელი სიყვარულის ისტორია

ისე, სხვათაშორის, შეაპარე გარტინგს, თითქოს შენთვის მის შესახებ არაფერი მითქვამსო.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, კარგად გამოძინებული, სასტუმრო “Северная”-ს ნომერში ვცდილობდი, აზრებისთვის მომეუარა თავი.

დერპტის სტამბის ეპიზოდის ანალიზი

ოხრანკის მიერ მეფისმკვლელთა წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაცია კარგად დაბეგმილი ფართომასშტაბიანი და მრავალპლანიანი ღონისძიება იყო. ორგანიზაციის ბირთვი პრაქტიკულად განადგურდა: ა) ციხეში აღმოჩნდნენ “ნაროდნაია ვოლიას” ლიდერები გერმან ლოპატინი და პეტრე იაკუბოვიჩი; ბ) დერპტის სტამბაში დაბეჭდილ “ნაროდნაია ვოლიას” №10-ის თითოეულ ეგზემპლარზე დაწესდა მეთვალყურეობა და იმპერიის სხვადასხვა ქალაქში მცხოვრები ყველა მისი ადრესატი დააპატიმრეს. გ) მოხდა არალეგალური სტამბის ლიკვიდაცია.

ამ საფუძვლიანი და დროში გაწელილი ოპერაციის ჩატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ ორგანიზაციაში გადმობირებული ან ჩანერგილი აგენტის მეშვეობით. ეს ადამიანი იყო აბრამ გეკელმანი იგივე ლანდეზენი.

შვეიცარიის პერიოდის მოვლენების ანალიზი

რუსეთში მეფისმკვლელთა პარტიის ფაქტობრივად სრული ლიკვიდაციის შემდეგ, ოხრანკა ახლა უკვე ქვეყნის ფარგლებს გარეთ აგრძელებს ბრძოლას და ამ საქმეშიც აქტიურად იყენებს აბრამ გეკელმანს-ლანდეზენს. დეტალებში გარკვევა

ძნელია, მაგრამ მისი მეშვეობით განადგურდა “ნაროდნაია ვოლიას” შვეიცარიაში საკმაოდ აქტიურად მოქმედი სტამბა, დაიშალა და ქვეყნიდან გაძევებულ იქნა მეფისმკვლელების იქაური გაერთიანება და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ლიკვიდირებულ იქნა ბომბისტების წრე, ხოლო ასაფეოტქებელი მოწყობილობების დამზადების სპეციალისტი დაიღუპა. ისააკ დემბოს კიდევ სამი კვირა რომ ეცოცხლა, შესაძლოა, 1887 წლის 1/13 მარტს დაგეგმილი ალექსანდრე მესამეზე თავდასხმის აქტი, ალექსანდრე ულიანოვივით პირტიტველა და გამოუცდელი ბიჭების ამარა არ დარჩენილიყო და ბომბისტებისთვის ასე უსახელოდ არ დამთავრებულიყო.

პარიზის ეპიზოდის ანალიზი

რადგანაც გაირკვა, რომ ლანდეზენი საიდუმლო აგენტია, მისი პარიზული მოქმედებებიც გასაგები გახდა. ოხრანკა საფრანგეთის დედაქალაქშიც მისწვდა “ნაროდნაია ვოლიას” ნარჩენებს, მათ ერთად მოუყარა თავი და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა. უფრო მეტიც პარიზიდან რუსეთის ქალაქებში: პეტერბურგი, მოსკოვი, ნიჟნი ნოვოროდი, ხარკოვი, კიევი, – ლანდეზენგაელმანის მოგზაურობა მიზნად ისახავდა იმპერიაში აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილი მეფისმკვლელების მოძიებას. აბრამ გეგელმანის ეს ვოიაჟი იყო საკონტროლო შემოწმება, რასაც სულ მალე ამ ორგანიზაციის სრული და საბოლოო ლიკვიდაცია მოჰყვა კიდეც. ვირტუოზულად შესრულდა “ნაროდნაია ვოლიას” პარიზში არსებული მცირე ჯგუფის განადგურებაც. ეს ამოცანა ოხრანკამ, ლანდეზენის გონიერი საქმიანობის

მეშვეობით, პარიზის პოლიციას შეასრულებინა, რომელმაც, როგორც ეგონა, პარიზში მოქმედი ტერორისტების ჯგუფი გააუკნებელა, სინამდვილეში კი პოლიტიკური ორგანიზაცია “ნაროდნაია ვოლიას” უკანასკნელი მოჰიკანები დააპატიმრა. თუმცა არც ეს იყო პარიზული ოპერაციის ბოლო შედეგი. ბომბისტების: ი. კაშინცევის, ბ. რეინშტეინის, ვ. სტეპანოვის, ა. ტეპლოვის, მელიტონ ნაკაშიძის, ლავრენიუსის და ლანდეზენის – სასამართლოს პრესაში აშკარად პოლიციის დეპარტამენტის მიერ ხელშეწყობილი აუთოტაუო მოჰკვა. თუ მანამაღე ფრანგული საზოგადოება გარკვეული დოზით თანაუგრძნობდა თვითმყრობელობასთან მებრძოლ რუს რევოლუციონერებს, ამ პროცესის შემდეგ მიხვდა, რომ ისინი, შუაგულ პარიზში ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებით, საფრთხეს აქაური მოქალაქეების სიცოცხლესაც უქმნიან; რევოლუციონერები, იდეალებისთვის თავდადებული გმირები კი არა, ჩვეულებრივი ტერორისტები არიან და საფრანგეთში მათ წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებაც კი შეიქმნა, რა თქმა უნდა, რუსული საიდუმლო პოლიციის ფარული მხარდაჭერით. რუსი ბომბისტების დაპატიმრების შემდეგ მკვეთრად გაუმჯობესდა ფრანგულ-რუსული ურთიერთობები და სულ მაღე ამ ორ სახელმწიფოს შორის შედგა, სავარაუდოდ, გერმანიის წინააღმდეგ მიმართული, ფარული შეთანხმება. ერთი სიტყვით, პოლიციის დეპარტამენტმა დაგეგმა და განახორციელა საიდუმლო ოპერაცია, რომლის ბადალი ძნელად მოიძებნება მსოფლიო პრაქტიკაში, როგორც შედეგების მრავალფეროვნებით, ისე სისასტიკითაც და ამ ოპერაციაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საი-

დუმლო აგენტმა აბრამ ლანდეზენმა, რომელიც თავიდან გერმანიის დაზერვის წარმომადგენელი მეგონა, სინამდვილეში კი აღმოჩნდა წარმოშობით პინსკელი მეშჩანი, არონ მორდუხოვის გეკელმანი, რომელსაც ოპერაციის წარმატებით დასრულებისთანავე მიენიჭა საპატიო მოქალაქის წოდება და, მიუხედავად ებრაელობისა, რუსეთის მთელ ტერიტორიაზე შეუზღუდავად ცხოვრების ნებართვით დაჯილდოვდა. როგორც გლიკერია ანისიმოვნამ ჩურჩულით გამანდო, 1892 წელს არონ მორდუხოვის გეკელმანს ვისბადენის მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაენათლა ქრისტიანული სახელი არკადი და მამის სახელი მიხეილი, ხოლო 1896 წელს, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის თანხმობით, მიეცა უფლება, ეტარებინა ერთ-ერთი წარჩინებული გვარი; 1899 წელს ჯვარი დაიწერა მაგდალინა პირლოუზე; მეჯვარე იყო იმუამად პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის უფროსი პ. ი. რაჩკოვსკი. დიახ! ეს არონ მორდუხოვის გეკელმან-ლანდეზენი გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი შეფი, სტატსკი სოვეტნიკი, პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის ხელმძღვანელი, მისი მაღალ შობილება გრაფი არკადი მიხაილოვის გარტინგი.

სერიოზულ შარში გავეხვიუ. პეტერბურგში დარჩენას აზრი არ ჰქონდა, პარიზში ჩასვლა და შეფორმ შეხვედრა არ მინდოდა, ნაწყენი ვიყავი, ბაი-ბუად რომ არ ჩამაგდო. ბოლოს მაინც ბედს დაგმორჩილდი. ასეთია პატარა კაცის ტვირთი, ეტლით მორჩილად გავემგზავრე ვაგზალზე, რათა ვარშავის მატარებლისთვის მიმესწრო. პარიზამდე მინიმუმ ხუთდღიანი მოგზაურობა მელოდა და გზაში უკეთ მოვიფიქრებდი, როგორ მოვქცეუ-

ლიყავი არკადი მიხაილოვიჩთან შეხვედრისას. თურმე სადა ხარ? კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდა, რომ იტყვიან, სწორედ ჩემზე ყოფილა ზედგამოჭრილი.

მგზავრობის დროს შეფზე ვფიქრობდი. ადამიანებს, ზოგჯერ შემთხვევის ან ვინმეს მონაცოლის წყალობით, სულ სხვა თვალით შევხედავ და ისეთ რამეს დავინახავ, რაც თურმე ასე ნათელი ყოფილა და ვერ ვამჩნევდი. აშკარად გლიკერია ანისიმოვნას გავლენის ბრალია, რომ გარტინგი ჩემს თვალში უკვე გმირი ადარ იყო. ჯერ დერატში, შვეიცარიასა და პარიზში მომხდარი ტრაგიკული უბედური შემთხვევების ამბები ამეკვიატა. მომკალი და ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ყველაფერი უბრალო დამთხვევა იყო. მერე ამ ყაიდის უკვე უახლეს პერიოდში მომხდარი ისტორიაც გამახსენდა.

ბოლო დროს გარტინგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სხვადასხვა პარტიის ფინანსური წყაროების შესწავლის საქმეს და, მისი უშუალო მითოთებით, მუდმივად ვამჟმავებდი ინფორმაციას რევოლუციონერთა, ეგრეთ წოდებულ, მოლარებზე. “ნაროდნაია ვოლიას” ანუ მეფისმკვლელების განადგურების შემდეგ ოხრანკა ახლა ესერებსა და სოციალ-დემოკრატებზე გადაერთო. დაკვირვებას ვაწარმოებდით ესერთა პარტიის მოლარე იანკელ ჩერნიაკზე და სოციალ-დემოკრატების ფინანსურად უზრუნველმყოფელ ლეონიდ კრასინზე. ერთიც და მეორეც ძირითადად ევროპაში საქმიანობდა. მათი ამოცანა გახლდათ პარტიის ბანდიტური დაჯგუფებების მიერ რუსეთში ექსპროპრიაციით მოპოვებული ფულის უც-

ხოეთის ბანკებში გადაცვლა-ლეგალიზაცია. ფულის გათეთრების საქმეში ჩართული უცხოური ბანკები დიდ საკომისიოს ითხოვდნენ და პარტიების მიერ ნაძარცვი თანხის სერიოზული ნაწილი ოპერაციაში უშუალოდ მონაწილე პირების ჯიბებში ილექტოდა. ჩვენი ამოცანა იყო პარტიის ფულის მითვისებაში გვემხილა იანკელ ჩერნიაკი და ლეონიდ კრასინი, რათა შემდგომ, შანტაჟის გზით, ისინი გადმოგვებირებინა. აგენტურული მონაცემებით, ცნობილი იყო მათი მოძრაობები.

1907 წლის იანვარში ინფორმაცია შემოვიდა, რომ იანკელ ჩერნიაკმა მოულოდნელად დეპეშა მიიღო და სასწრაფოდ შვედეთში გაემგზავრა. შეფი ამცნობამ შეაშფოთა, თავისი არხებით დაუკავშირდა იქაურ საიდუმლო სამსახურს და, საზღვარი გადაკვეთა თუ არა, ჩერნიაკი დააპატიმრეს. შვედეთში რუსეთის საელჩომ ოპერატიულად მოითხოვა მის გადაცემა, მაგრამ ევროპის ხოციალისტურმა პრესამ ერთი წივილ-კივილი ატეხა: ჩერნიაკს რუსეთში აუცილებლად ჩამოახრჩობენ, ამიტომაც მისი ექსტრადიცია დაუშვებელიაო. საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის შედეგად, ჩერნიაკი რუსეთს არ ჩააბარეს, მაგრამ ჩასვეს ხომალდ “ოლაფში” და შვედეთიდან გააძევეს. ინგლისისკენ მიმავალი გემი გზად ანტგერპენში შევიდა, სადაც ერთ-ერთ კაიუტაში გარდაცვლილი ოთხი მგზავრიდან ერთ-ერთი ესერთა მოლარე აღმოჩნდა. სიკვდილის მიზეზი ასფიქსია იყო და რადგანაც მიცვალებულებს ძალადობის კვალი არ ეტყობოდათ, ივარაუდეს, რომ ისინი მხუთავი გაზით მოწამდნენ. მაშინ არ მიფიქრია, მაგრამ ახლა მგზნია, რომ ის უცნობი გაზი, შესაძლოა, ჩვენს არსენალში მყოფი საიდუმლო იარაღი – მელინითის

ჭურვი – ყოფილიყო. ესეც შენი, გარტინგთან და-
კაგშირებული, მეოთხე “უბედური შემთხვევა.”
სიკვდილის წინ წარმოთქმული სიტყვების შეგრო-
ვების ჩემს უკურნებელ ვნებას ხომ ნამუსი არ
აქვს და სინანულით დავასკვენი, რომ შეფის სცე-
ნარით დაღუპული ადამიანების ბოლო ფრაზები
კაცობრიობისთვის უცნობი დარჩა.

მატარებელი დინჯად მიჩაქაქებდა: ფსკოვი,
ვილნო, გროდნო, ვარშავა, ბერლინი . . . გასაო-
ცარი იყო ლანდეზენ-მიშელ-გეკელმან-გარტინგის
კონსაირაციული ნიჭი. შეფს საარქივო დოკუმენ-
ტაცია გაწერიალებულ-გასუფთავებული ჰქონდა.
მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, მას არ ასვე-
ნებდა რაღაც ჩემთვის უცნობი მიზეზი და ეს
საფრთხე იმ საღამოს შატლეს თეატრის ფოიედან
წამოვიდა. ყველა დეტალი და ნიუანსი გავიხსენე,
მაგრამ რაიმე ახალს ვერ მივაგენი, რომ ჩავჭიდვ-
ბოდი და მოჯადოებული წრიდან გამოვსულიყავი.
არადა, რაღაც იდუმალი ხმა ჩამდახოდა: მიდი, ბე-
ნონი, მიდი! ეგ ხომ ძალიან მარტივია. უკვე პა-
რიზს ვუახლოვდებოდით, როდესაც მივხვდი, თუ
საიდან ელოდა მხილება გარტინგს. მთელ ამ
თავგადასავლებში ორი მოუხელოებელი ადამიანი
მონაწილეობდა. ერთი თავად არკადი გარტინგი
და მეორე – ვლადიმერ ბურცევი. როგორც გარ-
ტინგი იყო იღბლის ნებიერა, ასევე ბედი სწყა-
ლობდა ბურცევსაც. ჩვენს საქმეში კი ბედი მხო-
ლოდ იმის მხარესაა, ვინც თამაშის წესებს გან-
საზღვრავს. გარტინგის უკან ყოველთვის საი-
დუმლო სამსახური იდგა. არც ბურცევი უნდა ყო-
ფილიყო მთლად ანგელოზი. ყველაზე საინტერესო
კი ის გახლდათ, რომ ისინი ერთმანეთის დიდი
ხნის ნაცნობები იყვნენ. აი ვინ ნახა გარტინგმა

შატლეს თეატრში?! რა თქმა უნდა, ბურცვევი! მხოლოდ ბურცვევს შეეძლო საფრანგეთის სასამართლოს მიერ მსჯავრდებული ლანდეზენის და რუსეთის იმპერიის პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის ხელმძღვანელის გარტინგის იდენტურობის დამტკიცება. აი სკანდალიც ეგ იქნებოდა.

ვაგზალზე ეტლი ვიქირავე და საელჩოში, სადაც ფლიგელი გვქონდა გამოყოფილი, მივედი თუ არა, უცნაური ახალი ამბავი დამხვდა. თურმე, სანამ ჩემი მატარებელი ვილნოსა და გროდნოს შორის მანძილის გადალახვას ცდილობდა ანუ 1909 წლის 22 მაისს (4 ივნისს), არკადი მიხაილოვის გარტინგისთვის მიუნიჭებიათ დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის მაღალი ჩინი და იმავდროულად გაუთავისუფლებიათ პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის უფროსის თანამდებობიდან. რუსეთი ხომ პარადოქსების ქვეყანაა; კაცი თან დააწინაურეს, თან მოხსნეს! ეს ამბავი როტმისტრმა კლადიმერ ანდრეევმა მამცნო და საღამოს პრივატულ ვახშამზე დამპატიუა.

CAFÉ DE FLORE-დან CAFÉ LES DEUX MAGOTS-ამდე
სერ 888-

30ლების ქალღმერთიდან
ორ მაიმუნამდე



სენ ჟერმენის ბულვარზე CAFÉ DE FLORE -ში პა-
ტარა მაგიდასთან დავსხედით. უმშვენიერების,
თვალშუუნა მიმტანის მორთმეულმა ყავის არო-
მატმა სენის სანაპიროზე მდებარე პარიზის დვი-
ნის საწყობების სასიამოვნო სურნელი გადაფარა.
ორი რუსი, რომელიც სალამოს კაფეში მხოლოდ
ყავას მიირთმევს, უცნაური სანახაობაა. მზად
კიყავი, ველოდი, რომ საუბარი სერიოზული და
მძიმე იქნებოდა.

— ამას წინათ ახალი ანექდოტი მოვისმინე, —
უცებ დაიწყო სიტუაციის განმუხტვა გარტინგის
თანაშემწერ, როგორისცი ვლადიმერ ანდრევეგმა. —
საფრანგეთის არმიაში გაწვეულ ჩარჩ გარგანტუას
დაავალეს ჯარისკაცები სახელმწიფო დაზღვევაზე
დაეყოლიებინა. ჩარჩმა ფენომენალური შედეგი აჩ-

კენა. ვისაც არ დაუღიაპარაქა, ყველა დაგზღვია. გაკვირვებულმა პოლკის მეთაურმა გარგანტუ მოსალაპარაკებლად მორიგ ახალწეველებთან შეუშვა, დაუყურადა და რა ეხმის: აბა, ჯარისკაცებო, ახლა სისულელებით თავს არ გამოგიჭედავთ. მარტივად აგიხსნით, რა არის სახელმწიფო დაზღვევა: თუ ბრძოლაში გაგაგორებები და დაზღველი არა ხართ, ოჯახი მიიღებს მხოლოდ ცნობას თქვენი გმირული სიკვდილის შესახებ; თუ დაზღვეული ხართ და ბრძოლის ველზე დაიღუპებით, ოჯახი მიიღებს დამატებით ორი ათასს ვრანჯს. გასაგებია?

— გასაგებია!

— პოდა, თუ გასაგებია, მაშინ მიპახუეთ: ჩვენი ძვირფასი სამშობლო, ომის დროს, ფრონტის წინა ხაზზე, უცილობელ სიკვდილთან შესახვედრად, უპირველესად რომელ ჯარისკაცებს გაუშვებს, დაზღვეულებს თუ დაუზღვევლებს?

კარგია; სახელმწიფოს და მოქალაქის ურთიერთობის თემა შემთხვევით არ აურჩევია როტ-მისტრს. მოთვლვა დაიწყო გამოცდილმა მზვერავმა. აინტერესებს ჩემი დამოკიდებულება ზოგადად სამსახურისა და, რაც მთავარია, პირადად გარტინგისადმი. შორიდან მივლის. გადავწყვიტე იუმორითვე მეპასუხა:

— ურთი ებრაული უუბნება მეორეს: ჩვენი რაბი სახწაულმოქმედია!

—აბა, შენ რა იცი?

- როგორ თუ, რა ვიცი?! გასულ კვირას მდინარის პირას ფეხი დაუცურდა და წყალში მოადინა ზღართანი. რაბიძ ცურვა არ იცოდა, მაგრამ არ დაიბნა. გაახსენდა, რომ ჩანთაში ბაყალოთან ნაყიდი ორი ცალი ქაშაყის მარინადი ედო; მარჯვენა ხელი ერთს ჩავლო კუდში, მარცხნა – მეორეს. თევზებმა გაცურეს და სამშვიდობოს გამოიყვანეს.
- რით დამიმტკიცებ?
- გუშინ რაბი ნახე?
- ვნახე!
- ხომ ცოცხალია?
- ცოცხალია!
- აბა, მეტი რა მტკიცება გინდა?
- ჰოდა, ჩემო მეგობარო, ბენიამინ! ჩვენი რაბი, ყოფილი შეფი, არკადი მიხაილოვის გარტინგი კი ცოცხალია, მაგრამ შორსაა, თანაც აქ ისეთი ამბები დატრიალდა, ეგ უწევებაში დამბრუნებელი აღარაა და თავს უნდა ვუშველოთ. ჩვენი დაზღვევა, ჩვენს ხელთაა და თუ არ გავინძრევით, მკვდარი ქაშაყი ვერ გვიშველის.
- როტმისტრო, – გაშინაურებას ამ ეტაპზე თავი ავარიდე და ვცადე რფიციალურ ურთიერთობების ფარგლებს არ გავცდენოდი. – სრულიად გაოგნებული და გაკვირვებული ვარ. ადგილობრივ პრესას თვალი გადავავლე. ნუთუ მეფისმკვლელთა ორგანიზაციის სასწაულებრივად გადარჩენილი ვიღაც ბურცვევის განცხადება, რომ თითქოს საფრანგეთის სასამართლოს მიერ პატიმრობამის-

ჯილი აბრამ ლანდეზენი და საიდუმლო პოლი-ციის პარიზის ბიუროს შეფი არკადი გარტინგი ერთიდაიგივე პიროვნებაა, საკმარისი აღმოჩნდა ოფიციალური გადაწყვეტილების მისაღებად? ფრანგული თავისუფალი ჟურნალ-გაზეთები ხომ ათას სისულელეს წერენ.

— მართალი ხარ, ბენიამინ! მაგრამ ყველაფერი ბე-ვრად უფრო რთულადა! ცოტა ხნის წინ ბურცე-ვის საფრანგეთიდან გაძევება ჩვენმა ელჩმა ალექ-სანდრე ნელიდოვმა კატეგორიულად მოსთხოვა ამათ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ჟორჟ კლემენსოს. როგორც ჩანს, ვლადიმერ ბურცევი ფრანგებისთვის უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა აღმოჩნდა, ვიდრე უკვე მფარველ რაჩკოვსკის გა-რეშე დარჩენილი გარტინგი. ვირტუოზულად გაი-თამაშეს ჟურნალისტური სკანდალი. ბურცევის მამხილებელი სტატიის გამოქვეყნებისთანავე, დი-ლით ათ საათზე, კლემენსომ დაიბარა ელჩის მრჩეველი ანატოლი ნეკლიუდოვი და წარუდგინა მას ლანდეზენის ფოტო, სხვა საბუთები, რითაც მტკიცდებოდა მისი არკადი გარტინგთან იდენტუ-რობა. გონების განსაკუთრებული გამჭრიახობა აღარ იყო საჭირო, მიგხვდით, გარტინგის ვინაობა, მისი პარიზში ბიუროს ხელმძღვანელის რანგში ჩამოსვლისდღიდანვე, ცნობილი იყო ფრანგებისთ-ვის და კუკუმალულობანას გვეთამაშებოდნენ. არც ისე ჭავიანები ვყოფილვართ, როგორც გვეგონა. უფრო სწორად, ფრანგები არ აღმოჩნდნენ სულე-ლები. ბურცევის მიერ მხილებულ, ოხრანების მიერ ესერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ჩანერ-გილ, ევნო აზეფს ახლა გრაფი არკადი გარტინგი დაემატა და ეს რიგი მომავალში აუცილებლად გაიზრდება. დღესავით ნათელია, რომ ვლადიმერ

ბურცევი საფრანგეთის საიდუმლო პოლიციის მა-
ლალი რანგის აგენტია. ჩემთვის ცნობილი გახდა
ისიც, რომ ბურცევის უკან, ფრანგ მზვერავებთან
ერთად, დგას პოლიციის დეპარტამენტის დირექ-
ტორის ყოფილი მოადგილე, კოლუსკი ასესორი
ლეონიდ მენშიკოვი, რომელიც სულ ახლახან და-
სახლდა საფრანგეთში და საიდუმლოდ ხვდებოდა
ბურცევს. როგორც ხედავ, ბურცევი იმ უცნაური
აისძერგის ხილული ნაწილია, რომლის წყალქვე-
შა მხარეს საფრანგეთის დაზვერვა და რუსეთის
პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოს-
ნის უცნაური ერთობა შეადგენს. ამ ისტორიიდან
კიდევ ერთი ჭკუის სასწავლებელი დასკვნის გა-
მოტანა შეიძლება. ცუდად ვმუშაობდით არა მარ-
ტო პარიზში, არამედ სამშობლოშიც.

როტმისტრმა ახლა უფრო შორიდან მოუარა. თუ
დავეთანხმები, რომ ცუდად ვმუშაობდით, დამნაშა-
ვეც უნდა დავასახელო ანუ გარტინგს არაორა-
ზროვნად უნდა განვუდგე. განდგომას კი ჩვენში
გინებით გამოხატავენ:

— ძვირფასო, ვლადიმერ, — კომუნიკაცია მეგო-
ბრული გავხადე. — პეტერბურგიდან ერთი ცინც-
ხალი ანეკდოტი ჩამოყავა. ახლა იქ მოდაში შემო-
ვიდა ათეისტურ წრეებში გაერთიანება. პოდა,
ერთ-ერთი ასეთი წრის შეკრებაზე ხელმძღვანელ-
და თანამოაზრებს იმის დასამტკიცებლად, რომ
ნაძღვილი ათეისტები არიან, შესთავაზა დმურ-
თისთვის შეეგინებინათ. ეს პორცელურა უველამ
ჩაატარა პორუჩიკ რუსების გარდა. შენ რა წითელი
კვერცხი ხარ, რატომ არ აგინებო? — უცნებ მეგო-
ბრები. პორუჩიკმა კი აუღელებელად უპასუხა: “თუ
დმურთი არ არსებობს, ტყუილად ვის შევაგინო?

ხოლო, რა იცი, რა ხდება, ეშმაკს არ სძინავს, თუ
მართლა არსებობს, მაშინ ურთიერთობები რატომ
უნდა გავიფუჭოთ?”

- ფრთხილი კაცი ხარ, ბენიამინ, ძალიან
ფრთხილი! ამიტომაც მომწონხარ და გენდობი. შენ
პირველი ხარ, ვისაც ამ ახალ ამბავს ვეუბნები:
საათზე ოდნავ მეტია, რაც ელჩის თანაშემწე
ნეკლიუდოვმა დამიბარა და პოლიციის დეპარტა-
მენტის დირექტორის ზუევის დეპეშა გამაცნო. მი-
სი აღმატებულების ბრძანებით საზღვარგარეთის
აგენტურის უფროსის მოვალეობის შემსრულებ-
ლად დაგინიშნე და უფლება მომეცა, დაუყოვნებ-
ლივ შევუდგე საქმიანობას.
- გილოცავთ, თქვენო მაღალშობილებაგ!
- ოფიციალური მიმართვები მხოლოდ სამსახურში
და ისიც ქვეშევრდომების თანდასწრებით. ბენია-
მინ, ამ წუთიდან ჩემი თანაშემწე ხარ, ოდონდ
შენც თავსართით – მოვალეობის შემსრულებელი.
ჩვენი უახლოესი ამოცანაა ტიტულზე ამ ზედმეტი
დანამატის მოცილება.
- ეს პროცედურა გრან შამპანის კონიაკით და
პროვანსული ბიფშტექსით ხომ არ დაგვეწყო?
- როგორც ევროპაში იტყვიან, რატომაც არა! იმ-
ასაც ამბობენ, კონიაკის და ბიფშტექსის ნაზავი
უცებ შლის ლაქას სახელწოდებით “მოვალეობის
შემსრულებელი.” მხოლოდ ერთი პირობით! აქედან
გადავიდეთ მოპირდაპირე მხარეს მდებარე კაფე
LES DEUX MAGOTS-ში, ამ საღამოს ნიავი იქ უფრო
მოძრაობს.

კაფეს გამოცვლისა და ყავასთან ერთად კონია-
კის დაგემოგნების შემდეგ ნახევარი საათიც არ
გასულა. მუხის კასრის ტყვეობას თავდაღწეული
სპირტის თავისუფლებასმოწყურებულმა ძალამ
ჩვენს თანამდებობებს არათუ “მოვალეობის შემ-
სრულებლის” კნინობითი სტატუსი მოხსნა,
არამედ როტმისტრი ანდრეევი უკვე, სულ ცოტა,
იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, მე კი –
პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი. . .

– სისტემა, რომელიც ჩვენს უწყებაში გარტინგმა
დაამკვიდრა, რა თქმა უნდა, რაჩკოვსკის
ხელმძღვანელობით, სხვა არაფერია თუ არა პრო-
გრაციული. გაქნილი წამქეზებლების შეგზავნა
რევოლუციურ დაჯგუფებებში, მათი მეშვეობით,
ტერორისტული ღონისძიებების ინსცენირების შე-
დეგად, აქტივისტების დაპატიმრება და ორგანიზა-
ციის დისკრედიტირება ამ ეტაპზე უნაყოფო მოქ-
მედებაა. რევოლუციონერები ამ სისტემას უკვე
თავის სასარგებლოდ იყენებენ და არაპოპულა-
რულ ქმედებებს ოხრანკის პროვოკატორებს აბ-
რალებენ, – შეზარხოშებული როტმისტრ ანდრეე-
ვის ეს მოსაზრება ჯერჯერობით საკმაოდ დამა-
ჯერებლად ჟღერდა.

– ბატონო როტმისტრო, სწორედ პროვოკატორე-
ბის მეშვეობით შევძელით მეფისმკვლელთა ორგა-
ნიზაციის პრაქტიკულად სრული ლიკვიდაცია.
პოლიციის დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი და
ლანდეზენის მიერ განხორციელებული წამქეზებ-
ლური საქმიანობის შედეგად 1890 წელს ევროპაში
მოქმედი მშობლიური ტერორისტების ლიკვიდა-
ციის საქმეში გამოვიყენეთ აქაური პოლიცია-

უანდარმერია და რუსული საქმე ისე გავაკეთებინეთ, რომ თავად აზრზეც ვერ მოვიღენ.

— ეგ მაშინ იყო. დღეს კი იგივე მეთოდებით საქმიანობა ყოვლად დაუშვებელია და თანაც უშედებო. ჩვენ ვაქეზებდით ტერორისტებს, შუაგულ ევროპაში ვამზადებინებდით ბომბებს, შემდეგ ადგილობრივ პოლიციას მივუქსევდით და პრესის ფურცლებზე ავხმაურდებოდით: აი ნახეთ, ეს ბომბისტი ტერორისტები ებრძვიან რუსეთის კეთილშობილ სახელმწიფოს. ამ ხერხმა ერთხელ გაჭრა, ორჯერაც, მაგრამ ყოველთვის ვერ იმუშავებდა. ზნეობა არ არის ის სფერო, სადაც ჩვენ შევძლებთ ევროპელების დამარცხებას. ამ მხრივ ისინი კარგახანია დაწინაურდნენ და თანასწორობაზე, სინდისზე, პიროვნების თუ ზოგადად თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებზე ევროპელებთან კამათსა თუ შეჯიბრში მუდმივად დავმარცხებით. ჩვენ სხვა გზით უნდა ვიაროთ. მოჭადრაკეს ჭადრაკი არ უნდა ეთამაშო — წააგებ, მაგრამ თუ ჭიდობაში ან ბოქსში გამოიწვევ, შესაძლებელია, მოგებული დარჩე. თავისუფლება, თანასწორობა და სხვა მსგავსი კატეგორიები ქიმერებია. თუ სახელმწიფო ხარ, ეს საკენკი არ უნდა მიირთვა, — გულმა მიგრძნო, ანდრეევი ცოტა ხანში შეთქმულების თეორიების სფეროში გადაინაცვლებდა. არადა ვგიუდები მსგავს სისულელებზე; ვცალკ, პროცესი დამეჩქარებინა:

— როგორისგრო, ღირსეულია, როდესაც მოჭადრაკეს ჭადრაკში, ხოლო მოჭიდავეს ჭიდაობაში მოუგებ და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მოჭადრაკესთან ჭადრაკს ხშირად ითამაშებ, ხოლო მოჭიდავესთან იჭიდავებ.

- ანუ მთავაზობ, ევროპელებთან მათსავე მოქანეები, მათივე წესებით ვითამაშოთ?
- ხელი რამ უნდა შეგვიშალოს?
- კეთილი, მაშინ ზნეობრივი თვალსაზრისით შევხედოთ გარტინგის საქმიანობას. მისი პირველი მეტ-ნაკლებად წარმატებული საქმე იყო დერპტში მეფისმკლელთა ორგანიზაციის ლიკვიდაციაში აქტიური მონაწილეობა. წარმატება მიღწეულია არაზნეობრივი გზით. გახსოვთ ეგ საქმე?
- მახსოვს და – ძალიან კარგადაც. რადა დაგიმალოთ? პეტერბურგში მივლინების დროს მის დეტალებსაც გავეცანი.
- თუმცა არამგონია, ყველა ნიუანსი იყოს თქვენთვის ცნობილი. ახლა კარგად დამიგდეთ ყური და ჩვენს ყოფილ შეფზე ისეთ რამეებს გაიგებთ, თმები ყალყზე დაგიდგებათ. მოგეხსენებათ, ნაროდოვოლეცების სტამბა ჩავარდა სტუდენტ პერელიაევის მოულოდნელი გარდაცვალების გამო. ეპილეფსიით დაავადებული ახალგაზრდა კაცი შეტევის დროს ბალიშზე დაემხო და გაიგუდა. სინამდვილეში კი აი რა მოხდა; სტამბის ადგილსა-მყოფელი დაუპატიმრებელთაგან მხოლოდ გმკელ-მან-გარტინგმა, პერელიაევმა და ნოვიკოვმა იცოდნენ. მისი გაცემა ამ სამი კაციდან ერთ-ერთს შეეძლო. რადგანაც პერელიაევი და ნოვიკოვი, რომლებიც იმ ბინაში ცხოვრობდნენ, სადაც საბეჭდი მოწყობილობა იყო, თავის თავს არ გასცემდნენ, შესაბამისად, საფუძვლიან ეჭვს სწორედ გაკელმან-გარტინგზე მიიტანდნენ. ამიტომაც ოხრანკა, თავის აგენტი რომ არ გაჟცა, არ ჩქა-

რობდა სტამბის ლიკვიდაციას. სამაგიეროდ სულ-სწრაფობა გამოავლინა გეკელმანმა. როგორც ჩანს, ახალგაზრდა კაცს გული ფართე ასპარეზისკენ, ევროპისკენ მოუწევდა, აქ ახლი საგმირო საქმეები გეულებოდა. აბა, ახლა გამაგრდი, ჩემო ბენიამინ! ვიცი, ძნელი იქნება ამის მოსმენა! გე-კელმანს, დერპტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს, არ გაუჭირდა გაეგო, თუ რა მარტივად შეიძლება ეპილეფსიით დაავადებული ადამიანის გულყრის შეტევის გამოწვევა. ამისთვის საჭიროა ხმაური და მკვეთრი შუქი. გეკელმანმა იშოვა ცო-ტაოდენი მაგნიუმი და ბარიუმის ნიტრატი, ესტუ-მრა პერელიაევს, დამის გასათევად დარჩა მასთან და დაიძინა თუ არა მასპინძელმა, ხმაურით გააღ-ვიძა, თან მაგნიუმ-ბარიუმის ნაზავი ააფეთქა. ძლიერმა ხმამ და ნაერთის აალების სიკაშკაშემ პერელიაევს გულყრის შეტევა დამართა. გეკელ-მანს ისდა დარჩენოდა გონებადაკარგული ავად-მყოფი ბალიშზე სახით დაემხო და დალოდებოდა, სანამ ეს უკანასკნელი არ გაიგუდებოდა. მეორე დღეს კი გვამის დასათვალიერებლად მისულმა პოლიციამ რაც აღმოაჩინა, ჩემზე უკეთ მოგეხსე-ნება.

- არა! – დერპტი მომხდარი ინციდენტის ამგვა-რი ახსნისთვის შინაგანად მზად ვიყავი, მაგრამ შორისდებული “არა” მაინც ხმამაღლა წამომცდა.
- არა კი არა – კი! გარტინგი მაშინ დაქირავე-ბული აგენტი გახლდათ, მე კი – კადრის ოფიცე-რი. სამწუხაროდ, ეს არ იყო მისი ერთადერთი უდანაშაულო მსხვერპლი. გამოსაცდელად გამზა-დებულ ბომბში ლანდეზენ-გარტინგის მიერ ფა-რულად ასაფეთქებელი მუხტის გაზრდას შვეიცა-

რიაში შეეწირა ისააკ დემბო; ხომალდ “ოლაფის” კაიუტაში, მხეუთავი გაზის ნაღმის გამოყენების შედეგად, გარტინგის მიერ პირად მტრად გამოცხადებული იანკელ ჩერნიაკის გარდა, სამი სრულიად უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა; გარტინგს 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დროს დაევალა პორტ-არტურის დასახმარებლად ბალტიის ზღვიდან გაგზავნილი რუსეთის წყნარი ოკეანის ესკადრის უსაფრთხო გადადგილების უზრუნველყოფა. ბრიტანეთის ნაპირებთან მას მოელანდა იაპონური ნაღმმზიდები, ადმირალ როჭესტვენსკის არასწორი ინფორმაცია მიაწოდა, რის გამოცხოვდა ის სამარცხევინო ინციდენტი, რომელიც ცნობილია “რუსული ძალადობის” ან “რუსული თავხედობის” (**Russian outrage**) სახელწოდებით. მაშინ 1904 წლის ოქტომბერში, გარტინგის მიერ დაშვებული შეცდომის გამო, რუსულმა ესკადრამ გაისროლა ხუთასამდე ჭურვი, რის შედეგადაც ჩაიძირა ერთი, ხოლო დაზიანდა ხუთი ბრიტანული თვეზსაჭერი გემი; რუსმა მეზარბაზნეებმა მოახერხეს აგრეთვე საკუთარ ფლოტში შემავალი კრეიისერ “ავრორას” დაბომბვა და რაც მთავარია დაიღუპა მასზე მყოფი მღვდელი. მსხვერპლი იყო ინგლისელ მეთევზეთა შორისაც. რაღა გავაგრძელო, ჩვენი ყოფილი შეფის კარიერული ბილიკი ადამიანების გვამებითაა მოფენილი. ვხედავ, შეძრწუნებული ხარ, ჩემო მეგობარო! უნდა გითხოა, რომ სულ ტყუილად! დაღუპული ადამიანები არ არის გარტინგის უბედურება! ჩვენ ჯარისკაცები ვართ, ვიმყოფებით ფრონტზე. ომში კი ადამიანებს კლავენ.

- გარეშე მტერთან ბრძოლაში მსხვერპლი გარდაუგალი აუცილებლობაა, მაგრამ ქვეყნის შიგნით ან თუნდაც მის ფარგლებს გარეთ საკუთარი ქვეშევრდომების ფიზიკურად განადგურება უპატივ-ბელი ცოდვა მგონია.
- ვითომ რატომ? გარეშე მტრის მოკვლა თუ შეიძლება, შინაური მტერი რა წითელი კვერცხი მყავს?! თანაც შინაურს ზოგჯერ უფრო მეტი ზიანის მოყენება შეუძლია. ჩვენთვის, იმპერიის ჯარისკაცებისთვის, მტერი მტრია, მათ ჩვენიანებად და სხვისიანებად ვერ დავყოფთ და ყველას სასტიკად უნდა მოვაქცეთ. გარტინგის მიერ ან მის გამო ადამიანების დახოცვა კი არ არის შეცდომა, არამედ დანაშაულის ტოლფასია მომვეღებული მეთოდებით მოქმედება. იგი 1890 წელს ჩატარებული უდავოდ წარმატებული ოპერაციის ტყვეობაში დარჩა. მან და რაჩკოვსკიმ მოახერხეს ევროპული პოლიცია გამოეყენებინათ რუსული სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. პროვოკაციის მეთოდმა მაშინ გაჭრა და ზედმეტი თავდაჯერებულობა იყო იგივე ხერხის შემდეგში გამოყენებაც. ფრანგებმა დროთა განმავლობაში შეისწავლეს გარტინგის მეთოდები და როდესაც მან დაგეგმა და განახორციელა 1907 წლის 13 ივნისს ტფილისის ბანკის ყაჩაღური გაძარცვის ოპერაცია, ევროპელები პროვოკაციაზე ვერ წამოაგო.

- ეგ ჩემთვის აქამდე უცნობი ინფორმაციაა. ნუთუ ის თავდასხმა, რომლის დროსაც ხუთი ადამიანი დაიღუპა, ათეულობით დაიჭრა და გატაცებულ იქნა კოლოსალური თანხა, ორასორმოცდაათი ათასი რუბლი, ჩვენი უწყების დაგეგმილი ოპერა-

ცია იყო? განა რა მიზანს ისახავდა, რომ ამ რაოდ-დენობის სიცოცხლის და თანხის მსხვერპლად ღირდა?

- ეჭ. ჩემო ბენიამინ! თანამდებობას ჩვენს უწყებაში, სხვა პრივილეგიებთან ერთად, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ხელმიუწვდომელი ინფორმაციის ფლობაც ახლავს. ვიდრე ტფილისის ბანკის ძარცვის საქმის ნამდვილ დეტალებს გაგაცნობ, ზოგადი სიტუაციის არსები უნდა გაგარკვიო.
- სიამოვნებით გისმენ, — გულმა მიგრძნო, ან-დრევევი ახლა ზოგადასაკაცობრიო სისულეელების მოყოლას დაიწყებდა და ტანში საამურმა ურუან-ტელმა დამიარა.
- ბოლო მონაცემებით, ამჟამად ევროპის დიდ ქალაქებში თავმოყრილია დაახლოებით ხუთი ათასი რუსი ემიგრანტი. ესენი არიან მარადიული სტუდენტები, რომლებიც უსაქმოდ დაყიალობენ, თავს პოლიტიკური დაჯგუფებების წევრებად ასაღებენ, თავშეეყრა-ღრეობებს ყრილობებს ეძახიან და საარსებო თანხებს იღებენ რუსეთის აშკარა მტრებისგან, ძირითადად მსოფლიო ფინანსური ბობოლებისა და სიონისტების აგენტებისგან. უსაქმურებსა და ტყუილად დაბადებულთა შორის განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი არიან: სოციალისტ-რევოლუციონერები იგივე ესერები, სოციალ-დემოკრატები და ეროვნული ნიშნით შეკოწიწებული შემდეგი დაჯგუფებები: ებრაელთა(ბუნდი), კავკასიელთა, პოლონელთა და ფინელთა გაერთიანებები.

აპა, დაიწყო. ახლა მთავარია სახეზე არ შემუტებს, რომ ამ ყველაფერს ბოდვად აღვიძგამ, თორემ მშვიდობით კარიერავ! დაწინაურებას ისევე ვერ ვიხილავ, როგორც – საკუთარ ყურებს. ამის თქმა ადვილია, მაგრამ ვიგრძენი, წამით როგორ შემეცვალა ფერი და სახის კუნთები ამითამაშდა. რაც მოხდა – მოხდა! გამოცდილ მზვერავ ანდრეევს ეს არ გამორჩენია, ამიტომაც სასწრაფოდ ვცადე, მიმიკით გამოხატული გრძნობა ისე წარმომეჩინა, თითქოს პროტესტი სულ სხვა მიზეზით გამიჩნდა:

– ნუ მიწყენთ, მაგრამ უნდა დავაზუსტო. ამ ხალხის დამფინანსებელთა შორის ნუ გამოვტოვებთ ჩვენს უწყებასაც. ლანდეზენ-გარტინგის ეპიზოდს თუ გავიხსენებთ, საშუალოდ ათ რევოლუციონერზე ერთი ჩვენი მაღალანაზღაურებადი საიდუმლო თანამშრომელი მოდის. მართალია, ჩვენს ყოფილ უფროსზე ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ აგენტებს შორის აუცილებლად იქნებიან ისეთებიც, რომლებიც პოლიციის დეპარტამენტისგან მიღებული თანხების გასამართლებლად თავად ქმნიან და შემდეგ თავადვე ამხელენ ტერორისტულ ჯგუფებს. გამოდის რომ, უნებლიერ, პროვოკატორების მეშვეობით, ჩვენვე ვქმნით რევოლუციონერთა გაერთიანებებს და რუსული სახელმწიფოს ფულით ვაფინანსებთ მათ. უნდა ვიცოდეთ, ჩვენი ხელშეწყობით შექმნილი რევოლუციონერების უმრავლესობა მხილების შემდეგ პროფესიონალი არალეგალი ხდება, – მიგაყარე ერთ ამოსუნთქვაზე და, მგონი, გადავფარე მიმიკის მუხათური მოღალატური საქციელი.

— ეჭ, ჩემო ბენიამინ, რომ იცოდე, რამდენად უმნიშვნელოა პოლიციის დეპარტამენტის მიერ დახარჯული ფული იმ თანხებთან შედარებით, რომელსაც რომანოვების რუსეთის დასანგრევად ეგრეთ წოდებული სიონელი ბრძენთაბრძენების მიერ გამოზრდილი ფინანსური ოლიგარქები ხარჯავენ?

აჰა, სიონელი ბრძენთაბრძენებიც ახსენა! ახლა ალბათ ებრაელთა და მასონთა მსოფლიო შეთქმულებაზე ალაპარაკდება და განსაკუთრებული სიფრთხილე მმართებს, რომ თხასავით არ გავიყიდო:

— ცოტა ძნელი დასაჯერებელია, რომ მსოფლიოს ფინანსური მაგნატები, რომელთა შორის დიდ ნაწილს უდავოდ შეადგენენ ებრაელები, მხარს უჭერენ და აფინანსებენ სოციალისტური იდეოლოგიის მქადაგებელ პარტიებს, რომლებიც აცხადებენ, რომ კაპიტალისტებს ქონება უნდა ჩამოერთვას და მუშებსა და გლეხებს გადაუცეს.

— მომწონს, ქლესა და მაამებელი რომ არ ხარ თუმცა, აი რას ნიშნავს ინფორმაციის უქონლობა. შენნაირი გონიერასხარტი ადამიანიც კი ვერ ხვდება მათ ჭეშმარიტ მიზანსა და ჩანაფიქრს. დღესვე გაგარკვევ ყველაფერში. მანამდე კი ერთიც დავლიოთ, ოღონდ არა ევროპულად, არამედ — ჩვენებურად, რუსულად, კაცურად, — როგორისგრმა ყავის ფინჯანი დაცალა, კონიაკით გაავსო. — ფული გვქონდეს და ქალებისკენ მიგვიწევდეს გული, — ხმამაღლა შესძახა, სირჩაზე მომიჭახუნა და სულმოუთქმელად გადაჰკრა. სხვათაშორის, ეს საკმაოდ ცნობილი რუსული ხალხური სადღეგრძელო

ამგვარი ზრდილობიანი ფორმით პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ მოვისმინე.

— ეჰ, რაც იქნება, იქნება, — სოლიდარობის ნიშნად სირჩიდან კონიაკი ფაიფურის ფინჯანში ჩავასხი, ბოთლიდან დავამატე და პირი ჩავიტკბარუნე.

— ახლა კი ყურადღებით მომისმინე, ჩემო თანაშემწევ! დროა, სერიოზულ საკითხებს შევეხოთ, — როტმისტრს თვალებში ჩავხედე და მივხვდი, უკვე მომწიფებული იყო ძალიან მაღალ მატერიებზე სასაუბროდ.

— გისმენთ, თქვენო მაღალო კეთილშობილებაგ!

— აბა ეგეთები არ იყოს. ხომ შევთანხმდით, ოფიციალური მიმართვები — მხოლოდ ოფიციალურ გარემოში. ჩემო ბენიამინ, თუ შენ ელოდები საუბარს მასონების მიერ ჩაფიქრებულ მსოფლიოში გაბატონების გეგმებზე — ძალიან ცდები. ამგვარი შეოქმულების ოეორიები რომ ბოდვაა, აქ, ევროპაში, მცხოვრებმა მე და შენ კარგად ვიციო. ლეგენდები ქვისმთლელების მისტიკური ყოვლიშემძლეობის შესახებ რუსეთის იმპერიისა და აღმოსავლეთის განუვითარებელი ქვეყნების ერთპიროვნული მმართველების მიერ გამოიყენება ქვეშვრდომთა დაშინებისა და მორჩილებაში ყოლის მიზნით. გარე მტრის ხატის არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი არაპოპულარული ნაბიჯის გამართლება შეიძლება და ეს ქვეყნის მართვის გამოცდილი მეთოდია. მასონები ადამიანთა ჩვეულებრივი კლუბური გაერთიანებებია და მათი ძალა, ხშირ შემთხვევაში, ნებისმიერი პატარა პოლიტი-

კური პარტიის შესაძლებლობებზე ნაკლებია. შენ-
თან საუბარს ვაპირებ მასონებზე ბევრად უფრო
ძლიერ და გავლენიან ჯგუფზე, — ანდრეევს თვა-
ლებში ეშმაკუნები აუთამაშდნენ.

— ნუთუ ისინი მართლა არსებობენ?

— ყური დამიგდე და თუ რაიმე დაუჯერებელი მო-
გებენოს, აუცილებლად მითხარი, ნუ დამიმალავ-
ლაპარაკია მსოფლიო გლობალურ ფინანსურ
სისტემაზე, რომლის ფუნქციონირებაშიც გადამწყ-
ვებ როლს ბანკირების საერთაშორისო მაფიის
ფული თამაშობს. მათი მიზანია გავლენის სფე-
როში რუსეთის შეყვანა და ამ მზაკვრული გეგმის
განხორციელება დაიწყო ფინანსთა მინისტრად
სერგეი ვიტტეს ყოფნის დროს.



ტფილისელმა ონავარმა ბიჭმა, რომელმაც იქაუ-
რი გიმნაზია ძლივს დაამთავრა სასწავლო დის-
ციპლინებში დაყვედრებული დამაკმაყოფილებელი
ნიშნებით და ყოფაქცევაში ერთიანით, შემდეგში
იმდენი მოახერხა, რომ იმპერიის ძალიან გავლე-

ნიანი მინისტრი გახდა. გლობალურ ფინანსურ სისტემაში რუსეთის შეთრევაში მას რაჩკოვსკი და გარტინგი ეხმარებოდნენ. მექანიზმი ასეთი იყო: თავდაპირველად საფრანგეთის საბანკო სექტორი რუსეთს სესხს აძლევდა; თავად სესხის თანხის ფორმირება შემდეგნაირად ხდებოდა: რუსული ფასიანი ობლიგაციები, რომლებსაც “მეფის ქადალდებს” ეძახდნენ, იყიდებოდა პარიზის ბირჟაზე. მათზე მაღალ ფასს განსაზღვრავდა, დამთბარი ფრანგულ-რუსული ურთიერთობებით განმტკიცებული, დაპირებული წლიური 14%-იანი შემოსავალი და საფრანგეთის პრესაში გაჩაღებული სერიოზული სარეკლამო კამპანია. დიდი მოგების მიღების მიზნით, ფრანგებმა დაიწყეს სახლების, მიწის ნაკვეთების, საოჯახო ძვირფასეულობის გაყიდვა და რუსული აქციების შეძენა. შეგროვილი თანხის ორი მესამედი რუსეთში გადაბარგდა და იქ ევროპულმა კომპანიებმა, რათქმა უნდა, რუსეთის სახელმწიფოს თავდებით, დაიწყო სხვადასხვა ეკონომიკური პროექტების განხორციელება. უცხოელ საქმოსნებს: ფრანგ რებიფენს, ბელგიელ პერლოს, ბერძენ მიცაის – რუსეთში ლობირებდნენ მინისტრ ვიტტეს მეგობრები რაჩკოვსკი და გარტინგი და ამაში, რასაკვირველია, საკომისიოებს იჯიბავდნენ. რაჩკოვსკი-გარტინგის დუეტი განაგებდა ფრანგულ პრესაში რუსული ფასიანი ქადალდების რეკლამის საქმესაც.



ამაში ისინი ძირითადად პოლიციის დეპარტამენტის ფულს ხარჯავდნენ და თანხის ჩამოწერა ხდებოდა თითქოსდა რუს რევოლუციონერებთან ბრძოლის და რუსეთის იმპერიის იმიჯის გაკათილშობილებისთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფონდიდან; ამ საქმისთვის გადადებული ევროპელი ბანკირების ფული კი ამ ორი ადამიანის ჯიბეებში იღებებოდა.

— გამოდის რომ, მთელი ამ ღონისძიებების შედეგად, რუსეთში აღმშენებლობა ფინანსდებოდა და პარალელურად რაჩქოვსკი და გარტინგიც მდიდრდებოდნენ. საერთაშორისო ბანკირების ინტერესი სადღაა. მათ რა, ვირის თავ-ფეხი? მზაკვრულ მიზნებსაც ვერ ვხედავ.

— ახლავე, ჩემო კარგო, ნუ ჩქარობ. გლობალური ფინანსური სისტემის გეგმები არც მარტივია, არც სწრაფ მოგებაზე გათვლილი და, რაც მთავარია, არც ისე ადვილი გამოსაცნობია. ვერ ვიტყვი, რომ მათი მიზნები სრულად გავშიფრე, მაგრამ ჩემს მოსაზრებებს გაგაცნობ. მას შემდეგ, რაც რუსე-

თის სახელმწიფომ მიიღო ფრანგულ სესხად წოდებული ფული და მისი ნაწილი ეკონომიკის გაჯანსაღებას მოახმარა, მალევე დაიწყო რევოლუციური შიდა არეულობები და რუსეთ-იაპონიის ომი. ორივე ეს მოვლენა, დიდი ალბათობით, პროვოცირებული იყო სწორედ საბანკო მაფიის ხელშეწყობით. შედეგად რუსული სახელმწიფო იძულებული გახდა სესხი დაეხარჯა ომსა და რევოლუციონერებთან ბრძოლაში ანუ არამომგებიან პროექტებში. ამ მოვლენების გამო მეფის აქციების ფასი ევროპულ ბაზარზე კატასტროფულად დაეცა და ფულის საშოვნელად რუსეთი იძულებული შეიქნა კვლავ საფრანგეთის მთავრობისთვის მიემართა. ამ უკანასკნელმა კი ხელი როტშილდების ბანკისკენ გაიშვირა. ფრანგმა როტშილდებმა რუსეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები ინგლისელ როტშილდებთან გადაამისამართეს; ინგლისელებმა კი უცერემონიოდ თკეანის გაღმა რევოლუციონერების დამფინანსებელ ბანკირ ჯეიკობ შიფისკენ მიუთითეს. შიფმა არც აცია, არც აცხელა და განაცხადა, რომ სანამ რუსეთში ებრაელთა უფლებები ფეხქვეშ ითელება, რაიმე ფულად ან პოლიტიკურ დახმარებაზე რომანოვების რუსეთთან ლაპარაკიც არ შედგება. აი ხომ ხედავ, ფინანსურ უულფში თავი გაგვაყოფინეს თუ არა, ეგრევე მისი მოჭერა დაიწყეს. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ ამ ღონისძიების შედეგად იზარალეს ფრანგმა რუსული აქციების მფლობელებმა, რომელთაც ხელში გაუფასურებული აქციები შერჩათ და რუსეთის სახელმწიფომ, რომელსაც უზარმაზარი ვალი დაედო.

— ვიდაც ხომ უნდა დარჩენილიყო მოგებული?

- მოგებული დარჩნენ ისინი, ვინც ფრანგების სახლები, მიწის ნაკვეთები, საგვარეულო ძვირფა-სეულობა შეიძინა იაფად და ვინც მაკულატურის ფასად დაითრია უკვე გაუფასურებული რუსული ობლიგაციები. სწორედ ამ ფასიან ქაღალდებში მოუწევს ალბათ შორეულ პერსპექტივაში რუსეთს ვალის გადახდა. მიხვდი, არა, ჩემო მეგობარო, რომ ესენი არიან სწორედ მსოფლიო ფინანსური სისტემის საცეცები – ებრაელი ბანკირები.
- თუ ამ ჯოჯოხეთური გეგმის განხორციელებაში ფინანსურ მაფიას რაჩკოვსკი და გარტინგი ეხმა-რებოდნენ, ვთქვათ, ვიტტეს გადადგომის შემდეგ მაინც, რატომ არავის გაუჩნდა მათი მხილების სურვილი?
- გაუჩნდა, როგორ არ გაუჩნდა?! შინაგან საქმეთა მინისტრმა პლევრემ პარიზში რაჩკოვსკის შავბ-ნელი საქმეების გამოსაძიებლად პეტერბურგის უფროსის ამხანაგი სელივესტროვი გამოგზავნა, მაგრამ გზაში იგი მოკლა ტერო-რისტმა პადლევსკიმ, რომელმაც იქვე თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. სულ მალე კი, როგორც ახლახან გაირკვა, რაჩკოვსკის აგენტმა ევნო აზეფმა თავად პლევრე მოაკვლევინა. დასკვნები თვითონ გააკეთე. სხვათაშორის, სელივესტროვის ბედი შენ მხოლოდ იმიტომ არ გაიზიარე, რომ როგორც კი რაჩკოვსკიმ სისტემა დატოვა და გარტინგს მხილების საფრთხე დაემუ-ქრა, მან პოლიციის დეპარტამენტს მოაშორა და თავის ფრთხებს ქვეშ შეიკედლა ის ადამიანი, ვი-საც გონებრივად შესწევდა იმის უნარი, რომ გარკვეულიყო რაჩკოვსკისა და გარტინგის უხი-ლავ საქმეებში. დიახ, ჩემო მეგობარო, პარიზში

ჩამოყვანით ჩამოგაშორეს გარტინგის წინააღმდეგ მოსალოდნელ გამოძიების პროცესს. მიხვდი, რას გადაურჩი?

— მოდი, ახლა კიდევ ერთი დეტალი დავაზუსტოთ. დავუშვათ, გარტინგს კავშირები ჰქონდა ბანკირებთან და მათგან ფულის აღებასაც არ თაკილობდა, მაგრამ ტერორისტებთან მისი საქმიანი ურთიერთობა თითქოს სრულიად წარმოუდგენელია. როგორ შეიძლება, რევოლუციონერებს რაიმე აერთიანებდეს ადამიანთან, რომელმაც მათ თავის დროზე უდალატა და შემდეგ დაუშინებელ, სასტიკ მტრად მოევლინა?

— გარტინგს ბოლო დროს სერიოზულიად აინტერესებდა ესერების და სოციალ-დემოკრატების ფინანსური უზრუნველმყოფები ჩერნიაკი და კრასინლიტვინოვის წყვილი. გარტინგის გაქანების მასშტაბებიდან გამომდინარე, არა მგონია, მისი ინტერესის საგანი ამ პარტიების მიერ რუსეთის ტერორიაზე განხორციელებული ეგრეთ წოდებული ექსებით მოპოვებული ფული ყოფილიყო. გარტინგს საერთაშორისო ფინანსური სისტემის მიერ ამ ორი, უკვე სერიოზული, პარტიისთვის გადახდილ მნიშვნელოვან თანხებზე სურდა გასვლა. ჩერნიაკი კერპეტი კაკალი გამოდგა და იგი მოიშორა, რათა ესერების ახალ მოლარესთან ეცადა ბედი. ვერ გამოვრიცხავ, რომ ჩერნიაკის მკვლელობა ესერების ერთ-ერთ ლიდერ, ჩვენს აგენტი, ევნო აზეფთანაც იყო შეთანხმებული; კრასინთან და ლიტვინოვთან დასალაპარაკებლად კი გარტინგმა ჩაიფიქრა ტფილისის ბანკის ძარცვის მრავალსვლიანი კომბინაცია, რომელსაც, როგორც

ადრე მოგახსენე, კარგი პირი თავიდანვე არ უჩანდა.

ანდრეევის ნაამბობი სიფხიზლეში მოფიქრებულს გავდა და სიმთვრალეში საქმაოდ სოლიდურად უდერდა. კონიაკით გაბრუებული ქვეცნობიერი კი მკარნახობდა, ეს ყველაფერი მთლად მართალი არ უნდა ყოფილიყო. ერთი პირობა ვიფიქრე, სერიოზულ თემებზე საუბარი შემეწყვიტა, მაგრამ შემეშინდა, რომ გამოფხიზლებული როტმისტრი ასეთი გულწრფელი უკვე აღარასოდეს იქნებოდა და გადავწყვიტე, ბარემ, ტფილისის ბანკის გამარცვის ამბებიც დამეზუსტებინა:

— როტმისტრო, ეტყობა, ალკოჰოლის ბრალია, რომ მკაფიოდ ვერ გავიგე, თუ რა იყო ტფილისური ექსპროპრიაციის პროვოცირების მიზანი: სოციალ-დემოკრატთა ფინანსურ ხელმძღვანელობასთან წილში ჩაჯდომა თუ ამ პარტიის აქტივისტების ჩვეულებრივ ბანკის მდარცველებად წარმოჩენა და მათ დაპატიმრებაში ევროპული პოლიციის გამოყენება?

— ორივე, ჩემო მეგობარო! პოლიციის დეპარტამენტიდან რაჩკოვსკის წასვლის შემდეგ, პატრონის გარეშე დარჩენილი გარტინგი, ამ ოპერაციის დაგეგმვით, შეეცადა თავისი მორყეული თანამდებობრივი პოზიციები გაემაგრებინა. გახსოვთ, ალბათ, რომ ბანდიტების მიერ გატაცებული ორასორმოცდაათი ათასიდან ასი ათასი რუბლი იყო ხუთასიანი კუპიურებით, რომელთა სერია და ნომრებიცნობილი იყო პოლიციისთვის. მათ თავის მხრივ გააფრთხილეს იმპერიის ბანკები და სოციალ-დემოკრატები ამ ფულს რუსეთის ბანკებში ვერ

გადაცვლიდნენ. რჩებოდა ერთადერთი გზა: ხუთასიანები ეკროპის ტერიტორიაზე უნდა გაესაღებინათ; თანხა საქმაოდ დიდი იყო და მის ნაწილნაწილ გადაცვლას რევოლუციონერთა აქტივისტები ერთდროულად ეცდებოდნენ აქაურ საკრედიტო დაწესებულებებში. ფულის ძირითადი მასა კონგერტაციის შემდეგ მათ ლიდერებთან მოიყრიდა თავს. ყოველივე ამას ჩვენი აგენტების მეშვეობით მივადევნებდით თვალს. ამ საქმეში ჩართული ეკროპული პოლიცია კი დაგვეხმარებოდა სოციალ-დემოკრატთა მნიშვნელოვანი ბირთვის დაპატიმრებაში, რასაც ავტომატურად მოჰყვებოდა მთელი პარტიის, როგორც ბანკის მძარცველი ბანდის, დისკრედიტაცია ეკროპული, ასევე რუსული საზოგადოების თვალში. რაც მთავარია, ოპერაციის ეს ნაწილი გარტინგს სკამს გაუმყარებდა. პარალელურად, ჩვენი ყოფილი შეფი საკუთარ ჯიბეზეც იზრუნებდა: რევოლუციონერების მხრიდან ფულის გადაცვლის პროცესში აქტიურები იქნებოდნენ კრასინი, ლიტვინოვი და, დაპატიმრების შემთხვევაში, გარტინგი შეეცდებოდა მათთან გარიგებას.

— ამგვარი ოპერაციის ჩატარება სოციალ-დემოკრატთა რიგებში მნიშვნელოვანი გავლენის მქონე საიდუმლო თანამშრომლების გარეშე წარმოუდგენელი მეჩვენება, — ჩემს ძველ თანამდებობაზე ყოფის დროს აგენტებზე საუბარიც კი აკრძალული მქონდა, მაგრამ ახლა პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის ბიუროს შეფის თანაშემწე გახლდით და გავთამამდი.

— მართალი ხარ, ჩემო ბენიამინ! პოლიციის დეპარტამენტის ფასიანი აგენტების გარეშე ამ

საქმეს გარტინგი ვერ წამოიწყებდა. ეს ადამიანები განსაკუთრებით მაღალი რანგის ფარული თანამშრომლები არიან და მათი ვინაობა მხოლოდ ბიუროს უფროსმა და მისმა ზემდგომმა პირებმა იციან. ხგალ, გარტინგის სეიფს გავხსნი თუ არა, ამ საიდუმლოს მეც ვეზიარები. თუმცა არის განსაკუთრებული შემთხვევები, როდესაც აგენტების ვინაობა გარტინგისთვის არის პირადად ცნობილი და ამ პიროვნებებზე არანაირი დოკუმენტები არ იქმნება; შესაბამისად, მათ ვინაობას მხოლოდ სეიფში დაცული დოკუმენტაციით ვერ დავადგენ. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო. ახლა მთავარ საკითხს დავუბრუნდეთ. ვეუბნებოდი არკადი მიხაილოვიჩს, რომ ტფილისის ბანკის საქმე უპერსპექტივო იქნებოდა, რამდენჯერმე გავუმეორე, პროვოკაციების დრო წავიდა, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა.

- თქვენ რა გზას თავაზობდით? უფრო სწორად, თქვენ რა გზას გვთავაზობთ?
- ახლავე მოგახსენებ. პროვოკაციების სისტემა ეფუძნება ისეთ ქიმერას, როგორიცაა ზნეობა. წამქენებლების მეშვეობით ხდება პოლიტიკური ბრძოლის კრიმინალურ სფეროში გადატანა. ვთქვათ, ბომბისტების მიზანია მეფის აფეთქება. პროვოკატორების მეშვეობით მათი ჯგუფი ამ ტერაქტისთვის ამზადებს არა ორ ან სამ ბომბს, რაც სრულებით საკმარისია მეფის მოსაკლავად, არამედ იმდენს, რამდენიც მშვიდობიან მოსახლეობას, ობივატელს შეუქმნის საფრთხეს. ტერორისტების დაკავების შემდეგ საზოგადოება ხედავს, რომ რევოლუციონერები კი ქადაგებენ კარგიდებს, მაგრამ თავისი რეალური საქმიანობით

მათი შვილების მშვიდობიან არსებობობას ემუ-
ქრებიან. სახელმწიფო, ოხრანკის სახით, ქვეშევრ-
დომებს მიმართავს: ნახეთ, ჩვენ თქვენსავით
ზნეობრივი ღირებულებებით ვხელმძღვანელობთ,
დავუშვით სხვადასხვა პარტიების არსებობა, მათ
საქმიანობას ხელს არ ვუშლით, ისინი კი ფეხებზე
გიკიდებენ და თავისი აკვიატებული იდეების გან-
სახორციელებლად მზად არიან თქვენი სიცოც-
ხლე გასწირონ. მითხარი, ჩემო ბენიამინ, ვის რაში
ჭირდება ამგვარი ძვირადღირებული ლიბერალიზ-
მი და დემოკრატიულობანას თამაში? ვინ გვავალ-
დებულებს, ვეფეროთ პარტიებს და საზოგადოე-
ბას? მოვიდა დრო, პოლიტიკიდან უნდა ამოვშან-
თოთ მორალი. ვისაც უნდა ძლიერი სახელმწიფო,
მან უნდა დაიგიწყოს ზნეობა და შეიარაღდეს ეშ-
მაკობით, ფარისევლობით; გულწრფელობა, პა-
ტიოსნება, ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, სენტი-
მენტალური ბოდვები ხალხს უნდა გადავულო-
ცოთ. ისინი უნდა ცხოვრობდნენ ამ სულელური
პრინციპებით და მუდამ იქნებიან ადვილად სა-
მართავნი. სახელმწიფო კი ვალდებულია, სარ-
გებლობდეს ძლიერის უფლებით, იუს მართალი
ყმალგან და ყველაფერში. პოლიტიკურ პარტიებს
ანუ პოლიტიკურ მტრებს სასტიკად უნდა გავუს-
წორდეთ და ამის გამო არავის წინაშე ვაგებთ პა-
სუხს; გარეშე მტერთან ბრძოლაში ნებადართუ-
ლია მოულოდნელი, გაუფრთხილებელი თავდასხ-
მა, არათანაბარი ძალის გამოყენება. ზუსტად
ასევე უნდა მოვაქცეთ შინაურ მტერსაც. სახელმ-
წიფომ ყურადღება უნდა მიაქციოს არა იმას,
რამდენად კეთილი და სათნოა იგი, არამედ რამ-
დენად საჭირო და სასარგებლოა მისი ქმედება.

უნდა მოვსპოთ პოლიტიკური პარტიები და ამ საქ-
მეში ყველა ეფექტური მეთოდი გამოვიყენოთ.

— მაგრამ საერთაშორისო ვალდებულებებიც ხომ
არსებობს? რა პასუხი გავცეთ ევროპელებს?

— ფეხებზე უნდა დავიკიდოთ, ფაქტის წინაშე და-
ვაყენოთ. რას იზამენ? იყაყანებენ, შეშფოთდებიან,
ცოტა ხანი გულს მოიფხსნენ და ბოლოს შეგვი-
რიგდებიან. ჩვენი ხორბალი, ნავთობი, სხვა სიძ-
ლიდრეები, ასევე უზარმაზარი ბაზარი ძალიან
ჭირდებათ და ამ კომფორტზე უარს ვერ იტყვიან.
უხეშ ძალას საბოლოოდ ყველა დაემორჩილება.
ჩვენთვის უცხოელებზე მნიშვნელოვანია საკუთარი
ქვეშვრდომების აზრი. ამიტომაც ხალხში უნდა
განვამტკიცოთ საჭირო სტერეოტიპები. მათ უნდა
სჯეროდეთ: ა) უმჯობესია იყო დარიბი, მაგრამ
ჯანმრთელი, ვიდრე ღარიბი და ავადმყოფი; ბ)
უმჯობესია ცოტა და ხარისხიანი; გ) ან გამარჯ-
ვება, ან სიკვდილი. . . მმართველმა ელიტამ კი
უნდა იცოდეს: ა) უმჯობესია იყო ჯანმრთელი და
მდიდარი, ვიდრე ღარიბი და ავადმყოფი; ბ) უმჯო-
ბესია ბევრი და ხარისხიანი; გ) გამარჯვება სი-
ცოცხლისთვისაა საჭირო და სიცოცხლე — გა-
მარჯვებისთვის. . .

საკეტზე გასაღების მორგების ხმამ პარიზის სენ
ჟერმენის ბულვარის კუთხეში მდებარე კაფე **LES
DEUX MAGOTS** —იდან ტფილისში, მთაწმინდაზე,
პეტრე დიდის ქუჩაზე, მისი საიმპერატორო უდი-
დებულებობის მეფისნაცვლის კანცელარიის გან-
საკუთრებული განყოფილების საპატიმრო საკანში
დამაბრუნა. კარი გაიღო, ფარნის შუქმა თვალი
მომჭრა:

- მაპატიეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, ძალიან გთხოვთ, მაპატიეთ, — ვიცანი შტაბს-როგორმისტრ პინქუს იანკელევიჩ ლერნერის სპეციფიკური სასიამოვნო ხმა. — გუშინ და დღეს აქ ისეთი ამბები ტრიალებს, კიდევ პარგ ჭკუაზე ვარ. წამობრძანდით, კაბინეტში დავსხდეთ და უკალაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ.
- ესე იგი, პარიზიდან დეპუშა მიიღეთ? — გული მომეცა.
- პარიზიდან, სამწუხაროდ, არაფერი ისმის. ოუმცა იქ მომხდარ ცუდ ამბებზე ტელეგრაფმა პეტერბურგიდან მოიტანა ცნობები. წამობრძანდით, გთხოვთ.

ცუდ ამბებს პნევაზ . . .

კაფე **LES DEUX MAGOTS** –ში ჩვენი ქეიფის შემ-
დეგი დღე ჯობდა, არ გაოენებულიყო. თავი მისკ-
დებოდა, მაგრამ სამსახურში გრანდიოზული საქ-
მეების საკეთებლად და იმედით აღსავსე გამოვც-
ხადდი. ანდრეები უკვე კაბინეტში იყო. სიხარუ-
ლით შევაღე კარი, მაგრამ იქ სრულიად სხვა
ადამიანი დამხვდა. სამუშაო მაგიდასთან კი იჯდა
როტმისტრი ანდრეები, თუმცა ეს კაცი ერთ დამე-
ში სრულიად შეცვლილიყო.

- დილა მშვიდობისა, თქვენო მაღალკეთილშობი-
ლებავ! როგორ ბრძანდებით? – გცადვა, რაც
შეიძლება ზრდილობიანი და კეთილგანწყობილი
ვყოფილიყავო.
- ახლავე გაბრძანდით და, ვიდრე არ გამოგიძახ-
ებო, აქ შემოსვლის უფლებას ნუ მისცემთ საკუ-
თარ თავს. ფამილარობას სამსახურში ვერ დავუშ-
გებ, – მაქსიმალურად ლაკონიური და მკაცრი იყო
უფროსი.
- მაპატიეთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მო-
წყალეო ხელმწიფებელი! მეგონა, გუშინდელი საუბრის
შემდეგ. . .
- არ მაინტერესებს, თქვენ რა გეგონათ, – კარე-
ბისკენ გაიშვირა საჩვენებელი თითი.

გაოგნებული გამოვედი მისი კაბინეტიდან. ნაღვი-
ნევი სათუთი მდგომარეობაა. კაცი მძიმედაა და

ახლა ჩემთვის არ სცალია. პრინციპში მართალი-ცაა. მერე რა, რომ გუშინ ერთად დავთვერით? როგორ ვიფიქრე, რომ ჩვენ, მართალია, ორივე წოდებით როტმისტრს, მაგრამ თანამდებობრივად განსხვავებულებს, თანასწორუფლებიანთა ურ-თიერობა გვექნებოდა? გუშინ, სხვა სისულე-ლებთან ერთად, იმასაც ხომ იძახდა, რომ ტოლსწორობა ქიმერააო. ჟურნალ-გაზეთებში გა-მოქვეყნებული სტატიები მასონების, სიონელი ბრძენთაბრძენების, ებრაელი ყოფლისშემძლე ფი-ნანსისტების შესახებ ერთი შეხედვითაც სენსა-ციების მოყვარულთა მონაჭორია, მაგრამ ნახე, როგორ უჯდება მკითხველს ტვინში, რა საინტე-რესოდ გარდაიქმნება სიმთვრალეში და რა ჯო-ჯოხეთურ “პახმელიას” იწვევს?!

უფროსთან ერთად ნაღვინევის მკურნალობის ილუზიაც შარშანდელი თოვლივით გაქრა; ბედს დამორჩილებული შევედი ჩემს ოთახში და იქ დახვავებულ ქაღალდებში ჩავრგე თავი.

ერთი კვირა ისე გავიდა, ანდრეევი არც მინახავს და მხოლოდ მერვე დღეს, საღამოს თავად მესტუ-მრა.

— ცუდადაა საქმე, ბენიამინ! წამო, ჩემთან დავი-ლაპარაკოთ.

მორჩილად გავყევი. საუბარში აღმოჩნდა, საქმე ცუდად კი არა, ძალიან ცუდადა. გაირკვა, რომ გარტინგი სეიფში მხოლოდ უმნიშვნელო აგენტე-ბის მონაცემებს ინახავდა; პარიზის სასწავლოდ დატოვებისას ყოფილ შეფს ანდრეევისთვის საი-დუმლო თანამშრომლებთან საურთიერთობოდ რვა

კონსპირაციული მისამართი დაუტოვებია; გასული კვირის განმავლობაში როტმისტრმა სცადა მათთან პირადი და წერილობითი კავშირის დამყარება. შედეგი მეტად უცნაური გამოდგა: სამი მისამართი ერთსადაიმავე კაცთან დასაკავშირებლად ყოფილა და კონტაქტი შედგა; დარჩენილი ხუთი მისამართიდან მიმოწერა მხოლოდ ორთან აღდგა; მესამე, როგორც ჩანს, არასწორია, რადგანაც მისადმი წერილები ფოსტაში აწყვია, თანამშრომელი წერილს წერილზე აგზავნის, ფულს ითხოვს, მეორე თვეა ჯამაგირი არ მიმიღია და ვიდუპებიო; თავისი ნამდვილი მისამართის მითითება კი აზრადაც არ მოსდის; დანარჩენებისგან ჩამიჩუმი არ ისმის.

- გამოდის რომ აგენტურის მთავარ ძალების გარეშე დარჩით? – გამოვხატე თანაგრძნობა.
- კი არ დავრჩი, არამედ – დამტოვა. გარტინგი გაიქცა და აგენტების გარეშე დამტოვა.
- უნდა დაუკავშირდეთ. მისი ბელგიური მისამართი თქვენთვის ალბათ ცნობილია.
- მიგწერე წერილი, ვთხოვე პარიზში ჩამოვიდეს ან სხვაგან შემხვდეს; დამპირდა, რომ ჩამოვა, მაგრამ თარიღს არ ასახელებს. საიდუმლო თანამშრომლების გარდა არსებობს ფულადი ანგარიშებიც. პრაქტიკულად ხელფეხშეკრული ვმუშაობ. მივხვდი, გარტინგის საბოტაჟს მკაცრად უნდა ვუპასუხოთ. შესადგენია მუშაობის სტრატეგიული გეგმა, თორემ დავიღუპებით. ახლა წაბრძანდით და სამ დღეში, როტმისტრო, თქვენგან სათანადო წინადადებებს ველოდები, – კვლავ ოფიციალური

გახდა ანდრეევი. მგონი, ეს კაბინეტი და მაგიდა დამდუპველად მოქმედებს მის ადამიანურ თვისებებზე.

სამი დღის შემდეგ უფროსს მივართვი მოხსენებითი ბარათი, სადაც ჩიხიდან გამოსასვლელად სამოქმედო გეგმა შევთავაზე. მასში, რა თქმა უნდა, ნახსენებიც არ იყო ანდრეევის მიერ კაფე **LES DEUX MAGOTS** –ში ჩამოყალიბებულ ებრაელთა მსოფლიო ფინანსურ სისტემასთან ბრძოლის სტრატეგია; სამაგიეროდ პოლიციის დეპარტამენტს ვთავაზობდი ახალ მიმართულებას; კერძოდ, ესვრებთან, სოციალ-დემოკრატებთან და ეროვნული ნიშნით შექმნილ პარტიებთან მებრძოლი განყოფილებების პარალელურად ამჟამად უყურადღებოდ დატოვებული ანარქისტების საქმიანობის შემსწავლელი ჯგუფის ჩამოყალიბებას. ეს პარტია მთელს ევროპაში იკრებდა ძალას და, რაც მთავარია, რუსი ანარქისტების ლიდერი გახლდათ პეტრე კროპოტკინი, რომელიც თავისი ინტელექტურით ბევრად აღემატებოდა სხვა რუსული პარტიების ხელმძღვანელებს და ამიტომაც სერიოზულ ძალას წარმოადგენდა; იგი აუცილებლად შეუქმნიდა საფრთხეს რუსეთში არსებულ წესრიგს. მეორე მიმართულება, რომელიც უნდა გაგვეძლივებია, ადგილობრივ პრესასთან საქმიანობა გახლდათ; რუსეთში ჩატარებული არაპოპულარული ღონისძიებები (ებრაელთა დარბევები, პოლიტიკური პარტიების დევნა, დემონსტრაციების დახვრება, სიკვდილით დასჯის ძალზე ხშირად გამოყენება) ევროპელი მკითხველისთვის ჩვენთვის სასურველ კონტექსტში უნდა წარმოგვეჩინა. ამის გაკეთება მოსყიდული რედაქტორების საშუალე-

ბით უმტკივნეულოდ მოხერხდებოდა და არც ისე ძვირი დაჯდებოდა. ამგვარ საქციელში ცუდი ხომ არაფერი იყო; თუ სასამართლო პროცესზე ჭკვიან და გაქნილ ადვოკატს შეუძლია თავისი დემაგოგიით ნაფიცი მსაჯულები მოატყუოს და დამნაშავეს ააცილოს სასჯელი, რატომ არ შეიძლება, ურნალისტების მეშვეობით, ევროპულ საზოგადოებას თვალში ნაცარი შევაყაროთ? თუ ვაქილთა სიმართლეს ეგუება კაცობრიობა, პრესის სიმართლემ რაღა დააშავა? ჩვენთვის მთავარია რუსეთის იმპერიის ინტერესები, ჭეშმარიტება კი ზეცაში გაირკვევა. რაც შეეხება გარტინგის მიერ ფარული აგენტების ანდრეევისთვის არგადაცემას? ამ პრობლემას, სრულად თუ არა მნიშვნელოვნად მაინც, მოაგვარებდა პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ვისარიონოვი, რომელსაც ევალებოდა საზღვარგარეთის საიდუმლო აგენტურაზე კონტროლი; შესაბამისად, იცოდა მათი ვინაობაც და კონსპირაციული ადგილებიც. საჭირო იყო მისთვის თხოვნით მიგვემართა.

ანდრეევმა მოხსენება წაიკითხა, თავი უკან გადააგდო, ხელები კეფაზე შემოიწყო, ჭერს ახედა, თითქოს იქ ვიღაც დაინახა და იმას ელაპარაკებაო:

— რა სისულელები დაგიწერიათ. ეს ანარქისტები ვინ ოხრები არიან, რომ დეპარტამენტს მათთან ბრძოლის განყოფილების შექმნა შევთავაზოთ? ან რა სინდისით მოვთხოვო პეტერბურგს პარიზული აგენტურის სიის გადმოცემა? რას იფიქრებენ ჩვენზე? ხომ იტყვიან, ეს უსაქმურები თავისი აგენტების დაზუსტებასაც ჩვენგან ელოდებიან და სხვა რა საქმის გამკეთებლები არიანო?! მიბრძან-

დით, როტმისტრო, ისევ ყოველდღიურ რუტინას მიუბრუნდით. არ არის სერიოზული, სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხები თქვენი საქმე.

გავიდა ორი თვე. პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის მდგომარეობა კვლავ მძიმე იყო, სამაგიეროდ გარკვეული დადებითი ტენდენცია შეიმჩნეოდა ჩემსა და ანდრეევს შორის ურთიერთობაში; მან ფუნქციები ოფიციალურად გაანაწილა: მე სოციალ-დემოკრატებთან და ნაციონალურ პარტიებთან მუშაობა მერგო, თავად კი ძირითადი მიმართულება – ესერები დაიტოვა. ზღვა სამუშაო გამიჩნდა და, რაც ჩემთვის სიახლე იყო, ბოლშევიკ-მენშევიკთა რიგებში მოღვაწე სერიოზული გავლენის მქონე საიდუმლო აგენტებთან ურთიერთობის უფლება მომენიჭა. შევსაც თანდათან შეუმსუბუქდა სკამის, კაბინეტის და თანამდებობის სენი. იგი ახლაც გაცოფდებოდა ხოლმე, მაგრამ ძირითად გარტინგზე, რომელმაც, როგორც ველოდი, რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი პირადი აგენტი არ გადასცა. 15 აგვისტოს ანდრეევმა კაბინეტში მიმიხმო და სამი დავალება მომცა. **პირველი:** ტფილისში მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებულ განყოფილებაში უნდა შემესწავლა 1907 წლის 13 ივნისს ბანკის ძარცვის საქმის იქ არსებული მასალები, რათა, ბოლოს და ბოლოს, გამერკვია, ვინ იყვნენ ექსპროპრიაციის ორგანიზატორთა ან შემსრულებელთა შორის გარტინგის საიდუმლო აგენტები; ეს მნიშვნელოვანი იყო, რადგან სწორედ მათი მეშვეობით გეგმავდა ამჟამინდელი უფროსი ძველი შეფის შავბნელი საქმეების გაქვევას; **მეორე:** ტფილისშივე სახელმწიფო საბჭოს წევრის – თავად ილია ჭავჭავაძე

ჭავაძის მკვლელობის სასამართლოს საქმის დო-
კუმენტაციის შემოწმების დროს თუ ისეთ დარღ-
ვევებს აღმოვაჩენდი, რითაც მისი უდიდებულესო-
ბის იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მაღალ ყურა-
დღებას მივიჰყორდებით, რომელიმე საპატიო ორ-
დენი გარანტირებული მექნებოდა; მესამე: მივლი-
ნებაში გამგზავრებამდე უნდა დამეშიფრა პოლი-
ციის დეპარტამენტის დირექტორ ზუევისადმი გა-
საგზავნი კორესპონდენცია, სადაც წაგაწყდი წე-
რილს, რომლის შინაარსითაც სასიამოვნოდ გაპ-
ვირვებული დავრჩი:

“პირადად

სრულიად საიდუმლოდ

თქვენო აღმატებულებავ

მოწყალეო ხელმწიფევ

როგორც ორი თვის წინ სრულიად საიდუმლოდ
გაცნობეთ, თანამედროვე რევოლუციონერთა გო-
ნებრივი მოძრაობის მნიშვნელოვანი ნაწილი
მარცხნივ იხრება, გატაცებულია ანარქიზმით, რო-
მელიც ამგვარად იძენს დიდ მნიშვნელობას. რუ-
სული ანარქიზმის ცენტრად იქცა ლონდონი, სა-
დაც დაფუძნდნენ კროპოტკინი და გარდამ ჩერქე-
ზიშვილი. ამ ძალების რეალურობაზე მეტყველებს
ახლახან ბრიტანეთში მომხდარი ეგრეთ წოდებუ-
ლი “პროტესტის მიტინგები”, რომლებსაც განსა-
კუთრებული ყურადღებით განიხილავენ ინგლისის
პარლამენტში. რადგანაც თქვენგან პასუხი არ მი-
მიღია, თავს უფლება მივეცი, ამ მიმართულებით
შემძინა ოთხი საიდუმლო თანამშრომელი: 1. ერ-
თი პირი ახლო კავშირშია ჩერქეზიშვილთან,

ცხოვრობს ლონდონში და შეუძლია ამ წრის გა-
შუქება; 2. ერთი პირი პარიზში ცხოვრობს, მაგრამ
ამჟამად ჩემს მიერ მივლინებულია ლონდონში
ანარქისტების საქმიანობის გასაშუქებლად; 3. ერ-
თი აღმიანიც პარიზელი ანარქისტია და მას
ევალება ფრანგი და რუსი ანარქისტების ერთობ-
ლივი საქმიანობის გაშუქება; 4. გარდა ამისა აღ-
ვადგინე ურთიერთობა ძველ აგენტთან, რომელიც
ადრე უკავია უფლის იურ გარტინგის მეთოდებით.
ეს პირი მზადაა ითანამშრომლოს ჩემთან ამა-
წლის 1 ოქტომბრიდან. . .

თქვენო აღმატებულებავ

შევუდექი უურნალ „LE COURIER DU PARLEMENT“-ის
რედაქტორთან საიდუმლო მოლაპარაკებებს და
რადგანაც ფრანგს სიტყვიური მადლობა არ აკ-
მაყოფილებს, მოგვიწევს მისთვის წელიწადში ორი
ათასი ფრანგის გადახდა . . .

თქვენო აღმატებულებავ

გარტინგი კვლავ არ მიმხელს საიდუმლო აგენ-
ტებს. უმორჩილესად გთხოვთ მათ შესახებ დაში-
ვრული ლენტით მოგვაწოდოთ ის ინფორმაცია,
რომელიც სამსახურებრივი იერარქიით ცნობილია
ბატონ კიც-დირექტორ ს. ქ. გისარიონოვისთვის.
ეს ინფორმაცია გამოიყვანს აგენტურას გაურკვე-
ველი ძღვომარეობიდან და ჩვენს საქმიანობას სა-
ჭირო მიმართულებით წარმართავს.

თქვენს აღმატებულებას გიდასტურებთ უღრმეს
პატივისცემას და სრულიად გულწრფელ ერთგუ-
ლებას.

*საზღვარგარეთის აგენტურის ხელმძღვანელი
როტმისტრი კლადიმერ ანდრეევი*

აკი – “არ არის სერიოზული და სახელმწიფო
მნიშვნელობის საკითხები თქვენი საქმეო”? თვი-
თონ კი ჩემი მოხსენებითი ბარათი, მივუტანე თუ
არა, მაშინათვე ზუევისთვის თავისი ხელმოწერით
გადაუბულბულებია. ღმერთმა შეარგოს. მთავარია,
საქმე გაკეთდეს!

1909 წლის 15 აგვისტოს სადამოს გეზი კონსტან-
ტინოპოლისკენ ავიდე და იქ 18 აგვისტოს დოლ-
ბანდიანი ურჩხულის კლანჭებში აღმოვჩნდი; თუმ-
ცა ის დღე რა მოსატანია ტფილისურ, დღევან-
დელ 25 აგვისტოსთან // 7 სექტემბერთან, როდე-
საც უსიამოვნებები მეხივით და თანაც მრავალ-
ჯერადად დამატყდა თავს. რაღას ვწუწუნებ, მგო-
ნი, უველავფერი კარგად დამთავრდა და მისი უდი-
დებულებობის მეფისნაცვლის კანცელარიის გან-
საკუთრებული განყოფილების ჯურლმულიდან
პინხუს იანკელევიჩ ლერნერის თანხლებით მისივე
კაბინეტისკენ მივუყვებოდი კიბეს. ვახტერისკენ
გავიხედე, ამჟამად სასტვენიანი მეგობრის თვალე-
ბიდან რიდი და მხოლოდ ლაქიებისთვის დამახ-
ასიათებელი მოწიწება იღვრებოდა.

კაბინეტში მასპინძელი შემიძლვა. მაგიდაზე ჩემი
პორტმონე და საათი იდო.

– მობრძანდით, ინებეთ თქვენი ნივთები. გთხოვთ,
აი აქ დაბრძანდით – ლერნერმა სავარძლისკენ
მიმითოთა.

– გიყოჩადიათ, შტაბს-როტმისტრო.

— არაფერ შუაში ვარ. უკაცრავად და, თქვენ რომ საპყრობილები ჩაგსვით, სულ რამდენიმე წუთში გარეთ საშინელი აყალმაყალი ატყდა. ვახტერი ამბის გასაგებად გავიდა და შეეცადა მოჩხუბრების გაზავებას. როგორც წესია, ერთი-ორი მასაც მოხვდა. მალე ყველაფერი ჩაწყნარდა. ამ ათიოდე წუთის წინ კი შარვლის ჯიბეში ცხვირსახოცის ამოსაღებად ჩაუყვიდ ხელი და იქ აი ეს ავლადი-დება დახვდა.

— წესიერი კაცი ყოფილა! — გულში კი გავიფიქრე: “თვალომაქცობ, იანკელების, ვაი, რომ თვალომაქცობ. თაღლითებმა საათი და პორტმონე, მომაცილეს თუ არა, ალბათ მაშინათვე შემოაგდეს განსაკუთრებულ განყოფილებაში. სულ ცოტა, ერთი საათი მაინც მაყურყუჩე საკანში, ვიდრე ჩემს საბუთებს დეტალურად არ გაეცანი და მათი სინაღდე არ გადაამოწმე.”

— უწესოებს არ ვაჩერებთ. ნახეთ, რამე ხომ არ აკლია? ვხვდები, ტფილისელმა ჯიბგირებმა პატივი გვცეს, მაგრამ, მაგათი წესის მიხედვით, გასამრჯელოდ რაიმე დირებულს დაიტოვებდნენ.

— მხოლოდ ორასი რუბლი აკლია. ალბათ ამ თანხად შეაფასეს: დაკარგული დრო, მათი ოცრუბლიანი სპილენძის საათი, წაგებული ხურდა — ესეც, ჰა-ჰა, ხუთი-ექვსი რუბლის და, რაც განსაკუთრებით ძვირფასია, “ტილიპუჭურში” მირთმეული ხაში, ზედ არაყი.

— იუმორის გრძნობას არ კარგავთ, ჩემო მეგობარო. რას იზამ, ვერ დაძრახავ თაღლითებს. მათაც უნდათ ცხოვრება. ახლა მეტად უსიამოვნო ამ-

ბებზე გადავიდეთ, — სევდა შეეპარა ხმაში პინხუს იანკელევიჩ ლერნერს.

— უსიამოვნებებით ნამდვილად ვერ გამაკვირვებთ, ყველაფრისოვის მზად ვარ, არ დამინდოთ, სრული სიმართლე მითხარით, — უკვე კარგ ხასიათზე ვიყავი და ლიმილით წავაქეზე მასპინძელი.

— პარიზში დეპეშა გავგზავნე, მაგრამ პასუხი არ ჩანს და ალბათ არც იქნება. სამაგიეროდ პეტერბურგიდან მივიღეთ ცირკულარული წერილი. ვიდრე თქვენ ტფილისამდე ჩამოაღწევდით, სოციალისტმა უან უორესმა მოთხოვნით მიმართა საფრანგეთის პარლამენტს და პრემიერ-მინისტრი უორჟ კლემენსო იძულებული გახდა, ოფიციალურად აეკრძალა სხვა ქვეყნის საიდუმლო პოლიციის საქმიანობა საფრანგეთის ტერიტორიაზე. რადგანაც იქაური კანონით რუსეთის იმპერიის პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის სააგენტო არ არსებობს, შესაბამისად მას არც საფრანგეთის ტელეგრაფი ემსახურება. ასე რომ ისინი ჩვენს დეპეშას ვერ მიიღებდნენ. რას იტყვით, როტმისტრო, გაქვთ ხალისი გააგრძელოთ არარსებული სამსახურის დავალების შესრულება და ამ სიცხეში ჩაუჯდეთ ოფლიან საარქივო ქადალდებს? სანაცვლოდ შემიძლია შემოგთავაზოთ ორთაჭალის კუნძულზე სარდაფის გრილი დვინო და აქაური გემრიელი კერძები, პოლკოვნიკი ბაბუშკინი მოგვიანებით შემოგვიეროდება.

— წინადადება მაცდურია, განსაკუთრებით მისი გრილი დვინის ნაწილი, თუმცა ვერ დაგეთანხმებით. პარიზის განყოფილების ოფიციალური აკრძალვა საფრანგეთის მთავრობის მიერ ჩვენთვის

ბრძანება არ არის. საზღვარგარეთის აგენტურა საქმიანობას აუცილებლად განაგრძობს ოფონდ ფარულად, როგორც თუნდაც რამდენიმე წლის წინ იყო. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული და ამიტომაც გთხოვთ დამეხმაროთ დავალების შესრულებაში.

- ნება თქვენია. თავად ილია ჭავჭავაძის საქმე სასამართლოს არქივისთვის არ დაგვიბრუნებია, ხოლო ბანკის გაძარცვის მასალები ისედაც ჩვენთან ინახებოდა. ახლა ვისადილოთ და შემდეგ იმუშავეთ, რამდენიც გინდათ.
- თუ შეიძლება, დავაზუსტოთ. ილია ჭავჭავაძის საქმე თუ არქივიდან გამოითხოვეთ და არ დაგიბრუნებიათ, ესე იგი პროცესი უკვე დასრულდა? — ცუდი ამბავი მიგრძნო გულმა.
- რას გულისხმობთ?
- ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმე უკვე დაიხურა ანუ განაჩენი საბოლოოა?
- განაჩენი საბოლოოა და 21 აგვისტოს აღესრულა კიდეც!
- რამდენი ჩამოახრჩვეს? — უკვე კარგს არაფერს გელოდი.
- მეტების ციხეში მყოფთაგან — სამივე, ერთი დამნაშავე მანამდე პოლიციას შემოაკვდა, ერთიც 26 ივლისს საკანში ჭლექით გარდაიცვალა და მეექვსე კვლავ ძებნაშია.
- ჩემი გუშინდელი ორეულის შესახებ რას მეტყვით? მასსოვს, ვერსიები გქონდათ, — ტფილისში

მოგზაურობის ერთადერთი კეთილშობილური მიზნის მიღწევის შანსი: მეპოვა და გადამერჩინა უდანაშაულო ადამიანი – მინიმუმამდე შემცირდა; რადა მაინცადამაინც ის ერთადერთი ძებნილი იქნებოდა უცოდველი ამ საქმეში? ახლა აბდაუბდით ვცდილობდი, განცდილი კრახი არ გამომემუდავნებია.

- მრცხვენია, მაგრამ გამოგიტყდებით და, გთხოვთ, ნუ მიწყენთ. საოცრად გავხართ ერთ ბანდიტს – სიმონ არშაკოვ ტერ-პეტრუსოვს, მეტ-სახელად კამოს. მარჯვენა თვალის ფერად გარსზე თეთრი ლიბრიც გეტყობათ და განსაკუთრებულ განყოფილებაში თავხედური გამოცხადებაც მისი ხელწერაა.
- თეთრი ლიბრი ტერ-პეტრუსოვს 1907 წლის დასაწყისში ბომბის აფეთქების გამო გაუჩნდა, მე კი ბავშვობაში ხანძრის შედეგად დამრჩა. მაგ კაცზე სხვა ცნობებიც მაქვს და, თუ არ ვცდები, იგი ამჟამად გერმანიის ციხეში, დიმიტრი მირსკის სახელით და გვარით ელოდება მშობლიური ქვეყნის საპყრობილები გადმოსახლებას, ჩამოხრმბის პერსპექტივით, რასაკვირველია.
- ეგ ინფორმაცია მეც მქონდა, მაგრამ კამოს ციხიდან გაქცევებზე ისეთი ლეგენდები დადის, ვიფიქრე, ახლაც ხომ არ გაეპარათ-მეთქი. დავაზუსტე; საბედნიეროდ, იგი, ჯერჯერობით, ისევ გერმანიის ციხეშია, თუმცა ძალიან მალე გადოგვემენ.
- სხვა ვის შეძლო გუშინ ჩემი სახელით გამოცხადება და იგივე საქმეებით დაინტერესება?

- ნუ დელავთ, ჩემო მეგობარო, — კვლავ სალისიანი იყო ლერნერი. — არ არის გამორიცხული, ის კაცი ისევ ჩვენი უწყების რომელიმე განყოფილებიდან ყოფილიყო. ახლა ოხრანკაში ისეთი დომხალია, ვერ გაიგებ, ვინ ვისი აგენტია.
- მაინც მგონია, რომ რადაც სხვა ძალებთან გვაქვს საქმე. ადამიანი-აჩრდილი აქ ჩემი სახელით გამოცხადდა, ეს კი საგანგაშოა, — განვაცხადე ხმამაღლა. გულში კი დრმად შევინახე ეჭვი იმის შესახებ, რომ ამ მოვლენებში გარტინგის ფარული ხელი ურევია.
- როგორც იტყვიან, საქმეები წავლენ და წამოვლენ, შიმშილის გრძნობა, საჭმლის მონელება და ტუალეტში სიარული კი მარადიულია. გთხოვთ, ერთი საათით გავიდეთ, დუქანში სუფრა უკვე იშლება, შემოსასვლელთან კი ფაეტონი გველოდება, — ამ ჯერზე კატეგორიული იყო ლერნერი.
- სულ მალე მტკვრის მარჯვენა ტოტზე გადებულ საცალფეხო ხიდს მივადექით და საოცრად გრილ კუნძულზე, მდინარესთან ახლოს, ჩვენთვის საგანგებოდ გაშლილ სუფრას მივუსხდით. სიტუაცია მეცნო, წამით დაფიქრდი და გამახსენდა: აქაურობა ძალიან ჰგავდა დუქან “ტილიპუჭურში” გამოფენილ მდებავ ნიკოს ნახატებს. უკვე მესამე ჭიქაზე, მოვისმინე ფრაზა, რომელიც, პინქუს ლერნერის თქმით, ქართული მაგიური ძალის მქონე სიბრძნეა და მოწინააღმდეგის სრულ განიარაღებას იწვევს. იგი სიტყვა-სიტყვით ასე ედერს: “სუფრაზე წიხლს ნუ მიკრავთ!”

თენდებოდა, ფაქტონში მსხვეობი: პინხუს ლერნერი, პოლკოვნიკი ბაბუშკინი, მე, კინგოს ტანსაცმელში გამოწყობილი მხიარული მეარღნე და სამი კისკისა ქალბატონი – სასტუმრო “ლონდონს” მივადექით. . .

სახაზინო ბანკის ძარცვის თარიღი დღე



მეორე დილით ათ საათზე კავკასიაში მისი საიმპერატორო უდიდებულესობის მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებულ განყოფილებაში მივედი. შტაბს-როტმისტრი პინქუს იანკელევიჩ ლერნერი იქ დამხვდა და, ჩემი არ იყოს, ისიც თავს შესანიშნავად გრძნობდა. არ ვიცი, აქაური ღვინის, პურ-მარილის, ჰავის, წყლის თუ ეშნიანი მეძავის წყალობით, ნაღვინევის უსიამოვნო შეგრძნებები არ მაწუხებდა და მზად ვიყავი მო- ვალეობის შესასრულებლად. პატივი მცეს და სა- მუშაოდ ცალკე ოთახი გამომიყვეს.

ტფილისში 1907 წლის 13 ივნისს ბანკის გაძარც- ვის საქმეზე ცენტრთან მიმოწერის და თავდაპირ- ველი მოკვლევის საკმაოდ ვრცელი დოკუმენტაცია გახლდათ დაცული. საბუთები ერთ საქაღალდეში მაცდურად ეტეოდა და ბევრი საიდუმლოს გამხე- ლას მპირდებოდა.

ტფილისის სამხარეო სასამართლოს განსაკუ-
თრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის
პეტრე ილიაშვილის საქმე სახელმწიფო საბჭოს
წევრის თავად ი. გ. ჭავჭავაძის მკვლელობის შე-
სახებ, დაწყების თარიღი: 1907 წლის 1 სექტემბერი,
დამთავრების თარიღი: 1909 წლის 11 ივნისი,
ორი ტომად იყო აკინძული. პირველი ტომი 288
(ორასოთხმოცდარვა), ხოლო მეორე ტომი 170 (ას-
სამოცდაათ) გვერდს შეიცავდა. გუშინწინდელი
ბურუსით მოცული შემთხვევის გამო, პირველ
რიგში გვერდების რაოდენობა გადავთვალევ. რაც
არ უნდა უცნაური იყოს, ყველაფერი წესრიგში
აღმოჩნდა: ფურცლები არ აქლდა და დოკუმენ-
ტებს, როგორც გამომძიებელი იტყოდა, დაზიანე-
ბის გარეგნული ნიშნები არ აღენიშნებოდა. რა-
ტომდაც დარწმუნებული კიყავი, რომ ამ ქაღალ-
დების დასტაში აუცილებლად წავაწყდებოდი
ილია ჭავჭავაძის უკანასკნელ სიტყვებსაც. დავა-
ლება, ეს ერთი შეხედვითაც ჩანდა, დიდ დროს
წაიდებდა. მართალი გითხრათ, გამაოცა ჩემი
იდუმალი წინამორბედის სისხარტემ და მის მი-
მართ ინტერესი კიდევ უფრო გამიმდაფრდა. თუ
მას ერთი დასჭირდა, მე სრული სამი დღე მოვან-
დომე ქაღალდების შესწავლას; საქმისთვის არა-
ნაკლებ მნიშვნელოვანი გამოდგა პოლკოვნიკ
კლადიმერ ბაბუშკინთან და შტაბს-როგორისგრ
პინხუს ლერნერთან გატარებული საღამოები.
სწორედ მათი დახმარებით მივიღე უამრავ კითხ-
ვაზე პასუხი; მეოთხე დღე ბიბლიოთებაში ადგი-
ლობრივი პრესის გაცნობას მოვახმარე. გამაოცა
უურნალ-გაზეთებში გაბატონებულმა ვერსიამ
ილია ჭავჭავაძის ბოლოს წარმოოქმული ფრაზის
შესახებ. ყველა ორატორი თუ წერილის ავტორი

ერთხმად ამტკიცებდა, თითქოს სახელმწიფო საბჭოს წევრის მიერ უკანასკნელიად წარმოთქმული ფრაზა იყო ყაჩაღებისადმი მიმართვა: “რას ჩადიხართ, ილია ვარ!” არადა, საქმის მასალებით სულ სხვა რამ დასტურდება. მართალია, რომ დიდი ადამიანების ცხოვრების დეტალების მისტიფიკაცია ხდება ხოლმე, მაგრამ გაუგებარია, ამ შემთხვევაში, რატომ გადაწყდა ბრწყინვალე რეალობის უნიჭო გამონაგონით ჩანაცვლება?

გონებაში მოხსენებითი ბარათის კონტურები გამოიკვეთა; მგონი, გარტინგის საიდუმლო აგენტის კვალზეც გავედი; გვრძნობდი, პარიზელი შეფი კმაყოფილი დარჩებოდა; ცნობიერების შორეულ ლაბირინთებში იბადებოდა ცოუნება ბანკის გამარცვასა და ილია ჭავჭავაძის მკვლელობას შორის რაღაც იდუმალი კავშირის არსებობის შესახებაც, მაგრამ ამ საკითხზე ჩამოყალიბებული აზრი ჯერჯერობით არ მქონდა. სასტუმროში დავბრუნდი; ბათუმის მაგარებლის გასვლამდე დიდი დრო იყო. გამომძიებლების საქადალდეებიდან, უურნალგაზეთებიდან ამონაწერებით და ბაბუშკინლერნერის წყვილისგან მოპოვებული ინფორმაციით დახუნდლული წიგნაკი ოთახში მაგიდაზე დავდე და პატაკის წერა დავიწყე:

“პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის აგენტურის უფროსს როტმისტრ ვ. ანდრეევს

1907 წლის 13 ივნისს, დილის თერთმეტ საათზე, ტფილისში, ქალაქის ცენტრში, გრაფ პასკევიჩერივანსკის მოედანზე, ფოსტის სადგურიდან სახელმწიფო ბანკში ფულის გადატანის დროს, კარგად დაცულ თრ ეტლს თავს დაესხნენ შეიარაღე-

ბული პირები; აფეთქდა შვიდი ბომბი, ისროდნენ რევოლურებიდანაც. თავდასხმის შედეგად მოკლეს ორი გოროდოვოი და სამი კაზაკი; დაიჭრა ორი კაზაკი და ერთი ქვეითი მსროლელი; სხვადასხვა დაზიანება მიიღო თექვსმეტმა გამვლელმა. გატაცებულია ფული ტომრებით და თავდამსხმელები მოხერხებულად მიიმალნენ. აი მხოლოდ ეს ინფორმაცია არის უტყუარი იმ საჭმის შესახებ არსებული მასალებიდან.

ახლა მოგახსენებთ, თუ რა ცნობებია ბუნდოვანი, ურთიერთგამომრიცხავი, სხვადასხვა შინაარსის, არალოგიკური და საეჭვო;

გატაცებული თანხის რაოდენობა



პოლიციის დეპარტამენტში გაგზავნილ თავის პირველ დეპეშაში განსაკუთრებული განყოფილების უფროსი ბაბუშკინი ახსენებს 350 000 რუბლს; იმავე დღეს მეორე დაშივრულ დეპეშაში ეს ციფრი შეიცვალა 250 000 რუბლით. შემდეგ პრესაში გამოქვეყნდა კონკრეტული ციფრი: 270 780 რუბლი და 25 კაპიკი – 1, 10, 25, 50 და 100-რუბლიანი კუპიურებით; სულ მალე ტფილისის მეათე პოლიციური უბნის ტერიტორიაზე, პირველი მსროლელი ბატალიონის ყაზარმებთან ახლოს, რკინიგზის გასწვრივ, იპოვეს ორი ტომარა; ერთს ეწერა “150 000 რუბლი”, მეორეს – “90 000 რუბლი” ანუ ჯამში 240 000 რუბლი. სახელმწიფო ბანკის მმართ-

ველის დ. ბეზობრაზოვის ოფიციალურ განცხადებაში კი ნათქვამია, რომ გატაცებულია: ხუთრუბლიანები სულ 50 000-ის, ათრუბლიანები 50 000-ის, ოცდახუთრუბლიანები 50 000-ის, ხუთასრუბლიანები 100 000-ის. გამოქვეყნდა ხუთასრუბლიანი კუპიურების სერია AM და ნომრები: 62901–63000; 63701–63800. პირველსავე დღეს მეეტლის სახლში იპოვეს ბოხჩა 9 900 დაზიანებული, ხმარებიდან ამოდებული რუბლით.

არადა ფულს თვალა და სიზუსტე უყვარს.

ვერსიები გამტაცებელთა ვინაობის შესახებ

1. მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსმა პოლკოვნიკმა ბაბუშკინმა 15 ივნისს პეტერბურგს აცხობა: “ჯერჯერობით არა გვაქვს მონაცემები იმის შესახებ, რომ დანაშაული ჩადენილია პოლიტიკური პარტიის მიერ.” 19 ივნისის დაშიფრულ დეპეშაში კი ნათქვამია: “აგნტურა განსაკუთრებულად აღვენებს თვალს ხუთ ანარქისტს, რომელთა მონაწილეობა ექსპორტიაციაში უქმდებად მიაჩნიათ.”

2. რიგის ოხრანკის უფროსის პატაკიდან: “მოგვეპოვება აგნტურის მითოთებები, რომ ტფილისის ძარცვა ორგანიზებულია არა რევოლუციური პარტიის, არამედ თავად ჩინოვნიკების მიერ”;

3. ვილნოს ოხრანკის უფროსს მიაჩნდა, რომ ტფილისის ექსპორტიაცია განხორციელებულია სოციალის-რევოლუციონერების მფრინავი რაზმის და სოციალისტების პოლონური პარტიის მიერ;

4. ხარჯოვის ოხრანქა ვარაუდობდა, რომ ტფილის ძარცვა ორგანიზებულია ესერთა ცენტრალური კომიტეტის მიერ;
5. როსტოვის ოხრანქის აზრით: “პანჯე თავდასხმაში მონაწილე ანარქისტების ნაწილი უკვე როსტოგში ჩაგიდა”;
6. ოდესის ოხრანქის უფროსის პატაკში კატეგორიულად იყო ნათქვამი: “სანდო აგენტურული ცნობებით, ტფილისის ექსპროპრიაცია განახორციელდა სომხურმა რევოლუციურმა ორგანიზაციამ “დაშნაკცუტუნმა”;
7. მოსკოვის ოხრანქა კი ამტკიცებდა, რომ ამ საქმეში მაქსიმალისტების ხელი ურევია;
8. 25 ივნისის ბაბუშკინის პატაკი: “გამოძიებით დასტურდება, რომ სახაზინო ტრანსპორტზე თავდასხმა ბანდიტ-ანარქისტების მიერაა ჩადენილი და ამ საქმეში პოლიტიკური პარტიების ხელი არ ურევია. სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ წერილობით უარყო მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობა და აღნიშნა რევოლუციის საქმისთვის ექსპროპრიაციების საზიანობა”.

ცოტა არ იყოს უცნაურია, როდესაც იმპერიის ოხრანქის სხვადასხვა ქალაქების განყოფილებების აზრი ერთსადაიმავე მოვლენაზე ასე რადიკალურად განსხვავდება. როგორც წესი, სისტემას ერთიანობა ახასიათებს და ყველანი ერთი ოფიციალური ვერსიის მხარდამჭერები ვართ ხოლმე. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ოხრანქის მრავალხიანობა ხელოვნურია.

უცნაური წაყრუება

მოსკოვის ოხრანკამ 1907 წლის 3 აგვისტოს უკვე ზუსტად იცის, თუ ვინ გაძარცვა ტფილისის ბანკი. აი ამონაწერი მათ მიერ პოლიციის დეპარტამენტში წარდგენილი პატაკიდან; “ამჟამად სრულიად ზუსტადაა ცნობილი, რომ 13 ივნისს ტფილისში 250 000 რუბლის გატაცება მოხდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ტფილისის ორგანიზაციის ბოლშევიკების მიერ, ზოგიერთი ადგილობრივი ორგანიზაციის წევრების ხელშეწყობით. მოგვეპოვება მონაცემები, რომ ძარცვაში მონაწილეთა მიმართ, პარტიული დისციპლინის დარღვევისთვის, მოსალოდნელია ამხანაგური სასამართლო განხილვა.”

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, 3 აგვისტომდე, ვიდრე მოსკოვის ოხრანკა “დაადგენდა” ექსპროპრიაციაში ბოლშევიკების მონაწილეობას, და მას შემდეგაც, პოლიციის დეპარტამენტში სისტემატიურად შედიოდა ინფორმაციას ტფილისში გატაცებულ ფულთან ერთად ვინმე კამოს გადაადგილების შესახებ:

1.“*მთელი ივლისი და აგვისტოს პირველი ნახევარი*” კამო იმყოფებოდა ფინეთში ვლადიმერ ულიანოვის აგარაკზე, სადაც განიხილებოდა გატაცებული ფულის გადაცვლის საკითხი. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბოლშევიკების ერთ-ერთმა ლიდერმა მაქსიმ ლიტვინოვმა ნაძარცვი თანხა ევროპაში გაიტანა, კამო ტოვებს ულიანოვის აგარაკს;

როგორც ჩანს, ოხრანკა დუმილით ადევნებდა თვალს ნაძარცვი ფულის გადაადგილებას ჯერ

იმპერიის სივრცეში და შემდეგ საზღვრებს გარეთაც.

2. 4/17 ოქტომბერს კამო ჩადის ბერლინში ავსტრიის ქვეშევრდომის დიმიტრი მირსკის პასპორტით;

3. 27 ოქტომბერს//9 ნოემბერს დიმიტრი მირსკი-კამო დააპატიმრა გერმანიის პოლიციამ. ბერლინში, ელზასშტრასე 44-ში მდებარე მის ბინაში იპოვეს დიდი რაოდენობით იარაღი, ასაფეოქებული ნივთიერებები.

4. კამოს გერმანიაში დაკავებიდან მეოთხე დღეს, 1907 წლის 31 ოქტომბერს//13 ნოემბერს, გარტინგმა პოლიციის დეპარტამენტს აცნობა მირსკის დაპატიმრების შესახებ. ცნობაში მითითებულია მეტსახლი კამო და თან ერთვის ფოტო. განმარტებაში გარტინგი იძლევა, ერთი შეხედვით ამომწურავ, ინფორმაციას კამო-მირსკის შესახებ: სომეხი, 26 წლის, გორელი. მამა ხივის ლაშქრობაში მონაწილეობდა, იმ დროს გამდიდრდა, მაგრამ შემდეგ გაკოტრდა; დედა ჭლექით გარდაიცვალა, ჰყავს სამი და. ბოლშევიკი, რევოლუციურ საქმიანობას ეწევა 8-9 წლის ასაკიდან; მონაწილეობდა საქართველოს სამხედრო გზაზე მომხდარ ექსპროპრიაციაში, ხომალდ “ზორათი” რუსეთის ტერიტორიაზე იარაღის უკანონო შემოტანაში; ტფილისის ექსამდე “ცოტა ხნით ადრე გაიქცა ბათუმის ციხიდან.”

დაუჯერებელია, მაგრამ საქმის მასალებში ასეა: არკადი მიხაილოვიჩ გარტინგმა, რომელმაც კამო-მირსკიზე ისიც კი იცის, რომ მამამისი 1873 წელს

ხვარაზმელთა წინააღმდეგ ლაშქრობის მონაწილეა, პოლიციის დეპარტამენტს მიმართა თხოვნით, გაერკვიათ კამოს ნამდვილი სახელი და გვარი. გარტინგის ქცევა ხომ საჭვრა, მაგრამ კიდევ უფრო საოცარია პოლიციის დეპარტამენტის მოქმედება:

კამო-მირსკის ნამდვილი ვინაობის დადგენის თხოვნით დეპარტამენტმა ოპერატიულად 1907 წლის 1/14 ნოემბერს წერილით მიმართა კავკასიაში მისი უდიდებულესობის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ ბაბუშკინს, თან დაურთო კამოს ფოტო. ბაბუშკინმა ვერ დაადგინა მისი ნამდვილი ვინაობა. არადა, პოლიციის დეპარტამენტში და ტფილისის განსაკუთრებულ განყოფილებაშიც ინახებოდა ცირკულარი 1904 წლიდან ძებნილი კამოს მეტსახელით, სახელით, გვარით, მამის სახელით, სრული აღწერილობით და საჭირო იყო მისი ფოტოსთან შედარება.

1908 წლის 16 თებერვალს პოლიციის დეპარტამენტმა იგივე თხოვნით – დაედგინათ კამოს ნამდვილი ვინაობა – კვლავ მიმართა ტფილისს, ამ ჯერზე კავკასიის რაიონულ ოხრანკას, ოდონდახლა დააზუსტა, რომ კამო ბანკის გაძარცვამდე “**ცოტა ხნით აღრე გაიქცა ბათუმის ციხიდან.**”

პოლკოვნიკმა ერთომინმა, რომელიც მაშინ კავკასიის რაიონული ოხრანკის და იმავდროულად უანდარმერიის უფროსი იყო, წერილი გაგზავნა ბათუმში და მოითხოვა 1907 წელს ციხიდან გაქცეულთა სია. ბათუმიდან პასუხში კამოს გვარი

ვერ მოხვდა იმ უბრალო მიზეზით, რომ იგი ამ ციხიდან გაიქცა არა 1907, არამედ – 1904 წელს!

შემდეგ მოვლენები ასე განვითარდა: 1908 წლის 1 მარტს ქუთაისის ციხის პატიმარმა არსენა კორსიძემ გასცა ტფილისის ექსში მონაწილეები და მათ შორის “კამო სომეხი”. კორსიძეს გერმანიაში დაპატიმრებული დიმიტრი მირსკის ფოტო წარუდგინეს მხოლოდ 1908 წლის 22 აპრილს და მან ამოიცნო ტერ-პეტრუსოვი. მიუხედავად ამისა, პოლიციის დეპარტამენტისთვის კამოს სახელი და გვარი, პოლკოვნიკ ერიომინის დაგვიანებული წერილის მეშვეობით, ცნობილი გახდა მხოლოდ 1908 წლის 3 ივნისს. **1908 წლის ივნისი!** ეს თარიღი საინტერესოა სხვა თვალსაზრისითაც.

უცნაური ფული და დაპატიმრებების არანაკლებ უცნაური ქრონიკა

ტფილისში ნაძარცვ ფულს ერთი თავისებურება ახასიათებდა. 100 000 რუბლი იყო ხუთასრუბლიანი კუპიურებით, რომელთა სერია და ნომრები მაშინვე გამოქვენდა და ცნობილი გახდა იმპერიის ბანკებისთვის. ასე რომ, მათი ოფიციალური გადაცვლა რუსეთში შეუძლებელი შეიქნა. პრობლემის არსეს სრულად გადმოსცემს გარტინგის 1907 წლის 29 ნოემბრის პატაკი: “ამ ზაფხულს ბოლშევიკების მიერ ექსპროპრიეტებული ხუთასიანი ბილეთებით 100 000 რუბლის სავარაუდო გადაცვლასთან დაკავშირებით გაცნობებით, რომ პარიზში მყოფი ბოლშევიკი “ვიქტორი”, რომელიც აქცხოვრობს შერ ადოლფის სახელით, არაერთხელ არის შემჩნეული როგორც სოციალ-დემოკრატების, ასევე ანარქისტების მიერ ექსპრო-

პრიირებული ფულის გადაცვლაში. იგი ამას ახერხებს რუსეთის პროვინციულ ბანკებში ნაცნობების მეშვეობით. . . ამგვარი გადაცვლების შედეგად რევოლუციონერებს უბრუნდებათ ფულის მცირე ნაწილი, უმეტესი თანხა, საკომისიო ხარჯების სახით, რჩებოდათ “ვიქტორს” და ამ გადაცვლაში მონაწილე სხვა პირებს. ბოლშევიკებს ამჟამად, ზუსტადაა ცნობილი, აქვთ 100 000 რუბლი, რომელიც კამოს მიერ ექსპროპრიირებულია ტფილისში და ეს თანხა, შესაძლოა, ინახება სპეციალურგ ში “ნიკიტითან”. ბოლშევიკებს აქვთ ორი გეგმა. პირველი: გადაცვლა განახორციელონ ერთსადაიმავე დღეს შეეიცარის ქალაქებში და მეორე: ეს ფული გადაცვალონ ერთდროულად რუსეთის პროვინციულ ქალაქებში.”

(“ვიქტორის” ნამდვილი სახელია ბოლშევიკი ვიქტორ ტარატუტა, ხოლო “ნიკიტი” გახლავთ ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის წევრი ლეონიდ კრასინი).

ახლა თვალი მივადევნოთ დაპატიმრებების საინტერესო ისტორიას:

ტფილისის ბანკის ძარცვასთან დაკავშირებულ პირთაგან პირველად დაპატიმრეს მისი შემსრულებელი კამო იგივე სიმონ არშაკოვ ტერპეტრუსოვი 1907 წლის 27 ოქტომბერს//9 ნოემბერს, ბერლინში, ოღონდ დიდი რაოდენობით იარაღისა და ასაფეთქებული ნივთიერების შენახვისთვის.

შემდეგი დაკავებები მოხდა ამ თანმიმდევრობით:

1908 წლის 17 იანვარი, პარიზი – მაქსიმ ლიტვინევი (მაღალი რანგის ბოლშევიკი). აღმოაჩნდა ტფილისში ნაძარცვი 12 ცალი ხუთასრუბლიანი ბანკოტი: AM 62951-62960, 63717-63718;

18 იანვარი, მიუნხენი – სარა რავიჩი (ბოლშევიკი), გადაცვალა ორი ბანკოტი: 63791 და 63792;

18 იანვარი, მიუნხენი – ტიგრან ბაგდასარიანი (ბოლშევიკი), ოან ჰერნდა 15 ბანკოტი: 63771-63780 და 63784-63790;

18 იანვარი, მიუნხენი – მიგრანტ ხოდიამირიანცი (ბოლშევიკი), 18 იანვარს დილით შტუტგარდში გადაცვალა ბანკოტი: 63781;

მარტი, ფინეთი – ლეონიდ კრასინი (ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის წევრი);

მარტი, პეტერბურგი – გრიგორ ზინოვიევი (ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის წევრი);

აპრილი – ლევ კამენევი (ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის წევრი);

დაკავებულთაგან ვერავის დაუმტკიცეს ტფილისის ძარცვაში მონაწილეობა და 1908 წლის ივნისში, მაშინ როდესაც პოლიციის დეპარტამენტმა დიდი “წვალებით” დაადგინა, რომ კამო ყოფილა სიმონ არშაკოვ ტერ-პეტრუსოვი, დაპატიმრებულ ბოლშევიკთაგან მხოლოდ იგი დარჩა ციხეში.

ჩვენთვის ცნობილი საიდუმლო თანამშრომლებიდან ოპერაციაში მოქმედებდა პირი, რომელმაც ბოლო ეტაპზე გარტინგს გადასცა გატაცებული

ხუთასრუბლიანი კუპიურების მნიშვნელოვანი ნაწილი. ამ პიროვნების აგენტურული სახელია “დოდე”. იგი აქამდე უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობდა ბოლშევიკებში და შეიძლება, ამ პროვოკაციის შედეგად, სერიოზული ზიანი მიაღეს; გამოდის, რომ აგენტი “დოდეს” დაცვა არ იყო პოლიციის დეპარტამენტისთვის მნიშვნელოვანი ამოცანა. სავარაუდოდ, საიდუმლო ოპერაციაში მონაწილეობდა მასზე უფრო მნიშვნელოვანი პირი; უფრო მეტიც, 1907 წლის 13 ივნისს ტფილისის ბანკის გაძარცვის საქმის მასალებიდან თვალნათლად ჩანს, რომ მასში, “დოდეს” გარდა, აქტიურობდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მადალ ეშელონებში მოღვაწე პოლიციის დეპარტამენტის რამდენიმე აგენტი, რომელთაგან, შესაძლოა, გარტინგის პირადი საიდუმლო თანამშრომლებიც იყვნენ: ლეონიდ კრასინი, ვიქტორ ტარატუტა, მაქსიმ ლიტვინოვი და სიმონ არშაკოვ ტერ-პეტრუსოვი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ეს უკანასკნელი. ბურუსით მოცულ კამოს ციხიდან გაქცევებში, გამოუვალი სიტუაციებიდან სრულიად ალოგიკურ გამოსვლებში, იმპერიისა და უკროპის ტერიტორიაზე მოწესრიგებული დოკუმენტაციით გადაადგილებაში, მის გმირობებზე კარგად დაყრილ ხელებში იკვეთება პოლიციის დეპარტამენტის უხილავი მფარველი ხელი არსებობა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, დასაშვებად მიმაჩნია ვარაუდი, რომ ტფილისის ბანკის ძარცვა იყო გარტინგის ხელმძღვანელობით ჩაფიქრებული და პოლიციის დეპარტამენტის გარკვეული წრეების მიერ მხარდაჭერილი განსაკუთრებული ოპერაცია, რომლის მიზანშეწონილობა და შედეგებიც ერთობ საეჭვოა.”

ახალი შეფისთვის სასიამოვნო ტალღაზე დავამ-
თავრე მოხსენებითი ბარათი.

მცხოვრის პომარკებული პოლია მარპოვიჩის მოწ- ვენებები

იმავე საღამოს ტფილისი-ბათუმის მატარებლის
კუპეში მჯდომი გულდაწყვეტილი ვტოვებდი საო-
ცარ ქალაქს.

ახლა სახელმწიფო საბჭოს წევრის ილია ჭავჭა-
ვაძის მკვლელობის შესახებ მოხსენება უნდა მო-
მემზადებინა; ამ საქმიდან უხილავი გორგლის ძა-
ფი, ჯერჯერობით, 1907 წლის 13 ივნისს ტფი-
ლისში მდებარე სახელმწიფო ბანკზე თავდასხმის
მონაწილეებისკენ მექაჩებოდა.

რას ვიყიქრებდი, თუ მოვლენები სულ სხვაგ-
ვარად განვითარდებოდა და ჩემს ცხოვრებაში
უცნაური ფორმით მოხდებოდა ის, რის თავიდან
აცილებასაც მაიძულებდა თვითგადარჩენის,
თვითდამკვიდრების, კონფორმიზმის აქამდე გა-
დაულახავი ძალა.

ორთქლმავალმა იკივლა და ქოშინით გაიყოლა
ოთხი ვაგონი. კუპეში მარტო ვიყავი, ფანჯრის
ფარდა გადავწიე და უნებლიერ კვლავ ვაგზლის
მოსაცდელ დარბაზში შესასვლელისქნ გამექცა
თვალი. იქ, მტრედის სკორეთი სავსე ოყნით შეია-
რაღებული, პუშკინის პოეზიის მოყვარული პატარა
მეგობარი, ჟღვინტლიანი თამშუკი იდგა და ვაგო-
ნებს სევდიანად მიაცილებდა. ჩვენი მზერა გა-

დაიკვეთა, მგონი, მიცნო და გახარებულმა ხელი დამიქნია. ვაგზლის ბაქანი მიიღია, ცოტა სანში ქალაქის შუქებიც გაქრა. მატარებელი უმთვარო დამის უკუნს მიაპობდა, მოხუცივით ოხრავდა, ხენეშოდა და ჩიფჩიფებდა. მის მიერ გამოშვებული თეთრი ორთქლი კი სხვადასხვა ფორმის აჩრდილებად ეფინებოდა არემარეს. ისეთი გრძნობა დამეუფლა თითქოს, ჩემი სამშობლოს ერთ-ერთ პროგინციულ ქალაქს კი არა, პატარა ზღაპრული სამეფოს დედაქალაქს დავემშვიდობე, თანაც სამუდამოდ. უკვე ვიცოდი, რითაც განსხვავდებოდა ეს სამყარო. არა თუ აქაურები, არამედ აქ მცხოვრები რუსებიც კი სხვა ყოფის, სხვა კულტურის, სხვაგვარად მოაზროვნები არიან. გული დამწყდა, ეს უცხო ქვეყანაა და იგი არასოდეს გახდება რუსეთი.

მატარებლის ფანჯარას მოვშორდი, ქვედა თაროზე გავიშელართე და მხოლოდ ახლადა მივხვდი, როგორ დავდლილვარ; ჩავთვლიმე.

ჩაბნედებულ კუპეში უხმოდ შემოვიდნენ; ორნი იყვნენ. სახეს ყაბალახი უფარავდათ. ერთი ჩემს თავზე მდებარე საწოლზე აცოცდა, მეორე კი ქვედა თაროზე ჩამოჯდა და ყურადღებით დამაკირდა. ისე ვიყავი გასავათებული, ქუთუთოების გახსნაც მეზარებოდა და მათ მოძრაობებს წამწამებქვეშიდან ვადევნებდი თვალს. საკვიაჟი და ჩემოდანი საბარგულში მქონდა და, თუ ქურდები იყვნენ, ჩემი წამოყენების გარეშე ვერ მიწვდებოდნენ. მშვიდად განვაგრძე თვლემა. ვერ ვიტყვი, კუპეში სტუმრების გამოჩენიდან, რამდენი დრო გავიდა, როდესაც წინ მჯდომარებელი უაბალახი შეიხსნა, ხელში საიდანდაც გაუჩნდა ჩალის ქუდი, რომელიც

შუბლზე ჩამოიფხატა, ჩემსკენ დაიხარა და ფრთხილად შემეხო მარცხენა მხარზე:

— მეგობარო, მაპატიეთ, აუცილებლობა მოითხოვს, თორემ არ შეგაწუხებდით.

პასუხის გაცემა არ მინდოდა და თვლება განვაგრძე. არამკითხე თანამგზავრი ახლა უფრო მომიახლოვდა და ლამის მარცხენა ყურში ჩამჩურ-ჩულა:

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, გაიღვიძეთ!

დამე უკუნი იყო, თუმცა მისი სახის კონტურები მაინც გავარჩიე და როგორც კი გავიაზრე, ვინ მელაპარაკებოდა, წამოხტომა ვცადე. თანამგზავრ-მა მკერდზე ხელი დამაჭირა და საწოლს მიმაჯაჭ-ვა. გავუძალიანდი, მაგრამ ვერ გავინძერი.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ან გაიღვიძეთ, ან მხარი იცვალეთ, თორემ ისე ბორგავთ და ხროტინებთ, როგორც ჩანს, ძარღვების გადაკეტ-ვის შედეგად კიდურებს სისხლი აღარ მიეწოდება,

— ახლა აშკარად უფრო მკაფიოდ გავიგონე.

გაბრუებული წამოვჯექი, უცნობს თვალებში შევხედე. არა, ეს არ იყო ტფილისის ვაგზლის მოჩვენება ანუ ჩემი ორეული, თუმცა, მართალი გითხრათ, ცოტათი მგავდა.

— დამე მშევიდობისა, მეგობარო! — მომესმა ზემო-დან უაღრესად სასიამოვნო ტემბრი, რომელიც მხოლოდ მაღალი საზოგადოების ადამიანებს ახა-სიათებთ. — კეთილი იყოს ჩვენი ერთად მგზავრო-ბა! — იმდენად დახვეწილი იყო თითოეული ბგერა,

რომ ამ ფონეტიკის მფლობელი აშგარად უაქცენტოდ ილაპარაკებდა არამარტო რუსულად და მის არარუსობას მხოლოდ ბევრათა უდერადობის განსაკუთრებული აკადემიურობის გამო თუ მიხვდებოდა მსმენელი.

- მაპატიეთ, ბატონებო, ჩამძინებია და ვერ მოგესალმეთ, — თითქოს ვიპოვვე სიტუაციიდან გამოსავალი, — ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ: როტმისტრი . . .
- ბენონი, ძვირფასო, — კვლავ მომნუსხველად მოისმა ზემოდან. — ჩვენი საუბარი შინაურული უნდა იყოს. სხვაგვარად მას აზრი არ აქვს და ამიტომაც დავივიწყოთ ჩინ-მედლები და რეგალიები. ამ დამეს თქვენ იქნებით ბენონი და არა ბენიამინი.
- ბენონი? — ვინ ბრძანდებით ან საიდან იცით ჩემი ბავშვობის სახელი, რომლითაც მხოლოდ დედა და ბებო მომმართავდნენ? — ამგვარ სიტუაციაში სხვა დროს ალბათ გავბრაზდებოდი, მაგრამ უცნობის დაყვავებულმა საუბარმა მეც მშვიდი და თვინიერი გამხადა.
- სარეკომენდაციო გზავნილით მოვედით. მაგანალგაზრდა კაცს ჰქვია სპირიდონი, მე კი, თქვენი ნებართვით, უცნობად დავრჩები, რაღგანაც ნამდვილი სახელის თქმის უფლება არა მაქვს.
- თუ გადმომცემთ, წერილს გავეცნობი და მიგულეთ თქვენს სამსახურში.
- სიტყვიერი გზავნილი გვაქვს.

- უკაცრავად, მაგრამ უცხო ადამიანებს მხოლოდ სიტყვაზე ნუ ენდობიო, მასწავლიდა ის ქალბატონი, რომლის შერქმეული სახელითაც მომმართეთ.
 - ჩვენ იმ ადამიანის მეგობრები ვართ, ვინც თავის ქადაგებებს ასრულებს შემდეგი სიტყვებით: “გახსოვდეთ, რა ურჩია იერემიამ ბაბილონში გადასახლებულ იუდეველებს.”
 - თქვენ თუ იცით, რა ურჩია იერემიამ იუდეველებს? — არ დამვიწყებია დედის რჩევა, არასოდეს წარმომეთქვა იერემიას სიტყვები სხვების თანდასწრებით და ამიტომაც ვცადე, გამერკვია, იყვნენ თუ არა იგივე ფიცით შეკრულები ჩემი მოულოდნელი და უცნაური თანამგზავრები.
 - “მუდამ იზრუნეთ იმ ქალაქის კეთილდღეობისთვის, რომელშიც გადაგასახლეთ და ილოცეთ მისთვის ლვოის წინაშე: რამეთუ მისი კეთილდღეობის შემთხვევაში, თქვენც მოიპოვებთ მშვიდობას,” — დინჯად წარმოსთქვა ზედა თაროზე მყოფმა.
- იერემიას ნათქვამი დედამ მასწავლა და ჩემს ცნობიერებაში მისი პანგებით და ინტონაციით შემოვინახე. დედაჩემისეული ვარიანტი უფრო ვრცელი იყო:
- “აგერ გამოჩნდა სხივი მსტოვრისა, რომელიც გვავსებს კდემამოსილებით, ბედნიერებით, მსხმოიარობით. მიდით, შეუერთდით, ერთი წუთით ასცდით გაშლილ ალმებს. გისურვებთ დმერთის სიყვარულს.

მუდამ იზრუნეთ იმ ქალაქის კეთილდღეობისთვის, რომელშიც გადაგასახლეთ და ილოცეთ მისთვის ლვოის წინაშე: რამეთუ მისი კეთილდღეობის შემთხვევაში, თქვენც მოიპოვებთ მშვიდობას.”

უცნობის წარმოთქმულს პირველი ნაწილი აკლდა. წამით დავფიქრდი. დიახ, ახლა ყველაფერი ცხადი შეიქნა. დედახემის ტექსტი საიდუმლოს მალავდა და თანაც მარტივად. ალბათ ამიტომ ამიკრძალა მისი წარმოთქმა სხვების თანდასწრებით. იერემიას სიტყვები ორი აბზაცისგან შედგებოდა, რომელთაგან პირველი იყო შენილდული, ციფრი 2 კი – შიფრის გასაღები. აი თურმე რა ადვილი ყოფილა ყველაფერი: “აგერ გამოჩნდა სხივი მსტოვრისა, რომელიც გვაგსებს კდემამოსილებით, ბედნიერებით, მსხმოიარობით. მიდით, შეუერთდით, ერთი წუთით ასცდით გაშლილ ალმებს. გისურვებთ ღმერთის სიყვარულს.” ანუ სიტყვების მეორე ასოებით შედგენილი ფრაზა გახლდათ: “გ-ა-ხ-ს-ო-ვ-დ-ე-ს ი-ე-რ-უ-ს-ა-ლ-ი-მ-ი” – აი ნამდვილი გზავნილი, რომელიც, დავით ბენ შმუელ ფრიდმანის ოქმით, იმ დღიდან შეც მებეგბოდა. როგორც ჩანს, განგების ნება იყო ასეთი: ამ უცნაურ დამემდე არ უნდა დამეჯერებინა, რომ მეც ებრაელი ვარ.

– ბატონებო, მითხარით, ამჟამად სად ვიმყოფებით? – მომინდა გამეგო იმ ადგილის სახელწოდება, სადაც ქვეცნობიერმა, როგორც იქნა, იმარჯვა, ვაღიარე, რომ რუსი კი არა, ებრაელი ვარ და ჩემი წარმოშობის უკვე აღარ მეშინოდა.

- მცხეთაში, ძვირფასო! ეს მიწა ინახავს ორი აქაური ებრაელის — ელიოზის და ლონგინოზის მიერ ჩამოტანილ ქრისტეს კვართს, — გასაოცარ ძალას მმატებდა უხილავი ადამიანის ხმა
- გმადლობთ, ბატონებო, გმადლობთ.
- ეს კი თქვენი ძველი ნაცნობის სარეკომენდაციო წერილია. სპირიდონ, მგონი, დროა! გთხოვ გადასცე!

კუპეში გერცხლისფერი შუქი შემოიჭრა და იქაურობას იდუმალება შეპმატა. არადა, დამე ნამდვილად უმთვარო იყო. ეს ზუსტად ვიცოდი. ფურცელს დაგხედე, ფოსფორშერეული მელნიო გარკვევით ეწერა: “ბენონი, ეს ადამიანი, რომელმაც იცის იერემიას დანაბარები, ჩვენი მეგობარია. ძია დაგითმა მოგიკითხა. შენი ხაიმ აზრიელ გეიცანი.”


ხაიმი პინსკის რეალური სახწავლებელიდან თმა-ქოჩორა ბიჭად მახსოვდა. ამ ზამთარს ლონდონში რომ ვნახე, უკვე თითქმის გამელობებულიყო, ძლივს ვიცანი.



- ბატონებო! ჩემთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ წერილს და იერემიას სიტყვებს. მჯერა, უკანონოს არაფერს მთხოვთ. მიმსახურეთ.
- თქვენთვის ცნობილია თუ არა მიზეზი, რის გა-
მოც ოხრანკას შეეძლო მოეკლა ილია ჭავჭავაძე?
— პირდაპირ საქმეზე გადავიდა სპირიდონი.
- რას გულისხმობთ?
- თუნდაც მის პოლიტიკურ შეხედულებებს.
- თავადი ილია ჭავჭავაძე ბრძანდებოდა სახელმ-
წიფო საბჭოს წევრი. ამ თანამდებობაზე დამტკი-
ცება პირადად მისი უდიდებულესობის იმპერატორ
ნიკოლოზ მეორის მიერ ხდება. პოლიციის დეპარ-
ტამენტში ჩვენს უწყებას ოფიციალურად დაცვის
განყოფილება პქვია და მისი უპირველესი ამოცანა
ყოველთვის იყო სწორედ ხელმწიფის, მისი ბრძა-
ნებების თუ ერთგული ქვეშევრდომების დაცვა.
- ბენონი, პათეტიკა მოსაწყენი და არაფრისმომ-
ცემია. თქვენს უწყებაში არსებობს ნაციონალური
პარტიების განყოფილება. ილია ჭავჭავაძის საქ-
მიანობისადმი სწორედ ამ განყოფილების დამო-
კიდებულება გვაინტერესებს, — მიუხედავად კატე-
გორიულობისა, უცნობის ხმა მხოლოდ სასიამოვ-
ნო გრძნობებს აღძრავდა.
- თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ილია ჭავჭავაძე
ოხრანკას საშიშ ნაციონალისტად მიაჩნდა, ეს ასე
არ ყოფილა. მართალია, 1894 წელს ტფილისის
უანდარმერიის მერ პოლიციის დეპარტამენტში
გაგზავნილი პატაკში ილია ჭავჭავაძე დასახელე-
ბულია ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელად,

მაგრამ შემდეგში ეს აზრი ოხრანკაში არ დამკვიდრებულა. თანმიმდევრულად მივყვეთ:

1898 წელი. პოლიციის დეპარტამენტის მონაცემებით, ქართველ ნაციონალისტებს შორის განსაკუთრებულ როლს თამაშობებ თავადები ივანე ამილახვარი და გიორგი ბაგრატიონ-დავიდოვი, ხოლო ნაციონალისტების მაღალ თანამდებობებზე დანიშნები წარმოებდა “პეტერბურგ ში ძეოფი ვინმე თავად ნაკაშიძის დახმარებით.” ტფილისის ჟანდარმერის პატაკში ნახსენები ეს ნაკაშიძე გახლავთ კავალერიის გენერალი ალექსანდრე დავითის ძე. სხვათა შორის, მისი შვილი მიხეილი პირველი რუსული ჯავშანმანქანის “ნაკაშიძე შერონის” შემქმნელია.



1899 წელს, მარტის დასაწყისში ქუთაისში ქართველმა ნაციონალისტებმა: დადეშქელიანმა, ზდანევიჩმა, ქორქაშვილმა, თუმანოვმა, ხუნდაძემ, წერეთელმა – მოითხოვეს კავკასიაზე საერობო თვითმმართველობის გავრცელება, რითაც ჟანდარმერიის ყურადღება დაიმსახურეს. 1900 წლის ნოემბერში ისევ ქუთაისში, ზდანევიჩის სახლში თავადმა და-

ვით მიქელაძემ პირდაპირ დააყენა რუსეთისგან საქართველოს გამოყოფის საკითხი. 1901 წლის 24 აპრილს კი მიქელაძემ ეს მოთხოვნა გუბერნიის თავად-აზნაურობის სხდომაზე გაახმოვანა. 1905 წლის 1 აპრილს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობა ჯამბაკურ-ორბელიანის მეთაურობით შეუერთდა ამ იდეას. რამდენიმე დღეში, თუ არ ვცდები 9 აპრილს, თავადმა სიმონ წერეთელმა დააზუსტა ის ტერიტორიები, რომლითაც საქართველო რუსეთს გამოეყოფოდა: ტფილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია, ბათუმის მხარე, სოხუმის და ზაქათალას ოლქები. აი, ბატონებო, ვინ არიან, ოხრანების მონაცემებით, ქართველი ნაციონალისტები.

— საოცარია, ნუთუ ოხრანება არ შეშფოთდა 1906 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ საქართველოს დემოკრატიული პარტიის პროგრამის შექმნით. ამ პოლიტიკური გაერთიანების გაცხადებული მიზანი ხომ საქართველოს ავტონომია იყო? — სპირიდონს აღელვება შეეტყო.

— საქართველოს, ისევე როგორც სომხეთის ან ბაქოს სათათრეთის ავტონომიების იდეაზე მსჯელობები, სრულად თავსებადია გრაფ ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მიერ შემუშავებულ კავკასიის მართვის კონცეფციასთან. ავტონომიაზე საუბრები ერთგვარი ორთქლის გამოშვების საშუალებაა. ვორონცოვ-დაშკოვს მიაჩნია, რომ არსებული ეროვნული პარტიების მიმართ რეპრესიული დამოკიდებულება თანამშრომლობით უნდა შეიცვალოს. ნაციონალურ პარტიებს ჰგონიათ, რომ თავისი ერის ინტერესებს ემსახურებიან, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, თუ რა ჰგონია ვორონცოვ-

დაშკოვს. გრაფი კი დარწმუნებულია, რომ ძალუბს ნაციონალური ენერგიის რუსეთის იმპერიის გასაფართოებლად წარმართვა. სომხებს, ქართველებს და თათრებს, ვორონცოვ-დაშკოვის თეორიით, უკისრებათ თურქეთსა და სპარსეთში მათი თანამომებით დასახლებული ტერიტორიების რუსეთის იმპერიისთვის შემოერთების ფუნქცია.

- ესე იგი გამორიცხავთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში სახელმწიფოს მონაწილეობას?
– კვლავ კატეგორიული იყო სპირიდონი.
- გამორიცხვის რა მოგახსენოთ, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან მკვლელობის მოტივებს ნამდვილად ვერ ვხედავ. თანაც არასასურველ ადამიანთა მოსაშორებლად ბევრად უფრო დახვეწილ მეორებს ვიყენებოთ, ვიდრე ყაჩაღური თავდასხმაა. განათქვენთვის საკმარისი არ არის ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეზე სასამართლოს გამომმიებლის მიერ დადგენილი დამნაშავეების სია: გიორგი სიზანიშვილი (ჩამოახრჩვეს), თედო ლაბაური (ჩამოახრჩვეს), გიგოლა მოძღვრიშვილი (ციხეში გარდაიცვალა), პავლე ფშავლიშვილი (მოკლულია ჩაფრების მიერ), ივანე ინაშვილი (ჩამოახრჩვეს), ერმილე დოლიძე (თავდებითაა გათავისუფლებული), გიგოლა ბერბიჭაშვილი (ძებნილია)?
- ილიას მკვლელობა განსაკუთრებული ინტერესის საგანია, ამ საქმის ყველა დეტალი მნიშვნელოვანია. თავად განსაზღვრეთ ის ინფორმაცია, რის მოწოდებასაც ჩათვლით საჭიროდ, – სიმშვიდე შესძინა საუბარს უცნობმა.

- ბატონებო, რაც მე ვიცი ამ საქმის შესახებ, თქვენთვის რამდენიმე დღის წინ იყო ცნობილი.
- პროფესიონალი ბრძანდებით და სწორედ თქვენი ვერსიების მოსმენა იქნება საინტერესო. გარდა ამისა, ხელი მიგიწვდებათ ისეთ წყაროებზეც, რომელთა გაცნობა მწირი შესაძლებლობების გამო ჩვენთვის, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია.

ძალ-დონე მოვიკრიბე, გონება დავძაბე და ინათა, ვიპოვე ის ძაფი, რომელსაც ეს დღეები სულ გვრძნობდი და რომელიც ბანკის ძარცვის საქმეს ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან აკავშირებდა. დამთავრდა, შფოთვის მიზეზიც გაირკვა. არ შევიმჩნიე, რომ ყველაფერი ამ წამს მომივიდა აზრად და მშვიდად დავიწყე:

- ბატონებო, გთხოვთ ყურადღებას.

1907 წლის 24 აგვისტოს გაზეთ «КАВКАЗ»-ში გამოქვეყნდა შემდეგი ინფორმაცია: “*22 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა უფროხი ინსპექტორი კოიაზე და იმავე სადამოს დაიწყო სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი განყოფილების რევიზია.*”

1907 წლის 27 აგვისტოს, ორშაბათს ილია ჭავჭავაძე მეუღლესთან ერთად საგურამოდან ტფილისში ფაეტონით გაემგზავრა. მათთან იყო ლაქია იაკოფა ბითარაშვილი და ეტლს მართავდა თედო ლაბაური. როგორც მოწმე ზაალ ჭავჭავაძე ტფილისის საოლქო სასამართლოს გამომძიებელ ილიაშენკოსთვის მიცემულ ჩვენებაში ადასტურებს, თავადი იმავე სადამოს აპირებდა უცან დაბრუნებას, მაგრამ არ გამოჩენილა. ილია არც სამშაბათს ჩავიდა, ხოლო ოთხშაბათს საგურამო-

ში მოულოდნელად დაბრუნდა იაკოფა ბითარაშვილი, რათა ტფილისში, ილიას სახლში წაეყვანა ადამიანი, რომელიც იქ შეცვლიდა გათავისუფლებულ მექზოვეს. ბითარაშვილმა ზაალ ჭავჭავაძეს უთხრა, რომ თავადი ჩამობრძანდებოდა ხუთშაბათს. ანუ რამდენიმე საათით ტფილისში ჩასული ჭავჭავაძე იქ თითქმის სრული სამი დღე და დამე დარჩა. მექზოვის შეცვლის გამო ეს არ მოხდებოდა. ესე იგი იყო სხვა უფრო მნიშვნელოვანი არგუმენტი. ახლავე მოგახსენებო, სავარაუდოდ, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, ოდონდ ჯერ მცირე ექსპურსი საბანკო საქმეში.

მოგეხსენებათ ბანკს აქვს სადამფუძნებლო საუნჯე, თავნი, რომელიც ხელშეუხებლად ინახება სეიფებში. არსებობს ცნობილი მაქინაცია, რომლის ჩატარებაც ბანკის ხელმძღვანელობას შეუძლია. მისი შინაარსი დაახლოებით ასეთია: იღებო ყალბი ფულის მასას, რომლითაც ჩაანაცვლებო სეიფში დაცული თავნის იგივე რაოდენობას. ნაღდი ბანკოტები გამოგაქვთ და უშვებო უკანონო ბრუნვაში. სეიფში ყალბი ბანკოტების წყალობით იმდენივე ფულის მასაა, რამდენიც უნდა იყოს. ასე რომ ბანკის საზედამხედველო საბჭოს ან ხაზინის წარმომადგენლის მიერ ვიზუალური დათვალიერებისას ეჭვი არ უნდა გაჩნდეს. სხვა საქმეა, თუ რევიზორი პროფესიონალია და თან ეჭვი სწორედ ამგვარ მაქინაციაზე აქვს. იგი აუცილებლად გადაამოწმებს თავნის ბანკოტების სინაღდეს. მიმიხვდით ალბათ, რომ ტფილისის სახელმწიფო ბანკს სათავო ბანკიდან რევიზორის ჩამოსვლით სწორედ ამგვარი საფრთხე შეექმნა.

— ლოგიკურად ქღერს, მაგრამ დააზუსტეთ, რა შეუძინა ამ რევიზიასთან ან ბანკის ეკიპაჟზე ბანდიტური თავდასხმა, ან, მით უმეტეს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, — ვერ მოითმინა ჩემს წინ მჯდომარე სპირიდონმა, რომელსაც თვალებში ჩავხედე და მარჯვენა ფერად გარსზე თეთრი ლიბრი ნამდვილად ჰქონდა გადაკრული. ახლა უფრო მეტად მგავდა.

— შესაძლოა ტფილისის სახელმწიფო ბანკში იგივე სიტუაციაა, თუმცა სპეციფიკური. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გარკვეულ თავისებურებასთან. მოგეხსენებათ, ბანკის მძარცველების ხელში აღმოჩნდა 100 000 რუბლი ხუთასიანი კუპიურებით, რომელთა სერია და ნომრები ეცნობა იმპერიის ბანკებს და მათი გადაცვლა, ამ მიზეზის გამო, შეუძლებელი გახდა. პოლიციის დეპარტამენტის საზღვარგარეთის ბიუროს უფროსს გარტინგს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ბოლშევიკურადები თანხის გადაცვლას აპირებდნენ ან საზღვარგარეთ, ან იმპერიის პოვინციულ ბანკებში, სადაც სერიოზული კავშირები გააჩნდათ. გარტინგმა რატომდაც არ გაითვალისწინა აღნიშნული თანხის განაღდების ის გზა, რომელზეც წერან მოგახსენეთ. ანუ ბოლშევიკები რუსეთის ბანკებში აპირებდნენ არა ხუთასრუბლიანების ოფიციალურ გადაცვლას, არამედ ამ კუპიურებით საბანკო სეიფებში დაცული თავნის ფულადი მასის ჩანაცვლებას და არსებობს დიდი ალბათობა, რომ ეს ოპერაცია ტფილისის სახელმწიფო ბანკში ჩაატარეს. უფროსი რევიზორის ჩამოსვლით გაჩნდა მხილების საფრთხე, რომლის ასაცილებლად ახლა საჭირო გახდა სეიფში ჩანაცვლებული გატაცებული ხუთასრუბლიანების კვლავ ნაღდი

ფულით შეცვლა. შესაძლოა, ეს თანხა აიღეს ტფილისის აზნაურობის საადგილ-მამულო ბანკის თავნიდან, რომელიც, წესდების მიხედვით, სახელმწიფო ბანკში ინახება. ეს ამბავი ცნობილი გახდა ილია ჭავჭავაძისთვის. სახელმწიფო საბჭოს წევრი წინ აღუდგა უკანონობას და სწორედ ამ საქმის მოსაგვარებლად შეყოვნდა ტფილისში. აი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მოტივიც: საქმე ეხებოდა დიდ ფულს. თაღლითობის გამოაშკარავების შემთხვევაში ზოგიერთებს თავსაც წააცლიდნენ და საქმეში მონაწილეებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, არამკითხე მოწმე ილია ჭავჭავაძე მოექლათ და ოპერაციის ჩატარება დაავალეს ყაჩაღთა რაზმს. ეჭვი მაქვს, რომ ამ ჯგუფსაც ის პიროვნება მეთაურობდა, ვინც – ბანკის მმარცველთა ბანდას. ეს კაცი გახლავთ სიმონ არშაკოვ ტერ-პეტრუსოვი, მეტსახელად კამო. ის უშუალოდ იყო დაინტერესებული ფულის გადაცვლით და დარწმუნებული ვარ ხუთასრუბლიანებში თავისი წილი აქვე გაანადდა. მოგვიანებით ევროპაში ტფილისის ექსთან დაკავშირებული პიროვნებების დაპატიმრების დროს ყველას აღმოაჩნდა აქ ნაბარცვი ფულადი ნიშნები. ერთადეურთი გამონაკლისი იყო კამო, – დავასრულე ჩემი აზრი და შეფასების მოლოდინში გავიტრუნე. მოულოდნელად ერთი უცნაურობა მეცა თვალში. არ ვიცი, რა მიზეზით, მაგრამ კუპეში უფრო მეტი შუქი იყო და სპირიდონი კიდევ უფრო მგავდა.

– ბენონი, ნიჭიერი კაცი ბრძანდებით. თხრობაც კარგი გცოდნიათ, მაგრამ ჩვენ მკვლელობის კონკრეტულ საქმეს ვიძიებთ და ამ საქმესთან დაკავშირებული მხოლოდ არსებითი მტკიცებულებების გარეშე თუნდაც ლოგიკურად მეტ-ნაკლებად გა-

მართულ ვერსიას ვერ გავიზიარებთ. რა ხელჩასაჭიდი მტკიცებულება გაქვთ, რომ კამოს ამ მკვლელობაში მონაწილეობა თუნდაც ვერსიის დონეზე დავტოვოთ და შემდგომ კვლევა-ძიებაში მის განხილვაზე დრო დავხარჯოთ, – მოისმა ზე-და თაროდან და ინტონაციაზე შევატყვე, რომ უცნობი სრულად ჯერ არა, მაგრამ ნაწილობრივ ნაღდად განიხიბდა ჩემი მონათხრობით. ვიგრძენი, არ იყო მწყობრი და გამართული ვერსია, მაგრამ მაინც ჯიუტად ვცადე ხავსს ჩავჭიდებოდი. არადა, ბებო მასწავლიდა, წყალი თუ წაგიდებს, ხავსს კი ნუ დაუწყებ ძებნას, არამედ ხელ-ფეხი გაანძრიე, დინებას ცურვით გაყევი, დმერთი აუცილებლად წამოგეწევა და გიშველისო:

– ნება მიბოძეთ, ამ ჯერზე მხოლოდ ფაქტებს ჩამოვთვლი, რომლებიც ჩემს ვერსიას არსებობის უფლებას აძლევს;

პირველი: პოლიციის დეპარტამენტის მონაცემებით, ტფილისში ექსპროპრიირებული ფული კამომ ფინეთში ვლადიმერ ულიანოვთან ჩაიტანა და თავადაც იქ იყო “**მთელი ივლისი და აგვისტოს პირველი ნახევარი.**” შემდეგ გაემგზავრა და ავსტრიაში მაქსიმ ლიტვინოვთან შეხვედრაზე გამოჩნდა მხოლოდ 10 ოქტომბერს. უცნობია, სად იმყოფებოდა კამო 1907 წლის აგვისტოს ბოლოს, როდესაც მოხდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობა და სექტემბერში. ანუ უტყუარი ცნობა, რომ კამო მკვლელობის დროს ტფილისის გუბერნიაში არ იმყოფებოდა, არ არსებობს.

მეორე: ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმეში დევს ოქმი, რომლის ერთ დეტალზე გამომძიებელს

ყურადღება არ მიუქცევია. აი ზუსტი ციტატა 1908 წლის 8 თებერვალს ოზურგეთში, სამხედრო ციხე-ეში ალექსანდრე გრეკოვის დაკითხვის ოქმიდან, სადაც იგი ყვება სოფელ ბახვში გამართული სო-ციალ-დემოკრატების კრების დეტალებს. გრეკოვი აცხადებს, რომ 1907 წლის აგვისტოს ბოლოს ილია ჭავჭავაძის მკვლელობა უკვე გადაწყვეტილი იყო. ერთი წამით, ბატონებო, ახლავე ვნახავ, – წიგნაკი გადავშალე და წავიკითხე, – “ტერო-რისტების მეთაურმა რაუდენ ვადაჭკორიამ რეკო-მენდაცია გაუწია ადამიანებს, რომლებიც დანიშ-ნული იუგნენ განაჩენის აღსასრულებლად: ერთი და კალენიკე დოლიძე, ბასილა შვილი და ერთი სომეხი, რომლის გვარი ჩემთვის უცნობია . . . 4-5 დღის შემდეგ მართლაც მოვისმინე, რომ თავადი ჭავჭავაძე მოკლულია.” ვერავინ გამორიცხავს, რომ ის “ერთი სომეხი” შეიძლება იყო კამო.

მესამე არგუმენტი: გამოძიების მასალებში მკვლელობის მონაწილედ დასახელებულია “ერთი იმერელი” (один имеретин), რომლის ვინაობაც დაუდგენელი დარჩა. კამო დიდხანს საქმიანობდა იმერეთის გუბერნიაში და იმასაც თუ გავითვა-ლისწინებთ, რომ მას გარდასახვის ნიჭსაც მიაწე-რენ, არ უნდა გაძნელებოდა დუშეთის მაზრის გლეხებისთვის, კონსპირაციის მიზნით, თავი იმ-ერელად წარედგინა. ასე რომ ის “ერთი იმერელი” შესაძლოა კამოა, – ერთ ამოსუნთქვაზე დავა-სრულე ეს წინადადებაც და მივხვდი, რომ დამა-ჯერებელი არც ამ ჯერზე ვიყავი და არგუმენტებ-იც შემომეცალა.

მხოლოდ მატარებლის ბებრული ჩიფჩიფი ისმო-და. კუპეში მყოფნი დუმდნენ. სპირიდონის ხელში

ზუსტად ჩემნაირი წიგნაკი გაჩნდა, რომლის ყდაც ფოსფორწასმულივით ციმციმებდა.

— ვეცდები, თქვენებურად გიპასუხოთ, — სპირი-დონმა წიგნაკი გადაშალა. — ბენონი, ახლა ამ თანმიმდევრობას დაუგდეთ ყური:

პირველად თქვენს მიერ ნახსენები “ერთი იმერჯლი” (один имеретин) გამოძიების მასალებში გა-მოჩნდა 1908 წლის 10 თებერვალს ანუ მკვლელობიდან მეექვსე თვეს დუშეთის მაზრის მოვალეობის შემსრულებლის სტრიუევის მიერ შედგენილ უცნაურ ამონაწერში: მცხეთის ბოქაულმა ნიკოლოზ მარკოვიჩმა თქვაო, რომ ლადო ჩირიკაშვილმა და პავლე ფშავლიშვილმა იღია ჭავჭავაძის მკვლელობის სხვა მონაწილეებთან ერთად “ერთი იმერჯლი” დაასახელესო. გამომძიებელმა გადაა-მოწმა ეს ინფორმაცია და იგი არ დადასტურდა; ჩირიკაშვილმა აღნიშნა: “მცხეთის ბოქაულმა(მარკოვიჩმა) მუქარითა და ძალადობით მომაწერინა ხელი რაღაც ჩვენებაზე, რომელიც იღია ჭავჭავაძის მკვლელობას ეხებოდა. მაიძულა დამეღო ხელი ვიღაც პირებისთვის”.

მეორედ ამჟამად “ვიღაც იმერჯლი” (какой-то имеретин) გამოჩნდა მცხეთის ბოქაულ მარკოვიჩის 1908 წლის 17 თებერვლის “განცხადების ოქმში”: “დაკითხულმა გიორგი ხიზანიშვილმა განმარტა: “თავად იღია ჭავჭავაძის მკვლელობის წინა ღამეს ვიყავი სოფელ წიწამურში პავლე ფშავლიშვილის ნათესავებთან. იქ მოვიდნენ ვანო ინაშვილი, გიგოლა ბერბიჭაშვილი, პავლე ფშავლიშვილი და კიდევ ვიღაც იმერჯლი, რომელიც ცხოვრებაში პირველად ვნახე.”

მესამედ “გვარით იმერული” (по фамилии имеретин) აისახა გამომძიებელ ლიახოვიჩის მიერ მცხეთის ბოქაულის ნიკოლოზ ალექსანდროვ მარკოვიჩის დაკითხვის ოქმში 1908 24 მარტს; ბოქაულს უთქვამს: “ფშავლიშვილმა მიამბო შემდეგი: შარშან მან, ახალსოფლელმა ვანო ინაშვილმა, არაშენელმა გიგოლა ბერბიჭაშვილმა, იგივე თუდიაშვილმა და მისთვის უცნობმა გვარით იმერულმა გადაწყვიტეს თავად ჭავჭავაძის მოკვლა”.

მეოთხედ “იმერული” ნახსენებია მცხეთის ბოქაულის მარკოვიჩის წერილების დამტარებლის გაბრიელ გარსევანოვის და მცხეთის სადგურის ჩაფრის, ბოქაულ მარკოვიჩის ქვეშევრდომის ალექსანდრე ანატოლიევის ჩვენებებში, რაზეც მცხეთაში შედგენილი ოქმი 1908 წლის 12 აგვისტოთა დათარიღებული.

მეხუთე დოკუმენტი სადაც “იმერულია” ნახსენები იმავე 1908 წლის 12 აგვისტოს, იქვე მცხეთაში ბოქაულთან დაიწერა და ასახავს მცხეთის მკვიდრიაკობის იმერულიშვილის ჩვენებას.

ყველა დასახელებულ საბუთთან დაკავშირებულია მცხეთის ბოქაული ნიკოლოზ მარკოვიჩი; რაც მთავარია, “იმერულის” მკვლელობაში მონაწილეობა ფაქტებით არ დასტურდება. მარკოვიჩის ცუდლუტობას მიხვდა ილია ჭავჭავაძის საქმის ახალი გამომძიებელი მ. ცვეტკოვი და 1908 წლის 12 აგვისტოსვე საბოლოოდ მკაცრად დაკითხა პირადად მცხეთის ბოქაული, რომელმაც აღიარა გამოძიების პროცესში აქამდე დაწერილ ოქმებში მის მიერ დაშვებული თავნებობები და ამჯერად

ილია ჭავჭავაძის” მკვლელობაში მონაწილეთა შორის ”იმერელი” ერთხელაც არ უხსენებია.

ძიების მასალებიდან ირკვევა, მარკოვიჩა “იმერელის” საქმეში “ჩართვა” დაიწყო მას შემდეგ, რაც გაიგო ან გააგებინეს, რომ სახელმწიფო საბჭოს წევრის მკვლელობაში ეჭვმიტანილია იმერელის გუბერნიის მკვიდრი ერმილე დოლიძე და როგორც კი ეს დოლიძე თავდებით გაათავისუფლეს, შეწყვიტა ”იმერელის” ხსენება. თვალნათლად ჩანს, ქიმერა ”იმერელის” ავტორი თუ არა – დიდი გულშემატკივარი იყო მცხეთის ბოქაული ნიკოლოზ მარკოვიჩი, ხოლო შთაგონების წყაროა ერმილე დოლიძის მკვლელობის თანამონაწილედ მიჩნევა.

რაც შეეხება ალექსანდრე გრეკოვის დაკითხვის ოქმს, რომლის ციტირებაც მოახდინეთ, მას წინ უძღვდა კავკასიაში მეფისნაცვლის კანცელარიის განსაკუთრებული განყოფილების მიმართვა საოლქო სასამართლოს პროკურორისადმი, საიდანაც ირკვევა, რომ გრეკოვისგან მსგავსი აღიარებითი ჩვენება მიიღო ოზურგეთის და სენაკის მაზრის დროებითმა გენერალ-გუბერნატორმა ივან ტოლმაჩევმა 1907 წლის 30 ნოემბერს ანუ იმუამადილიას მკვლელობაში ეჭვმიტანილი ერმილე დოლიძის დაპატიმრების მეორე დღეს. გასაგებია, რომ ცნობილი შავრაზმელი ტოლმაჩევი მიზნად ისახავდა წითელგვარდიელი დოლიძის ილიას მკვლელობის ორგანიზატორად გამოცხადებას. გრეკოვმა 1908 წლის 19 აპრილს აღიარა, რომ ბახვში ყრილობაზე არასოდეს ყოფილა და ყველაფერი მოიგონა იმიტომ, რომ: ”ერმილე დოლიძემ სამი წლის წინ დასცინცლა აბრეშუმის ყაბა-

ლახი, ჩოხა, ქამარი, საათი და ამ ნივთების დაბრუნება არ სურდა.” ეს დოკუმენტი თქვენთვის ცნობილია და კითხვას აღარ გავაგრძელებ.

ასე რომ, სახელმწიფო საბჭოს წევრის, თავადილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილე “იმერელი” უბრალოდ წიწამურის ტყის მოჩვენებაა და იგი ვერც კამო-სიმონ-არშაკოვ-ტერ-პეტრუსოვი და, რა თქმა უნდა, ვერც სხვა ვინმე სულიერი იქნება.

“გავფარჩაკდი”, – გავიფიქრე და მივხვდი, რა ზუსტად გამოხატავდა ეს სიტყვა ჩემს მდგომარეობას.

– ახლა ყური მიგდე, ძვირფასო! დედამიწის ზურგზე ვარაუდებით და მოსაზრებებით სიმართლე ჯერჯერობით ვერაგის დაუდგენია, – მოისმაზედა თაროდან. – მინდა იცოდე, ილია ჭავჭავაძე არ მოუკლავთ: გიგოლა მოძღვრიშვილს, გიორგი სიზანიშვილს, თედო ლაბაურს,, პავლე ფშავლიშვილს, ივანე ინაშვილს, გიგოლა ბერბიჭაშვილს . . . – უცნობი კუპის იატაკზე დაეშვა, კარი გაადო და გასვლისას ერთი შემომხედა; ვიცანი! ნამდვილად ის იყო – ტფილისის ვაგზლის მოჩვენება, მაგრამ ამ ჯერზე საერთოდ არ მგავდა და ასაკითაც ბევრად უფროსი იყო!

“მარადიული ურია”, – გამიელვა თავში.

– “მოხეტიალე ებრაელი”, – გამისწორა ქალის ხმამ. წამით ბებო დავინახე, იგი მაშინათვე მზის სხივებს შეერწყა. მატარებლის კუპეში ნათელი გაბატონდა. თვალები მაგრად დაგხუჭე, მაგრამ სინათლე ქუთუთოებშიც ატანდა.

“ალბათ გათენდა”, — გავიფიქრე და ძალიან მომინდა ეს ყველაფერი სიზმარი ყოფილიყო. ვერ ვიჯერებდი, რომ უცნობ ადამიანებთან სირცხვილი ვჭამე და ამ ყველაფერს ჩემი საყვარელი ბებო შეესწრო.

ცუდი გრძნობაა უსუსურობის შეგრძნება.

უარესია, თუ კაცი ცუდ საქმეს ემსახურები.

მთელი ძალები მოვიკრიბე და თვალები გავახილე. ციგი ოფლში გცურავდი. გული ბაგა-ბუგით მიცემდა. კუპეში, რა თქმა უნდა, არავინ იყო. მატარებელი იდგა. ფანჯარაში გავიხედე, ბათუმში წვიმდა. . .

კონსტანტინოპოლისკენ მიმავალი გემის ორადგილიან კაიუტაში საწოლზე ჩამოვჯაქი. ნეტავი არავინ შემოვიდეს-თქო, — გავიფიქრე თუ არა, კარი გაიღო და უზარმაზარი მურა-ყავისფერი საკვრიაჟი გამოჩნდა.

— არა! — რაც შეიძლება ხმამაღლა ვიყვირე.

— ჩემო ძვირფასო ბენიამინ! მთა მთას არ შეხვდება, თორემ თუ მთა არ მიღის მუჰამედთან, მაშინ მუჰამედი მიღის მთასთან! — საკვოიაჟს სახეგაბრწყინებული, ლოკებდაჟღაჟა კონდრატ ვარფალაძეის შემოყვა; მეორე ხელში უშველებელი ჩემთვანი ეჭირა.


კონსტანტინოპოლამდე ოთხი დღის გზა მედო! თვალი მაგიდაზე დამაგრებული საჭიქებისკენ გამექცა! . .

— ნამდვილი კახური ჭაჭაა, იქაურ “ზაოდში” გა-
მოხდილი, სამკურნალოა . . .

ეპილოგის ნაცვლად



ტფილისში მოგზაურობის შემდეგ ჩემს სიზმრებს
ახალი კოშმარი დაემატა. ზოგჯერ ვნახულობ,
როგორ ატრიალებს კინტოს ტანსაცმელში გამო-
წყობილი მცხეთის ბოქაული კოლია მარკოვიჩი
არღნის სახელურს და მის დაკრულზე, წიწამურის
ტყის მოჩვენებასთან ერთად, ბუქნას უვლიან ილია
ჭავჭავაძის მკვლელობაში დადანაშაულებული
ქართველები! მხოლოდ ერთი ადამიანი არად და-
გიდევთ მარკოვიჩის დიმპიტაურს, განცალკევებით
დგას, შიგადაშიგ ნახველთან ერთად სისხლი
ამოაქვს და ცხვირსახოცით იწმენდს. რატომდაც
მგონია, რომ იგი 1909 წლის 26 ივლისს, მეტეხის
ციხეში, ჭლექით გარდაცვლილი გიგოლა
მოძღვრიშვილია. აი ის კაციც, ვინც უსამართლოდ
მიიჩნევა ილია ჭავჭავაძის მკვლელად!



გიგილა მოძღვრიშვილი

“მოძღვრიშვილის ჩამორთმეული თოფის, ტყვიის, საფანტის და დენთის დათვალიურების ოქმით დგინდება, რომ თოფი ორლულიანია, სასხლეებიანია და ლულის ბოლოზე, სამიზნებთან და სასხლეებთან ეტყობა, როგორც ჩანს, სისხლის კვალი; ტყვია მრგვალია, ნაჭრდევების გარეშე, ასევე უნაჭრდევოა 7 სხვადასხვა ზომის საფანტი ან კარტენი, ერთის გამოკლებით; 14 სხვადასხვა სიღიდის მასრა ჩალაგებულია ქამრისებრ პატრონგაში, რომელზედაც თითქოს სისხლის ნიშნებია.

ექსპერტიზის ოქმით დადგენილია, რომ აღნიშნული ტყვია და საფანტი არ შეესატყვისება გვაძებიდან ამოღებულ ტყვიას და საფანტის”.

ნამდვილი ეპლობი

ჩემი ბედის ბორბალი ტფილისიდან პარიზში დაბრუნების შემდეგ სხვაგვარად დატრიალდა. სულ მალე ლონდონში გავემგზავრე. ხაიმ აზრიელ ვეიცმანს შევხვდი. დიდხანს ვისაუბრეთ ჩვენი ერის მომავალზე და მნიშვნელოვანი ამოცანებიც დავისახეთ. ჩემი წარსულისკენ აღარ გამიხედავს. იქ მაინც ვერაფერს შეგვცლიდი. ცხოვრების შუქურად კი გავიხადე ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი სიტყვები: “წინ გასწი!”

1948 წლის 15 მაისს პინსკის რელური სასწავლებლის კურსდამთავრებული ხაიმ აზრიელ ვეიცმანი ისრაელის ახალშექმნილი სახელმწიფოს პრეზიდენტი გახდა, ხოლო ებრაელთა საიდუმლო სტრუქტურა, რომლის გაძლიერებაშიც მცირეოდენი წვლილი მიმიდვის, 1951 წელს მსოფლიოში გავლენიან სადაზვერვო სამსახურად – მოსადად – გარდაიქმნა.

მართალია, ჩემი და მისი წამიერი შეხვედრიდან დიდი დრო გავიდა, მაგრამ ყოველ ჯერზე ახალი

ძალით ვხალისობ, როდესაც მახსენდება, თუ როგორ მივიჩნიე მორიგ კაგპასიელ თაღლითად ტფილისის ვაგზლის სკერში მუქ შარვალ-კოსტიუმსა და შავ შლაპაში გამოპრანჭული მაშინდელი კობა ჯუდაშვილი, შემდეგში კი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი დიქტატორი იოსებ სტალინი.

ლოცვა

მამო ჩვენო, რომელოცა ხარ ცათა შინა,
მუხლმოდრეკილი, ლმობიერი ვდგავარ შენ წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვჲყო მე ლოცვა წმინდა. . .
არამედ მწეურს მე, განმინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენთოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი
მკრან,
გთხოვდე: “შეუნდე, – არ იციან, დმერთო, რას იქმან!”

ილია ჭავჭავაძე

1858-სა წელსა, 17 ივნისს,

ს. ტიარლევო.